114/1948 /A

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 114/4

# მნათობი

2

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

114/4
1948
ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

4741

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

წელიწადი ოცდამეხუთე

2

19 თებერვალი — 48
სახელგამი

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელი

# ჯოჯოს მამა

## რომანი *

★

ერთადერთი გზა, რომელიც სოფელ სოუს გარეშე ქვეყნებთან აკავშირებს, არის უხსოვარი დროიდან ცნობილი სანჭაროს ბილიკი, — ზამთრობით დახურული, ხოლო სხვა დროს სავალად ძნელი და საშიში.

იგი შავი ზღვის ნაპირიდან იწყება მდინარე გუმისთის შესართავთან, ქალაქი სოხუმის ჩრდილოეთით. აქედან ამ მდინარის ვიწრო და ქარაფებიან კალაპოტს ასდევს მაღალი მთებისაკენ, ვიდრე ბზიფის ქედამდე, სადაც გუმისთის კალაპოტს სტოვებს და აჭავჭარის უღელტეხილით ბზიფის ქედს გადასჭრის.

ბზიფის ხეობაში დაშვებული, გაივლის ამ ხეობის განაპირა სოფელს სოუს და, დასავლეთი კავკასიონის მთაგრეხილისაკენ პირშექცეული, რამდენსამე ტოტს ისხამს, ნადინარი წყლის კვლებივით კლდეებსა და ღრეებში მიმოფანტულს. ამათი ასავალ-დასავალი ნადირთა გარდა ამ მხარის ზოგიერთმა გამოცდილმა მონადირემ ან ბზიფისა და კავკასიონის ძველმა მწყემსებმა თუ იციან მხოლოდ.

მთავარი ტოტი კი ბოლომდე სანჭაროს ბილიკის სახელს ინარჩუნებს და კავკასიონის ყველაზე უფრო ადვილად მისადგომ სანჭაროს უღელტეხილს უპირისპირებს, გადალახავს მას და ყუბანის მხარეში იკარგება.

საკუთრივ სოფელ სოუდან შავი ზღვის პირამდე სანჭაროს ბილიკის გავლას ჩვეულებრივად ორ დღეს ანდომებენ ქვეითი მგზავრები. პირუკუც ასეა, რადგანაც ალმართი და დალმართი ამ გზისა სამგზავროდ თანაბრად სახიფათოა. ცხენოსნები კი, მეტად იშვიათი გამონაკლისის გარდა, თავს არიდებენ ბილიკს. მისი ციცაბოები და პიტალოები მთის ტერფბასრ ცხენებსაც კი აფრთხობენ გაუვალობით.

მაგრამ მთის კაცსა და მის ჯონდოზე არ ვრცელდებოდა ის შიში, რომლის გამო ცხენოსანი მგზავრები სანჭაროს ბილიკს თავს არიდებდნენ. ისინი იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდნენ.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, მთის კაცი ჩამოქვეითებული ამ ბილიკზე ერავის უნახავს. არც არავის გაუგონია, რომ ჯონდოს იგი სოუდან სოხუმს ერთ დღეში არ ჩაეყვანოს.

მაგრამ დღეს ბზიფის ხეობიდან აჭავჭარაზე ასულმა მთის კაცმა ცხადად დაინახა, რომ უფრო მეტი დაგვიანებოდა, ვინემ სოუში გამგზავრების წინ ეგონა.

ამდენ ხანს ნისლშეფარებული მზე ბან დღეს პირველად აჭავჭარაზე დაინახა. დაინახა და გულში ეჭვიც აღეძ-

* გაგრძელება. „მნათობი" № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა: შეუძლებლად მოეჩვენა წკვარამეებით დასერილი გუმისთის ხეობის გავლა დღის დალევამდე.

შესდგა.

ჩვეულებრივად სოხუმს მიმავალ მთის კაცს დრო ასე ჰქონდა განაწილებული, რომ გათენებამდე სახლიდან წამოსულს ყოველთვის აქ აჭავჭარაზე შეგზათენდებოდა ხოლმე. მძიმე აღმართის ავლის შემდეგ ცხენს აქ შეასვენებდა და აკაზმულობას ხელახლა გაუსინჯავდა, რადგანაც სწორედ აქედან იწყებოდა სახიფათო და გაუთავებელი გუმისთის თავდაღმართი. მზის ამოსვლას დაელოდებოდა. ხევებში ჩაწოლილი ნისლის გადაყრას მოუცდიდა, გზას ისე არ განაგრძობდა, რომ ერთხანს არ დამტკბარიყო აჭავჭარიდან დანახული ახალ-ამოსული მზის პირველი განავარდებით. ცის შორეულ კაპადონზი.

მზის ახალგახელილი თვალების ჯერ კიდევ გაუბედავი ბრიალი ძველ ნამწყემსარსა და ნამეჯოგარს მუდამ ისე ეჩვენებოდა, თითქოს მზე კი არ იყო ცის ლურჯ ტატნობზე რომ თამაშობდა. ისე წარმოიდგენდა თითქოს მისი საყვარელი ჯოგის მშვინება, პირთეთრა და თვალებგიშერა ბოჩოლა ყოფილიყო, რომელიც ვითომ შორიდან მას თავს აწონებდა, მწვანე მდელოზე ლაღი კუნტრუშით განავარდებული.

და აქედან იყო, რომ იწყებოდა ფიქრზე უმალესი შლა მთის კაცის დაუვიწყარი მოგონებების, რომლებიც მას აჭავჭარასთან აკავშირებდნენ, და სანჭაროს ბილიკის ჩასწვრივ მიჰყვებოდნენ ვიდრე დავაკებამდე.

აჭავჭარა იყო მისი ვაჟკაცობისა და მოწიფულობის პირველი დამრწმუნებელი. აქ მას სწორი არ ჰყოლია არც ლონეში არც სიმარჯვეში.

ვაჟკაცისა და უშიშარი ცხენოსნის სახელიც პირველად აქ მოუხვეჭნია. სიყრმიდანვე ნადირობით გატაცებულს, ვინ დასთვლის რამდენი ირემი, ჯიხვი და არჩვი მოუკლავს, ან შურთხები და იშვიათი მთის კაცები დაუხოცნია.

ნადირთა გაუვალ ბილიკზე ანაზდად შემოყრილ დათვს რამდენჯერ ხელდახელ შებმია ისე რომ განზრახ იარაღი არ უხმარია: მხეცთან ჭიდილში მხარ-მკლავის ძალა და გულის სიმაგრე გამოუცდია, ტანის სიმარდე გაუსინჯავს და თვალის სისწორე შეუმოწმებია. როცა მოუკლავს, მხარზე გადაუდვია ვეება ლეში, კლდეებსა და ნავარნებში უტარებია, როგორც ნაფოტი, და ბანაკში ასე მოუტანია.

მაგრამ დღეს ისედაც დაგვიანებულ მთის კაცს მოგონებებისათვის არ ეცალა, — ნაჩვევი ახალგათენებულის მაგივრ მას თითქმის სრული თავისი ძლევამოსილებით აღჭურვილი შუადღე დახვდა აჭავჭარაზე.

სამხრეთის მოსაქცევს მიწევნილი მზე უკვე აღარ ჰგავდა მთის კაცის საყვარელ ბოჩოლას, რომელიც მას წარსულის მოსაგონებლად განაწყობდა. იგი მრისხანე და შეუპოვარი გამხდარიყო. მოელვარე ციცხლის შუბები ოთხივ კუთხით შეემართნა და ცის ლაჟვარდს თელვითა და გლეჯით მიარღვევდა, სრული მეფური შეუვალობის გამომჟღავნებით.

მთის კაცსაც მყისვე თავისი შობები აძგერა, როგორც კი მაღლა აჭავჭარაზე ამოსული დაინახა.

— დადექ, — ვითომ უთხრა ქადილით, — ხომ ხედავ დაგასწარი. უკან დაბრუნდი გირჩევნიაო.

მთის კაცთან ერთად თითქოს მისმა ძველმა ნაცნობმა მთებმაც გაიგონის მზის ეს მედიდური მუქარა. ყურები დასცქვიტეს, ქედზე გადამდგარ მხედარსა და მის ჯონდოს ცნობისმოყვარეობით შემოაცქერდნენ შორი-შორიდან:

— აბა, ახლა დავინახავთ, თუ არ მოხუცებულა ჩვენი ძველი მეგობარი მთის კაცი და მისი სახელგანთქმული

ჯონდოც ნამდვილად რაც ცხენი ბრძანდებაო.

პირქუშად იჯდა შეფიქრიანებული მთის კაცი სიპიან ჩამოსავალთან დაჯდგარ ჯონდოზე. ცისკენ აპყრობილი ოდნავ მოჭუტული თვალები მზის ელვარებისათვის თამამად გაესწორებინა. პირისახე შეეკრა, რომელზედაც თავისთავისადმი მტკიცე რწმენა გაბოხატოდა, ამაყურ განწყობილებასთან შეჯანხმებული.

როგორც ყოველთვის საგარეოდ ახლაც შინდისფერი ჩოხა ეცვა, წელზე ვიწროდ შემოსხებილი, სადა შავი, ქამარ-ხანჯალი შემორტყმული. მაღალი ჩკერდი წამოეზნიქა. მძიმე და განიერი მხარბეჭი ისე მოემარჯვნა თითქოს საშიში მტრის დასახვედრად მომზადებულაო.

მაგრამ იმაზე კი არ იყო დაფიქრებული მთის კაცი გზა განეგრძო თუ უკან დაბრუნებულიყო. იქას ითვალისწინებდა და ანგარიშობდა მხოლოდ, სად შეიძლებოდა გზის მოჭრა, ალაგ-ალაგ ნადირის ნავალის გამოყენება და მანძილის ამნაირი შემოკლებით დაკარგული დროს ანაზღაურება. ეტყობოდა, რასაც ანგარიშობდა, ჭკუაში უჯდებოდა.

ბოლოს თავის ერთგულ ჯონდოსაც კისერზე ხელი წაუთათუნა. ჰკითხა:

— შენ რას იტყვი, ჯონდო? ხომ არ დავმარცხდებით მზეს რომ გავეჯიბროთ?

მაგრამ ჯონდოსთვის ეს საკითხი არ არსებობდა: მას ერთი წამითაც საეჭვოდ არ მიუმჩნევია გზის გაგრძელება. მთის კიდეზე გადამდგარი თავს ძლივს იკავებდა, რომ ჩვეული მორჩილება არ დაერღვია. უქმად დგომა მოთმინებას უკარგავდა. ნესტოებს ბერავდა და ფრუტუნებდა. ლაგმის პირს ახრამუნებდა, ბორგავდა წამდაუწუმ იზერგნებოდა, ფეხის ასადგმელად გამზადებული.

მთის კაცი კარგად იცნობდა თავისი გამოზრდილი და გახელილი ცხენის ივევასა და ხასიათს. ეცოდინებოდა ეს ალბათ, ეც მისგან ჰქონდა ჩანერგილი. იცოდა, რომ ჯონდოს განსაკუთრებულ ძალასა და ხალისს მატებდა ყოველგვარი დაბრკოლების დაძლევა, — გზა იქნებოდა ეს, ჭენება თუ ძკერდით ჭიდილი შეჯიბრებაში.

იმიტომ ჯავრობდა ახლა, რომ უთუოდ ეჭვი აწუხებდა, ჩემი უშიშარი მხედარი ხომ არ ყოყმანობსო, რაც მისავია შეუფერებლად მიაჩნდა.

და, როცა ჯონდომ ერთხელ კიდევ ისე მაგრად დაჰქაჩა სადავე, რომ მხედარს კინაღამ ხელიდან გამოჰგლიჯა, მთის კაცმა ვითომ საბოლოოდ გადასწყვიტა გზის გაგრძელება.

— წინ, ჩემო რაშოო, — შესძახა წამქეზებელი ხმით ჯონდოს და სადავეც მიუშვა.

ოთხო მოსწყდა თავის ადგილს ჯონდო და ბილიკზე ჩხრიალით დაეშვა.

*

* *

მთის კაცს გამალებული მიჰყავდა თავისი ცხენი. თავბრუდამხვევ დაღმართებსაც არ ერიდებოდა. სჩანდა ყველაზე უფრო დროს აფასებდა: ხშირად ცისკენ იმზირებოდა, მზის განვლილ მანძილს ცაზე უკან მოტოვებული გზის სიგრძეს უფარდებდა, თავის ფიქრით, თითქოს მართლა ცის ზნათობს სვლაში ეჯიბრებაო.

დღე ისე ილეოდა, რომ აჭავჭარის უღელტეხილიდან გუმისთის ხეობაში თავქვედაშვებულ ჯონდოს ერთხელაც არ შეუსვენია, ისეთი თავგანწირვით ჩამოჰყავდა ბილიკზე თავისი მხედარი.

წვრილი გზა სად ციცაბოებზე დაეკიდებოდა, თოკივით, სად ტყიან ფერდზე დაცურდებოდა და ხშირი ხეების ნიადაგმორღვეული, დაღლარჭნილ ფესვებს შორის იკარგებოდა. ხანღორღოვან ქანებს შუა მიიკლაკნებო-

და, მოლექილი ნაღვარევის კვლებში უჩინარდებოდა. ერთგან რომ მდინარის ნაპირის ბაღალ ქარაფებს თავს მოექცეოდა, მეორეგან ძირს უფსკრულში ვარდებოდა, თავაწყვეტილ მდინარეზე გადადიოდა და ისევ თავქვე ეშვებოდა დაუსრულებლად.

როცა საჭირო იყო, ჯონდო გოგვით სდგამდა ნაბიჯს, მთის კაცის ნაცად ხელში დაჭერილ სადავეს მინდობილი. ტანის ყველა კუნთი დაეჭიმა, რაც კი სიფრთხილის გრძნობა გააჩნდა, წვრილად სხმულ, ძვალ-ბაგარ წვივებსა და ღვედივით მოქნილ საოლავებში გადაეტანა, ხოლო ტერფებში მგრძნობელობის საკვირველი ძალა შემოეკრიბა: ისე შეუცდომლად არჩევდა საყრდენ ადგილს საცდომელისაგან, თითქოს ნიადაგს გარშემო ადამიანის ხელის თითებით სინჯავსო.

ის—იყო, უკანასკნელი თავდაღმართიც გათავდა. მთის კაცმა და მისმა ჯონდომ სოხუმის ფართო და სწორი გზატკეცილისკენ გადასახვევ მოსაქცევს მიაღწიეს.

მზე ჯერ კიდევ არ იყო ჩასული. იგი დასავლეთის ცის კიდურისა და ზღვის ზედაპირის შუა ეკიდა. ერთი მტკაველისოდენა მანძილზედაც არ იქნებოდა ზღვიდან დაშორებული, მაგრამ სრულად ჩასვლა რომ ვერ მოესწრო, სანამ მთის კაცი საშიშ ადგილებს მშვიდობით გაივლიდა, თითქოს სირცხვილის სიწითლე შეჰკიდებოდა. დაღლილ თვალს ისე ახამხამებდა, ვითომ მომდგარ ცრემლის გადმოსაყრელად ემზადებაო: — გულდაწყვეტილი სჩანდა მზე, რომ მთის კაცთან შეჯიბრებაში დამარცხდა და მისი ამდილანდილი ქადილი, ვითომ დაგაგვიანდა და ჩემს ჩასვლამდე სამშვიდობოს ვერ გახვალო, სულ ტყუილი და ამაო გამოდგა.

ეს რომ დაინახა მთის კაცმა, სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ ამის ბეტით არაფრით არ აღუნიშნავს პირისპირ ჩამავალი მნათობისა თავისი უდავო გამარჯვება.

რაც უნდა მომხდარიყო, მთის კაცისათვის მზე მაინც ზზე იყო.

გზატკეცილზე რომ გავიდა, ცხენი გზის პირას დააყენა. ჩამოქვეითდა, ერთი ნაბიჯით შორს დაუდგა აქაფებულ ჯონდოს. თავით ბოლომდე თვალი შეავლო. მერე ისევ მიეახლა და ოთხივე ფეხი დაკვირვებით გაუსინჯა, ხომ არ დაუშავდა რომელიმე, ან ნალი თუ მოძვრაო. თვალებზე ოფლი შეუწბინდა, ყურები დაუზილა დაქაჩვით. მოკაზმულობა შეუსწორა, მოჭერილი მოსართავები შეუმსუბუქა.

— ყველაფერი რიგზეა, ჩემო რაინდო! — ეუბნებოდა თან ალერსით საყვარელ ცხენს, — ჩემთვის უნაგირს არ უღალატნია, ხოლო შენთვის—მუხლებს! ტყუილა კი არ ამბობენ მთაში, ჯონდოს წვივები ირბისა აქვსო. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო: შენც ამავე მთებში ხარ დაბადებული და გაზრდილი, აქვე გაწრთვნილი და გახედნილი! რითი გჯობია ირემი?

ჯონდო ხან სწურავდა ყურებს, ხან კი შლიდა მორიგეობით. წამდაუწუმ თავს აკანტურებდა ნიშნად თანხმობისა: უხაროდა, რომ საყვარელი პატრონის მშვიდი, ბოხი და მოალერსე ხმა ესმოდა. თავი მოსწონდა მისი ქებისაგან, რომელიც დამსახურებულად მიაჩნდა.

საქმესთან ერთად საუბარსაც მორჩა მთის კაცი და ჯონდოს ისევ ზურგზე მოექცა, ბათრახის ტარით ჩოხის უკანა კალთა უნაგირის ბალიშზე შეიკეცა, გვერდებისა მუხლებზე გადაიფარა.

სამშვიდობოს გამოსული გზას შენელებული ნაბიჯით გაუდგა.

## თავი მეცამეტე

მთის კაცის ძველი მოყვრის იულონ გარსიას სახლი, სადაც ჯოტო ცხოვრობდა სოხუმში, ზღვის პირდაპირ ქალაქის თავზე ამართულ გორაკზე იდგა, ფიჭვნარში მიმალული.

ახალი დაღამებული იყო, როცა სოხუმს ჩასულმა მთის კაცმა მთავარი გზიდან ამ გორაკისკენ აუხვია და იულონ გარსიას სახლს მიადგა. ჩამოქვეითდა, ცხენი ჭიშკრის სვეტზე მიაბა ხურჯინი მოხსნა, ხელში დაიჭირა და ეზოში შევიდა.

ოდისნაირად აგებული მოდიდო სახლის შუშაბანდი ელექტრონით იყო განათებული. მისი მკრთალი სინათლე ტროპიკულ და დეკორატიული მცენარეებით მორთულ პატარა ეზოში გაშენებულ ციტრუსების ბაღსაც ფოშფოშივით გადაჰფენოდა. მარგილის ღობის გაყოლებაზე მდუმარე დარაჯებივით შორი-ახლო გამდგარიყვნენ ტანავარდნილი ძველი კვიპაროსები.

იულონ გარსია ოდესღაც შეძლებული მოიჯარადრე იყო, სოხუმში კარგად ცნობილი. დიდგვარიანი აფხაზების წრეში ტრიალებდა და შათი წესებისა და ადათის დიდი მიმყოლი იყო, რის საშუალებასაც პირადად შეძენილი ქონება აძლევდა. ცოლად ამავე წრის ქალი ჰყავდა შერთული.

დაქვრივების შემდეგ მალე ლოგინად ჩავარდა დამბლა-დაცემული, დაღარიბებული უფრო ოთახების ქირით ცხოვრობდა. ბოლო დროს მოსწრებული ქალვაჟის კვაყოფაზე იმყოფებოდა, რომელთაც გარდა წარჩინებული სწავლისათვის დანიშნული სტიპენდიისა პედაგოგიურ ინსტიტუტში, კერძო მასწავლებლობიდანაც ჰქონდათ შემოსავალი. ამათგან უფროსი თემური, მთის კაცის ვაჟის ჯოტოს ტოლი იყო.

დღიდან ჯოტოს დაბინავებისა გარსიას ოჯახში, ყმაწვილები განუყრელი მეგობრები გახდნენ. როგორც დაბალ, ისე საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში ერთად სწავლობდნენ. ხოლო მათი მეგობრობა უფრო კოშკავშირში განმტკიცდა. სადაც კომუნისტური ახალგაზრდობის ნდობა და სიყვარული დაიმსახურეს.

ეზოში შესულმა მთის კაცმა განათებულ შუშაბანდს გაუპირისპირა ხუთსაფეხურიანი კიბის წინ გაშლილ ქოლგაყავით მდგარი, ტოტებ-ჩამოზხექილი ტირიფის ხის ქვეშ შესდგა.

როგორც ეზო, ისე სახლიც სიჩუმით იყო მოცული. ეუცხოვა იგი მთის კაცს. ავმა ეჭვმა გულს კლანჭი გაჰკრა.

— ახალგაზრდები, ალბათ, შინ ჯერ კიდევ არ დაბრუნებულანო, — განზრახ ხმამაღლა წარმოსთქვა, რომ აღძრული ეჭვი დაეფრთხო და მორიდებით გამოწვეული მცირე შეყოყმანების შემდეგ დაიძახა:

— ჰეი, მასპინძელო!

შიდა ოთახის კარი გაიღო, და შუშაბანდში წაბლისფერ კულულებიანმა, ტანმაღალმა ყმაწვილმა ქალმა შემოიჭყიტა.

— ვინ ხარ? — ვითომ ვაჟკაცური ხმით გაეხმაურა იგი მთის კაცის ძახილს და კიბის კარისკენ ფიცხი ნაბიჯით წამოვიდა.

ეს იყო იულონ გარსიას უმცროსი ქალი, თვრამეტი წლის ლია, მთის კაცის პატარა მეგობარი და მისი დიდი თაყვანისმცემელი, რომელიც მას შინაურების მიბაძულობით ჯოტოს მამას ეძახდა.

— ჩვენი ქვეყნის მშვენებას და ამ ოჯახის სიხარულს ლიას დაბლად მიესალმება მისი ხილვით ბედნიერი ჯოტოს მამა. — მაღალ-ფარდოვანი, მაგრამ მოალერსე ხუმრობით გამთბარი ხმით მიმართა მთის კაცმა ლიას, როგორც კი მან შუშაბანდის კარი გამოაღო.

მთის კაცის ნაცნობი ხმის გაგონებაზე ხელი ხელს შემოჰკრა ლიამ, შიდა ოთახისკენ პირი მიიბრუნა და მკვირცხლად შესძახა ხმამაღლა:

— ჯოტოს მამაა, მამა, ჯოტოს მამა!

მერე კარი ფართოდ გააღო, კიბის საფეხურზე ფეხი არ დაუკარებია, ისე ძირს ჩამოხტა ფრტვინვით და საყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელ სტუმარს მკერდში თავით ჩაეკონა.

მთის კაცმა ხელში დაჭერილი ხურჯინი კიბეზე ჩიაყუდა, ტკბილად შემოგებებულ ლიას ხელი თმაზე გადაუსვა, თავი აუწია და შუბლზე ეამბორა.

პირველად იულონი მოიკითხა;

— მამა როგორ ბრძანდებაო.

სანამ უპასუხებდა, ლია ცერზე შესდგა, აიწია და, ფარულად გაკვირვებულმა იმით რომ სტუმარმა პირველად მამამისი მოიკითხა, ცდით ახლოს შეხედა თვალებში:

— ნუ თუ ომის დაწყება და ყმაწვილების ამბავი ჯერ კიდევ არ იცისო.

— როგორც გინახავს, — დაგვიანებით უპასუხა შეშდეგ და დარდიანად დასძინა: — ჩვეულებრივზე უფრო ცუდად, ჯოტოს მამავ! წამოდი, თვითონ ნახე!

ხელი ხელზე მოჰკიდა, რომ სახლში შეძღოლოდა. მისმა თითებმა ანაზდად მთის კაცის მაჯაზე დაკიდებული მათრახის ტარი ჩოსინჯეს. უცებ გამოიცვალა ლია. ჩიტივით შეფრთხიალდა. მიიხედ-მოიხედა.

— ჯონდო სად არის? — იკითხა შემტევ ხმაზე და, თითქოს გაწყრაო, მთის კაცს ხელი შეუშვა, როცა შეიტყო, რომ ცხენი ჭიშკრის გარეთ იყო დატოვებული, შეიცხადა.

— გარედ რა უნდა ჯონდოს? რამდენი ხანია არ მინახავს! — თავი მიანება სტუმარს, ჭიშკრისკენ გაიქცა.

მთის კაცს უნდოდა გაყოლოდა, ცხენისათვის თავად ჩიეხედნა, მაგრამ ამ დროს იულონის ხმა მოესმა შუშაბანდიდან და ძალაუნებურად მისკენ მიიქცა.

— ჯოტოს მამა მოვიდაო, გავიგონე, თუ სმენამ არ ჩომატყუა. მერე სად არის ამდენი ხანი, რომ ვერ ვხედავ? სახლში რატომ არ შემოდის? ძველი წესის მოყვარული, იქნება, მასპინძლის შეგებებას მოელის? მაგრამ არ იცის განა, რომ საპყარი იულონი ოთახიდან ვერ გამოდის, ხოლო ცხენის ჩამომრთმევი ვაჟკაცთაგანი არავინ არის მის სახლში! შემობრძანდი, მოყვარეო. ნუ შეგაშინებს ამ სადგომის ყრუ სიცალიერე, რომელიც შვილის გაუგონარი ღალატით არის გამოწვეული.

ჩოთქმის კილოზე ლაპარაკობდა იულონი. ყრუდ, დანჯღრეულად ისმოდა ჩისი ხმა და მთის კაცის გულს ბედისწერის შორეული რეკვასავით ხვდებოდა.

იულონი უკანასკნელ წინადადებას ამთავრებდა, რომ ეჭვით შეფორიაქებული მთის კაცი კიბეზე ავიდა. შესდგა თუ არა ფეხი შუშაბანდში, იქვე გახევდა, იულონი რომ დაინახა.

მარჯვენა მხარბეჭით ყავარჯენს მძიმედ დაყრდნობილი იულონ ,,გარსია ოთახიდან გამოსულიყო და შუა შუშაბანდში ნამდვილი მოჩვენებასავით იდგა. — მაღალი და ახმახი, ჩონჩხივით გამხდარი და ზურგ-წამოხრილი იგი ცალი მხრით ირიბად გადაწოლოდა ,,ყავარჯენს. დანგრეულ ძველი კოშკის კედლის გადანაშთენს ჰგავდა ფუძეჩორღვეულსა და უსწორმასწოროს, მაგრამ რაღაც მანქანებით მაინც ჰაერში შემართულს.

ახალუხამარა იყო. შიშველი გრძელი ფეხები დახეულ ფლოსტებში შეედგა. სამესტე შარვლის პაჭანიკიანი, გვერდებზე ჩაჭრილი მოკლე ტოტები ძლივს უფარავდნენ ჩხირივით წვრილ ბალნიან წვივებს. თავზე თმა გადაპარსული ჰქონდა, ჭაღარა წვერი კი გრძლად მოშვებული. დამბლისაგან წართმეული მარჯვენა მხარი უთრთოდა. მარჯვენავე ყბა უცნაურად ემანჭიბოდა, ხოლო ძალზე გადმოკარკლული ცალი თვალი უძრავად გამოეჭყიტა.

მთის კაცის დანახვაზე მან საღი ხელი ჭოლოკივით მაღლა შეისროლა

ნიშნად შეალმებისა და სტუმარს უძრავი თვალი უსიტყვოდ მიაძტერა.

ძთის კაცს ფეხზე ძდგარი იულონი მისი ლოგინად ჩავარდნის შემდეგ არც კი ენახა. ძიუხედავად იმ საცოდაობის გრძნობისა, რომელსაც იგი შეეპყრო, არ დავიწყებია, რომ სახლისათვის მშვიდობა ესურვებინა, მხოლოდ ამის შემდეგ თავის ძველ მოყვარეს აუჩქარებლად და მოკლედ მიესალმა. მერე ლბილად უსაყვედურა:

— მე რა სტუმარი ვარ, იულონ, შენს ოჯახში, რომ შეწუხებულხარ და ავადმყოფი ლოგინიდან ამდგარხარ. თუ ჩვენი ვაჟები შინ არ იმყოფებიან, ლია რა მათზე ნაკლებია? განა ის ვერ შემხვდებოდა და შენს ოთახამდე ვერ მიმიძღვებოდა? ან მე თვითონ გზას ვერ გავიკვლევდი? გატყობ, რომ გამწყრალი ხარ ყმაწვილებზე, ან ატეხილი ომის გამო ხარ ასე შეწუხებული! ვერ დავიჯერებ, რომ ბიჭებს დაეშავებინოთ რამე შენთვის. თუ ასეა, მაშინ მომეცი ნება გავასამართლო ისინი შენს წინაშე ქედი მოვახრევინო და მერე შეგარიგო მათთან! ნუ თუ ისე შორს არიან წასული, რომ ვერ მივწვდები?

უკანასკნელი სიტყვები ძთის კაცს განზრახ ჰქონდა ასე დალაგებული: თუ სოუში მოღწეული ჯოტოს და თემურის ომში წასვლის განზრახვის ამბავი მართალი იყო, ახლავე გაეგო ეს სიმართლე იულონისაგან.

მის შეკითხვაზე, იულონმა მაღლა ამართული ხელის თითები გაშალა უცნაური შიშინისა და სტვენის მიყოლებით ჰაერში საკვსავით გაატარ-გამოატარა, თითქოს გააფრინაო, და აფხაზურად მოკლედ უპასუხა:

— ითრიჰიტ. რაც ნიშნავს გაფრინდნენ.

სთქვა თუ არა ეს, მთელი ტანის კანკალი აუარა.

— იფრიჰიტ, იფრიჰიტ! — გაიმეორა კიდევ რამდენიმეჯერ. თან აწეულ ხელს ჩრდილოეთისკენ აშვერდა გაფრენის მიძართულების აღსანიშნავად.

ამ კვალობაზე კი დიდი ძიხვედრა არ დასჭიროვებია ისედაც დაეჭვებულ ძთის კაცს იმის გაძოსაცნობად, თუ რას მოასწავებდა იულონის „იფრიჰიტ“ და ხელის ჩრდილოეთისკენ შვერა. ცხადი იყო: ძის დღევანდელ თავდაუზოგველ მგზავრობას სოუდან სოხუმამდე ამაოდ ჩაევლო: ჯოტოს დაესწრო მისთვის მტერთან საომრად რუსეთს გაფრენა იულონის ვაჟის თანხლებით.

ამის დაჯერებაზე არა ნაკლებ მწვავე იყო ის უძლურება და უმწეობა, რომელიც მან იგრძნო უკვე მომხდარი ამბის წინაშე, რომლის გამოსწორება მის ძალღონეს ყოველნაირად აღემატებოდა.

მაგრამ ისე მოხდა, რომ იულონის შემყურეს მისი საცოდაობით გული დათუთქოდა, საკუთარი დარდი კი თითქოს დავიწყებოდა. სიბრალულმა და ადამიანური მოვალეობის გრძნობამ ერთად ერთი ვაჟის დაკარგვაზე მამის დასამშვიდებლად და ნუგეშის საცემად მოუწოდეს მას.

ძთის კაცი მიუახლოვდა იულონს. მკლავი მოჰხვია. მკერდზე აკოცა პატივისცემით.

— ვაჟკაცად გიცნობ, იულონ — უთხრა მტკიცე ხმით — არ შეგფერის სასოწარკვეთილება. თუ ომში წავიდნენ ჩვენი ვაჟები, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ აღარ დაგვიბრუნდებიან? ახალგაზრდობის ბუნება ბორგვაა და შფოთი, იულონ. ყოველი უჩვეულო, ახალი და თავგამოსადები იტაცებს მას. მოიგონე შენი სიყმაწვილე: იყო, დრო, როცა ალბათ, ხიფათი გერჩივნა ბშვიდობას და სიცოცხლეზე უფრო თავის გამოჩენას აფასებდი. ადამიანის ბუნებაა ასეთი, ჩემო ძვირფასო მოყვარე, და ბუნების კანონს ხომ ვერ გადავალთ. მადლობელი იყავი ბედის, რომ მეორე შვილი, მომვლელი და

გულშეშატკივარი, საიმედოდ გვერდში გყავს. ამით ჩემზე უფრო ბედნიერი ხარ, რადგანაც ჯოტოს გარდა მეორე შვილი არ გამაჩნია, როგორც მოგეხსენება.

იულონთან ერთად თვითონ მთის კაციც დიდი ყურადღებით ისმენდა ამ სიტყვებს, თითქოს მსმენელი ყოფილიყო და არა მთქმელი, ცხადად გრძნობდა, რომ მათ თავის თავის დასამშვიდებლადაც წარმოსთქვამდა.

იულონმა ხმის ამოუღებლად ბოლომდე მოუსმინა მთის კაცს. სახეზე იშის ცდა გამოხატოდა, რომ კარგად მოეაზრებინა, რაც გაიგონა. თითქოს დაწყნარებაც შეეტყო. მადლობის ნიშნად ხელი შეავლო მკლავზე, ზედაც ბიეყრდნო ფეხზე დგომით დაღლილი. მთის კაცმა ამით ისარგებლა. მკლავი წელზე მოსდვა ფრთხილად შეებჯინა და საწოლი ოთახისკენ წაყვანა დაუპირა.

— ჰეე, მართლა მადლობელი უნდა ვიყო განგების, ჩემო კეთილო მეგობარო, რომ სნეული ვარ, დაავადებული და ლოგინიდან ვეღარ ვდგები. ზოგი ჭირი მარგებელიაო რომ იტყვიან ჩემზე გამართლდა. ეს მეორე შვილიც თუმცა ქალია, მაგრამ მაინც უთუოდ გამიფრინდებოდა, რომ ავად არ ვიყო. თურმე, ნუ იტყვი, მასაც გადაწყვეტილი ჰქონია მფრინავად გახდომა და ომში მონაწილეობის მიღება. ჯოტოს და თემურს რატომ უნდა ჩამოვრჩე, რითი მჯობიანო? მაგრამ სინდისმა არ დაანება, მომაკვდავი მამა სახლში სრულიად უპატრონოდ დაეგდო... აი, რამ გადამირჩინა მეორე შვილი... ჰმ... მთა და ბარი გასწორდა, მთის კაცო. წაიშალნენ ჩვენი ნაცნობი მიჯნები ამ ქვეყანაზე. — განაგრძობდა ჩივილს საპყარი იულონი და ტაატით მიჰყვებოდა მთის კაცს ოთახისკენ.

— მე თვითონ ვნახე ჩემი თვალით,—ამბობდა იგი. — თუ როგორ სტიროდა ჩემი ლია და თვალებიდან ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა: რატომ მე მიწევს შინ დარჩენა და არა თემურსო. ახლაც გული უწევს შენ წარმოიდგინე!.. ცოდვა უნდა გაუმხილო შენთან: მგონია, ძმაზე უფრო შენს ვაჟთან განშორება ენანება ამ საძაგელს, ისე შეეჩვივნენ ერთმანეთს... რას იზამ, ჩემო კეთილო, შენი თქმისა არ იყოს, ბუნებაა ასეთი...

იულონს სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული რომ შუშაბანდში ქარის სისწრაფით შემოიჭრა ლია. ჯონდოსთვის უნაგირი მოეხადნა. ცხარზე გაედვა და დასაბინავებლად მოჰქონდა. ცალ ხელში მთის კაცის ხურჯინსაც მოათრევდა. მამის უკანასკნელი სიტყვები კი გაიგონა, მაგრამ მათი აზრი ვერ გაიგო. მთელი ყურადღება მამის შუშაბანდში ყოფნამ მოსტაცა. ტვირთი სწრაფად სკამზე მოათავსა და იულონს ისე გაუწყრა, თითქოს მამა კი არა, ბავშვი ყოფილიყოს.

— აკი გითხარი, მამა, ლოგინიდან არ ადგე მეთქი! როგორ შეიძლება? ექიმმაც ხომ აგიკრძალა! — მივარდა, მეორე მხრიდან ამოუდგა იულონს— ჯოტოს მამა, ნუ შეწუხდები, მე წავიყვან და დავაწვენ. რა ვქნა, ბავშვივით მიზეზიანი შეიქმნა ბამაჩემი ამ ბოლო დროს. არ მიჯერის!. — და ისე მოხვია თავისი გრძელი მკლავები, თითქოს ვეება კაცს ხელში აყვანას უპირებსო.

— ჰო და, არც იმას მიჯერის, რომ ჩემგან მფრინავი გამოვა. — ეუბნებოდა იგი გზა-გზა მთის კაცს. — ქალის ბუნება სხვანაირიაო ვითომ. — და მამას მიმართა: — ალბათ ამაზე ლაპარაკობდი წეღან, რომ ბუნება ახსენე.. ასეა ხომ?... მაგრამ მე იშიტომ კი არ ღავრჩი, რომ ჩემი ბუნების იმედი არ მქონოდა და შენ დაგეთანხმე. თემური უფროსია და იმიტომ დავუთმე... მე კიდევ ჩემ ჯერს დაველოდები. ვნახავთ ბოლოს თავს ვინ უფრო ისახელებს; მე თუ ის ვაჟბატონები. — ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სთქვა, სახეზე უცებ ალმური აუვარდა, თითქოს შერცხვაო თავისი სიტყვების, მთის კაცს გადახედა და გაუღიმა. ცისფერი თვალების მზიური ელვარება შეაფრქვია, ვითომ ბოდიში მოიხადაო. რომ მორცხობის საზღვარს გადასცდა. მერე ასე უთხრა:

— ჯოტოს მამა კარგად მიცნობს. იმედი მაქვს, ტრაბახში არ ჩამომართმევს ნათქვაშს.

აქამდე დარდიანი ფიქრით შეკრულ პირსახეზე მთის კაცს ძალაუნებურად ღიმილი გაუთამაშდა და ლიას ასე შეესიტყვა:

— რადგანაც ჩვენებური უმცროსუფროსობის პატივისცემა გქონია, ჩემო მშვენიერო ლია, შენთან სათხოვარი მაქვს. იმედია, არ გამაწბილებ, როგორც უფროსს: ის ჯერი, რომელსაც მოელი მე დაშითმე და ამაზე მოვრიგდეთ.

— მაშ, საშველი არ მქონია და ეს არის! — გადიკისკისა გულიანად ლიაშ, რომელსაც მთის კაცის ხუმრობა მოეწონა, და პირველად მოხდა, რომ გადაჭრილი უარი უთხრა თხოვნაზე თავის სათაყვანებელ მოხუც მეგობარს.

## თავი მეთოთხმეტე

როგორც ვახშამზე, ისე ნავახშმევსაც სტუმარ-მასპინძელს შორის კარგა ხანს არ შეწყვეტილა საუბარი ომზე, მის მიერ გამოწვეულ ახალ ამბებზე, განსაკუთრებულად კი რუსეთს გაფრენილ ყმაწვილებზე.

მთის კაცმა პირველად ამ საღამოს შეიტყო ლიასაგან, რომ ჯოტო და თემური, მათი სურვილისამებრ, ჯერ მხოლოდ სამხედრო — საავიაციო სკოლაში იყვნენ განწესებულნი. ამ გარეგნებამ მთის კაცს, ცოტა არ იყოს, დარდი შეუმსუბუქა.

— სანამ სკოლას დაამთავრებდნენ ჩვენი შვილები, ძვირფასო იულონ, იქნება, ომიც შესწყდესო, — გაუხარა მან სიხარული მასპინძელს.

— ტყუილად გაქვს ამის იმედი, ჩემო კეთილო, — მიუგო უიმედოდ გასწყობილმა იულონმა. — ფრენის სწავლას რა დიდი დრო უნდა, შე კაცო? მით უმეტეს, ამ საქმეს ჩვენი ვაჟები ადრევე სწავლობდნენ. დიდი, დიდი ორი-სამი თვე დაჰყონ ახლა სკოლაში. მორჩა და გათავდა.

საუბარში თანდათან ისიც გამოირკვა, რომ ლიამაც კი არ იცოდა კარგად ყველა გარემოება, რომელშიაც მოხდა ყმაწვილების უეცარი გაფრენა მოსკოვს ან თუ იცოდა, მამებს უმალავდა. იულონს იმის ეშვიც კი აღძროდა, მართალი იყო სკოლის ამბავი, თუ გამოგონებული. სჩიოდა:

— ნამდვილად პირდაპირ ომში არიან წასულები, და ჩვენ გვატყუებენ, რომ დაგვაწყნარონო.

— საპყარი არ ვიყო და სიარული შემეძლოს, — უთხრა მან ბოლოს მთის კაცს — შენ არ შეგაწუხებდი, მოყვარე. მაგრამ მდგომარეობა, როგორც ხედავ, მოითხოვს რომ რაკი აქ ხარ, არ დაიზარო და მიხვიდე მაგათ კომიტეტში. ნამდვილი მისამართი მაინც ეცოდინებათ, თუ სად გაჰქრნენ ის შეჩვენებულები. გამოართვი, თორემ იმათ, იქნება, სულაც არ გავახსენდეთ და არც კი მოიწერონ... ლია წაგიძღვება, მათი ამყოლია, ყველას იცნობს. იცის, ვინ და სად უნდა ნახო... — ურჩევდა თავის სტუმარს იულონი.

მთის კაცს ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა. იფიქრა, ისიც საქმეა, რომ შინ ნამდვილი ცნობა და შვილის ზუსტი მისამართი მაინც წავიღოო.

დასთანხმდა.

ლიას გაუხარდა, რომ ჯოტოს მამას მეგზურობას გაუწევდა. იცოდა, რომ ჯოტოს ამჩანაგების ნაწილი ღა იცნობდა პირადად მთის კაცს. უფრო ბევრს კი მხოლოდ გაეგონა მისი სახე-

ლი, ნახვით კი არ ენახა. კარგად გრძნობდა, თუ რა სიხარულს გამოიწვევდა მის ამხანაგებში ჯოტოს მამის გამოჩენა მათ შორის.

სანამ უფროსები ჯერ კიდევ საუბარს განაგრძობდნენ, იგი ფიცხლად შეუდგა თავის ფიქრში გეგმის შედგენას, თუ როგორ ემოქმედნა, რომ მთის კაცთან შეხვედრა, რაც შეიძლება უფრო საზეიმო და სამახსოვრო გამომდგარიყო.

*
* *

გვიან იყო როცა მთის კაცი იულონს გამოემშვიდობა და ლიას თანხლებით თავლისკენ გაემართა, რათა ჯონდოსთვის მიეხედნა.

იქიდან დაბრუნებულ სტუმარს ლია პირდაპირ ჯოტოს ოთახში შეუძღვა. ელექტრონის სანათური აანთო. მთის კაცს შვილის ლოგინი გაუსწორა. სთხოვა მოისვენეო.

მერე ქამარ ხანჯალი ჩამოართვა, ჯოტოს საწერ მაგიდაზე დაალაგა. ჩოხის განდაშიც შეეშველა. ამის შემდეგაც არ წავიდა. უთხრა:

— ჯოტოს მამავ, წუღა-მესტიც უნდა გაგხადოო! — და წინ დაუდგა მოღიმარი.

თავი მოიკლა მთის კაცმა:

— ამას როგორ გკადრებ, რას ამბობ? — და თავი შორს დაიჭირა.

ლია მაინც არ მოეშვა.

— დედა აფხაზი რომც არ მყავდეს, ეს ჩვეულება მომწონს და მისი შესრულება დამანებეო.

— ვიწროს არ ვატარებ ამ სიბერეში, ხელის წაკარების მეტი არაფერი უნდა ისე გამძვრება! — ეუბნებოდა მთის კაცი.

მაგრამ ლიამ ორივე მუხლი მოიყარა, ლოგინიდან ჯოტოს ფოსტლები გამოიღო, წინ დაუდო და, ის-იყო ფეხზე უნდა წაევლო ხელები, რომ მთის კაცმა იმარჯვა, წუღა სწრაფად წაიძრო.

— კომკავშირში რომ გაგგზავნ, ბევს მზეს ვფიცავარ, ლია, გისაყვედურებენ ამხანაგები, რომ ძველ ჩვეულებას იცავ! — ვითომ შეაშინა მთის კაცმა.

— კომკავშირში კარგს არაფერს გვიშლიან, ძველი იყოს, გინდა ახალი! — უპასუხა ლიამ და იმდენი ეცადა, რომ მეორე წუღა მაინც გახადა.

ბოლოს ძვირფასი სტუმრისადმი პატივისცემის გამოჩენით გულმოჯერებული წამოდგა. მთის კაცს ძილინებისა უსურვა და ოთახიდან გაიჭრა.

ჯოტოს ოთახში მარტო დარჩენილი მთის კაცი შვილის ლოგინზე ერთ ხანს გარინდებულივით იჯდა.

არც კი იცოდა რაზე ეფიქრნა. ყველაზე უფრო ის უკვირდა, თუ როგორ მოხდა, რომ შვილის წასვლის ამბავს ასე უცბად შეურიგდა.

იქნება, ეს შერიგება იმან გამოიწვია, რომ თავი იულონზე უფრო ვაჟკაცად წარმოიდგინა და მწუხარების გამჟღავნება თავის ღირსების შეუფერებლად ჩასთვალა?

პირისპირ ღამის მყუდროებისა იმდენი ფიქრი შემოსწოლოდა, რომ არ იცოდა, გულისყური რომელი ერთისთვის ეთხოვებინა.

ყველაზე უფრო საოცარ მოვლენად მაინც სანადიროდ წასვლის წინა ღამეს ნახული სიზმარი ეჩვენებოდა. მაგრამ იგი იმდენად საკვირველი, ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი უცნაურობით იყო აღსავსე, რომ მასზე ფიქრიც კი შიშსა ჰგვრიდა, განსაკუთრებით მისი ნაწილობრივად აცხადების შემდეგ, რაც შვილის მფრინავად მოლანდებას შეეხებოდა და რაც მისი ფიქრით, სასწაულს ჰგავდა.

ოთახის კედლები დიდი და პატარა სურათებით იყო მოფენილი. დიდებში ყველაზე უწინ ბელადის სურათი შეიცნო, შუა ადგილას მოთავსებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწვრივ კედელზე ჩამოკიდებული მეორე სურათიც იცოდ.

ბვილის ფოსტლებში ფეხები ჩაჰყო და კედელს გულიათხროვილი მიეახლა. სურათებს ახლო შეხედა.

.სახის გამომეტყველება ისეთი გაუხდა, თითქოს რაღაცა სასიამოვნო და დაუვიწყარი ამბავი ეოაგონდაო, რომელსაც ამ სურათებს უკავშირებდა. ერთხანს სდუმდა გულჩათხრობილი. მერე თითქოს ხმამაღლა გაესაუბრა თავის თავს:

— თუ იმ ბიჭის წასვლა აუცილებელი იყო, ნეტავი, მომესწრო მაინც: წერილს გავატანდი ან ჩემ დიდ მოყვრებთან...

მაგრამ აქ უცებ გასწყვიტა ფიქრი. თითქოს უქმიაო მოულოდნელ აზრს, ისე სწრაფად თავიდან მოიშორა.

— როგორ შეიძლება? რა საკადრისია! — წარმოსთქვა ხმამაღლა.

კედელზე მიმობნეულ პატარა სურათებსაც შეავლო თვალი. ბევრი მათგანი წინადაც ჰქონდა ნახული და შენიშნული. როგორც თავისი კარგი ნაცნობები ისე მოიგონა ყველანი. ჩაუარა.

ეაგრმა ერთმა უცნაურმა გარემოებამ მაინც, მიიქცია მისი ყურადღება. გარდა იმისა, რომ ლიას სურათები რაოდენობით სხვებისას სჭარბობდნენ, ბევრგან იგი ჯოტოსთან მარტო იყო სხვადასხვანაირად გადაღებული, რაც წინად არ იყო, ან მას შენიშნული არ ჰქონდა.

ღიმილმა გაუშალა ნაოჭები პირისახეზე. მისი შუქი თვალებშიც ციალით ჩაუდგა, როგორც ეს უფროსებს ემართებათ, როცა ისინი ბალღების გულუბრყვილო ცელქობას უცქერიან ხოლმე.

ისევ შვილის ლოგინს დაუბრუნდა. მალავით დაეყრდნო სასთუმალთან მიდგომილ პატარა მაგიდას, რომელზედაც რამდენიმე წიგნი იდო.

ოცნებად მის იდაყვთან რაღაცამ გაიჩხარუნა. მაშინვე დახედა, რა უნდა იყოსო? სათუთუნე აღმოჩნდა, წიგნიდან გადმოვაოდნილი, — ... ის თაკარა გულისაგან გამოხლილი, ... ტა და ლამაზი.

— ალბათ ჯოტოს თუ დაავიწყდა! — სთქვა და ხელში აიღო. ეამა მისი გლუ, დახვეწილი ზედაპირის შეხება. გახსნა. შიგ ერთი პაპიროსი ღა დარჩენილიყო სიფრიფანა ხუფზე შიგნიდან, შუა ადგილას, თითის ბეჭდის ოდენა მრგვალი სურათი იყო პატიოსანი თვალივით ჩასმული.

როცა სინათლეზე ახლო შეხედა, ესეც ლიას სახედ შეიცნო.

ძის მეხსიერებაში მყისვე გაცხოველდნენ აპას წინად იულონის ნათქვამი სიტყვები, რომლებისათვის მაშინ ყურადღება არ მიუქცევია.

— „მგონია, ძმაზე უფრო შენს ვაჟთან გაყრა ენანება ამ საძაგელს. რას იზამ, შენი თქმის არ იყოს ბუნებაა ასეთი“.

უცებ გადაიკრიფა მის სახეზე წეღანდელი ღიმილი. ბისი ადგილი ისევ დარდიანმა ნაოჭებმა დაიჭირეს.

იგრძნო რომ მოულოდნელი, აქამდე უცნობი სადარდებელი გაუჩნდა.

მოჭუტული თვალებით უნდოდ შეხვდა იგი მისით აღძრულ ახალ ფიქრებს.

## თავი მეთუთხმეტე

დილით ამდგარი მთის კაცი პირველად ჯონდოს ეწვია თავლაში. ლიას მიერ წუხელ მიცემულ თივის უხვ ულუფას ცხენი ვერ მორეოდა. ახორში ჩადგმულ ბარქაშზედაც სიმინდი ისევ ბლომად ეყარა.

— ჰაერი თუ არ ეყო! — გაიფიქრა მთის კაცმა, რომელსაც იულონის თავლა თავის ცხენისათვის ყოველთვის ვიწროთ და შეუფერებლად მიაჩნდა.

ცხენი გარეთ გამოიყვანა და ,არის რაზაზე მიაბა. მერე სამოვნელი მონახა. ბალანზე მიმხმარი გუშინდელი

ოფლის წინწკლები მოაშორა. გასწმინდა, დავარცხნა, გაატარ-გამოატარა ეზოში, წყალი დაალევინა.

სანამ მთის კაცი თავლაში თავის საქმეს მორჩებოდა ლიას მამის ლოგინის წინ სუფრა გაეწყო სასაუზმოდ. რაც კი მთის კაცის ხურჯინში ჯოტოსთვის დანიშნული საგზალი ეწყო, ამოელაგებინა და მაგიდაზე გაეშალა: შემწვარი და მოხარშული დედლები, ხაჭაპურები, სულგუნები, ჯოტოს საყვარელი მეგრული ჭვიშტრები და სხვადასხვა ნამცხვრები დედისა და ძიძის მზრუნველი ხელით დამზადებული.

ჩვეულებრივი ხალისითა და კისკასით შეხვდა ლია თავლიდან დაბრუნებულ სტუმარს. სუფრაზე მიიწვია. წინდაწინ ბოდიში მოიხადა, რომ მისივე მოტანილით უმასპინძლდებოდა. მერე თითქოს ახარაო, ისე უთხრა:

— ჯოტოს მამავ, საქმე ისე მოეწყო, რომ უკეთესად არც შეიძლებოდა გაკეთებულიყო. ამხანაგ დომენტის და კიდევ ბევრ სხვასაც წუხელ ტელეფონით ვესაუბრე. ძალიან გაუხარდათ, როცა შენი ჩამოსვლის ამბავი გაიგეს. დილას ავტომობილს გამოუგზავნითო და მობრძანდესო. ასე რომ საქმე მოგვარებულია.

მთის კაცი ამ დილას, ცოტა არ იყოს ირიბად უცქერდა ლიას, თითქოს პირველად ხედავსო. ჩამოზნექილი წარბების ქვემოდან მომზირალი მისი თვალები ქალისადმი დღეს თითქოს ფარული უნდობლობას გამოხატავდნენ.

წუხანდელი „აღმოჩენის“ შემდეგ, სჩანდა, მთის კაცს სულ ახალი საზომი მოემარჯვნა ლიაზე დასაკვირვებლად. მაგრამ თავი მაინც ისე ეჭირა, რომ ის მისი ახალი განწყობილება სუფრის გარშემო მოფუსფუსე პატარა დიასახლისს არც კი შეემჩნია.

— მობრძანდი, სტუმარო, — მიიპატიჟა მთის კაცი ლოგინზე წამომჯდარმა იულონმა, — თუმცა ვინ ვისი სტუმარია და წვეული, ამას ეს სუფრა უფრო აშკარავნებს ვიდრე ჩემი სიტყვა... ჰეე, დალოცვილო, მოგესწრო მაინც იმ ურჩებისათვის საგზლად წაიღებდნენ ბარემ... თუმცა თავის დამძიმება არ გვინდაო, ბრძანებდნენ ვაჟბატონები და პურის წაღებაზედაც უარს აცხადებდნენ... აბა, თვითონ გასაჯე, რა ჭკუა მოეთხოვებათ!

საჭმელს შეექცნენ.

მთის კაცმა თვალი აარიდა ლიას და იულონს შეკითხვით მიმართა:

— დომენტიო, რომ ბრძანებს შენი ქალი, ეს ვინ არის, არ გამიგონია!

ისე გამოდიოდა, თითქოს ლიასთან დალაპარაკებასაც კი გაურბოდა, მისი სახელის ხსენებაც არ უნდოდა.

ლიას ეუცნაურა მთის კაცის საქციელი. გაკვირვებული შეხედა. ნეტავი, ეს რას ნიშნავსო. განსაკუთრებული არაფერი შეუმჩნევია სტუმრის დახურულ სახეზე, ამიტომ გულიანად გადაიკისკისა:

— ჯოტოს მამავ, ეს მე ვსთქვი და არა მამამ, ამხანაგ დომენტის დაველაპარაკე ბეთქი! ნუ თუ დაგავიწყდა?

ახლა კი არ შეიძლებოდა ხმის გაუცემლობა.

— ბოდიში! — მოკლედ უპასუხა მისკენ მიბრუნებულმა მთის კაცმა. ლიას სახეზე ათამაშებული ეშმაკური, მაგრამ გულუბრყვილო ღიმილი, რომ დაინახა გაბუტვამ უცებ გადაუარა. გულზე დაეწერა:

„რას ვერჩი ამ ბავშვს. ჩემი ვაჟი ცამდის მართალია, რომ იგი მეგობრად აურჩევიაო“, — და როგორც დახურული სახე, ისე გულიც იმ წამსვე გაეხსნა ლიასთვის.

ლიას კი ისეთი სახე ჰქონდა, რომ უთუოდ ჰფიქრობდა:

„რა უცნაური და გულგავიწყი ხალხია ეს მოხუცებულებიო“.

მაგრამ მალე საქმიანი გამომეტყველება მიიღო და მთის კაცს უპასუხა:

— ამხანაგი დომენტი ჩვენი პირველი ქდივანია...

— ესე იგი ყველაზე უფროსი, — ჩაურთო თავისი განმარტება იულონმა.

— ჯოტოს დიდი მეგობარიცაა. შენ არ იცნობ. ახალი ჩამოსულია.— განაგრძო ისევ ლიამ. — მითხრა, მთის კაცის გაცნობა ძალიან მაინტერესებს, მის შესახებ ბევრი რამე მსმენიაო.

— ჰოდა, შენც ნუ მოგერიდება, ჩემო მეგობარო, — სიტყვა ჩამოართვა შვილს კვლავ იულონმა. — ჩემზე უთხარი, მოსვლა უნდოდა, მაგრამ ლოგინად არის ჩავარდნილითქვა...

— ხომ იცის, მამა რამდენჯერ ყოფილა ჩვენსას! — გააწყვეტინა ახლა ლიამ.

— გაახსენოს, ამით რა დაშავდება?... ნუ მიშლი... — შენიშნა ლიას იულონმა და ისევ განაგრძო: — უთხარი ჩემზე ქეთქი, იმას ვამბობდი, რომ თემურის კმაყოფაზე იყო-თქვა. ახლა იმას გთხოვს თქვა, რომ თუმცა ომია, სახელმწიფოს უჭირსთქვა, მაგრამ საქმე აქაც ბევრია და ქის შვილს აქ გაუჩინეთ სამუშაო, როგორც აქამდე ჰქონდა თქვა.

— ეს არ გამოვა, მამა! როგორ შეიძლება? თემური ბავშვი ხომ არ არის? — ვერ მოითმინა გაჯავრებულმა ლიამ.

აქამდე დამშვიდებული იულონი უცებ გამოიცვალა. აკანკალებულ ხელიდან ხაჭაპური გავარდა. გადმოკარკლული თვალები მოექცა და, ვინ იცის რა რისხვას დაატეხდა თავს ლიას თამამი წინააღმდეგობისათვის, რომ ამ დროს ოთახში ავტომობილის საყვირის ხმა არ შემოჭრილიყო.

ლია მაშინვე წამოვარდა სკამიდან.

— მოვიდა მანქანა! გელიან, ჯოტოს მამავ! აბა, წავიდეთ! — სთქვა და პირველი გავარდა ოთახიდან, რათა მამის წყრომა თავიდან აეცილებინა.

ნელა წამოდგა მთის კაცი. ის იყო, ოთახში ჩამოვარდნილი სიჩუმის დარღვევას აპირებდა, რომ საყვირის ხმას მიყოლებული ჯონდოს მედგარი ჭიხვინი გაისმა ეზოში.

იულონმა ამის გაგონებაზე ლიასთვის გადქოქაჩული თვალი სტუმარს მიაპყრო. უცნაური ხმით ჰკითხა:

— ცხენშებმული ხომ არ დადის მაგათი მანქანა, მთის კაცო?

— არა, ბატონო იულონ. ეს ჩემმა ცხენმა დაიჭიხვინა! ვერ იტანს ავტომობილს ის შეჩვენებული! — უპასუხა გაღიზებულმა მთის კაცმა.

— კარგსაც შვრება შენ არ მომიკვდე!.. ქვეითაც გაივლიდი, შე კაი კაცო, რა შორს არის იმისთანა.

— მეც მაგას ვფიქრობდი, მაგრამ...

— ნუღარ აყოვნებ, გეთაყვა... წადი. რაც გითხარი არ დაგავიწყდეს. ჩემს ვაჟს, რომ ჩემს ჭკუაზე ევლო, ახლა შინ იქნებოდა. ბაგრამ რა მეთქმის, ხომ ნახე, ეს მეორეც რომ ურჩობას მიბედავს!

მთის კაცს ამაზე არაფერი უთქვამს. გასასვლელს მიაშურა.

*
* *

ლია ეზოში ჭიშკართან უცდიდა მთის კაცს.

— ბევრი ბაგინა მამამ? — შეეკითხა იგი მოახლოვებულ სტუმარს. ჭიშკარი გააღო და მთის კაცს გასვლა შესთავაზა. ხელი მკლავში გაუყარა. ნაწყენი სახე ჰქონდა ლიას. თვალებში მომდგარი ცრემლის ნაკური უბრწყინავდა.

რახან მცირე ხნის გაბუტვის შემდეგ მთის კაცი ლიასთან შერიგებულად გრძნობდა თავს ბკლავში გაყრილი ხელი მოუნახა და თავისი დიდრონი თითები მოფერებით მოჰხვია. უთხრა:

— მამაა, რა ქნას? ნუ გეწყინება...

— ახლაც ბავშვი ვგონივარ... როგორ არ მეწყინება? ჯოტოს მამავ,

შენც ნუ მიაქცევ ყურადღებას მის სიტყვებს... აბზანაგ დომენტის ის ელაპარაკე, რაც გინდა, მხოლოდ ის არ უთხრა, მართლა, რაც მამამ დაგაბარა. სირცხვილია... ჩვენ ხომ ჯოტოს და თემურის მისამართისთვის მივდივართ, ასე არ არის?

— ვიცი!

შოფერმა მათ წინ ავტომობილის კარი ფართოდ გააღო.

მოიკეცა ვიება მთის კაცი, მოიკაკვა. ძლივს შეიტანა თავისი ზორბა ტანი მანქანაში.

ლია მიჰყვა. გვერდით მოუჯდა.

## თავი მეთექვსმეტე

მანქანა კომკავშირის საოლქო კომიტეტის შესასვლელთან დადგა.

შენობის წინ ქვაფენილზე მდგარი ქალ-ვაჟთა ჯგუფი მაშინვე მოსწყდა თავის ადგილს და ავტომობილს შემოეხვია.

— ლიაა, ლია! — გაისმა აქეთ-იქით, როცა ყმაწვილებმა მანქანის სარკმელში ლია დაინახეს.

უმალვე მანქანის კარიც გაიღო. პირველი ლია ჩამოხტა, თავმოყრილი აბზანაგების დანახვით კმაყოფილი.

— სტუმარი მოგიყვანეთ! — გადასჩურჩულა მან მეგობრებს.

— მთის კაცს გაუმარჯოს! — გაისმა შეძახილი.

— ჯოტოს მამავ, მობრძანდით!

სიხარულისაგან სახე ალანძულები ერთმანეთს ეცილებოდნენ, თუ ვის შეეხედნა პირველად ძვირფასი სტუმრისათვის, ვინ მიშველებოდა გადმოსვლაში და ვის დაემსახურებია მისი ყურადღება.

მანქანიდან ჩამოსულ მთის კაცს, ცოტა ბრ იყოს დაბნევა ეტყობოდა.

— ნეტავი, რას უნდა ნიშნავდეს ასეთი დახვედრა, ან ვინ არიან ჩემი პატივისმცემლებიო, — ამიტომ სალამი ცოტა არ იყოს ფრთხილი, თავდაჭერილი გამოუვიდა.

უხერხულ მდგომარეობიდან ორმა ნაცნობმა სახემ გამოიყვანა, რომლებიც დამხდურთა შორის დაინახა. გახარებული მაშინვე მათკენ მიიქცა. ხელი ჩამოართვა.

ერთს ბატა უწოდა,—ქერა, პირტიტველა და ტანავარდნილ ყმაწვილს. მეორეს — რეჯიბი, ტანმოჭრილ, შავთვალებიანს და ვაჟკაცურად ულვაშებდაყენებულს.

ორსავე ახალი სამხედრო ტანსაცმელი ეცვა. ის, რომელსაც ბატა უწოდა, მეგრულად მოიკითხა. რეჯიბი—კი აფხაზურად. მოაგონა შარშანდელი ზაფხული, როცა ისინი ჯოტოს სტუმრად ჰყავდა ბზიფში, სადაც მთელი თვე ნადირობით ერთობოდნენ.

ბატამ და რეჯიბმა მთის კაცის შინაურობა მოიკითხეს. განსაკუთრებულად მანუჩა. ჯონდოც არ დავიწყებიათ. როცა გაიგეს ცხენის სოხუმში ყოფნა, გაუხარდათ. მისი ნახვის სურვილი გამოსთქვეს. დანარჩენებმაც სთქვეს:

— იმდენი ქება გვსმენია მისი, რომ ჩვენც უნდა ვნახოთო.

მთის კაცმა ჯონდოსადმი ასეთი ყურადღების გამოჩენისათვის ყველას მადლობა მოახსენა თავის დაკვრით.

— ღმერთმა ქნას, ამ ზაფხულსაც გვენადიროს ბზიფში, ჩემო შვილებო! უთხრა ნაცნობ ყმაწვილებს მთის კაცმა.

— ამ ზაფხულს ეს არ მოხერხდება, ჯოტოს მამავ! — უპასუხეს მათ.—ომი გვაქვს მტერთან. როცა გავიმარჯვებთ და ჯოტოც დაბრუნდება, მაშინ კი უთუოდ გიწვევთ.

მერე ბატამ სიცილით დასძინა:

— ამ ზაფხულს ფაშისტებზე სანადიროდ მივდივართ მთის კაცო ბზიფის ულუკინარი ნადირისათვის არ გვეცლება. იფიქრობ.

ყმაწვილი ქალები ლიას შემოხვიოდნენ. იშვიათ სტუმარს ცნობისმოყვა-

474

რეობით უთვალთვალებდნენ. თვალს ვერ აშორებდნენ მთის კაცის ჩაცმულობას, მის ვაჟკაცურ აღნაგობას და გრუზა თეთრ თმას, რომელიც თავზე ხაფენი ძველი ვერცხლივით უელვარებდა.

სტუმარს გრძელ დერეფანში შეუძღვნენ, სადაც მას ახალგაზრდობის მეორე ჯგუფი ელოდებოდა. აქაც ყველას სამხედრო ფორმა ეცვა. ჯარისკაცებივით ჩწკრივად დამდგარიყვნენ, კედლის გასწვრივ. თითქოს აღლუმზე იმყოფებიან და უფროსის ყურადღებას დამსახურებას სცდილობენო, თვალს არ აშორებდნენ მთის კაცს.

— ჯოტოს მამას სალამი! — ნელი ხმით ესალმებოდნენ და სახეში უღიმოდნენ.

მთის კაცს აზრადაც არ მოსვლია, რომ სოხუმის ახალგაზრდობა მის შესახვედრად საგანგებოდ იყო აქ მოსული, არც ის, რომ შეხვედრის მომწყობი ლია იყო. ეგონა, ალბათ, ჯარში გაწვეულები არიან და მათ შეკრებას შემთხვევით შევესწარიო.

— ყმაწვილებს გაუმარჯოს! ჩემი ჯოტოს მეგობრებს გამარჯვება! — უპასუხებდა იგი სალამზე და წამიერ შეხედვაში იმდენ სიყვარულს ამჟღავნებდა მათდამი თითქოს თვითეული მისი საყვარელი შვილი ყოფილიყოს.

მალე შუა ოთახის კარი გაიღო, და იქიდან ვაჟკაცური შესახედაობის ბრგე, ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, შავთვალწარბიანი, თმა უკან გადავარცხნილი და ულვაშებ შეკრეჭილი. ბრტყელ ქამარზე რევოლვერის ბუდე იკიდა, საბჭოთა ყაიდაზე წელს ზემოთ მორგებული. მოჰკრა თუ არა თვალი მთის კაცს, მაშინვე მისკენ წამოვიდა.

— ეს ის ამხანაგი დომენტი უნდა იყოს, გუშინ ლია რომ მეუბნებოდაო, გაიფიქრა მთის კაცმა. შესდგა. თავი დაბლად დაუკრა.

— ჯოტოს მამა ბრძანდებით, არა? თუმცა არ შეგხვედრივარ, ჯერ ... შორიდან კარგად გიცნობთ! — ... მიახლოვებისთანავე დომენტიმ სტუმარს და ხელი მაგრად ჩამოართვა. — ამხანაგმა ლიამ წუხელ შეგვატყობინა თქვენი ჩამოსვლის ამბავი, და დღეს მოგელოდით. დიდად მიხარია თქვენი გაცნობა. მობრძანდით! — ხელი ამოსდო მკლავში და თავის ოთახში შეიწვია.

სანამ დასხდებოდნენ, დომენტიმ ჯოტოსა და თემურის დეპეშის მიღება აუწყა მთის კაცს.

— მშვიდობით ჩავედით და კარგად ვართ, იწერებიან. ყველას მოგიკითხავთო. ამათში პირველი უეჭველია, თქვენ იგულისხმებით, რა თქმა უნდა.

დომენტის გაშლილი დეპეშა ხელში ეჭირა და თავის სავარძლის წინ იდგა, სამუშაო მაგიდასთან. მის პირდაპირ მაგიდის მეორე მხარეს მდგარ მთის კაცს მოთმინება არ ეყო, რომ დეპეშისკენ ხელი არ გაეწვდინა ჩამოსართმევად.

— ინებეთ! — მიაგება ქაღალდი დომენტიმ. — მანდ ისიც სწერია, რომ ჩვენი ყმაწვილები ამ დღეებში ჩაირიცხებიან მეთაურთა კურსებზე. ამასაც თავის დროზე გვაცნობებენ. მისამართიც მაგ დეპაშაში სწერია... დაიტოვეთ თქვენთვის. — მთის კაცმა ამაზე თავი დაუკრა მადლობის ნიშნად და დეპეშა ჩამოართვა.

— ნუ იჯავრებთ და ნუ იწუხებთ. გახსოვდეთ, რომ ჩვენს ყმაწვილებზე ხელისუფლება და პარტია, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ჩვენი დიდი სტალინი ზრუნავს.

მოისმინა რა ეს სიტყვები მთის კაცმა, მაგიდიდან ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, მთელი თავისი ბაღალი ტანით შეიმართა და დომენტის წინაშე თავი ძირს დაჰხარა.

— გჯეროდეთ, ჯოტოს მამავ, რომ ჯოტო არა თუ თავისთავს, მის აღმზრდელ საქართველოს კომკავშირსაც ასახელებს! მალე გვენახოს იგი ვერაგ ჩტერზე გამარჯვებული და მშვიდობით შინ დაბრუნებული! — გაისმა მოულოდნელად მთის კაცის ზურგს უკან მედგარი შეძახილივით.

ხმისკენ მობრუნებული მთის კაცი გაოცებული დარჩა, როცა ნახა, რომ ოთახში მისდა შეუმჩნეველად იგივე ყვაწვილები შემოსულიყვნენ, რომლებიც კართან და დერეფანში შეეგებნენ. მათ შორის ანლა სახე გაბრწყინებული ლიაც შენიშნა.

— თქვენი სიცოცხლე და გამარჯვება სამშობლოს ბედნიერების საწინდარია, შვილებო! წყეულმც იყოს მტერი, რომელმაც თქვენზე თავისი მახვილი აღმართა! — მედგრადვე უპასუხა მთის კაცმა.

მისმა სიტყვებმა ოთახში აღტაცებული ტაში გამოიწვიეს.

ამის შემდეგ წინ წამოდგა ბატა. შუა ოთახში დადგა. მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდა.

ბატა გასწორდა. ხელები ძირს დაუშვა და მთის კაცს მიმართა:

— დღეს თქვენ, ძვირფასო მთის კაცო, პირველად ეწვიეთ ჩვენს კომკავშირს. ორ-სამ კაცს თუ იცნობთ პირადად ჩვენს შორის. სამაგიეროდ ჩვენ ყველანი გიცნობთ, გიცნობთ არა იმით მხოლოდ, რომ თქვენ ჩვენი შესანიშნავი ამხანაგისა და მეგობრის ჯოტოს მამა ბრძანდებით. ჩვენ გიცნობთ აგრეთვე იმითაც, რომ თქვენ ღირსეულად ატარებთ მთის კაცის საპატიო სახელწოდებას, რომელიც ხალხმა შეგარქვათ. ეს სახელწოდება თქვენ შეგეფერებათ იმიტომ კი არა მხოლოდ, რომ ნაზდვილად მთიელი ხართ. ის თქვენდამი ჩვენი ხალხის განსაკუთრებული სიყვარულის და პატივისცემის მაჩვენებელიცაა. ამ სიყვარულს ჩვენც, საბჭოთა ახალგაზრდებიც ვიზიარებთ იმიტომ რომ ხალხთან ერთად ჩვენც შემჩნეული გვაქვს თქვენ [illegible] ისეთი თვისებები, რომლებიც გვიზიდავენ და გვხიბლავენ. ეს ის არ არის, რომ თქვენ სახელგანთქმული მონადირე ხართ და ძველთაგანვე ცხენოსნობით განთქმული ჩვენს ქვეყანაში, ბადალი არ გყავთ ცხენოსნობაში, ხოლო ჯონდო თქვენი წრთვნისა და მოვლის წყალობით ჩვენებური ცხენის სრულყოფას წარმოადგენს. ის თვისებები, რომლებისათვის ხალხთან ერთად ჩვენ გვიყვარხართ, გამომდინარეობენ იმ ქართული რაინდული სულისკვეთებისაგან, რომელიც თქვენ გახასიათებთ. ეს რაინდული ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, კეთილშობილური სულისკვეთება ჩვენს ხალხს ძველთაგანვე ახასიათებდა. გმირობა, მეგობრობა, მოძმისათვის თავდადება, აი, მთავარი საფუძვლები ამ რაინდობისა. ამ საფუძვლებზეა აგებული მთელი ჩვენი ისტორიის შენობა. მათზეა დამყარებული დიდი პოეტური სუნთქვა ჩვენი უკვდავი რუსთაველისა, რაც ჩვენი ხალხის გულისა და სულის სიღრმეებიდან არის მის პოემაში გადატანილი. თქვენი სანით დღეს აქ უბრალო სტუმარი კი არ გვწვევია. თქვენ გამოგვეცხადეთ, როგორც ძვირფასი მოგონება იმ დიდებული ტრადიციებისა, რომლებიც ქართველ ხალხს არსებობისათვის ბრძოლაში ისევე შველოდნენ, როგორც ტყვია და ბასრი მახვილი. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ არ გვწამდეს ისინი. პირიქით, ისი გვწამს, რომ იგი საომარ საჭურველთან ერთად როგორც გაბარჯვების საწინდარი თან მიგვაქვს ბრძოლის ველზე, რომელიც მოგველის... და ჩვენ კიდევაც გავიმარჯვებთ, მთის კაცო. ეს იქნება ჩვენი სამშობლოს გამარჯვება. გამარჯვება ჩვენი პატარა, მაგრამ მარად ქედმოუხრელი ხალხის. რომლის გმირულ ისტორიას, სახელითა და ჭაღარით მო-

სილს, დღეს აქ თქვენი საყვარელი საზე გვიცხოველებს.

ბატას უკანასკნელი სიტყვები ერთსულოვანმა ტაშმა და ვაშას ძახილმა დაჰფარეს. აღელვებულმა მთის კაცმა გულში ჩაიკრა ბატა. შუბლზე ეამბორა.

— ამდენი რომ არ მესმის, შვილო... ხომ იცი, უმანუჩოდ ყრუც ვარ და ბრმაც. რატომ მაქვ ამდენი, რისი ღირსიც არ ვარ. — ეუბნებოდა იგი ბატას და ძლივს მალავდა თვალებზე მოდგარ ბედნიერების ცრემლს.

ამხანაგმა დომენტიმ ხელი მოჰკიდა მკლავზე სტუმარს, ბატას მოაშორა. გრძელ სავარძელთან ვიიყვანა. შიგ ჩასვა და თავად გვერდით მიუჯდა. მერე ამხანაგებს წინადადება მისცა ადგილი დაეჭირათ სურათის გადასაღებად, მთის კაცთან დღევანდელი შეხვედრის სამახსოვროდ.

ოთახში დიდი მოძრაობა შეიქმნა. ყველა ცდილობდა ჯოტოს მამასთან ახლოს დამჯდარიყო ან დამდგარიყო. ლია კი ბედნიერი და სახეალეწილი, წამდაუწუმ გარბოდა ოთახიდან და ისევ შემორბოდა. რაღაც განკარგულებას ახდენდა, ვიღაცას ეძებდა, უხმობდა. ბოლოს ფოტოგრაფს შემოუძღვა ოთახში.

აქ იგი ამხანაგმა დომენტიმ დაიჭირა.

— დადექ, გეყოფა სირბილი! — უთხრა და თავისა და მთის კაცის შუა დასვა.

აპასობაში ყმაწვილებიც დალაგდნენ. ზოგი სავარძლის ზურგს უკან მოთავსდა, ზოგი მთის კაცის წინ ფეხებმორთხმული დაჯდა.

ფოტოგრაფს ბევრი არ დაუყოვნებია მალე დაამყარა წესრიგი და თავის საქმეს მორჩა.

ამ ხნის განმავლობაში მთის კაცს ხმა არ ამოუღია, სიტყვა არ დაუძრავს. მხოლოდ მშვიდი და მორცხვი ღიმილი უთამაშებდა სახეზე და აღელვებული ამით გამოსთქვამდა თავის ფარულ კმაყოფილებას.

სურათის გადაღებისა შემდეგაც ბარ დაცხრა ლია. იგი ახლა ჩაით, ნამცხვარით და ხილით გაწყობილ მაგიდას შემოუძღვა ოთახში. დომენტიმ სტუმარი საუზმეზე მიიწვია.

სტუმარ-მასპინძლები სუფრას მოუსხდნენ.

ის იყო, შეექცნენ თუ არა ჩაის, ამხანაგი დომენტი წამოდგა და ამხანაგებს მიმართა:

— ამხანაგებო, მართალია, ჩვენ ყველანი ბედნიერები ვართ ძვირფასი ჯოტოს მამის გაცნობით და მისი აქ ჩვენს შორის ყოფნით, მაგრამ უფრო ბედნიერი ვიქნებით, თუ მისი პირით მოვისმენთ მისი ცხოვრების ერთ დიდ ამბავს, რომელიც თუმცა ჯოტოსაგანაც გაგვიგონია, მაგრამ, ალბათ, არა ისე დაწვრილებით, როგორც ეს სასურველია. ეს არის მისი შეხვედრა..

ამის გაგონებაზე ყმაწვილები ფიცხლად წამოიშალნენ და ტაში დაჰკრეს. დომენტის სიტყვა არ დაამთავრებინეს. ყველა მიხვდა რასაც დომენტი გულისხმობდა.

— ვთხოვთ გვიამბოს, ვთხოვთ! — გაისმა ყველა მხრიდან.

წამოდგა მთის კაციც.

— ვიცი, რასაც მთხოვთ... ის ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღე იყო, ჩემო მეგობრებო. მე მისი მოგონება არასოდეს არ მომწყინდება...

უცებ სიჩუმე ჩამოვარდა ოთახში, და სიხარულით ანთებულმა რამდენიმე ათეულმა შავარდნის თვალმა ყველა კუთხიდან ნიშანში ამოიღო მთის კაცი.

## თავი მეჩვიდმეტე

— იმ დღეს სოუდან სოხუმს მივდიოდით მე და ჩემი ჯონდო, — ნელი, საამო ბოხი ხმით დაიწყო მთის კაცმა თავისი მოთხრობა, როცა ყმაწვილები

ისევ დასხდნენ — ძღვენი მიგვქონდა ჯოტოსთან: წინა დღით ბზიფზე მოკლული არჩვის ნუკრი და ორი თუ სამი შურთხი. ნანადირევი უნაგირის უკანა ტახტზე საწყვეტით იყო მიბმული. ერთ მხარეს ერთ მარყუჟში თავებგაყრილი შურთხები ეკიდა, მეორე მხარეს ზურგწითურა, მუცელზე თეთრად შებუმბლული, ახალ აფეთქილი დოყებით შუბლდამშვენებული ნუკრი, შუა ტანზე ფართო ღვედგადაჭერილი და იმავე ტახტზე მიკრული.

დღე იწურებოდა, როცა სანჭაროს ბილიკიდან სოხუმის სწორ, ფართო თემშარაზე დავეშვით და მცირე შესვენების შემდეგ ისევ გზას გავუდექით.

ცოტა გავიარეთ თუ არა, ანაზდად ზურგს უკან ყრუ გუგუნი გაისმა.

სანამ მივხვდებოდი, რომ ავტომობილი წაწოგვეწია, საყვირის ხმამ ჩხავილით შესძრა გარშემო ჰაერი.

ვიცოდი ჩემი ცხენის ამბავი: ავტომობილის დანახვაზე იგი ჭკუას ჰკარგავს ხოლმე ყოველთვის და მორჩილებიდან გამოდის. ვიგრძენი, რომ ახლაც სახიფათოს რასმე ჩაიდენდა და თავის აშვებას მოინდომებდა. დროზე ვერ შოვასწარი ჩამოქვეითება, თავის გასარიდებელი ადგილის ძებნის დროც არ იყო: საყვირის ხმის გაგონება და ჯონდოს ავარდნა ერთი იყო, ყალყზე შემდგარი და ბურთივით შემკვრივებული იგი საშიში ნახტომის გაკეთებას აპირებდა. ძლივს დავასწარი და სადავე დროზე მოვზიდე. კისერი მოვუგრიხე და, როგორც იქნა წინა ფეხები ძირს დავაშვებინე.

მაინც არ დასცხრა შეჩვენებული. ისევ ავარდა, დავარდა. ტორების ცემისგან გზაზე მტვრისა და ნაპერწკლის კორიანტელი დააყენა. საწყვეტზე მიბმულმა არჩვმაც და შურთხებმაც, თითქოს გაცოცხლდნენო, ჰაერში ხტუნვა დაიწყეს. იმათაც ვითომ აწყვეტა და თავის აშვება მოინდომეს.

როგორც იყო, დრო მაინც შევურჩიე ჯონდოს. ჩამოვქვეითდი. ცხენს ნესტოებში მარწუხივით ჩავავლე თითები. შევუწყერი. შევეჭიდე. გზის პირთან მდგარ ხესთან მივჯგლიმე. დავაყენე და თვალების წინ ტანით ავეფარე.

თითქმის უხმო გასრიალებით ჩაიარა მანქანამ. მისკენ ზურგშექცეულმა ძლივს მოვასწარი თვალების შევლება. მაინც დავინახე: ავტომობილის ვიწრო სარკმელიდან ორი მგზავრის გაკვირვებული თვალები შემოგვცქეროდნენ მე და ჩემს ცხენს.

რაკი ჩაიარა მანქანამ, ხელი შევუშვი ნესტოებზე ჯონდოს.

— მშიშარა რომ არ გამიზრდიხარ, ეს რატომ მოგივიდა მეთქი, — ვუსაყვედურე. კისერზე მკლავი გადავხვიე, მოვეფერე დასაწყნარებლად. მაგრამ იგი ისევ ფეთქავდა, ისევ ცახცახებდა და მანქანისკენ ცეცხლის მფრქვეველი თვალებით იცქირებოდა, თითქოს ემუქრებოდა, როგორ გაბედე და გამასწარიო.

— დაწყნარდი, გეყოფა. მეორედ ასეთი სამარცხვინო საქმე არ მოგივიდეს მეთქი, ვეუბნებოდი.—ძლივს მოვიყვანე გონზე.

გაიარა მცირე მანძილი თუ არა, მანქანა დადგა.

დადგომის უმალვე მანქანიდან ორი კაცი ჩამოხტა, — ერთი მარცხნიდან, მეორე მარჯვნიდან. ჩამოხტნენ თუ არა, ჩემსკენ ჯიქურ წამოვიდნენ.

როგორც კი შევავლე თვალი უცნობთ, მაშინვე გავიფიქრე:

— უბრალო კაცებს არ გვანან მეთქი. წინ დავუდექი ჯონდოს. შესახვედრად შოვემზადე.

ერთს რუსული სამხედრო ფორმის წინაფრიანი ქუდი ეხურა, მუქნაცრისფერი, ვაკკაცურ სახეს ოდნავ ჭაღარაგარეული ულვაშები და შავი სქელი წარბები უმშვენებდნენ. ტანს ნაცრისფერივე ქურთუკი ემოსა აშავე ფერის

ლილებზე შეკრული, გულის ჯიბეებიანი. ფეხებზე მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. სიარულზე ეტყობოდა, რომ ჩქარობდა, მაგრამ დინჯი სჩანდა მაინც მისი მოძრაობა.

მეორე უწვერულვაშო იყო და სათვალებიანი. მრგვალი დაბალი შავი ქუდი ეხურა წინაფრით შუბლზე ჩაწოფხატული.

ჯერ ერთად მხარდამხარ მოდიოდნენ. მერე სათვალებიანმა გაუსწრო პირველს. მოახლოვებისთანავე სწრაფად ქუდი მოიხადა და ერთხანს თავს ზემოდ ამართული დაიჭირა. მივხვდი, რომ მომესალმა. ისე მომელაშ̄და, თითქოს მეცნაურა. საღლაც მინახავს მეთქი გამიელვა თავში. მაგრამ დაფიქრების დრო არ მქონდა.

მათრახიანი მარჯვენა ხელი გულზე შევიდევი და ჩვენებური, მოკრძალებული სალამი მივეცი უსიტყვოდ. ხმის ამოღება პირველმა ვერ გავბედე. მისგან ველოდი, როგორც ჩვენი ზრდილობის წესი მოითხოვს.

— ბოდიშის შოსახდელად ჩოვდივართ თქვენთან: ჩვენი მიზეზით ცხენმა კინაღამ დაგამარცხათ... ძალიან ფიცხი ყოფილა! — სთქვა და მთელი თავისი მოძრავი სახით გამიღიმა. მერე დაუფარავი აღტაცებით შემოგვაცქერდა მე და ჯონდოს. ერთხელ რომ მე შემხედავდა, მეორედ ჯონდოს და თვალებს არ გვაშორებდა.

— რა ვქნა, თითქოს საღლაც მინახავს ეს კაცი მეთქი მეორედ გამიელვა თავში.

— რატომ შეწუხდით, ბატონო? — მივუგე. — მოვრიგდით უკვე მე და ჩემი ურჩი ცხენი! ველურია, ბატონო: ზთიღან ეშვიათად ჩამოდის. ბარში მოარულ მანქანებს ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია.

**სიტყვა არ მქონდა დასრულებული,** რომ მეორე შეზავრიც მოგვიახლოვდა. ეაშინვე დაბლათ მივესალმე. ის ცოტა მოშორებით დადგა. სათვალებიანი სწრაფად მივიდა მასთან და გაესაუბრა. იმანაც ელვასავით მარჯვენა ხელი ამართა, თითებით შეეხო ქუდის წინაფრას და თავის დაქნევით სალამი მომცა. მის სახეზე მშვიდმა მოალერსე ღიმილმა გაიკრთომარა.

და უცებ თითქოს მოულოდნელი სასწაული მომჩვენებოდეს, გონება შემერყა.

ერთიც და მეორეც ვიცანი უეცრად. ისე წარმოვიდგინე, ვითომ ჩემი ჯოტოს ოთახის დამამშვენებელ სურათებს სული ჩაედგათ და ცოცხლები თვალწინ დამიდგნენ.

რა უნდა მექნა? დავიბენი ამ ხნის კაცი. აღარ ვიცოდი, რაკი ვიცანი ახლა როგორ მოვქცეულიყავი, თავი როგორ დამეჭირა მათ წინაშე?

ბედზე, ლაკადური გლეხური გულუბრყვილო ეშმაკობა მომეშველა, წინასწარ ეოუაზრებლად რა თქმა უნდა, ისე თავისთავად. — მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ თავი ისე დავიჭირე, თითქოს არც კი მეცნოს, თითქოს ეჭვიც კი არ დამბადებოდეს იმისა, თუ ვინ ბრძანდებოდნენ.

ხმა ჩავიკმინდე კი. ქვექვეშ ფრთხილად და ცერად დავუწყე მზერა.

სათვალებიანი ისევ მომიახლოვდა.

— სადაური ხართ? — მკითხა და ფართო შუბლზე ნაოჭები შეიკრა, დიდრონი მრგვალი თვალები ოდნავ ეოხუჭა.

— სოუს მცხოვრები გახლავართ! — მოვახსენე.

— სოუს? — წამით დაფიქრდა. — ბზიფის ხეობიდან, არა?

— დიახ, ბატონო. — ვუპასუხე.

ისევ გამიღიმა ისევ დამაკვირდა.

— გვარი?

— ქარდუა გახლავართ, ბათუ, ბატონო.

ალბათ, პირველად გაიგონა ეს სახელი და გვარი. თითქოს გაბსენებას ცდილობსო, ხახე მოკუმა.

როგორ გაახსენდებოდა? ალბათ, არც გაეგონა.

მივეშველე:

— მთის კაცს მეძახიან უფრო ხშირად, ჩემო ბატონო!

ამის გაგონებაზე უცებ გამოიცვალა. სახე ისევ გაეშალა.

— ჰა, მაშ, თქვენ ხართ მთის კაცი? მთის კაცს ამ მხარეში ხომ ყველგან იცნობენ! — ერთი ნაბიჯით კიდევ დამიახლოვდა. თავით ფეხებამდე თვალები შემავლო, თითქოს ზღვის ტალღებში გაშბანაო. — მეც გამიგონიხართ სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა.. მონადირე ხართ?

— დიახ, მონადირე, ბატონო!

ამ კითხვა-პასუხში რომ ვიყავით, ის ჩვენი დიდი კაცი ჯონდოსთან ახლოს მისულიყო. მალე გაისმა მისი ხმაც:

— მოდი აქ, — უხმო ამხანაგს, — ერთი ახლოს შეხედე, რა შესანიშნავი სანახაობაა. ჯერ ცხენს დააკვირდი; — ამბობდა იგი.

შევნიშნე, რომ მის სახეს ვაკაცური იერი უფრო შეშატებოდა, როცა ჯონდოს უცქერდა. ცხადი იყო, რომ ჩემი ცხენი მოეწონა. მაგრამ მე რა მეთქმოდა?

მესმოდა, თუ რა დაწვრილებით აუწერდა ამხანაგს ჯონდოს აღნაგობის თავისებურებას. გაკვირვებული ვიყავი, ჩვენებური მთის ცხენის ამბავიც როგორ სცოდნია მეთქი. თავი მომწონდა თავადაც და ჯონდოს მაგიერადაც. თუმცა ცხენს თავი ჩემზე უფრო ამაყად ეჭირა, თითქოს გრძნობდა ის შეჩვენებული, თუ ვისი ყურადღება დაიმსახურა. თავს მორიდებულად აკანტურებდა, წინა ტორებით ფრთხილად სჩხვერავდა მიწას. ვინ იცის, იქნება გულში ნატრობდა:

— ეს კაცი, ნეტავი, ჩემს ზურგზე მატარებინა და ბეტი არაფერი მინდაო. აშკარად მღალატობდა თავის გამზრდელს, ისე ვატყობდი. მაგრამ როგორ ვუწყენდი, როცა სახელსა და დიდებას ნატრობდა!

მერე ყურადღება აირჩია და შურთხებზე გადაიტანა.

— ნუკრია, ეტყობა. პირველად რომ თვალი მოვკარ, ცოცხალი მეგონა, ისე ხტოდა ცხენის ზურგზე. მაგრამ ასედაც რა მშვენიერია! — თეთრ პოჩზე ხელი მოჰკიდა ფრთხილად. მერე დიყებიც გაუსინჯა. ყურით თავი აუწია. შეხედა.

სათვალებიანს კიდევ შურთხები მოსწონებოდა.

— საკვირველია რომ ბუნებას ფერი არ გამოელევა! — აბობდა იგი.

— ფერები კიდევ არაფერი, — ჩამოართვა სიტყვა პირველმა.—მათ შეხედებას დააკვირდი... რა ზომიერება, რა გემოვნება, რა სიზუსტე. მართლა საკვირველია! — ახლა შურთხისკენ მიიქცა. ფრთა აუწია ერთს, ბუმბულზე თითი გაათამაშა.

— საკვირველი ხალხია ეს მონადირეები! — ამბობდა სათვალებიანი.—ასეთ უწყინარ ცხოველებს მოსაკლავად როგორ იმეტებენ!

მეუხერხულა რატომღაც, რომ ამდენხანს ვსდუმდი. უაზრო და უენო ვინმე არ ვეგონოთ მეთქი. გავბედე და სიჩუმე დავარღვიე, მით უმეტეს, რომ სიტყვა მონადირეზე ჩამოაგდეს.

— ჰე, რას გაუგებ მონადირეს, ჩემო ბატონო მეთქი, ვსთქვი. — რაც კარგია და მოსწონს იმას ჰკლავს.

შემომხედა. ჩემსკენ გადმოდგა ნაბიჯი.

ვერ მივხვდი მოეწონა თუ არა ჩემი სიტყვა. ბერე მკითხა:

— ერთი მითხარი, ძმობილო, კოლმეურნეობას თუ ჰყავს ასეთი ცხენები?

უცებ ენა დამება. ცნობილია, რომ სოფ. განთქმულია კარგი ცხენებით, მაგრამ ჯონდოსთანა რომ ვერ არიან, ესეც ყველამ იცის. ტყუილს ვერ ვიტყოდი, მართლის თქმა გამიჭირდა.

— ეს ხომ თქვენია? — მიმითითა ჯონდოზე.

— ჩემი გახლავთ.

— მერე კოლმეურნეობას ასეთები, ან ამაზე უკეთესები რატომ არ ჰყავს? — მიმიხვდა, ალბათ, რაც დავუფარე, რაკი ასეთი კითხვა დაშიყენა.

— ჩვენი სოფელი და მისი კოლმეურნეობა განთქმულია, ბატონო, ცხენებით... — დავძარი ენა, მაგრამ სიტყვა შემაწყვეტინა.

— აი, რა გითხრა: თქვენი კოლმეურნეობა მაშინ გაიმარჯვებს, როცა ამაზე უკეთეს ცხენებს მოაშენებს, რადგანაც იმას მეტი მოეთხოვება.— მერე უცებ ხმა გამოიცვალა და განაგრძო: — მაშ, კოლმეურნეობა გქონიათ! რას აკეთებთ ამ მთაში?

— მეფუტკრეობას, მეცხოველეობას და ნადირობას ვეწევით, ბატონო, როგორც მთას შეეფერება.

— გასაგებია... რამდენი სკა გეყოლებათ?

— წელს ორ ათასს გადააჭარბა. ბუნება ხელს გვიწყობს...

— ერთად გყავთ? — გაუკვირდა.

— ორას ზევით კოლმეურნეობის წევრებს შორის არის განაწილებული, ბატონო.

— ფუტკარი როგორია?

ამაზე ვერ ვუპასუხე. თვითონ განაგრძო:

— ტანი პატარა, ხორთუმი კი გრძელი... შორს ფრინავს. — სთქვა და სალოკი თითი ისე გაათამაშა, თითქოს ფუტკრის ხორთუმის მოძრაობა გამოსახაო.

— ქართული ჯიშია ასეთი. — დასძინა—ნაქებია.

— ჩვენი ფუტკარიც ასეთია, ბატონო!.. მართლა, ძალიან შორს დაუფრინავენ დალოცვილები. ჩვენ ვართ ოლონდ ჩაკეტილები.

— როგორ თუ ჩაკეტილები?

— მთაა. გზა არ გვაქვს, ბატონო, იმიტომ მოგახსენებთ. ცხენიც კი ვერ გაივლის ჩვენს ბილიკებზე.

— გზა არ გაკეთდებაზ?

— ძნელია, ჩემო ბატონო.

— რა ვუყოთ მერე, რომ ძნელია. საქმე ის არის, რომ სიძნელე უნდა გადაილახოს.

— რაკი, ბატონო, ის მფრინავი მანქანები გაჩნდნენ, სოფელებს ვითომ იმის იმედი გვაქვს რომ ჰაერით მაინც გზა გაგვეხსნება... ფოსტა მაინც გვექნება დროზე.

უცებ დაფიქრდა. ერთხელ კიდევ დამაკვირდა მცდელი თვალებით.

— კარგი აზრი მოგსელიათ!—სთქვა მერე მკვირცხლად და ცალი ულვაშის ქვეშიდან ღიმილის შუქი შემომაფრქვია. მითხრა:—ალბათ, თქვენმა ფუტკრებმა თუ ჩაგაგონათ ფრენის აზრი... გინდათ იმათ წაბაძოთ? კარგი საქმეა! ბარაქალა თქვენს კოლმეურნეობას, მთის კაცო!

გამაოცა, რომ მთის კაცი მიწოდა. მერე გამახსენდა, რომ ნათქვამი მქონდა. მთის კაცს მეძახიან მეთქი.

მოვიდა. ხელი გამოვიწოდა. ჩამომართვა. გამომემშვიდობა.

მეორემ კი ხელის ჩამორთმევა არ მაკმარა. ქუდიც კი მომიხადა პატივისცემით.

ამის შემდეგ მანქანისკენ სწრაფი ნაბიჯით წავიდნენ.

მარტო დარჩენილი დიდხანს ვუმზერდი მიმავალთ. მენანებოდა მათთან გაყრა.

მერე უცებ ისეთი აზრი დამებადა თავში რომ ჩემს ადგილზე ვერ დავდექი. ჯონდოს წინა ტახტაზე გადვუსადევ. არჩვი და შურთხები მოვხსენი. ილლიაში ამოვიდევი და მანქანისკენ გავექანე.

ის-იყო, ავტომობილის კარი უნდა დახურულიყო, რომ გადავეღობე.

— აპატიეთ მთის კაცს სითამამე! — მივმართე მანქანაში მსხდომთ, — მიიღეთ მისგან ეს მცირე ძღვენი.

სანამ ისინი, ჩემი მოულოდნელი გამოჩენით გაკვირვებულები, სიტყვას დასძრავდნენ, ფეხებქვეშ დადებულ ჯეჯიმზე ჩემი საჩუქარი დავალაგე და კარს უმალვე მოვცილდი. ძლივს მოვასწარი სიჩქარისაგან ერთხელ კიდევ დაბლად თავი დამეკრა.

მანქანის საფეხურზე სათვალებიანი გადმოდგა.

— არავითარ შემთხვევაში არ იქნება, ამხანაგო მთის კაცო! რატომ დაგებადათ ეს აზრი? — მომაძახა ხმამაღლა, თითქოს გამიწყრაო.

— ნუ ინებებთ უარის თქმას, ბატონო! ეს იქნებოდა ჩემი შეურაცხება, ამხნის კაცს ნუ მაკადრებთ ამას.

და თავი არ ამიღია, ზურგი არ შემიქცევია ისე უკანხევით გავეცალე, ვითომ არც კი გამიგონია ძახილი, მანქანიდან რომ მესმოდა, მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გავიმართე და ჯონდოსკენ პირმიბრუნებული, სირბილით თავს ვუშველე. მართლა არ მიბრძანოს ძღვენის უკან წაღება ბეთქი.

ცოტა ხანი და მანქანაც თავის გზას გაუდგა. ღია სარკმლიდან გადმოკიდებული შავი ქუდის ფრიალი იმის ნიშანს მაძლევდა, რომ მგზავრები მადლობას ბიხდიდნენ ჩემი მცირე საჩუქრისათვის.

— ესეც ჩვენი ახალი მოყვრები, ჩემო ჯონდო! კარგ ფეხზე ავმდგარვართ ამ დილით! — მივმართე ჩემს ცხენს, როცა მანქანა მიიმალა. — ჩემი რა ბოგახსენო, მეგობარო, მაგრამ შენ კი შესანიშნავად გეჭირა თავი. მასახელე.

სადაც ხელში ავიღე. აბჟანდში ფეხი შევსდგი.

... აქ სიტყვა შეწყვიტა მთის კაცმა და ამოისუნთქა, თითქოს შეისვენაო.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

მაინც სახის შეუცვლელად, ტანის შეუნძრევლად შესცქეროდნენ მას მსმენელები, თითქოს დუმილში ამბის გაგრძელებას ისმენენ.

მაგრამ ის მცირე ხანიც კი, რაც ელიც მთის კაცს ამოსასუნთქად და აზრის მოსაკრებად დასჭირდა, აუტანელად გრძელი ეჩვენათ ახალგაზრდებს.

მოთმინების ძაფი პირველს ბატას გაუწყდა.

— ჩვენ ისე გაგვიგონია, ჯოტოს მამავ, რომ აბბავი ამით არ გათავებულა... ბოლოც უნდა გვიამბო!

აქ საერთო მოუთმენლობამაც უცებ აიწყვიტა: ჟრიალი ატყდა ოთახში.

მიხვდა მთის კაცი რასაც იგი მოასწავებდა. გაეცინა.

— მაპატიეთ... ალბათ დიდი დრო თუ მოუნდა ბოხუცი კაცის ამოსუნთქვას! იგი ბოლოს მოსათხრობად დამჭირდა... კი არ დაშვიწყებია! — სთქვა და ამბავი ისევ განაგრძო.

## თაში მეთვრამეტე.

— ჯოტოსთან სოხუმში იმ დღეს აღარ წავსულვარ ხელცარიელი. ღამე იქვე ახლოს სოფელში ერთ ნაცნობ მონადირესთან გავათიე.

სოუში მხოლოდ მეორე დღეს საღამოს დავბრუნდი.

გაკვირვებული დავრჩი, როცა ჩემს სახლს მიუახლოვდი. ჯერ ხმაურობა მომესმა, ჩემი ეზოდან მომავალი. მალე თვალიც მოვკარი, რომ ეზოში ხალხი ირეოდა.

— რა ამბავი უნდა იყოს მეთქი, შეშეშინდა. ჯონდოს ნაბიჯი დავაჩქარებინე.

ეზოს ჭიშკართან სვეტზე ორი ცხენი იყო მიბმული. მაშინვე მივხვდი, რომ სოუელ ცხენებს არ გვანდნენ. ბედაურებიო რომ იტყვიან, ნამდვილად ისეთები იყვნენ. ჯოტოს და თეიურს სჩვიოდათ ხანდახან მოულოდნელი ამოსვლა სოუში. ასეთ შემთხვევაში სოხუმს მდგარი ჯარის რჩეულ ცხე-

ნებზედ სხდებოდნენ. ახლაც ასე მეგონა. დავმშვიდდი.

— ბოუკლავთ ამ ავად არ სახსენებლებს ცხენები მეთქი ვსთქვი, როცა ახლოს შევხედე. ოფლის ქაფით ჰქონდათ დაფარული მთელი ტანი. ახლაც სძგერდნენ და ქოშინებდნენ. მეწყინა.

— ჰეი! — დავიძახე ვითომ გაჯავრებულმა. მინდოდა დამეტუქსა ყმაწვილები.

ჩვენი კოლბეურნეობის თავმჯდომარე კირილე გორაკოვი გამომეგება. სანამ ცხენიდან ჩამოვიდოდი, მომვარდა. აფთარივით მარდია და ტანმჩატე ის შეჩვენებული. შემომახტა, გადამეხვია.

— მოგილოცავ მთის კაცო! — მითხრა და ხმა არ ამომაღებინა, ისე გადაეხვია.

ორივე ერთად ჩამოვქვეითდით.

— რას მილოცავ მეთქი, ვკითხე გაოცებულმა. ხელი დამავლო და ეზოში შემიყვანა ჯონდოიანად.

მოქუჩდნენ მეზობლები. გარს შემომეხვივნენ.

ზე კი თვალებს ვაცეცებ, არაფერი მესმის.

აივანზე ორი სამხედრო კაცი შევნიშნე, ორივე უცნობი... კირილემ იმათთან მიმიყვანა.

— ეს არის მთის კაცო, გააცნო ჩემი თავი.

იქვე იდგნენ ჩემი დედაკაცი და ჯოტოს ძიძა, რუსუდანი, გულზე ხელებდაკრეფილები.

სტუმრებმა სამხედრო სალამი მომცეს. თითქოს მათი უფროსი ვყოფილიყავი, ისევ გამომეჭიმნენ.

ერთმა, რომელიც უფროსი სჩანდა, იქვე მდებარე ორ კოხტა ყუთთან მიმიყვანა, ორსავე ხუფები ახადა.

ერთში დაშლილი თოფის ლულა ალაპლაპდა. მეორეში ბალთებით გაწყობილი ჩანთა იდო და ნაირი ბზინვარე კოლოფები ელაგა.

— დავალებული გვაქვს, პირდაპირ ჩაგაბაროთ ეს ორი ყუთი [illegible] ულო მთის კაცო. [illegible] ილოცოთ ძვირფასი საჩუქრის მიღება! — მითხრა უფროსმა და ხელი ჩამომართვა.—ვისგან არის, ამას, ალბათ, თქვენც მიხვდებით, და ჩვენ ამის შესახებ დუმილი გვაქვს ნაბრძანები.

იქვე გავხევდი სადაც ვიდექი.

რა დიდი მიხვედრა უნდოდა, თუ ვისგან იყო საჩუქარი.

დედაკაცი მომიახლოვდა, ყურში ჩამჩურჩულა:

— ალბათ, ჯოტოს გამოგზავნილია, შე კაცო, რატომ ხმას არ იღებ? ვერ მიხვდი?

— ჯოტოს დაენაცვლოს ძიძა მისი, გული რომ ასე გაგვიხარა,—სთქვა ძიძამ.

— მოგესწრო შვილი და ეგაა, მთის კაცო!—მიმართა კირილემ.—აბა ახლა ვნახოთ, რა საჩუქარი გამოუგზავნია?

ის ორი მომტანი იღიმებოდნენ ვითომ საიდუმლოდ და ისე შემომცქეროდნენ დაბნეულს.

კირილემ ერთ წამში ააწყო თოფი. იგი ორ-ლულიანი გამოდგა და ჩახმახებიანი.

— ჰოო... ეს კი მართლა იშვიათი განძია მონადირისათვის!—წამოიძახა მან. თვალთან ახლოს მიიტანა. უცებ შეხტა აღტაცებული.

— კაცო, ეს ცნობილი ივაშენცევის თოფია, ჩვენს ტულის ქარხანაში დამზადებული! ლამის გავგიჟდე! ჩემს სიცოცხლეში ეს მეორედ არის, რომ ვხედავ! საოცნებო რამ არის! აი, ყოჩაღ ჯოტო! სად უშოვნია, ნეტავი, ასეთი განძი? გესმის თუ არა ივაშენცევის ყაიდის თოფი! ივაშენცევის! ხუმრობაა!

არა ერთხელ გაეგონა თოფის ამ იშვიათი ძველი რუსი ოსტატის სახელი. მისი თოფი კი არ მქონებია, თუმცა ბევრჯერ მიცდია შეძენა.

ვერ მოვითმინე, კირილეს თოფი ჩამოვართვი. გულზე ორივე ხელით მი-

ვიხუტე და უსიტყვო მადლობის აღსანიშნავად მომტანთ წინაშე თავი ისე დაბლათ დავხარე, რომ მიმხვდარიყვნენ, თუ ვის ვაკუთვნებდი ჩემს დიდ მადლობას.

კირილე ახლა მეორე ყუთს მისდგომოდა.

— რამდენი მარაგია! — იძახდა იგი გახარებული.—აი ვაზნები სატენის მთელი მოწყობილობით! ფისთონი, ფინდიხი, ტყვია, საფანტი... ეს რა ამბავია ამდენი! ჩვენი საზიაროთ არის, ალბათ... აჰა, ეს ზუბაც...

ჩემი მანუჩა, ჯოტოსა და მისი ამხანაგების მეგობარი, შინ არ იყო. ვიცოდი აქავჭარაზე მორიგეობდა ჯოგში, მინდოდა კი, რომ შესწრებოდა ამ საკვირველ ამბავს.

იმ საღამოს არავისთვის გამიმხელია საჩუქრის საიდუმლოება. პატივი ვეცი რამდენიც შემეძლო ჩემს გამხარებელ სტუმრებს. მოვასვენე.

მეორე დღეს დილით ადრე გაუდგნენ უკან გზას. გავაცილე.

მერე, რაკი შინ წუხანდელი ვახშმიდან მორჩენილი ხორაგი შეგულებოდა, საუზმეზე ვაწვიე მეზობლები სახელდახელოდ, ჩვენი თავმჯდომარე კირილე უპირველესად ყოვლისა, რა თქმა უნდა, და სხვა თავკაცები.

და აქ გავამხილე ძვირფასი საჩუქრის საიდუმლოება, რადგანაც ვიცოდი, რა ღღეს, რა ხვალ, მაინც არ დაიმალებოდა.

დაწვრილებით ვუამბე ყოველივე.

ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თუმცა ცოტა მრისხანე კაცის სახელი აქვს გავარდნილი, მაგრამ ისე გულკეთილია, ალალი და ბუნებით მხიარულიც. რამოინი ხანია ვიცნობ, [illegible]ობრობ, **მაგრამ ჩემი ამბის** [illegible]ენის შემდეგ იმ დილას პირველად დავინახე მისი წვრილი, მომნუსხველი თვალები ისე გაფართოვებული, გაკვირვებული და, რაც სრულიად [illegible]ოულოდნელი იყო, აცრემლებულიც. — გადამეხვია და მაკოცა.

— გისახელებია ჩვენი სოფ! გისახელებივართ სოფელებრ! — შეუბნებოდა სიხარულით და ბედნიერების სლუკუნშერეული ხმით.

იმდენი დღე, თვე და წელიწადი შეგემატოთ, ჩემი ჯოტოს მეგობრებო, რამდენიც იმ დღის შემდეგ ამ ამბის გასაგებად ჩემს ქოხს მახლობელი თუ შორეული სტუმარი ეწვია და სავსე ჯიხვის ყანწებით ჩვენი ქვეყნისა და მისი დიდი ადამიანების სადღეგრძელო დაილია.

## თავი მეცხრამეტე

რაც დრო გადიოდა, ომი მით უფრო მძაფრდებოდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ხდებოდა.

მომხდურ მტერს თავიდანვე ის იმედი ჰქონდა, რომ იგი ისევე სწრაფად დაიპყრობდა საბჭოთა კავშირს და მის წითელ ჯარს დაიმორჩილებდა, როგორც დასავლეთი ევროპის სახელმწიფოებს და მათ შეიარაღებულ ძალებს.

მაგრამ იმედი არ გაუმართლდა.

პირველი მოულოდნელი თავდასხმის წარმატებისაგან თავბრუდახვეული იგი აწყვეტილივით წინ მიიწევდა საბჭოთა ქვეყნის შუაგულისკენ, იპყრობდა ტერიტორიას, ძირფესვიანად სთხრიდა სოფლებს ანგრევდა ქალაქებს, ატყვევებდა და ჟლეტდა ხალხს.

ხოლო მთავარ მიზანს მაინც ვერ სწვდა: წითელი ჯარის წინააღმდეგობისათვის ბოლო ვერ მოეღო და საბჭოთა კავშირის დაულეველი მანძილებისათვის არა თუ ხელი, თვალიც ვერ გადაეწვდინა.

საბჭოთა ჯარის ამოცანას შეადგენდა: დროებითი გამარჯვებით გათამამებული დამპყრობელის ძალების მოღალვა, მათი შეწყვეტა მთავარი საყრდენები-

საგან და ვეება სივრცეებში დაქსაქსვა საბოლოო გამანადგურებელი დარტყმის უზრუნველსაყოფად.

თავისი საბედისწერო წინსვლა ძტერს ნანატრად და მიზანშეწონილად მიაჩნდა. იგი დღიდან დღე შეუსვენებლად განაგრძობდა მას. ხოლო იმას კი ვერ ხედავდა დაბრმავებული, რომ დღიდან დღე მახეში ებმებოდა.

საბჭოთა მთავრობისა და სარდლობის რწმენა გამარჯვებისადმი მტკიცე იყო და ურყეველი. ეს რწმენა როგორც ბრძოლის ფრონტს, ისე ზურგსაც კიდით კიდემდე ასულდგმულებდა.

არ დარჩენილიყო კუთხე, რომლის მებრძოლ მკვიდრს ხმელეთზე თუ ჰაერში ან ზღვაზე მტერთან შებმის დროს სამაგალითო ვაჟკაცობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელი არ მოეხვეჭნა.

არ დარჩენილიყო სოფელი, რომლის გაღებულ წვლილს-სისხლით, ოფლით თუ დოვლათით — თავდაცვის საქმე არ გაემტკიცებინა და სახელმწიფოს ბრძოლის უნარიანობისათვის ძალა არ შეემატებინა.

საქართველოს სხვა კუთხეებს არც ბზიფის ხეობა ჩამორჩენილიყო.

ხოლო პატარა სოუ სხვა სოფლებისათვის სახარბიელო, სანატრელი ბედსაც კი სწვდოდა.

მის ცაზე ყველაზე უფრო ადრე დანთებულიყო საბჭოთა კავშირის პირველი ქართველი გმირის სახელი.

ეს იყო მთის კაცის ვაჟის, ჯოტო ქარდუას სახელი.

*

* *

საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდებით ჯოტო ქარდუას დაჯილდოვების ამბავმა სოუმდე შედარებით გვიან მოაღწია. მას საქართველოს სხვა კუთხეები უკვე შემოევლო. გაზეთებში მოთავსებული საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და ახალგაზრდა გმირის სურათი მისი ვაჟკაცობის ისტორიით ერთ მთელ ქვეყანას მოჰფენოდა.

მოუცლელობის გამო მანუჩა სოფელსი იშვიათად ჩადიოდა სოხუმში ჯოტოს წერილებისა და ახალი გაზეთების ამოსატანად. ჩვეულებრივად კი კვირაში ერთხელ მაინც გადაუცილებლად სოუსა და სოხუმს შორის თვითონ მთის კაცი მიმოდიოდა, რადგანაც ჯოტო თავის წერილებს სოხუმში აგზავნიდა ლია გარსიას სახელზე.

მთის კაცს ბედი სწყალობდა. თითქოს შეთანხმებულები იყვნენ მამა და შვილი, ისე ემთხვეოდა მეტწილად მისი სოხუმს ჩასვლა წერილის მოსვლას.

მაგრამ რაკი უკანასკნელად წერილის მისაღებად მგზავრობა მანუჩას მოუხდა შემთხვევით, ჯოტოს იშვიათი გამარჯვების სასიხარულო აბზავი მან პირველმა გაიგო, და მისი მახარობლობაც ერგო.

გამოცხადდა თუ არა მანუჩა იულონ გარსიას სახლში, ცხენიდან ჩამოსვლა ვერც კი მოასწრო, რომ შუშაბანდიდან გადმომდგარმა ლიამ წყრომა და რისხვა თავს დააყარა:

— სად ხართ და ამდენიხანი რატომ დაიგვიანეთ! მითხარი ახლავე, ახალი ამბავი თუ იცი?

შეშინებულმა მანუჩამ ჯონდოს საჩქაროდ გადაუსადავა და შუშაბანდში შეიჭრა.

ლიას სახეს რომ შეხედა, უცებ დაწყნარდა. — თუმცა ვითომ სწყრებოდა და აღშფოთებული სჩანდა გარსიას ქალი, მაგრამ თვალებში ბედნიერებისა და სიხარულის შუქი უკრთოდა და ალეწილ პირისახეზე ეშმაკური ღიმილი დაუფარავად უთამაშებდა.

— სწორედ ახალი ამბის გასაგებად ვარ ჩამოსული, შემოგევლე, — უპასუხა მანუჩამ. — ჩვენ არაფერი გაგვიგია სოუში. მაგრამ შენს სახეზე ვკითხულობ, რომ ის, რაც შენგან უნდა შევიტყო, ცუდი არ უნდა იყოს!

— კი მაგრამ სულ, სულ არაფერი გაგიგია? როგორ დავიჯეროთ?

— ჩვენი თადეს სმოლენსკისთან გმირული დაღუპვის ამბავი, მისმა ამხანაგმა რომ მოიწერეს, ეს შენც იცი ალბათ...

— აბა, რა მეცოდება თადე? იქნება, შეცდომაა... ასეც ხდება ხშირად.

— საბრალო ხუტას, თადეს მამას, დაუჩემებია, უნდა წავიდე ბრძოლის ადგილზე და შვილის ძვლები მაინც ჩამოვასვენოო.. სოუელები რა მოტირალი ხალხია მოგეხსენება. ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა ტირილი ხუტას სახლში. თადეს ცხენიც სულ შავად შემოსეს და ისე ჰყავთ მისატირებლად... სხვა ჩვენი წასული ბიჭების არაფერი ისმის ჯერ... მითნარი, შემოგევლე, რა უნდა გაგვეგო ისეთი, რომ მეკითხები, არაფერი გაგიგიათო, და თვალები გიცინის...

— მოდი აქ! — უთხრა ლიამ საიდუმლო ხმით და სტუმარს მაგის ოთახში შეუძღვა.

სანამ მანუჩა მწოლიარე იულონს მოიკითხავდა და მისგან პასუხს მიიღებდა ლიამ მაგიდაზე დასტა-დასტა დაწყობილი გაზეთებიდან რამდენიმე აარჩია, გაშალა და ერთი შეორის მიყოლებით მაგიდას მთელ სიგრძეზე გადააფარა. მერე პირველს სალოკი თითი დაადო, სადაც ახალგაზრდა მფრინავის სურათი ეხატა, და მანუჩასკენ ფიცხლად მიბრუნდა.

— აბა, გაგიცანი, ვინ არის? — უთხრა და სურათის ზემოთ დიდი ასოებით გამოყვანილი წარწერა ხელის გულით დაჰფარა.

მანუჩამ სურათს დახედა. დააკვირდა. მერე ნაღვლიანი ხმით მოგვიანოდ უპასუხა:

— ვერა, ვერ გამოვიცანი.

— ახლა ეს? — ლიამ ის გაზეთი დაკეცა ვანზე, გადადო და მეორე გაშლილზე გადაიტანა ხელი.

მანუჩამ პასუხი არ დააგვიანა:

— იგივეა, შემოგევლე.

— მაშ, ამასაც დააკვირდი! — და ლიამ მესამე გაზეთი დაუდო წინ.

— სულ ერთი და იგივე უნდა იყოს, თუ თვალი არ მატყუებს... ისე მეჩვენება, თითქოს არტახები შემოუკრავსო რკინის მუზარადია, გგონია, თავზე რომ ჰხურავს.... ამოდენა სათვალე შუბლზე მფრინავების სურათზე მინახავს... წვერი ყბაზე ბუწკნარივით ამოსვლია... ახალგაზრდობის იერს უჩრდილავს, მაგრამ ვაუკაცობას კი ჰმატებს... მაგრამ რატომ მეკითხები, ვერ გავიგე, შემოგევლე. ვითომ ნაცნობია და ვერ მივხვდი? — ამბობდა დაბნეული მანუჩა და ამოცანის ახსნას ლიასაგან მოუთმენლად მოელოდა.

— აბა, რაკი წიგნის კითხვას გიქებენ, ჩემო მანუჩა, მოდი, ეს წაიკითხე და გაშინ მიხვდები! — მოეშვა ბოლოს ლია და გაზეთსაც ხელის გული მოაშორა.

როგორც კი მოჰკრა თვალი წარწერას, მაშინვე იყვირა მანუჩამ:

— ჯოტო ქარდუა! საბჭოთა კავშირის გმირი! ასე სწერია: „საბჭოთა კავშირის გმირი ჯოტო ბათუს-ძე ქარდუა“... ამას რას ვხედავ? ჩემი ჯოტო! კი ნამდვილად ჯოტოა... რამ დამაბრმავა მე უბედური, რომ ვერ გიცანი, ჩემო რაინდო? ეს შენი თვალებია რომ შემომცქერიან! წვერით მაინც მეცნე, შარშან ზაფხულზე ხომ მოუშვი და სწორედ ამისთანა გაგეზარდა, ლაგაზი ყბები დაგიფარა. შენ მაინც გიხაროდა, მამას ასე უფრო ვგავარო! ქარდუების წვერია! როგორ ვერ ვიცანი! შენი ჭირიმე, ჩემო ჯოტო! მაპატიე... არ დაიჯერო, რომ ვერ გიცანი! ალბათ, ვერ გავბედე მეთქვა, ასეთ დიდებაში რომ გნახე... კი, შენი ჭირიმე, ეს შენა ხარ, ქვეყნის სასახელო გმირი, დედმამის დიდება, ღა ჩემი საყვარელი ბიჭუნი! ბაბუ, სხვა ვინ შეიძლებოდა რომ ყოფილიყო ასეთი ბრგე, ასეთი ვაუკაცი! შევარდენო ჩემო... სიხარულო ჩემო!

ლია უძრავად, უხმოდ იდგა თავის ადგილზე. სახეზე ნეტარების შუქი უელვარებდა, მაგრამ მანუჩას შემყურეს თვალები მაინც ბრჭყვიალა ცრემლით ავსებოდა.

გაათავა თუ არა მანუჩამ ჯოტოს სურათის ალერსი და მოფერება, გაზეთი გულზე მიიხუტა, მერე ძვირფას სურათს ტუჩებით სწვდა და უცებ სლუკუნი აუვარდა. თავი ვერ შეიკავა და თვალებზე გაზეთი აიფარა, რომ ცრემლი დაემალა. მაგრამ ერთხელ აჩუყებული გული ვერ დაიოკა და გულამოსკვნილმა ხმაღალი ტირილი გააბა.

ვერც იულონმა და ვერც ლიამ კარგა ხანს ვერაფერი უთხრეს მტირალს. მოერიდნენ, რადგანაც გრძნობდნენ, რომ მანუჩა თავისი დიდი სიყვარულის გამო სტიროდა.

ბოლოს, როცა მანუჩა ოდნავ დაწყნარდა, იულონმა პირველმა დაარღვია სიჩუმე:

— ლამის მეც ამატირო, მთიელო. გეყოფა. ის კაცი იქ გამარჯვებულია და შენ კი აქ იცრემლები! რომ დაღუპულიყო, ნეტავი, მაშინ რას იზამდი, შე კაი კაცო!

— მამა, როგორ ამბობ? — შეუწყრა ლია მამას.

— ჰო, შვილო... იმიტომ ვამბობ, რომ იქ გამარჯვება და დაღუპვა, აი, ასე არიან! — სთქვა იულონმა და ჯანსაღი ხელის ორი ერთმანეთს მიდებული თითი გაათამაშა. — აბა, შენ როგორ გგონია? ომია!

— მეც ვიცი ეს, ბატონო იულონ, მაგრამ ნეტავი, არ მცოდნოდა, იქნება არ შეტირნა! — სთქვა მანუჩამ და ცრემლები შეიმშრალა.

— შევწყვიტოთ, მამა, ამაზე ლაპარაკი! — განაცხადა ლიამ და სიტყვა სხვა საგანზე გადაიტანა. მიუახლოვდა მანუჩას და უთხრა:

— ეს გაზეთები, ჩემო მანუჩა, როგორც ხედავ, სოუში [illegible] დავამზადე. დღეს [illegible] ყავი, არ ვიცი, რას ვიზამდი... ამ დასტაში სულ ქართული გაზეთებია. იმაში კი — რუსული, მოსკოვიდან მოსული. ყველაში ჯოტოს ქება სწერია და მისი სურათია დაბეჭდილი... ეს კი ჯოტოს წერილია... ამ კვირაში მხოლოდ ერთი მოვიდა. როგორც სჩანს, გმირის წოდების მინიჭებამდეა გამოგზავნილი, თავის გმირობის შესახებ, ალბათ კიდევ მოიწერს... ეს არის და ეს.

მანუჩამ გაშლილი გაზეთები დაკეცა. დაკეცილებს მიუმატა. თავისი აბგა მოიმარჯვა და შიგ ჩადება უნდოდა, რომ ლიამ შენიშნა:

— კი, ბაგრამ მთავარი რომ არ წაგიკითხავს, რაც სურათის ქვეშ სწერია ჯოტოს გმირობის შესახებ? წაიკითხე!

— ბოეშვი, გოგო! — სიტყვა გააწყვეტინა იულონმა ლიას. — გინდა ხელმეორედ აატირო კაცი? მანდ ისეთი გონების ამრევი ამბავი სწერია, რომ იქნება, ეჭვიც კი დაებადოს, შეიძლებოდა თუ არა ადამიანი იმისთანა ბრძოლას ცაში უვნებელი გადარჩენოდა...

— არც ისე გულსუსტი ვარ, ბატონო იულონ! მაგრამ იმ ამბავს მე მაინც აქ არ წავიკითხავ, რადგანაც არ მინდა, ჯოტოს მამაზე უფრო ადრე ვიცოდე იგი. ისიც მეყოფა, რაც უიმისოდ გავიგე... სოუში წავიკითხავთ ერთად, ბატონო. — სთქვა უცნაურმა მანუჩამ.

— ბრძანებულება მაინც წაიკითხე, მანუჩა! — სთხოვა ლიამ.

— არა, შეგიბოგევლე... იმასაც ჯოტოს მამას შევუნახავ!

ამ სიტყვებით მანუჩამ გაზეთებს აბგაში უკრა თავი. ქურთუკის ღილი გაიხსნა მკერდზე და ჯოტოს წერილი გულის ჯიბეში ჩაიდო. მერე თავი დაბლად დაუკრა მასპინძლებს.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! მივდივარ ჯოტოს ბედნიერების მახარობელად.

— როგორ თუ მიდიხარ? — გაუკვირდა ლიას.—საცაა დაღამდება. ღამე არც მთის კაცი მგზავრობს სანჭაროს ბილიკზე.

— რას ამბობ, კაცო? გონიერიაო, შენზე გამიგონია. გადაიჩეხები სადმე... დილას უთენია გაუდექი გზას. — შენიშნა იულონმა.

— გუშინდელი ღამით ვარ წამოსული სოუდან. ისედაც დამაგვიანდა.. ჯონდოზე ვზივარ, არა მიშავს რა. მთვარიანი ღამეებია. ესეც არ იყოს, გზას სოხუმის მაშხალები გამინათებენ...

— რაო?—მაშხალებიო? — გაიკვირვა იულონმა. — რა მაშხალებია იმისთანა?

— პროექტორებზე ამბობს, მამა!— აუხსნა ლიამ.

— ჰოო... მერე ასე შორს ანათებენ ის თქვენი პროექტორები?

— აჭავჭარაზე შწყემსებს არც კი გვძინავს მათი თვალთვალისაგან! უფრო შორსაც ანათებენ, ბატონო იულონ!

მაინც ბევრი ურჩიეს მანუჩას დილამდე დარჩენილიყო, მაგრამ განზრახვა ვერ მოაშლევინეს. ჯიუტმა მწყემსმა დანაყრებაც არ მოისურვა. საგზალი აბგაში მაქვსო.

რაკი წასვლა ვერ გადაათქმევინეს, ლიამ უთხრა:

— დაიცადე ცოტა მაინც, საქმეზე არ მილაპარაკნია... პირველი ის მინდა გითხრა რომ აქ ჯოტოსადმი მიძღვნილი ზეიმისათვის ემზადებიან. დიდ ამბავს აპირებენ. რადგანაც ჩვენი ქვეყნიდან ჯოტომ პირველმა მიიღო გმირის წოდება. მაგრამ ამხანაგები იმასაც ამბობენ, რომ ზეიმი სოუშიც უნდა გაიმართოსო, თუ...

— რა თუ, შემოგევლე? — შეაშინა ლიას თუმ მანუჩა, რომელსაც ნეტად გაუხარდა გაგონილი ცნობა.

— ის თუ, ჩემო მანუჩა, რომ მტრის თვითმფრინავებმა სოხუმის თავზე ფრენა მოუხშირეს... ამის გარდა... ეს კი საიდუმლოებაა და არსად სთქვა... მტერი უღელტეხილებს უახლოვდებაო.

— ეს ჩვენთვის საიდუმლოება არ არის, შემოგევლე... სოუელებმა კარგად ვიცით ეს ამბავი... ჯოტოს მამა გვყავს მზვერავად... მაგრამ ერთი უბედურება კი გვჭირს... — აქ მანუჩა უცებ გაჩუმდა ოთახში მიმოიხედა. უნდოდ შეავლო თვალი იულონს.

— რა უბედურება? — ჰკითხა ლიამ. მანუჩამ დაწეული ხმით განაგრძო:

— საიდუმლოებაა, შემოგევლე. არ ითქმის.

— აქ ვისი გერიდება? — გაუკვირდა ლიას მანუჩას სიფრთხილე.

— ხომ ხედავ, ლიას იქით გზა არ მაქვს. ჩემი ნუ გეშინია! — წააქეზა იულონმა.

— იმდენი კი არაფერია, რომ არ გამოსწორდეს... სურსათ-სანოვაგის მიზიდვა ჯარისთვის უღელტეხილებთან ისეა გაძნელებული რომ...

— შე კაცო, ეს რა საიდუმლოებაა? — ჩამოართვა სიტყვა ლიამ. — გაძნელებული იქნება, როცა გზა არ არის... . შენ ის მითხარი, ჰაეროდრომის მშენებლობა რა მდგომარეობაშია?

— დღე-დღეზე მოელიან დამთავრებას. შინ დარჩენილები სულ მაგ სამუშაოზე არიან. სოუელი ქალები რომ გარეთ მუშაობას დაჩვეული არ იყვნენ, ახლა უნდა ნახო, რა ხელგამოვლებულები არიან... ჯოტოს მამა ხომ ზედ გადაყოლილია მაგ საქმეს. ამბობს, ჩემი სიტყვით გვიბოძა დიდმა კაცმა ეს ბედნიერებაო.

— ასეც არის, ჩემო მანუჩა. გახსოვს, ფუტკარზე საუბრის დროს რომ უთქვამს...

— როგორ არ მახსოვს, შემოგევლე, სიტყვა-სიტყვით მახსოვს. ყველა სოფელს ენაზე აკერია მისი ნათქვამი! კირილეც იმ აზრის არის: მთის კაცის მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ ჩვენი გაჭირვება გააგებინაო...

— მაშ!... ჰოდა, თუ ჰაეროდრომი ორ-სამ დღეში დამთავრდა, საქმე გაგოსწორდება, ჯარსაც არაფერი დააკლდება. მაშინ მთავრობაც კი გეწვევათ ჯოტოს ზეიმზე დასასწრებად.

— ჰოჰოო. რა დიდი ამბავი იქნება? ვინ წარმოიდგენდა ამას?

— ჰო, რა მინდოდა კიდევ მეთქვა... ვინიცობაა პირველად აქ, სოხუმში მოეწყო მიტინგი, მაშინ ჭშობლებიც უნდა დაესწრონ.. რა ჩამოიყვანს მაკინეს და რუსუდანს?

— ჯავრი ნუ გაქვს ჩამოვლენ... არც ისე მოხუცებულები არიან.

— ვნახოთ! ჩემგან და მამისაგან მიულოცე ჯოტოს მამას შვილის ბედნიერება. ქალბატონი მაკინე და ძიძა რუსუდანს გადაეცი, ლიამ სიყვარულით მოგიკითხათ, ჯოტოს დიდება შოგილოცათ და ბევრიც გაკოცათთქო.

— ჰო, ჯონდო რომ დაგავიწყდა, შე ქალო? — დამცინავი ხმით შენიშნა შვილს იულონმა და ნიშნად გაღიმებისა ცალი ყბა ბოიქცია.

— ჯონდო აქ არის, მამა! — შენ რა გგონია, იმასაც არ მოვულოცავ თუ? რით არის სხვებზე ნაკლები?

ამაზე გაეცინათ.

მანუჩა იულონს გამოემშვიდობა. ავადმყოფმა ლოგინიდან ხელი ჩამოსართმევად გაუწოდა.

— მართალია, ბიჭო, რომ შენზე ამბობენ, დიდი ბოლშევიკი არისო? — ჰკითხა მან მანუჩას, როცა ის მიეახლა.

— დიდი არა, შემოგევლე... პატარა კი! — თავდაბლად მიუგო მანუჩამ.

— ჰო, მეტი არც შეგეფერება, შე კაცო, რაკი თავადაც პატარა ხარ!... მიულოცე ჩემს მოყვარეს ვაჟის ამბავი... ჩემს თემურზე უთხარი...

— უიმე, არც კი მიკითხავს თემური მე უბედურს, ისე გავერთვე ჯოტოს ამბავში! — თავში იცა ხელი მანუჩამ.

— ჰე, შე გლახა, რატომ დაგავიწყდა მერე?... თემურზე უთხარი მეთქი, იმას ვამბობდი, რომ ის და ჯოტო ერთ გუნდში აღარ არიან. დაუცილებიათ. თუმცა ჩემი ბიჭი იწერება მაინც ხშირად ვხედავთ ერთმანეთსო. კარგად ვარო, მანუგეშებს ვითომ თავის ჭკუით... ასე უთხარი.

— უვნებელი და გამარჯვებული გვენახოს ორივე, ჩემო ბატონო იულონ. ჯავრი ნუ გაქვს: გმირებს ბედი სწყალობს, მოგეხსენება.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სულაბერიძე

# სათუთუნე ქისა

★

როს მიცხრებოდა ცოტახნით
ქარი აზოვის მაღლობთან,—
გაგონდებოდა ოჯახი,
გული ოჯახზე ნაღვლობდა,
დედა როს გაგონდებოდა ,
წამით როს დაღონდებოდი,
მაშინ გაზეთის ქაღალდში
„მახორკა“ აბოლდებოდა.
სანგარში ჯარისკაცები
აშლიდნენ კვამლის კარავსა.
ბოლს ქარი გაიტაცებდა,
მოგაშორებდა ვარამსაც.

როცა ქარცეცხლი ტიელი
გადაბუგავდა ახლო მთას, —
ცეცხლწანთებული ტყვიები
დაგფარავდა და დაგხოკდა,—
ღამით, თუ სადმე მყუდრო წამს
სქლად შეახვევდი მახორკას,—
მარტო ის დარდი კიარა,
რჩებოდა მკერდის იარაც.

დედის შეკერილ ქისაში
სულ მუდამ გქონდა თუთუნი.
ქისას რომ ხელს შეავლებდი
გესმოდა დედის ჩურჩულიც.
თითქოს დედილომ სახლიდან
ის როცა გამოგატანა,
შიგ ჩასდო ჯადო-თილისმა, —
ვერ მოგეკარის სატანა, —
მშობელი მიწის მოცილე
ჩაჰკლა სიკვდილის ურჩხული...

მიტომ, როს ქისას გახსნიდი
გესმოდა დედის ჩურჩულიც.

ის ქისა ისევ ჩამომყვა,
ცოტა მახორკაც ჩამომყვა,
შავიზღვის გალმა დამქონდა,
დაშაქვს შავიზღვის გამოლმაც.
ღედასთან მოველ, დედასთან
მზის შუქის მიდგას კარავი...
მაგრამ ჰე, ძმებო, გულს მაინც
შემორჩა ერთი ვარამი.
და როცა თუთუნს გავახვევ
და კვამლში თვალებს გავახელ,
სამ სახეს ვხედავ, სამ ძმობილს:
ყირიმელს, რუსს და ჯავახელს.

რამ დამავიწყოს ისინი,
ის ღამე რამ დამავიწყოს.
მე მესმის მათი ყიჟინი
ახლაც, თუთუნს რომ გავიწყობ...
... ცეცხლი არ გვქონდა, მეზობელ
სანგარში გადავირბინე...
უეცრად ატყდა გუგუნი,
მტრის ქვემეხებმა იგრგვინეს...
როცა დავბრუნდი, სამივე
უძრავად იწვა გულალმა.
ის ჩვენი ვიწრო სანგარი
ნალმებს სულ ამოუნალმავთ.

გულალმა იწვა სამივე
თავ და მკერდ დაჩეხილები.
და სისხლში დაწითლებოდათ
ხაკის ხალათის ღილებიც.
თითებში შემორჩენოდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუნთებელი თუთუნი...
ჰე, ძმაო, აი, რად მესმის
მე იმ ლამეთა გუგუნი.
რამ დამავიწყოს სამი ძმა,
იმ ლამეს რომ შეეწირა...
ერთს ვერ მოესწრო გახვევა,—
ეს ქისა ხელში ეჭირა.
ეს ქისა ხელში ეჭირა
და სისხლი ეცხო ქისასაც...
იქვე დავმარხე სამივე,
იქ მივაბარე მიწასა.

დილით ავდექით, გავყევით
ველს ქარიანს და ცეცხლიანს...
ჰოი, ძმებისთვის თუთუნის
მოწევა მაინც ეცლიათ.

იმ ერთი წამის სიმშვიდე
რისთვის წაართვეს მეგობრებს...
დავბუგეთ მტრების სანგრები,
წინ ველარ გადაგვეღობენ.
ცეცხლწანთებულმა ტყვიებმა
თუმც დამკაწრა და დამხოკა,
ამ ქისით მაინც დამქონდა
ჩემი მაგარი „მახორკა“.
და სადაც ვწევდი „მახორკას“
სულ იგი ძმები მახსოვდა,
კარპატის მთების იქეთაც,
იმ ბრანდენბურგის ახლოსაც.

ის ქისა ისევ ჩამომყვა,
ცოტა „მახორკაც“ ჩამომყვა.
შავიზღვის გაღმა დამქონდა,
დამაქვს შავიზღვის გამოღმაც.
შიგ მაქვს თუთუნი ულევი,
არ მინდა სხვა სათუთუნე.
ხელს რომ შევახებ, ყირიმის
ის ღამეებიც გუგუნებს.
დედასთან მოველ, დედასთან
გზის შუქის მიდგას კარავი.
მაგრამ ჰე, ძმებო, გულს მაინც
შემორჩა ერთი ვარამი.
და როცა თუთუნს გავახვევ,
და კვამლში თვალებს გავახელ,
სამ სახეს ვხედავ, სამ ძმობილს:
ყირიმელს, რუსს და ჯავახელს.

1948

ბ. ზაქარიას სახ. ან. ბიბლიოთეკა საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

# დავით აღმაშენებელი

## ტრილოგია *

## კარი მეოთხე

★

### XXXI

### „უბედნიერესი ბასილისა“.

მარიამ დედოფალმა დიდძალი საკითხავნი და საყდრის იარაღი გადასცა კირიონ მანგლელსა და მამაი ბასილის. ჯვაროსანთა ლაშქრის მცირე აზიაში შემოჭრამ უარესად გააცოფა თურქნი. როგორც ათონის ივერონის[1], ისე იერუსალიმის ქართული მონასტრების ბერებმა ადრე მოასწრეს წმიდა საუნჯეთა გადამალვა. ზოგი რამ ზღვით გამოატანეს ლაზ მეზღვაურებს მარიამ დედოფალთან, საქართველოში წარსაგზავნად.

ამ საუნჯეთა შორის მოხვდნენ გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილნი სამოციქულონი, დიდნი სვინაქსარნი.

ჯვარის, წ. ნიკოლოზისა და კაპატას მონასტრებიდან მოძღვნილნი: „ძელსა ცხოველისა ნაწილნი, ვერცხლის ლუსკუმებითა, დიდდიდნი ბარძიმნი ოქროისა და ვერცხლისა, ოქროს ფეშხუმნი კოვზებითა და ბრწკლითა, აგრეთვე შესამოსელნი ოქროცურვებულნი და ოქრონემსულნი, საკითხავნი ოქროპირისანი მარგალიტიანნი“.

იერუსალიმის ლაზთა მონასტრიდან წამოღებულნი:

„საკითხავნი საწინასწარმეტყველონი და მაკაბელთანნი, წიგნი სადღესასწაულონი, საჩინოთა წმიდათაჲ, ოთხთავნი სტავრაჲთა შემოსილნი და ვერცხლისა ღილკილოჲთა და ჯვარითა.

ჯვარნი სალიტანიე ვერცხლისა, ოქროცურვებული ველაჲზმაგისა ხატებითა, ჯვარცმისა ხატნი ცვილოანნი დიდნი, ას დრაჰკანად ფასებულნი, სხვა ხატნი გარდამოხსნაჲ, უცნობ ქართველ ოსტატთა მიერ ქანდაკებულნი, სხვა ხატნი სავედრებელნი, იმპერატორთა: ბასილისა და ნიკიფორეს მიერ ოდესღაც ივერონისათვის ბოძებულნი.

სხვა ხატნი, კანკელი ათთორმეტთა მოციქულთაჲ, სხვა ხატნი დიდნი ვედრებისანი, უცნობი ქართველი ოქრომჭანდაკებლის მიერ შესრულებულნი. სკარამანგნი და ქორკანდელნი სხვანი და სხვანი“.

ორივე მღვდელმთავართ მოილოცეს კონსტანტინოპოლის ეკლესიები და მონასტრები.

დასასრულ სიტყვა ჩამოართვეს მარიამ დედოფალს: გამოზაფხულზე თრიალეთს სწვევოდა.

წალკელ ეპისკოპოსს ჯერაც არა ჰქონდა მოთავებული ეპიფანე არამსმელთან ლოთობა, ისე აიჩემეს კირიონ მანგლელმა და მამაი ბასილიმ:

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ №№ 9, 10, 12, 1947 წ.

[1] ი ვ ე რ ო ნ — ეწოდებოდა ათონის იბერიელთა ქართულ მონასტერს.

ტრაპიზონის ქართული ეკლესიაც უნდა მოვილოცოთო და ამიტომაც დააჩქარეს შინ წასვლა.

მერმე ის იყო, შემთხვევით მოახელეს მღვდელმთავრებმა კეთილ ქარს აყოლილ ხელანდას და სამივენი ტრაპიზონს გაემგზავრნენ.

* *

ნიანია ბაკურიანმა სისრულეში მოიყვანა პატრონის დავალებანი, ახლა თავისი მამის, გრიგოლ ბაკურიანის პეტრიწონიდან ჩამოსვლას უცდიდა მხოლოდ.

მარიამ დედოფლის მიერ სასახლიდან წარმოგზავნილნი მსახურნი მას ჩინებულად უვლიდნენ, მაგრამ მარტოშთენილს გაუძნელდა იოანესეულ სასახლეში ყოფნა.

უპატრონო თუთიყუში დღენიადაგ ჩხაოდა.

ალერსისაგან განებივრებული ფრინველი ნიადაგ წრიალებდა, თითქოს გრძნობდა კიდევაც თუ როგორ გადაეგო უძეოდ და ამოწყდა სვეგამწარებული იოანე.

ნიანიას მეგობრები არა ჰყავდა კონსტანტინოპოლში. ტაძრებისა და სასახლეების დათვალიერება რა მოათავა აღარ იცოდა როგორ მოეკლა დრო.

მარიამის ხილვას ნიადაგ მონატრულს ველარ გადაეწყვიტნა მანგანის სასახლეში უწვევად წასვლა. ბოლოს ერთადერთი იმედი ასულდგმულებდა გამოჯნურებულ რაინდს: ეგებ რომელიმე ეკლესიაში, ან სადმე ქუჩაში შემთხვევით გავლილს. წავატანოვო თვალი.

დილას დუ საღამოს, ცისკარსა და მწუხრზე ბეჯითად დადიოდა. ხან წ. სოფიას, ხან წ. ვიტალის, ხან ორმოც მარტვილთა და ბლახერნის ტაძრებში, მაგრამ აღარსად სჩანდა დედოფალი მარიამი.

ბოლოს უცნაურმა შიშმა შეიპყრო ნიანია: ვაი, თუ ავად გახდეს ჩემი დედოფალი.

ნიანიას მაინცდამაინც არ უყვარდა ღვინო, მაგრამ ეგეც ცნობილია, როცა იმმეროსი გულს დაუკოდავს ჭაბუკს, იგი ბახუსის ზვრებს შეეჩვევა ხოლმე. ამიტომაც გახდა ნიანია ბაკურიანი კონსტანტინეპოლელ ღვინის ვაჭართა ქოლბაქების ხშირი სტუმარი.

ერთ საღამოს, ღვინის სარდაფში იჯდა ნიანია. წინ ხელადა ედგა და გულდარდიანად შეექცეოდა სურნელოვან ხონდროს ღვინოს.

სარდაფის კუთხეში დამაშვრალი ბერძენი ხელოსანნი ისხდნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ და შეექცეოდნენ სმას.

შემობორიალდნენ თოროსანი ჯვაროსნები. მიუპატიჟებლად მიუსხდნენ ხელოსნებს. როცა მასპინძლებს ტარტარონები შემოელიათ, მსახურთ აღარ მოუტანეს ღვინო.

გაბრაზდნენ სტუმრები, დაუწყეს მათ ლანძღვა. ბოლოს იჩამდის მივიდა საქმე, ცალიერი ხელადები დაამსხვრიეს მასპინძლების თავზე.

ბერძენთა შორის სამი მოხუცი იყო, ერთიც ახალგაზრდა, მაგრამ ცალხელა. არც ერთ მათგანს იარაღი არ გააჩნდა.

ბერძენები სკამლოგინიდან გადაჰყარეს, მისდგნენ ჭაბუკს და დაუწყეს უწყალოდ ცემა.

ბრაზი წაეკიდა ამ ამბის შემყური ბაკურიანს, წამოუსვა სამ შეჭურვილ რაინდს ხელი, ორს იდაყვები ჰკრა მუცლის არეში და გუდურებივით სუფრის ქვეშ შეჰყარა იგინი.

მესამემ ხმლის ამოღება მოასწრო და ბაკურიანისკენ გამოემართა, მაგრამ ტყავკაბა ხელზე დაიხვია ნიანიამ, წაართვა იარაღი თოროსან რაინდს და

ყინულივით თავზე გადაამტვრია ფეررარაში[1] ნაწრთობი ხმალი.

ამ აურზაურზე მოსცვივდნენ ღამის გუშაგნი, მოჩხუბარნი განუკითხავად შეიპყრეს და კონსტანტინოპოლის ეპარქს მიჰგვარეს.

ეპარქს მოეწონა ნიანიას საქციელი, გაულიმა და გაანთავისუფლა. მეორე დღესვე ეახლა მარიამს და ეს ყოველივე წვრილად მოახსენა.

მარიამმა მეორე დღესვე წარგზავნა ეზოსმოძღვარი ცინცილუკ ნიანიას სახმობლად, მაგრამ იგი იოანესეულ სასახლეში არ აღმოჩნდა.

ნიანია შეაწუხა ამ შემთხვევამ და გადასწყვიტა კონსტანტინოპოლში არ მოეცადა მამის მოსვლისათვის, თავათ ხლებოდა მას.

გამგზავრების წინ საღამოს, ისევ მობეზრდა თუთიყუშის გულისმომწყალველი ჩხავილი.

ახლა სხვა ქოლბაგში შეხეტიალდა.

უამრავი ხალხი ზიმზიმებდა ღვინის სავაჭროში. ბერძნები და ჯვაროსნები წაკენწლავებოდნენ ერთმანეთს, უშველად იგინებოდნენ მთვრალნი.

იგიც შენიშნა ნიანიამ: მაძაგებელთ ლანძღვის შინაარსი არ ესმოდათ, მხოლოდ ყვირილითა და თვალების ბრიალით ამცნობდნენ გულისწყრომას ერთმანეთს.

აგრე ივარაუდა ნიანიამ: რაკი მოჩხუბარნი ძაგებით ვერ იოხებდნენ გულს, კრივზე გადავლენო უთუოდ.

ნიანიას უყვარდა ქუჩის ალიაქოთის და ჩხუბის თვალყურის დევნება, მაგრამ მოერიდა: კიდევ არ გამხვიონო რაიმე ალიაქოთში. ღვინის სმა მიატოვა, გარედ გამოვიდა და გულდარდიანი მიჰყვა წ. ვიტალის ეკლესიისაკენ მიმავალ ქუჩას.

ბინდდებოდა, აურაცხელი ბრბო მიელაშლაშებდა ქუჩაზე. მთვრალი ჯვაროსნები ეყარნენ სახლების ბოძებ-ებთან. ჯვაროსნები [illegible] შეტბორებულ ბრბოში. მათ მიმძლავრებისგან დაშინებულნი ქალები არსად ჩაჩანებდნენ.

ერთბაშად ეტლის ხმაური შემოესმა ნიანიას, მან უკან მოიხედა. მოოქროვილ ფაეტონში იჯდა დედოფალი მარიამ, ეზოს მოძღვრის ცინცილუკის მელოტმა თავმაც გაიელვა.

ნიანიამ თვალი შეასწრო: გნოლისფერი მანდილით სახე შებურვილი ჰქონდა მარიამს. სულ ახლოს ჩაუარა ფაეტონმა ნიანიას, მაგრამ არც დედოფალსა და არც ცინცილუკს იგი არ შეუნიშნავთ.

უცნაურმა თრთოლვამ აიტანა ნიანია ბაკურიანი, ნაბიჯს აუჩქარა და როცა ეტლმა გაასწრო, გულში ყმაწვილურმა ფიქრმა გაუელვა: სირბილით გაჰკიდებოდა ეტლს, მაგრამ ისევ მოვიდა გონს და ეუხერხულა ხმლიან თოროსანს, თუნდაც უცხო ქალაქში სირბილით გავლა ქუჩისა.

გამალებული მიდიოდა ნიანია, თვალს არ აშორებდა ელვარე ეტლს. ფიქრობდა თანაც: „თუ მხარმარცხნით გადაუხვია ფაეტონმა, სასახლეში მიდის ალბათ დედოფალი, თუ პირდაპირ წავიდა—მაშინ წ. ვიტალის ეკლესიაში უთუოდ“.

უკვე დაბორიალებდა ქუჩებში ჭალიანი, კოჭლი მეფარე, კიბეს ადგამდა ფარეებს და ანთებდა.

ქუჩის ბოლოში, წ. ვიტალის ტაძრის მოედანზე დიდძალი ხალხი ირეოდა. ამიტომაც შეანელა მარიამის ეტლმა სრბოლა, ნაბიჯს უჩქარა ნიანიამ.

მოედანზე სხვა ფაეტონიც იდგა მრავალი. კესაროსებისა, ლოგოთეტებისა და კუროპალატებისა.

ეზოსმოძღვარმა ცინცილუკმა ფაეტონიდან გადმოიყვანა დედოფალი. მხოლოდ ახლა შენიშნა ნიანიამ, კუროპალატისა მელიტაც შიგ მჯდარიყო.

---

[1] ფ ე რ ა რ ა — იტალიის ქალაქია. შუასაუკუნეებში მანდ აწრთობდნენ საუკეთესო ხმლებს.

ნიანია შესდგა და როცა სამივენი ისრის მისაწვდელზე დაშორდნენ ფაეტონს, ისევ აუჩქარა ნაბიჯს.

გული უძგერდა ისედაც ჩქარი სვლისგან გათოშილ ჭაბუკს.

წამოსწეოდა?

ხომ შესაძლო იყო ეს კადნიერებაში ჩამოერთმია დედოფალს.

აჩქარებული ნაბიჯით წინ გაესწრო?

არც ეგ ივარგებდა.

— მხნეობამაც უღალატა. იოგები მოეშვა და შეურიგდა იმ აზრს, რომ ხვალ დილით პეტრიწონს წასულიყო და თავის საქმეს რა მოათავებდა, მარიამ დედოფლის უნახავად გაბრუნებულიყო შინ.

შერცხვა, ასეთმა ყმაწვილურმა ჟინმა რომ წამოუარა და ამის შემცნობი, მოდუნებული ნაბიჯით მიჰყვა წინ მიმავალთ უკან.

დედოფალი ეუბნებოდა ცინცილუკს:

„შენ აგრე ამბრბდი წეღან, ქართველნი მღვდელმთავარნი გაემგზავრენო ტრაპეზუნდს“.

„დიახ, აგრე მოგახსენე, ავგუსტა, კეთილი ქარი მოახელეს შემთხვევით მათ“.

„ნუთუ გამოუთხოვრად წავიდნენ სტუმრები“?

„გასულ კვირეს სამგზის გახლდნენ მღვდელმთავარნი, მაგრამ შენ ქრისტეპოლში ბრძანდებოდი, ავგუსტა“.

„ის ჭაბუკი რად არ აწვიე სასახლეში, გრიგოლ ბაკურიანის ვაჟი?“

„თითქმის ყოველდღე დავდიოდი იოანესეულ სასახლეში, ავგუსტა, მაგრამ ერთხელაც შინ არ დამხვედრია იგი“.

„წიგნი რად არ მისწერე მერმე?“

„შენ არ გიბრძანებია, ავგუსტა“.

„ამას უბრალო მიხვედრა უნდოდა მხოლოდ?

აბა როგორ იქნება ასეთი გულცივობა, ჩემი ძმისწულის, დავით მეფის სარდალი, მარტოხელა მიტოვებულია იავარქმნილ სასახლეში, უკატრონო თუთიყუშის შემყურე. ერეკლეანული

სხვა არ იყოს რა პირველ-ჩვენ ჩამოგვერთმევა ეგ.

მსახურნი და სანოვაგე თუ გაუგზავნე მაინც?“

„ორი მსახური წარვგზავნე როგორც მიბრძანე, ერთი მზარეული და ერთიც მესაწოლე, როგორც მიბრძანებდი ავგუსტა, სურსათს სასახლის სამზარეულოდან იღებდა მზარეული“.

მცირე ხანს მდუმარედ მიდიოდნენ სამივე. მათი ნაბიჯების ჩქამი ღა ესმოდა ნიანიას. მერმე ისევ ცინცილუკს მიმართა მარიამმა:

„ნუთუ ჩემს აქ არ ყოფნის დროს, ერთხელაც არ მოსულა სასახლეში ის ჭაბუკი?“

„ერთხელაც არ გხლებიათ ავგუსტა“.

მერმე კუროპალატისას მიუბრუნდა დედოფალი, მელიტას:

„შენ გიამბეს რა მოსვლია ნიანია ბაკურიანს?“

„როგორ არა, სამი ჯვაროსანი გაუბერტყია ბაკურიანს ფრანკთაგანნი. აგრე მოუხდება მათ, მთელი კონსტანტინოპოლი თავზე წამოიცვეს მაგ აბეზართა. ყივჩაღებიც არ იკადრებენ იმას, რასაც იგინი ჩადიან ჩვენს ქალაქში. გუშაგმა კუროპალატის ევსტატიუსის ქვრივს თავს დასხმიან შებინდებისას ქუჩაში“.

ისევ დადუმდნენ სამივენი და ვიდრე ტაძრის პორტიკების მახლობლად დაჯორგილი მათხოვრები წამოცვივდებოდნენ და დედოფალს მიესეოდნენ, მარიამმა ამის თქმა მოასწრო:

„ხვალვე აწვიე სასახლეში, დავით მეფის სარდალი“.

„ყურადვიღე ავგუსტა“.

დაუმოწმა ცინცილუკმა.

*
* *

ნიანია ბაკურიანს ჯერ კიდევ ნებიერად ეძინა, როცა იოანესეულ სასახ-

ლეში მივიდა დავით მეფის სარწმუნო კაცი კონსტანტინეპოლში, ორავეანდაისძე გიორგი და ჭყონდიდელის მიერ გამოგზავნილი წიგნი გადასცა.

გიორგობას ჯავახეთში უნდა გაიმართოს დიდი აღლუმი და დაუყოვნებლივ გიხმობსო პატრონი.

ერთი საათიც არ გასულა და სასახლის წინ შესდგა მარიამ დედოფლის ფაეტონი და ეზოსმოძღვარი ციხცილუკი ძირს ჩამოვიდა.

შემოეთვალა მარიამ დედოფალს: წამობრძანდიო ქრისტოპოლს.

ნიანია ბაკურიანს კონსტანტინოპოლში ჩამოსვლის პირველსავე დღეებში ეპატიჟებოდა მარიამი ქრისტოპოლში, თავის მამულში, მაგრამ შეთქმულთა გასამართლებისა და ზედმოყოლებულმა უსიამო ამბებმა ჩაუფუშა ეს განზრახვა დედოფალს.

ნიანიას იმედი ჰქონდა: ქრისტოპოლში, ბუნების წიაღში, საჭირო არ იქნებოდა მანგანის სასახლეში ჩვეული ცერემონიები. ვინ იცის, ეგებ გამიღიმოს ბედმა და მეღირსოსო ამალის დაუსწრებლად მარიამთან გასაუბრება.

*
* *

თავდაპირველად აგრე ეწადდა დედოფალს: ამალა ეტლებით წამოსულიყო. თავათ ნიანია ბაკურიანი, ეზოსმოძღვარი ციხცილუკ, მეჯინიბეთუხუცესი ნიკიტა და ორი მეჯინიბე ხლებოდნენ ცხენდაცხენ.

ეტლებში მოთავსდებოდნენ სამი მონაზონი, პროტოდიაკონი ევგრაფი, სებასტოსის ნიკიფორეს ქვრივი ამფისა, ორი ეპისკოპოსი და ერთი მედავითნე და მზარეულთუხუცესი.

კუროპალატისსა მელიტამ აიჩემა:

მეც ცხენით უნდა წამოვიდეო.

ნიანიას გუნებაში სწყინდა მისი ახირება. შიშობდა: ვაჲ, თუ დართოს დედოფალმა ცხენით წამოსვლის ნება კუროპალატისსას, მელიტა უთუოდ წამაშხამებსო ამ სასიამოვნო მგზავრობას.

თავდაპირველად უარზე იდგა დედოფალი, ბოლოს ისე საწყალობელად ეაჯა მელიტა მას, თანხმობა გამოსძალა. ახლა ამფისასაც მოუნდა ცხენით წამოსვლა, სებასტოსის ცოლყოფილს.

ორმა მეჯინიბემ თავლებიდან გამოიყვანეს დამწვარი ვერცხლისფერი არაბული ცხენი. ნიანიას თვალში მოხვდა ბაგრატოვანთა დალი: ქრისტეს ჯვართის გარშემო ურთიერთთან შეტოტეებული ორი ლომი და ვადაჯვარიანი ხმალი.

მეჯინიბენი ძლივს აკავებდნენ ნასუქალ ულაყს. იგი მოუთმენლად ცახცახებდა და ღეჭავდა ლაგამს.

მარიამმა ღიმილით ჰკითხა ნიანიას:

„როგორ მოგწონს ჩემი ცხენი, ჭაბუკო?“

„ცხენი ჩინებულია, მაგრამ ვშიშობ არაფერი მოგწიოს, ავგუსტა“.

„ვნახოთ“.

მიუგო მარიამმა, შაქარლამა აჭამა ცხენს და თხემის რქებზე დაუწყო ალერსი.

ნიანია შორიახლოს იდგა და სტკბებოდა შემცნობი იმისა, თუ როგორ შვენოდა ორი სრულყოფილი ჯიშის ნაშიერნი ურთიერთს.

„ეგ ცხენი მომიძღვნა მარიამობის დღეს ჩემმა ძმამ გიორგიმ, ამ სამოდე წლის წინად. აგრე ამბობდა თავათ: სულკურთხეული მამიჩემისეული ქუჯაის ნამატიაო.

თხის რძითა მყავს გაზრდილი. ამიტომაც არ ოფლიანდება იგი. გოდფრუა დე ბუჲონმა დაადგა ჩემს ჰექტორს თვალი. საფრანგეთის მეფის გვირგვინად ჰლირსო ეგ ცხენი. აგრე ამბობდა გრაფი.

ქუჯაის გამო შენაც გსმენია ალბათ, იემენიდან ჩამოუყვანია იგი ბაგრატ მეფის მეჯინიბეს თურმე.

ვერცხლის უნაგირი შეადგა მისრატულმა ჰექტორს, საძუენი და სამკერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენიც ვერცხლისანი გაუკეთეს, ნიშაბურის მარგალიტებით მოოჭვილნი. დიდდიდნი აქატის თვალნი ჰქონდა დატანებული ავშარას.

შავი დამასტის ყაბაჩა ეცვა დედოფალს, ოქრომკედული ბუზმენტებით შესაბნევი: როცა მარიამი უნაგირს ზედ მოექცა, იგი იმეროსს 'მიაგავდა პეგასზე აღმხედრებულს.

შიხნის ულაყებზე შესხდნენ ნიანია ბაკურიანი და მეჯინიბეთუხუცესი ნიკიტა, თავდაპირველად ვერც ერთმა ნაბიჯი ვერ გაუსწორა ჰექტორს. დედოფლის მხლებელი დიაკვნები თავიდანვე ჩამორჩნენ.

კუროპალატისსა მელიტას გულით ეწადა ბაკურიანის გვერდით სვლა, მაგრამ მელიტას ისეთი კისერუდრეკელი ცხენი შეხვდა, მხედარი ვერ აოკებდა ცხენს. ხან თოქალთო მისცურავდა უკან, ხან ავეანდების დაგრძელებას ითხოვდა, ხან მათრახი უვარდებოდა შემკრთალ დიაცს ხელიდან.

ასე რომ მეჯინიბეთუხუცესი წარამარა უკან ბრუნდებოდა მისდა საშველად. ნიანია ბაკურიანი მოსარიდალ მანძილზე მიჰყვებოდა დედოფლის ცხენს უკან.

გაიარეს თავადი ციხის მთავარი კარიბჭე და დაიწყო კონსტანტინოპოლის შემოგარენი. ქალაქთან მისასვლელი გზები და შარები ჯერაც სავსე იყო ჩამორჩენილ ჯვაროსანთა ბრბოებით.

მოდიოდნენ ცხენოსანნი და უცხენო რაინდები, ხუცები, მონაზნები, დიაცებით დატვირთული დილიჟანები, ეტლები და ორბორბალები, ცხენებშებმული ურმები, ხანაც ვირებზე გადამჯდარი ხელშუბიანი თოროსნები, უპოვარნი და გლახაკნი.

ჰექტორიც ოდნავ ეურჩებოდა პატრონს, იგი საოცარის სისწრაფით მიგელავდა დაუცხრომელი ოთხახმით წასული.

ნიანიას შეეშინდა ვინმემ არ შეურაცხყოსო დედოფალი, ცხენი გააჩერა და წამოეწია ჰექტორს.

ოდნავ შემცირდა მოძრაობა კონსტანტინოპოლ-ქრისტოპოლის თემშარაზე, გამოჩნდნენ დაფნით შემოსილი პაწია გორმახები და გორაკები, ალვების ქვადრატებში კუბოკრულად განრიგებული ვენახები, ბაღები და ბოსტნები.

ელამუნებოდა ნასამხრალი მზე მზვარეში ქარვადქცეულ მტევნებს. შარიშურობდა ცხენების ფლოქვებს ქვეშ ყვითელი ფოთლების ფარჩა.

ნიანიამ ზღვისკენ გაიხედა და აგრე უთხრა დედოფალს:

„როგორ მიაგავს ეს სანახები საქართველოს ბუნებას“!

„მართლაც და... მიუგო მარიამმა. როცა აქ გავიელი, აგრე მგონია ჩემს სამშობლოში ვარ მეთქი. ამიტომაც არიდეს მომწყინდება ამ მიდამოში მგზავრობა“.

მცირე ხანს სდუმდნენ ორივენი და მერმე დედოფალმა სთქვა:

„აბა, თუ იტყვი, ნიანია, სახელდობრ რომელ მხარეს, გაგონებს შენ ეგ?“

„ანაკოფიის ციხის მახლობლად ხეობაა ერთი, სახელი მისი არ მახსოვს ახლა. იქ არის სწორედ ასეთი დაფნიანი გორაკები. ისეთი საყვარელი და ამო, გენატრება ხელი გადაუსვა ზედ“.

მერმე მხარმარჯვნით გაიშვირა ნიანია ბაკურიანმა მათრახი და ამბობს:

„ეს ვენახები და ალვები, გეგუთის მახლობელ მზვრებს მომაგონებენ. ასევე კუბოკრულად განლაგებული ვენახებია მანდაც“.

„ეგერ ხომ ხედავ ზედ ზღვის კიდემდის მიღწეულ ცხვირს მთისას, ჩრდილოეთიდან თვალი გამოაყოლე მის ზურგს.

განა ზედმიწევნით არა ჰგავს ხორთუმგაწვიდილ სპილოს თავს, სწორედ ასეთი ცხვირია მთისა, აგრევე შეჭრილი ზღვაში, აბა გამოიცანი, სად?“

იკითხა თვალებგაბრწყინვებულმა დედოფალმა და ამ წუთში ნიანიამ შენიშნა: ცხენით ქროლვისაგან ლოყები შეფაკვლოდა მას და ახლად შეღებულ ქალწულს მიმზგავსებოდა.

„ვერ მომიგონია“, სთქვა ნიანიამ, რადგან მას ამ წუთში მარიამის ღაწვებზე წაკიდებული სიწითლის ალმური უფრო ხიბლავდა, ვიდრე ბუნების მიერი ანალოგოსის გამორკვევა.

„სწორედ ასეთი, ზედმიწევნით ასეთი მთის ცხვირი ჩადის ზღვაში, ბიჭვინთის მახლობლად, მანდ ციხეა ერთი, რომელიღაც აფხაზ ერისთავისა, იმ ციხის ზემოდ“...

ნიანიამ უკან მიიხედა, შავ ლაქებად მოსჩანდა ორივე ეტლი. კუროპალატისსა მელიტა და სებასტოსის ცოლყოფილი ამფისსა მეჯინიბეთუხუცესს წამოსწეოდნენ, ძლივს მოლოღაედნენ ისინი ველზე.

ნიანია ბაკურიანი ბედნიერი იყო დედოფალთან განმარტოებით და ეს მოხდა პირველად და სავსებით მოულოდნელად ამდენი ნატვრისა და წუხილის შემდეგ.

მისი სიტურფისაგან აღძრული აღტაცების სიტყვები სადღაც ხორხის არეში გროვდებოდნენ, მაგრამ ვაჟკაცური თმენისა და მოკრძალებული თავშეკავების გრძნობა ახშობდა მათ.

„ხომ მშვენიერია ეგ თეთრი, მთლად თეთრი კრაველები ზღვის კიდემდის მოსულნი, ვერცხლის ბურბუშელებსავით რომ ელამუნებიან იმ ნაპირებს, ეს დაფნით შემკული ლურჯი გორმახები, ჩვენებური ლომა კამეჩების ქედებს რომ მოგვაგონებენ, ეს საყვარელი მტევნები გამოხურვებულ ოქროსებრ ელვარე“.

ნიანიამ ცხენს სადავე დაუმოკლა და უთხრა დედოფალს:

„ეგ ყველაფერი ზეაღმტაცია ავგუსტა, მაგრამ ჩემს თვალში შენ ამშვენებ ამ ცას, ამ ზღვას, ამ ქედებსა და ამ ვენახებს და...“

აქ ნიანიას ენა დაუბრკოლდა მოელვარებისგან.

მომღიმარე დედოფალმა ასეთი შეაგება: „შენ ალბათ თურქებმა შეგასწავლეს არა გულწრფელი ხოტბის აღვლენა ნიანია“.

„სავსებით გულწრფელად მოგახსენებ ჩემს ცხოვრებასაც შენ ამშვენებ, ავგუსტა“.

დედოფალი აიმღვრა და ყვრიმალამდის გაწითლდა.

„რაო? მე პირველად მესმის ასეთი რამ ნიანია“.

ესა სთქვა და ცხენს აუჩქარა მარიამმა.

ნიანიამაც დასძრა ცხენი და მიაძახა:

„ვისგან?“

„შენგან.“

„ეს არ შეგტყობია დღემდის“.

„როგორ?“

„როგორა და რაც კონსტანტინოპოლში ჩამოხვედი ერთხელაც არ მოგინდომებია ჩემსას შემოვლაც“.

„თავათ განსაჯე ბასილისსა, მე ხომ ყმაწვილი არა ვარ, მიუწვევლად რომ გხლებოდი?“

„ხომ მოგეხსენება ქართული ანდაზა: თუ გული გულობს... გარდა ამისა, ეზოსმოძღვარი ცინცილუკ თითქმის ყოველდღე მიდიოდა იოანესეულ სასახლეში შენდა საწვევად, მაგრამ შენ ერთხელაც შინ არ დახვედრიხარ“.

მერმე გაიცინა, თავისი შეუდარებელი კისკისით:

„ვგონებ შენ და კუროპალატისსა მელიტა, სათაფლიას ამბებს განაგრძობდით“...

ნიანიას ყვრიმალები გაუწითლდა.

ეს შეამჩნია მარიამმა.

„შენმა მზემ, ავგუსტა, კუროპალატისსა მელიტა, წრეულს არსად მინახავს მანგანის სასახლის გარეშე. გულწრფელად მოგახსენებთ, მე ღვინისმოყვარული არაოდეს ვყოფილვარ, მაგრამ შენ სიახლოეს ყოფნამ და მაინც შორს დარჩენამ ისე გამახელა და ამავ-

ცო დარდით, ღვინის სმას მივყავ ხელი, უბირ მეზღვაურებთან და ხელოსნებთან ვლოთობდი“.

„ეს მაშინ სცემე იმ ფრანკ რაინდებს?“

შეეკითხა ღიმილით დედოფალი.

ნიანია გაოცდა: როგორ შეიტყოვო ეს დედოფალმა, მშრალად სთქვა: დიახ და დასდუმდა.

ორივეს ცხენები ნაბიჯშეწყობილნი მიდიოდნენ, მხოლოდ ფლოქვების ტკაპუნი ესმოდათ ზემჯდომებს.

ახლა მარიამმა დაარღვია დუმილი:

„კიდევ რა შეგემთხვა ამ დღეებში მიამბე, მე მიყვარს შენი საუბრის მოსმენა ნიანია“.

ვაჟმა არ უპასუხა, მხოლოდ მზერა შეავლო მის მშვენიერ სახეს. გულთმისანმა ქალმა შენიშნა ბედნიერების გრძნობით აღვსილ ვაჟს სიტყვები აღარ ყოფნიდა უკვე. ნიანიას მუზარადი მოეხადა ცხენზე ჯდომისგან შეხურვებულს და მარჯვენაში ეჭირა. მარიამმა მზერა ესროლა მის კულულებს და ღიმილით უთხრა:

„დაბერებულხარ გეთაყვანე, მხცით გემოსება თავი“.

ნიანიას ეს უნდოდა ეთქვა: ეს ჭაღარა იმ დღეებში გამერია, როცა შეთქმულებს ასამართლებდა კეისარი ალექსი. ერთბაშად შეიკავა თავი და მხოლოდ ეს უთხრა დედოფალს:

„მე ძლიერ ვღელავდი როცა გასამართლებას გიპირებდა ალექსი კეისარი, ავგუსტა“.

მარიამს იამა ამის მოსმენა, კირიონ შანგლელმა წვრილად უამბო თუ რამდენს ეცადა იგი, ნიანიას დასაკეტლად, მაგრამ მაინც ყასიდად უთხრა ვაჟს:

„შენ რას ღელავდი გეთაყვანე მაინც? მე ხომ ჩემი სინიდისის წინაშე გულმართალი ვიყავი. თუ კეისარი მომაკვდინებდა, განგების ნებით შეამოკლებდა იგი სულის ჩემის სალმობათა მხოლოდ და მხოლოდ“.

მე აგრე მგონია მშვიდად, და უდვრტვინელად შევეგებებოდი სიკვდილს. მე ამის მონატრებული ვარ: გეთაყვანე ყოველთვის. უმთავრესი ეგაა, ჩემი ვაჟი კონსტანტინე უვნებელი რომ გადამირჩა“.

ესა სთქვა მარიამმა. გნოლისფერი მანდილის გასწორება მოიწადინა. ხელიდან გაუცურდა აბრეშუმის მანდილი და ძირს ჩამოვარდა იგი.

ნიანია ცხენიდან ჩამოხტა, მანდილის ასაღებად.

რაკი დაქვეითდი, ბარემაც ავეანდები დამიგრძელეო.

როცა ნიანია ავეანდებს აგრძელებდა, ჭაბუკმა თვალი მოჰკრა საწმერთულს ქვეშ უეცარ გაელვებას მარმარისებრ ხორცისას, კოცნა მოუნდომა შიშველ ფეხის წვივზე ღვთივმშვენიერ არსებას, მაგრამ ქალი მიუხვდა წადილს, გაწითლდა, აიმღვრა.

ხელიდან გააგდო ნიანიას ცხენის სადავე და დასძრა ცხენი.

მაჯაგანით დაიჭირა ბაკურიანმა თავისი ცხენი, შეჯდა და ისევ დედოფლის გვერდით წაიყვანა იგი ნელის ნაბიჯით.

კვალად სდუმდა ბაკურიანი და დედოფალმა ეს უთხრა:

„კიდევ რა გინდოდა გეამბნა ჩემთვის. რად დადუმდი, ხმა გაიღე ნიანია“

„ვიმეორებ, ჩემს ცხოვრებას შენ ამშვენებ მეთქი. ავგუსტა ჩემს ტყვეობაში შენთვის ფიქრი იყო ერთადერთი სიხარული. ეგვიპტეში ბამბუკის ტყეებს გვაჩეხინებდა ნაყიდ მონებს ერთი მანდატური ამირა.

ბამბუკის ტევრი ისეთი უსიერი იყო და სწორად გაზრდილ ბამბუკის ძებნაში ისე ღრმად შევდიოდით, უკან გზის გაკვლევა გვიჭირდა. ამოვჭრიდი ხოლმე შენს ძვირფასს სახელს ბამბუკის ტანზე და აგრე ვბრუნდებოდი ჩვენს კარავში.

და ახლაც აგრე მგონია ავგუსტა, აგრე იქნება მეთქი ჩემს აწინდელ ცხოვრებაშ, მაგრამ ვაჲ, რომ მეოცნებება ეს ყოველივე მხოლოდ.

სად შენ, უმშვენიერესი მანდილოსანთა შორის, მართლაც უბედნიერესი ბასილისსა, როგორც მართებულად გითხრა ვალახელმა გოგონამ იმ დღეს, და სად მე უცხოვნო ქართველი აზნაური“.

მარიამმა კიდევ გაიცინა თავისი შეუდარებელი კისკისით:

„ჰეშმარიტად, გრძნობათა გამხელაში მოჭარბებაც თურქებისგან გისწავლია ნიანია“.

ნიანიამ ცხენი დასძრა, სულ ახლოს მიეჭრა დედოფალს, გონებაარეული წაეპოტინა მარიამის იმ მკლავს, რომელშიაც მას მათრახი ეჭირა.

ქალმა დანდობილად ხელი გამოსტაცა ვაჟკაცს, მათრახი სწყვიტა ცხენს. საშინელის სისწრაფით გაჭენდა ჰექტორი.

თავდაპირველად შიშმა შეიპყრო ნიანია: ვაჲ თუ დააშავოსო ნასუქალმა ულაყმა დედოფალი, მაგრამ დიაცის მიერ დაჯაბნება ითაკილა რაინდმა, დეზი ჰკრა თავის ყორნისფერ ცხენს...

გაუჭირდა შიხნის ცხენს არაბულის მიწევნა, კარგა მანძილი ისე განვლეს, ისრის მისაწვდენზე მიგელავდა ჰექტორი წინ.

ნიანია ხედავდა თუ როგორ შვენოდა ტანკენარ დედოფალს ზედ-ჯდომა, იგი შესხეულებულივით მორგებოდა ცხენს და ამ სრბოლაში, დამწვარი ვერცხლისფერისა, მოშავოსი და მოთეთროს შერწყმა უმშვენიერესს ფერთა ჰარმონიას ჰქმნიდა.

ნიანია იშვიათად თუ აკადრებდა კარგ ცხენს მათრახს, მაგრამ რა შენიშნა, მისი ცხენი დაიჯაბნა ჰექტორმა, ზედიზედ სწყვიტა მათრახი ყორნისფერს და ჯეირნის ნახტომის სიგრძეზე წამოეწია ჰექტორს.

იძალა ჰექტორმა კვლავ, უკან მომავალი თვისტომის თქარათქური რა შეიცნო, თავისი ქარგაშლილი მკერდი მიუშვირა ჭენებისაგან წარმომდგარ ქროლვას.

ტურკოპულებს ორბორბალები მოჰქონდათ თემშარაზე. მათ-მოაწყეს დედოფლის ცხენის დანახვაზე გზა და-ცლა, მაგრამ ვიდრემდის ნიანია მიაწვრებდა მანდვე, ისევ აირიენ ტურკოპულების ორბორბალები და გააკავეს გზა.

კვლავ დატუქსა ნიანიამ თავისი ულაყი და ახლა ცხენის თავკისერის სიგრძეზე მიეახლა თავის მეტოქეს. უახლოვდებოდნენ რომელიღაც ხევს, ზედ ბოგირი იყო ისეთი ვიწრო, ორი ცხენოსანი მაჯაგანით გაეტეოდა.

ამის წინასწარ შემცნობმა ნიანიამ მხარმარცხნით დასწია თავისი ცხენი, უზარმაზარ კბოდესთან აღმართულ ლობესა და თავათ ხევს ზედ გადაევლო ცხენიანად, კიდევ ორიოდე დაფახულება თვალისა და ჰექტორის გავასთან მიაგდო თავისი ცხენი. უგანა მეტოქეს ჰექტორმა, ნიანია უნაგირიდან გადაწვა და ყვრიმალში აკოცა დედოფალს.

მარიამს სიწითლე მთელ სახეზე მოეკიდა. ცხენი შეაყენა და ღიმილით სთქვა:

„გამოტყდი, ცხენოსნობაში დაგიჯაბნე ნიანია“.

მერმე ორივე ცხენოსანი ნელი ნაბიჯით შეუდგა დაწყებულ შელბართს. დედოფალმა მკლავი მიანება რაინდს. ნიანიამ მათრახი მოხსნა მაჯიდან და სამჯერ ზედიზედ ემთხვია ხელზე, მერმე მოიზიდა მარცხენა მკლავი და შეფაკლულ ყვრიმალზე აკოცა დედოფალს.

მარიამი მცირე ხანს სდუმდა, ბოლოს ხმადაბლა უთხრა ნიანიას:

„ეზოსმოძღვარი ცინცილუკ მიამბობდა. წიგნი მოგსვლია გიორგი ჭყონდიდელისგან“.

„დიახ, გიორგობისთვის მიბარებს პატრონი“.

წყენის ჩრდილმა გადაურბინა სახეზე ქალს და სთქვა:

„მე სულ მარტო ვრჩები ნიანია. იოანე მოკვდა, რუსუდანი და ათანასე

იერუსალიმს გაემგზავრნენ და აღარასოდეს მობრუნდებიან. ჩემი ვაჟი კონსტანტინე სადაცაა ცოლს შეირთავს, ჰუნგრეთის მეფის, კოლომანის ქალს ურიგებენ მას. შენ მიდიხარ და მე სულ მარტოკა ვრჩები ნიანია".

ნიანიამ მზერა გაუმართა დედოფალს. ქალს უცნაურად შეცვლოდა აგრე ანაზდად სახე. ბოლოს დედოფალმა სთქვა:

„თუ გინდა, მე მივწერ ჩემს ძმისწულს. ერთი წელიც დაჰყავი კონსტანტინოპოლში. რა საშურო საქმეები ექნება დავით მეფეს, თურქებს ახლა საქართველოსთან ომის თავი აღარ აქვთ. მე მივწერ თუ გინდა აა?"

ნიანია არამც და არამც არ მოელოდა ამის გაგონებას.

„მე ძლიერ მიმძიმს იმ ადგილიდან წასვლა, სადაც შენ მეგულები, ავგუსტა, მაგრამ გარდა იმისა, რომ თქვენი ძმისწული ჩვენი მეფეა და ჩემი პატრონი, მე მასთან ერთად ფიცვერცხლი მაქვს ნაჭამი და ეგეც მბორკავს".

„როგორ თუ ფიცვერცხლი? ფხოველნი ხომ არა ხართ".

იკითხა გაოცებულმა ქალმა.

„კონსტანტინოპოლში წამოსვლის კვირაძალში მეფემ იხმო ლიპარიტის უბანში ბეშქენ ჯაყელი, შერგილ ლიპარტიანი, გიორგი ჭყონდიდელი, ქაეთარ ბარამისძე, მუხათგვერდის ციხისთავი ფარჯანიანი, 'არგვეთისა და მარგვეთის ერისთავნი: ხურცისძე და ბუკაისძე, გლეხნი: გაბრიელ ხორგაი და სამივე ვაჟნი მისნი: გოდერძი, როსტოი და გოგილოი; ყველა ესენი დაესწრნენ იმ ნადიმს, რომელიც ჩემი და ჯონდი ერისთავის წამოსვლის წინა ღამეს გაგვიმართა პატრონმა.

ნადიმი ადრე მოთავდა, რადგან თავათ მეფემ არ ინება იმ ღამეს სმა. ნაშუალამევს სავსებით იდუმალად და ყველასთვის მოულოდნელად, მახარამ და ქარიმან სეტიელმა გაგვაღვიძეს.

მთვარიან ღამეს წინ გაგვიძღვა პატრონი და ლიპარიტის სასახლის მახლობლად ცაცხვიანში [illegible] ათასწლოვან ცაცხვის ქვეშ სახარება დაასვენა მახარამ, ზედ ჯვარი დასდო, ქარიმან სეტიელმა ფიცვერცხლი ჩასთალა ღვინით სავსე ყანწში.

პატრონმა გვიბრძანა: ხმლები ჩაგვერჭო სახარების გარშემო მიწაში. მერმე ჩადგა ჩვენს შორის, თავათაც ამოიღო მახვილი და ჩაგო მიწაში. ყანწი ხელში აიღო და სთქვა:

„შემომფიცეთ რომ ყველანი უკანასკნელ სუნთქვამდის დიდ საქართველოს შესაქმნელად იბრძოლებთ. შეწევნითა დამბადებელისათა ვიყვეთ არავისა ღა არავის ვმსახუროთ თვინიერ ღვთისა".

ვფიცავართო, მოვახსენეთ და ვემთხვიეთ ქრისტეს ჯვარს.

„შემომფიცეთ, რომ ჩემს ნაბრძანს უქცეველად აღასრულებთ. შინ იქნებით თუ გარეე, მთაში, ველად, თუ ბარად".

ვფიცავართო, მოვახსენეთ, სახარებას ვემთხვიეთ.

„დასთმოთ და დაუტევოთ, როცა მე მოგიწოდებთ, მშობელი თუ მიჯნური, ცოლიცა და შვილიცა, უდიდესი ტრფიალი, უდრტვინელი ცხოვრებაც".

ვფიცავართო, მოვახსენეთ, ყველამ შევსვით ფიცვერცხლი.

„წინ ზღვა გედვათ მღელვარე, თუნდაც მთა გარდუვალი, ტევრი უკაცრიელი, გინდ უდაბნო ურწყული, რა მოგესმათ გიხმობდეთ, მოერთვებით ჩემს ლაშქარს და ხმალს გააალმასებთ".

ვფიცავართ შევბღავლეთ და ვიშიშვლეთ ხმლები".

მარიამ დედოფალი შესძრა ჭაბუკურ გულიდან ამომსქდარმა მდუღარებამ ამგვარმა. ნაძალადევად გაუღიმა ნიანიას:

„შმაგია ჩემი ძმისწული და როგორც გატყობ შენაც შმაგი ხარ, ჩემო ნიანია. მე ყოველგვარ სიკეთეს ვუსურვებ რა თქმა უნდა დავით მეფესა და მის სპასალარებს, მაგრამ ხომ გაი-

გე რა აუწყეს ალექსი კეისარს ორი დღის წინ?“

რაო?

შეეკითხა ნიანია ბაკურიანი.

„ქილირჯ არსლანმა საბტიკად დაამარცხა ნიკეასთან პიერ დ'ამიენის ლაშქარი. ნუ დაგავიწყდება, სამოც ათასზე მეტი ფრანკი და ნიემიცის[1] ებრძოდა თურმე ქსერიგორდონთან თურქებს.

მე მგონია, ჩემი ძმა გიორგი ერთ რამეში მართალია: რა უნდა დააკლოს აგარიანთა აურაცხელ ლაშქარს ჭაბუკი დავით მეფის სპამ? ღმერთმა ინებოს, თქვენ გაგემარჯვნოთ შმაგნო.

მე აგრე მგონია, თუნდაც ერთ წელსაც რომ დარჩე კონსტანტინოპოლში, ამით არაფერი დაშავდებოდა. შენ რას იტყოდი, ნიანია, აა?“.

„ხომ მოგახსენე, ფიცით ვარ მეთქი ხელშეკრული, ავგუსტა. სთქვა ნიანიამ და დადუმდა.

მარიამ დედოფალი არ მოელოდა ამის გაგონებას. მღელვარებისაგან ხმა გაებზარა.

„ოღონდ მოიცადე და სიტყვას გაძლევ გამოზაფხულზე მეც თან წამოგყვები“.

ნიანია ბაკურიანი გაფითრდა.

როგორი დიდი ბედნიერება ეცლებოდა ხელიდან!

ბრაზი წაეკიდა დედოფალს. უცნაურად აიმღვრა და ესა სთქვა:

„მაშ აგრე? წადი მალე წადი ნიანია აქედან. რადგან შენი სიახლოე...“ საოქმელი არ დაათავა მარიამმა და ცხენს მათრახი მოუტლაშუნა, რათა ქუთუთოებზე მიმდგარი ცრემლები არ შეემჩნია ჭაბუკს.

*

* *

ქრისტოპოლიდან კონსტანტინოპოლს გამობრუნდნენ თუ არა, გაფუჭდა ამიდი. ღელავდა პონტოს ევქსინოს, არსად სჩანდა კეთილი ქარი.

კვლავ ეაჯა დედოფალი თავის სტუმარს:

„კიდევ ერთი მზგეფსი[1] მოიცადე გეთაყვანე, ამიდი გამოკეთდება, ზურგის ქარს მოუცადე. შენც კეთილად იმგზავრებ და მეც გულდამშვიდებულს დამტოვებ“.

გაჯიქდა ნიანია ბაკურიანი.

ყოველდღე მანგანის სასახლეში იწვევდნენ სადილად, მაგრამ დარდისაგან ისე გაოგნებული იყო, საჭმელს არ აკარებდა პირს. დილიდანვე ზღვას უთვალთვალებდა, ზღვასა და ქარს. თავათაც ხედავდა ჩვეულებრივი სავაჭრო ხელანდით შეუძლებელი იქნებოდა ხუფსას გამგზავრება.

ბობოქრობდა დაუოკებელი შავი ზღვა.

ბოლოს კეისარს ეახლა მარიამ დედოფალი.

იმპერატორის ბრძანებისამებრ ბიზანტიური ფლოტის დრუნგარმა საომარი კატარღა გამოჰყო ერთი, დავით მეფის სარდლის გასამგზავრებლად.

თორმეტი მრავალნაცადი ბერძენი მეზღვაური და შვიდი მენიჩბე ლაზი მართავდნენ საომარ კატარღას, მაგრამ არ იქნა და ბოლოზთან ისე ახლოს ვერ მოიყვანეს იგი, რომ მგზავრს შესძლებოდა მიუჭირვებლად შიგ ჩაჯდომა.

მაჯაგანით მოიყვანდნენ ნაპირამდის კატარღას. ნაპირიდან გაუწვდიდნენ კიბეს, შეტოკდებოდა ზღვა, გაიტაცებდა კატარღას.

ისევ მოუსვამდნენ მეზღვაურნი ნიჩბებს, შემოაბრუნებდნენ კატარღას, მოეახლებოდნენ თუ არა ნაპირს, ისევ წაუბერავდა განრისხებული პოსეიდონი, შორს გასტყორცნიდა კატარღას.

ბოლოს ნიანია ბაკურიანი მივიდა მის გასაცილებლად ბოლოზში მოსულ მარიამ დედოფალთან, მუზარადი მოი-

[1] „ნ ი ე მ ი ც ს“ უწოდებდნენ გერმანელებს, როგორც ბერძნები, ისე ბალკანელი სლავები.

[1] მ ზ გ ე ფ ს ი — ერთი კვირა, 7 დღე.

ხადა და ხელზე ემთხვია. დედოფლის უკან მდგარ გიორგი ორავეანდაისძეს სთხოვა: ჩემი ბარგი ჩაიბარე და როცა შესძლო გამომიგზავნეო.

გამოეთხოვა დედოფლის ამალას. ბოლოზის კიდეს რა მიეახლა, პირველი გადაიწერა. თუმცა ნაპირსა და კატარღის ლინგს შორის სამიოდე მხარი იყო დარჩენილი, ვეფხური ნახტომით კატარღაში ამოჰყო თავი.

როცა სამარმარა კატარღამ ჭვინტი ჰკრა აზვავებულ ტალღებს და მინებდა ამბოხებულ ზღვას „ჭეშმარიტად შმაგია“ გაიფიქრა მარიამ დედოფალმა თავისი ამალა დასტოვა და სწრაფი ნაბიჯით მიაშურა თავის ფაეტონს.

მხოლოდ მისმა მეეტლემ შენიშნა თუ როგორ საწყალობლად სტიროდა რიდემოსხმული „უბედნიერესი ბასილისსა“ იმ დღეს. . . . . .

*

* *

მთელი ღამე ლოცულობდა ღვთისმშობლის ხატის წინ დაჩოქილი მარიამი, სტიროდა, ავედრებდა ღვთაებას, ზღვაში გასულ რაინდს. მეორე დღეს წ. ვიტალის ეკლესიაში კელაპტარები აანთო თავათ. და მთელი თვის მანძილზე არ დამცხრალა მისი მღელვარება, სანამ დავით მეფის სარწმუნო კაცმა ორავეანდაისძემ გიორგიმ არ აუწყა დედოფალს: ნიანია ბაკურიანმა მშვიდობით უწიაო ხუფთას . . .

## XXXII

## მაინც დვრინავდნენ ლომები ბაღდადში

„ბარქიაროკს ჯერაც მოშუშებული არა ჰქონდა თავისი ქოლგისმტვირთველის მიერ მიყენებული ჭრილობა, როცა მან გადააყენა თავისი ვაზირი მუეიდ ალ-მულკი და მისივე ძმა ფაკრ ალ-მულკი დანიშნა ვაზირთა უპირველესად.

ამასაც ჯოჯიკი აუწყებდა გიორგი ჭყონდიდელს, სარწმუნო კაცი მეფისა.

„ფაკრ ალ-მულკი სულტან ტუტუშის კარისკაცი იყო მანამდე.

როგორც ბაღდადში ეურჩოვანებ-ბა-ვიგე, მუეიდ ალ-მულკი, ხვანჯების დაგების დიდოსტატი ყოფილა თურმე.

მუეიდ ალ-მულკი ჯერაც რიგიანად არ იყო გაცნობილი სავაზირო საქმეებს, როცა ბარქიაროკმა საჭურისი წარგზავნა ისპაჰანს, თავისი დედის, ზუბეიდა ხათუნის ჩამოსაყვანად.

მუეიდ ალ-მულკს სძულდა ზობეიდა ხათუნი, ამიტომაც ამირები აიყოლია და ყველამ ერთხმად ურჩიეს სულტანს: ნუ ჩამოაყვანინებო ზობეიდა ხათუნს ბაღდადში, რადგან იგი დიაცია და უთუოდ აგირევსო სასულტანოს საქმეებს.

„მე არად ვაგდებ ისეთ ხელისუფლებას, რომელშიაც დედა ჩემი წილს არ დაიდებს“.

მტკიცედ მიუგო მოთათბირეებს სულტანმა.

როგორც კი ბაღდადს ჩამოვიდა ზობეიდა ხათუნი, მან ყოველივე გაიგო და გადაეკიდა მუეიდ ალ-მულკს.

მალიქ-შაჰ სულტანის ვაზირთა უპირველესის — ნიზამ ალ-მულკის მიერ ნაანდერძევ პატიოსან თვლების გაყოფისას მწარედ წაიკიდნენ ძმები: მუეიდ ალ-მულკი და მეჯიდ ალ-მულკი, ლისტიფიას უხუცესი,[1] ბარქიაროკის კარისა.

ზობეიდა ხათუნი ჩააცივდა სულტანს: გადაეყენებინა მუეიდ ალ-მულკი და მის ნაცვლად ფაკრ ალ-მულკი დაენიშნა ვაზირთა უპირველესად.

სულტანმა სათხოვარი შეუსრულა დედა მისს და სამაგიეროდ დიდძალი პატიოსანი თვლები ქრთამად მიიღო მისგან.

პირველ ვაზირად ფაკრ ალ-მულკი დანიშნეს. მაგრამ სავაზირო საქმენი მესამე ძმამ ჩაიგდო ხელში, ლისტიფიას უხუცესმა მეჯიდ ალ-მულკმა.

---

[1] ლ ი ს ტ ი ფ ი ა ს  უ ხ უ ც ე ს ი — ჩვეულებრივი მოლარეთუხუცესი.

*
* *

მალიქ შაჰს მემკვიდრეთა შორის ტახტის გამო ცილობის ჟამს, სელჯუკიანთა სასულტანოს მოსწყდა ხორასანი. მოჰკლეს თუ არა მალიქ-შაჰ, აჰირები აქაც დაერიენ ურთიერთს. ტახტის მაძიებელთა შორის ყველაზე მეტად ძლიერი აღმოჩნდა მესამე ძმა მალიქ-შაჰ სულტანისა — არსლან არღუნი.

ეს უკანასკნელი მალიქ-შაჰს სიცოცხლეში ხორასნის საამიროსთვის იხდიდა წელიწადეულს შვიდიათას დინარს.

სულტანის მოკვლის დღეს, არსლან არღუნი ბაღდადში იყო სტუმრად ჩასული. როგორც უკვე მოგეხსენებათ, მალიქ-შაჰს ცხედარი დიდხანს ჰქონდა გადამალული ცოლს სულტანისას, ტურკან ხათუნს, ამიტომაც მამის დაკრძალვისთვის არც კი მოუცდია არსლან არღუნს, შვიდიოდე მონასპა იახლა და გაემგზავრა ჰამადანს.

აირია სელჯუკიანთა სასულტანო და გზაში მრავალი ათასი მონასპა მოერთვა მალიქ-შაჰს ძმას, ნიშაბურისკენ გაემართა არსლან არღუნი.

ქალაქის აღება არ ინდომა მან და მერვის გზას დაადგა.

ამ ქალაქის პატრონად იყო იმჟამად, მალიქ-შაჰს მონაყოფილი ერთი, ვინმე, კუდანი.

კუდანი მყისვე მიემხრო არსლან არღუნს.

ბალკის პროვინციას განაგებდა იმჟამად ფაკრ-ალ მულკ. ამ უკანასკნელმა დააგდო ბალკი და ერაყში ჩავიდა სადაც იგი ჯერ სულტან ტუტუშის ვაზირი გახდა, ბოლოჟამს კი ბარქიაროკისა.

არსლან არღუნი დაეუფლა როგორც ბალკს, ისე ნიშაბურსა და მთელი ხორასანს. ბოლოს დესპანები მიუგზავნა ბარქიაროკსა და მის ვაზირს მუეიდ ალ-მულკს, ყმადნაფიცობა შესთავაზა და ამ ქალაქების ამიროობის დანასტურება სთხოვა. ხოლო ნიშაბურისათვის ხარკი იკისრა. თანაც აღუთქვამდა ბარქიაროკს, სულტნის ტახტის გამო არ დაეიწყებო ცილობას.

ბარქიაროკმა თვალი დახუჭა არსლან არღუნის ამ საქციელზე, თუმცა ეს პროვინციები მას დაუთმეს იმჟამად ძმამ მისმა მაჰმუდმა და ბიძამ ტუტუშმა.

როცა ბარქიაროკმა გადააყენა მუეიდ ალ-მულკი და სასულტანოს გამგებლობა მეჯიდ ალ-მულკმა ჩაიგდო ხელში, არსლან არღუნი განრისხდა და ბარქიაროკთან ურთიერთობა შესწყვიტა. აგრე ამბობდა: „მე არც ვიკადრებდი ფაკრ-ალ მულკთან მიწერმოწერას“.

*
* *

ბარქიაროკმა უბრძანა თავის მეორე ბიძას ბური ბერსს, ლაშქარს გასძღოლოდა და წურთვნა მოეწყო არსლან არღუნისათვის. როგორც კი ხორასნის მიწაზე ფეხი შესდგა ბური ბერსმა, არსლან არღუნი შეება მას, მაგრამ დამარცხდა და ბალკს მიაშურა.

არსლან არღუნმა კვლავ მობოჭა ახალი ლაშქარი, გარემოიცვა მერვი და იერიშით აიღო ციხე. სისხლის აბანოდ გადააქცია ქალაქი, გოდოლები შელეწა და მოარღვია ზღუდენი.

ბური ბერს გაემართა ჰერატს, რათა მანდ შებმოდა არსლან არღუნს. იმ ლაშქარში, რომელსაც ბური ბერს უსარდლა ბარქიაროკმა, იმყოფებოდა ორი წარჩინებული პირი, მალიქ-შაჰ სულტნისეული ამირ-ახორი და ამირ-მანსუდი, რომლის მამა მალიქ-შაჰს წინაპართა სარდალი ყოფილა ოდესღაც.

ამირ ახორი და არსლან არღუნი ძველი მეგობრები აღმოჩნდნენ.

არსლან არღუნმა მსტოვარი მიუგზავნა ამირ ახორს და ურჩია მას მიმხრობოდა სპიანად. ამირ-ახორმა ამირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანსუდი და მისი ვაჟი მიუგზავნა მოსალაპარაკებლად არღუნს.

უკანასკნელმა მშვილდის საბლებით მოაშთობინა ორივენი. ბური ბერს დაფრთხა და მიატოვა ლაშქარი. არღუნმა შეიპყრო იგი და საკუთარი ხელით დაახრჩო.

არსლან არღუნმა თავები დააყრევინა ბარქიაროკის ლაშქრის სარანგებს. ღალატის იქვით შეიპყრო საკუთარი ვაზირი იმად ალ-მულკი, სამი ათასი დინარი გამოსტყუა და ბოლოს მოჰკლა.

მერმე მიადგა ხორასნის ქალაქებს, გოდოლები და ზღუდეები დაარღვევინა. დაანგრია მერვის, ნიშაბურის და შერისტანის თავადი-ციხენი და გოდოლნი.

არსლან არღუნის დასასჯელად ბარქიაროკმა წარგზავნა ხორასანს დიდი ლაშქარი და უსარდლა მას თავისი ძმა მელიქ-სინჯარი.

რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ 14 წლისა იყო, მეურვედ მიუჩინა მას ათაბაგი ამირ ქომაჯი, ხოლო ვაზირად აბულფეთ-ალი.

ჯერ ხორასანშიაც არ იყო ლაშქარი ჩასული, როცა მელიქ-სინჯარს აცნობეს არსლან არღუნის სიკვდილი.

არსლან არღუნი აწამებდა პირად მსახურთა, ასე რომ ერთ ყვითელ მონას დანით დაუკლავს იგი.

დამეგანში წამოეწია მათ ბარქიაროკი სპიანად, სულტანი თავათ წარუძღვა ლაშქარს და ნიშაბურისკენ გაემართა.

ორი წლის მანძილზე ამ ქალაქში აღრევა სუფევდა. თვესა ზულჰიჯს, დეკემბერში, ხორასნის ერთერთი ძლიერი ამირი გარს შემოეწყო თურმე ნიშაბურს, ქალაქელებმა იარაღი აიღეს, შეებრძოლნენ ამირს და გააქციეს იგი.

ბოლოს სექტანტებმა წამოჰყვეს თავი.

ორი სექტა დაეძგერა ურთიერთს: ქერამელები და ასსასინები. ქერამელთა სექტა დაუარსებია ოდესღაც აბდალაჰ მუჰამედ ბენ ქერამს.

ქერამის მემხრენი ამტკიცებენ: ღმერთი მის მიერ შექმნილ არსებათა ანგობას ატარებსო. ასეთ რამეებს მიჰქარავენ იგინი, სხვა ვერაფერი გავიგე აქ მათი მოძღვრების გამო.

როგორც ბაღდადში გავიგეთ მარტოოდენ სირიაში 20.000 მემხრე ჰყავთ ქერამელებს, ხოლო ასსასინელებს ორგზის მეტი.

ნიშაბურის მთელი მოსახლეობა ორად გაიყო, ქერმელებს სარდლობდა აბულ-კარმი, ხოლო ასსასინებს ყადი მუჰამედ იბნ-აჰმედ. მედრესესებსა და მეჩეთებსაც გადასწვდა მწვალებელთა მიერ ქალაქში ატეხილი ხანძარი, ათი ათასები მოისრნენ სულ რამდენსამე მზგეფსის მანძილზე.

ბარქიაროკი შემოეწყო ნიშაბურს, თავები დააყრევინა მწვალებელთა თავკაცებს, ხორასნის რამდენიმე ქალაქი სისხლში ამოახრჩო და ბალკს გაემართა.

არსლან არღუნის სიკვდილის შემდეგ, მისმა ამირებმა სულტნის ტახტზე აიყვანეს შვიდი წლის ვაჟი არსლან არღუნისა.

ბარქიაროკმა რა შეიცნო ყრმა სულტანი მთებში გახიზნაო სპიანად დედამ. ბარქიაროკმა დესპანები მიუგზავნა მას და შეჰპირდა ამანის მოცემა.

ბოლოს სულტან ბარქიაროკს ეახლა არღუნის ცოლი, თუმცა მას 15.000 მონასპა ახლდა, მაგრამ ლაშქარი ტყეში გადამალა, ერთადერთი საჭურისი აიყოლია, მხარზე შეისვა პაწია სულტანი და მიჰგვარა ბარქიაროკს:

გამარჯვებულმა ყმადნაფიცობა დააკისრა ყრმა სულტანს და საბრძანისად მიუჩინა მას ის მიწა-წყალი, რომელიც მამა მისს, არსლან არღუნს ბოძებული ჰქონდა სულტან მალიქ-შაჰს მიერ.

ბოლოს ერთგულების ფიცი გამოსძალა არღუნისეულ ლაშქარს და მაგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რანაჰრს[1] წარგზავნა ელჩები. თავი დახარეს განდგომილმა ამირებმა, მეჩეთებში ხუტბა აღავლინეს ყველგან სულტან ბარქიაროკის სახელზე.

მხოლოდ ერთადერთი ამირი, მუჰამედ ბენ სოლეიმან გადგა განზე. ამ ამირის მამა ყოფილა ღვიძლი ბიძაშვილი მალიქ-შაჰ სულტნისა. ეს მთავარი თურმე ფარსისტანში იწოდებოდა „ამირთა ამირად“.

მუჰამედ ბენ სოლეიმან ლაშქრის თავმოყრას შეუდგა და თანაც დესპანები წარგზავნა ღაზნას სულტანთან, იბრაჰიმ ბენ მანსუდთან. ეს ის სულტანია, რომელსაც როგორც აქ ამბობენ ბაღდადში, ოქროს ფურცლებისაგან გაკეთებული კარავი აქვს სწორედ ისეთი სიმაღლისა, როგორც ნიზამ ალ-მულკისეული მედრესეა[1] ისპაჰანში, ტახტი ჰქონია ახოვანი კაცის სიმაღლე, პატიოსანი თვლებით მოოქვილი სავსებით, თავათ საჯდომი ალოეს ხისაგან ნაკეთები.

კარავი ოქროს ყავრებითაა დახურული და ზედ ოქრონაქანდაკები ჩიტუნები სხედან თურმე როცა სულტანი ტახტზე ადის, ჩიტუნები ფრთების ფარფატს მორთავენ ხოლმე.

სწორედ ამ იბრაჰიმ ბენ მანსუდმა გაუგზავნა ამირთა ამირას, მუჰამედ ბენ სოლეიმანს საკმაოდ დიდი ლაშქარი, რომელსაც წინ უძღვოდნენ შეპურვილი საომარი სპილოები.

ერთადერთი პირობა დაუთქვა ღაზნას სულტანმა ამირთ-ამირას: როცა გაიმარჯვებთ, ხუტბა აღავლინეთო ჩემ სახელზე ხორასნის მიზგითებში, ყველგან.

ამ მაშველი ლაშქრისა და სპილოების მეოხებით მოჰამედ ბენ სოლეიმანმა აიღო რამდენიმე ქალაქი ხორასანში.

სინჯარი შეება მოჰამედს, მისი ლაშქარი გაფანტა, შეიპყრო იგი და თვალები დასთხარა.

ეს ამბოხი მოთავებული არ იყო, როცა მეორე დაიწყო. ამირ კუდანი, მალიქ-შაჰსეული მონა გადაიბირა და თავის ლაშქარში შეიყვანა ამირ ქომაჯმა.

უეცრად მოკვდა ამირ ქომაჯი, ლაშქარი ერაყს უნდა გაჰყოლოდა ბარქიაროკს. ამირ კუდანმა ავადმყოფობა მოიგონა და ჩარჩა მერვში.

ბარქიაროკის მემხრე ამირებში მონასპათა სიმრავლით გამოირჩეოდა ამირ აქინჯი, რომელსაც ხვარაზმ შაჰს წოდება მიუბოძა ბარქიაროკმა. ამირ აქინჯი შეუერთდა ბარქიაროკის ლაშქარს. თავათ სულტანმა ლაშქრის გული მერვში დასტოვა, ერაყს გაემართა და ჩვეულებრივ ლოთობას მიჰყო ხელი.

ამირ კუდანი განეზრახა ამირ იაროკტაშს, ორივემ სამას ათას ცხენოსან მონასპას მოუყარეს თავი და თავს დაესხნენ ამირ აქინჯს და ხმლით აკეპეს ამირი თავათ.

შემდგომ ამისა ხვარაზმს გაემგზავრნენ, ხმლით აიღეს ეს მხარე და განაცხადეს: სულტან ბარქიაროკმა ჩვენ ჩაგვაბარაო ხვარაზმი.

ბარქიაროკმა ლოთობას ხელი შეუშვა და განაგრძო ერაყისკენ სპიანად სვლა, რადგან ამასობაში მსტოვართ შეატყობინეს მას: ვაზირ ყოფილი მუეიდ ალ-მულკისა და ამირ ონარის განდგომა.

ბარქიაროკმა ხორასანს წარგზავნა ლაშქრითურთ ამირი დაჯ-ბენ ალტუნტაკ და მას დააკისრა განდგომილი ამირების კუდანისა და იაროკტაშის წურთვნა.

---

[1] მ ა ვ ე რ ა ნ ა ჰ რ — ტრანსკასპია, გურგანი, ზღვას გადაღმელი ქვეყნები.

[1] მ ე დ რ ე ს ე — მუსლიმთა სასწავლებელი, სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ამირ დაჯს გზაშივე ამცნეს მსტოვართა: აურაცხელი ლაშქრითურთ მოდიანო ორივე განდგომილი ამირი შენს წინააღმდეგ, მდინარე ჯეიჰუნი გადალახა მან და აქ დასცა ბანაკი.

ამირ იაროკტაშმა არ მოუცადა ამირ კუდანსა და მის ლაშქარს, ისე დაესხა ამირ დაჯს თავს, ბრძოლაში დამარცხდა და მტერს ტყვედ ჩაუვარდა ხელში.

როცა ეს ამბავი კუდანის მონასპათ მისწვდა, ისინი ამბოხდნენ, გაძარცვეს ბანაკები, კუდანმა ისარგებლა სიღამით და შვიდი ერთგული მონასპის ამარად, ბალკს ჩავიდა ამირ სინჯარს ეწვია.

ალერსიანად მიიღო იგი ამ ამირმა და ერთერთი ლაშქრის სარდლობა დაუკისრა, მაგრამ მეორე დღეს მოკვდა ამირ კუდანი, ხოლო ამირ იაროკტაშს ბორკილი შეასხეს ამირ დაჯის ბანაკში.

ამასობაში დიდი ამბოხი დაიწყო ერაყში.

*
* *

ისმაელიტები, ანუ ასსასინები დაერიენ სულტან ბარქიაროკის ნათესავთა და კარისკაცებს.

თვესა სეფერს, ჩვენებურად იანვარში, ერთმა ასსასინელმა დანით დაჰკლა ბარქიაროკის დედის, ზობეიდა ხანუმის ვაზირი ერთი.

ქალაქ რეგს განაგებდა ნიზამ-ალ მულკის მონაყოფილი არგიშ ენნიზამი. ამ მონამ ისეთი ძალმოსილება მოიპოვა თურმე ცოლად შეირთო ბარქიაროკის ბიძის, იაკუტის ასული.

თვესა რამაღანს, ისევ და ისევ ასსასინელის ხელით მოკვდა ბორსოკი, ბარქიაროკის უერთგულესი ამირი.

ეს ამირ ბორსოკი ტუღრილ ბეგის სარდალი იყო ოდესღაც, ხოლო ამჟამად ითვლებოდა სულტან ბარქიაროკის „შინეედ", ე. ი. პირველ სარწმუნო კაცად ბაღდადში.

*
* *

ვიდრე ბარქიაროკი ხორასანს გაემგზავრებოდა, მთელი ფარსისტანი საბრძანისად დაუტოვა ამირ ონარს.

ფარსისტანში ქურთების ტომები ამბოხდნენ, გაიმარჯვა შებანსარეჰს ტომმა. ეს ტომი აუჯანყდა ამირ ონარს და ხანგრძლივად მის წინააღმდეგ ბრძოლის შემდეგ შველა სთხოვა ქერმანის მბრძანებელს, ირან-შაჰს, რომლის მამა თურან-შაჰ ოდესღაც ეომებოდა სელჯუკიანთა სულტანებს.

სწორედ ამ ირან-შაჰმა მოირთო შებანსარეჰს ტომი და დაამარცხა ამირ ონარი.

ონარმა ეს ყოველივე აუწყა სულტანს და ნება სთხოვა სპიანად ხლებოდა მას.

სულტან ბარქიაროკმა უბრძანა მას ფარსისტანში დარჩენა, თანაც შეუთვალა მანდაურ ლაშქართა წინამდგომთ: ამირ ონარს დამორჩილებოდნენ.

ამირ ონარმა მცირეოდენი ხანი დაჰყო ისპაჰანში და შემდგომ ამისა დაბრუნდა თავის საამირო ადარბაგანში.

ამასობაში ისპაჰანს დაეუფლნენ ასსასინელები, მათ ხელში ჩაეგდოთ მელიქ-შაჰსეული სასახლე.

ამირ ონარმა სისხლში ამოახრჩო ასსასინელნი, ამ ზეიმის დროს მას ეწვია მუეიდ ალ-მულკი. ბარქიაროკზე განაწყენებული მუეიდ ალ-მულკი შეუჩნდა ამირ ონარს, ეაჯა განდგომოდა სულტან ბარქიაროკს. ამირ ონარი მართლაც განდგა და განეზრახა ბარქიაროკის მესამე ძმას მოჰამედს, რომელიც განძას პატრონი იყო იმჟამად.

ამირ ონარმა შეჰყარა თავის ლაშქარი, ისპაჰანი აიღო, რეგს უწია და აქედან შეუთვალა ბარქიაროკს: მეჯიდ ალ-მულკს ბორკილნი შეასხი და აქ მომგვარონ, წინააღმდეგ შემთხვევაში

1. „მნათობი" № 2.

განვდგები და ხმალმა გაგვასწოროსო.

ამირ ონარს გადაჭარბებული მარხულობა უყვარდა. ერთ საღამოს ჭაღის შუქზე ყურანს კითხულობდა თავის კარავში განმარტოებული. მისივე ძონასპანი, სამი ხვარაზმელი შემოვიდა კარავში.

ერთმა ჭაღი ჩაუქრო.

მეორემ წამოაქცია.

და მესამემ დანა გაუყარა ყელში.

შემოვარდა ონარის ამირ-ახორი, მასაც მისწვდნენ და ზედ დააკლეს პატრონს.

დანარჩენმა მონასპებმა ეს რა გაიგეს, დასწვეს კარვები და ამირ ონარის საჭურჭლენი დაიტაცეს.

ამასობაში მოაღწიეს სულტან ბარქიაროკმა და მეჯიდ ალ-მულკმა სპიანად, მაგრამ განდგომილი ამირას მონასპანი უკვე გაფანტულიყვნენ.

*
* *

სულტან მალიქ-შაჰს სიკვდილის დღიდან ბარქიაროკის მიმართ ქვეგამხედვარი გახდა მისი მესამე ძმა, მოჰამედი. იგი ჩუმჩუმად ეხმარებოდა ტურკან ხათუნს, მაგრამ როგორც კი დაამარცხა ბარქიაროკმა თავისი დედინაცვალი, მოჰამედი ეახლა ძმას და ბაღდადს თან გაჰყვა ბარქიაროკს.

ათასგვარი ლიქნით მან გამოსტყუა სულტანს განძა საამირო და ყმადნაფიცობა იკისრა. ბარქიაროკმა განძა მისცა და ათაბაგად მიუჩინა მას ამირ ქოთოგტეკინი.

განძის საამირო მანამდის საუფლოდ ჰქონდა ქურთ ამირას, ფადლონს, აბულასვარისძეს. ეგ ის ფადლონია, რომელიც ოდესღაც აოტნა და დაატყვევა სულკურთხეულმან მეფემ ჩვენმა ბაგრატმან.

მალიქ-შაჰმ წაართვა განძის საამირო ფადლონს, ყმადნაფიცობა გამოსძალა მას, სამაგიეროდ მიანიჭა ასტერაბადი, ხოლო განძას საამირო გადასცა თავის სარანგს, სავ ტეკინს. ფადლონი გაზულუქდა და აუჯანყდა [illegible].

სულტანმა ამირ ბუზანს [illegible] ბისი წურთვნა, ფადლონი მოაშთო ბუზანმა და მისი საბრძანისი სხვადასხვა ამირებმა გაიყვეს. დიდი წილი ერგო იაგი სიანს, ანტიოქიის პატრონს.

მერმე ის იყო ამირ ონარი შეუჩნდა მოჰამედს, მან აკრძალა მიზგითებში ლოცვის აღვლენა სულტან ბარქიაროკის სახელზე.

სულტან ბარქიაროკი უკვე ემზადებოდა თავის ძმის, მოჰამდის წურთვნას შედგომოდა და სწორედ ამ დროს სულტნის ლაშქარში ამბოხი დაიწყო.

ვაზირი მეჯიდ ალ-მულკი ძუნწი იყო და ვერცხლის მოყვარე, იგი არამც თუ მონასპათ არ აძლევდა ქირას, ამირებსაც წაართვა გასამრჯელო.

გარდა ამისა, ამირები და სარდლები მეჯიდ ალ-მულკს აბრალებდნენ იმასაც, რომ ასასინები აგრე უწყალოდ, რომ ხოცავდნენ ბარქიაროკის სარანგებსა და ამირებს.

შეითქვნენ დიდ დიდნი ამირნი: ამირ-ახორი, ბოლკაბეკი, თოგაირეკი და სხვა მრავალნი. ჰამადანს წავიდნენ სპიანად და შეუთვალეს სულტან ბარქიაროკს:

შენი ვაზირი მეჯიდ ალ-მულკი გადმოგვეცი, თორემ ამბოხს ავტეხთო ლაშქარში. მონასპათა წინამდგომნი გითვლიან:

„უკეთუ მეჯიდ ალ-მულკს ხელში ჩაგვიგდებ, გეყმებით კვლავაც, თუ არა და გარს შემოვერტყმებით შენს ბანაკს და ჩვენვე შევიპყრობთო მეჯიდა ალ-მულკს.

ბარქიაროკმა იუარა ვაზირის მოცემა.

დესპანები მიუგზავნა ამირებს:

თუ ყურანზე შემომფიცავთ რომ მეჯიდ ალ-მულკს მხოლოდ ბორკილს დაადებთ ქედზე და არ მოაკვდინებთ მას, წარმოვგზავნიო.

დესპანებს თავები დააჭრეს მოციქულებს, აჰყარეს ლაშქარი და გარემოიც-

ვეს, ბარქიაროკისა და მისი ამალის კარვები.

მეჯიდ ალ-მულკი მუხლზე მოეხვია თავის პატრონს:

ოღონდ შენ გადაურჩი მეამბოხეთა და მე თუნდაც ოთხში ამომიღონო. როცა ხმალამოწვდილი ამირები შემოცვივდნენ ბარქიაროკის კარავში, ნახეს: სულტანს ორივე ხელი შემოეჭდო თავის ვაზირისათვის.

ბოლოს გამოგლიჯეს ბარქიაროკს მეჯიდ ალ-მულკი ხელიდან. ხმლით აკუწეს იგი და მისი ცხედრის ნამუსრევები ფერხთით დაუყარეს სულტანს.

ხმლები გადაჰყარეს ამირებმა, მიწას ემთხვიენ და შეჰღაღადეს თავიანთ მბრძანებელს:

კვლავ შენნი ყმანი ვიქნებითო.

დიდხანს იჯდა თურმე ორივე ხელით პირდამუწული ბარქიაროკი და გაოგნებული დასჩერებოდა მიწას.

*

* *

ამირების ამბოხს მოჰყვა ასსასინების, იზმაელიტების მიერ ატეხილი აღრევა. თქვენ მოგეხსენებათ უკვე, ასსასინელებმა ალამუთის ციხის აღება არ იკმარეს, კიდევ რამდენიმე ციხე აიღეს ფირსისტანში.

ირანიდან უამრავი მემხრენი წარმოგზავნეს სირიაში. ტუტუშის ვიცს, ამირ რიდჰუანს შიში ჰქონდა მათი, ამიტომ მათ არ უკრძალავდა თავიანთი მწვალებლური მოძღვრების საქვეყნოდ ქადაგებას.

მათ გადაიბირეს „მართლმორწმუნე“ მუეძინები და ისე გათავხედდნენ, რომ მეჩეთებში უვარდებოდნენ მათ მოქიშპე მოლებს და სიტყვებს წარმოსთქვამდნენ საჯაროდ.

როცა ასსასინებმა გაიგეს ამირების ამბოხის ამბავი, დაერიენ სულტნის კარისკაცებს და მოედნებზე დახოცეს ესენი.

ბოლოს მოაღწია ბარქიაროკმა, და მისმა ლაშქარმა ბაღდადში. როგორც იმ ღამეს, როცა მეჯიდ ალ-მულკი მოჰკლეს, ატყდა საშინელი სისხლის ღვრა ბაღდადის ქუჩებში. ბარქიაროკის მეხმლენი დაერიენ ასსასინებს, მათ თავებს თავების ხაზინაში აგზავნიდნენ, ხოლო ცხედრებს ლომებს აჭმევდნენ.

მე და არშარუნი თავების ხაზინის მახლობლად ვცხოვრობთ, ასე, რომ ღღისით და ღამით მოგვესმის, თუ როგორ დვრინავენ კაცთა ხორცით განებივრებული ლომები ბაღდადში“ . .

**მინაწერი:**

ბარათის კიდეზე მიწერილი იყო ჯოჯიკის ხელით: „სულტან ბარქიაროკის წინააღმდეგ ახლა მეორე ძმა ილესავს ხმალს: მოჰამედ ბენ მალიქ-შაჰ, ქალალდი შემოგველია და შემდგომ ბარათში ამის გამოც გაუწყებთ“.

## XXXIII

### როგორ გაამარჯვებინა „ქრისტესეულმა“ ხელშუბმა ჯვაროსნებს

იაგი სიანის უზარმაზარი თავი დიდხანს ეკიდა ძაღლის კარის კარჩხაზე. ეს იყო სანახავად უცნაური და ამაზრზენი.

ცხვირკეხიანსა და ღაწვმაღალს, სავსებით დაფანჩვული მრგვალი სახე ჰქონდა, ხშირი ბეწვები მოუჩანდა მსუქან ყურებიდან და გათხლაშულ ნესტოებიდან, ხოლო წვერი, ბარე სამოდე წყრთის სიგრძე იქნებოდა მისი ბანჯგვლიანი, ჭაღარა წვერი.

ანტიოქიაში შესვლის უმალვე ეკლესიებსა და მონასტრებს მიაშურეს სამღვდელოთა, ლოცვები აღავლინეს, საჭურჭლენიც მოინახულეს, ყოველივე გაძარცვული აღმოჩნდა.

ნაომარი, მოშივებული ბრბოები, მისცვივდნენ ბეღლებს, სარდაფებსა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ქოლბაქებს, მცირეოდენი ფული იპოვნეს, ასიოდე კარავი, უამრავი პილპილი, სათამაშო კოჭები და ძვლის კამათლები.

თავლებში ხუთასიოდე დახუთული ჯორი აღმოჩნდა. ეს იყო და ეს. იმედი გაუცრუვდათ იმათაც, ვისაც ბევრი რამ ჰქონდა განაგონი ანტიოქიის საჭურჭლეთა ზღაპრულ სიმდიდრის გამო, გაწბილდნენ ძარცვისა და მიტაცების მოყვარულნი.

მათ შესაფერი საქმეც გაუჩინეს: მოედნები, ქუჩები და ციხის კარიბჭენი სავსე იყო მოკლულთა ცხედრებით და ჯორ-ცხენთა ლეშებით.

ჯვაროსანთა სარდლობამ ათასიოდე კაცს დააკისრა ქალაქის განწმედა. ზაფხული იყო და ჰყარდა მკვდრების ქალაქად ქცეული, ოდესღაც ბრწყინვალე ანტიოქია.

სომხის მსტოვარებმა უსიამო ამბავი ამცნეს სარდლობას: ორასი ათასი კარგად შეჭურვილი მუსულმანი მოჰყავსო ათაბაგ ქერბოგას. სულმოკლენი და მალემრწმენნი ათასგვარ ლეგენდებს ავრცელებდნენ ამ ლაშქრის სხვა წინამდგომთა სიჩაუქის გამო.

აქებდნენ იერუსალიმის ამირებს სუკმანსა და ილ-ღაზის, სირიელ ამირს, რიდჰუან ბენ ტუტუშს, ემესსელ ამირას ჯანაჰ ედდევლეტს, დამასკელ ამირებს: დეკაკსა და ტოგტეკინს.

იგიც ამცნეს სომხებმა ჯვაროსანთა სარდლობას: მუსულმანების ლაშქარი უპირატესად ცხენოსანთაგან, რომ იყო შემდგარი.

სწორედ ცხენები დაეხოცათ ჯვაროსან რაინდებს გზაში, მხოლოდ ათასიოდე მძიმედ შეჭურვილს გააჩნდა ცხენი და რამდენიმე ასეული დავარდნილი, ნათურქალი ჯორცხენი, იაგი სიანის მინასპათა ნაოხარი.

* * *

გრაფ ეტიენ დე ბლუა ჯერ კიდევ ანტიოქიის აღებამდის „შინ გაბრუნების“ მომხრე იყო. ქერბოგას მოახლოება რა გაიგო, აჰყარა თავისი ბანაკი.

ბევრი ლანძღეს იგი ჯვაროსნებმა, მაგრამ ავადობა მოიმიზეზა და დასტოვა ანტიოქია. ფილოკაუმში ჩასვლისთანავე ეტიენ დე ბლუამ იდუმალი აუდენცია სთხოვა მანდ დაბანაკებულ ალექსი კომნენს.

„ანტიოქია თურქებმა აიღეს უკვე და სადაცაა გასრესენ ჯვაროსნებს, აჰყარე ბანაკი და თავს ვუშველოთო“.

მოახსენა იმპერატორს.

ალექსი კომნენი ისედაც დაეჭვებული იყო ჯვაროსანთა გამარჯვებაში. შიშისაგან შეძრულმა იდუმალად მოიხმო ბოჰემუნდის ძმა გვიდო და სხვა თავკაცნი ფრანკთაგანნი და უთხრა: გვიჯობს გავეცალოთ მტერს, ათაბაგის ქერბოგას მოსვლამდი ერთობლივად დავადგეთ გზას და უსაზღვნო სისხლის ღვრა ავიცდინოთო თავიდან.

აყვირდა ცრემლმორეული გვიდო: „ჰოდ, ღმერთო და მამაო სახიერო, რად ჩაგვაგდე ამ ჭირის დღეში. რად ჩააგდე ყმანი შენნი სისხლისმხვრეპელი მტრების ხელში?

რად გასწირე ისინი, ვინც მაცხოვრის ჩვენის საფლავის განთავისუფლებისთვის მზად იყო სისხლი დაენთხია?

თუ ამ საცოდავი გვიდოს ნათქვამი მართალი აღმოჩნდა, როგორც ჩვენ, ისე სხვა დანარჩენი ჯვაროსნები ამიერიდან აღვიკვეთავთ შენი სახელის ხსენებას, უფალო. აღარასოდეს მოვიგონებთ შენს სახელს ამიერიდან“.

ვერავინ ანუგეშა გვიდო. იგი პერანგს იგლეჯდა. ქვითინებდა ხმამაღლა, თითებს იკვნეტდა და ბღაოდა:

„ჰოდ, ჩემო სენდორო ბოჰემუნდ, მთელი ქვეყნის სასიქადულო და შემა-

მკობელო გმირო. ვაგლახ, როგორი უბედობა შეგვემთხვევა ეგ.

მე ვეღარ ვეღირსები ამიერიდან შენი ახოვანი ანაგობის ხილვას, რადგან ვეღარ გადურჩები ამ დარდს.

რად არ ძალმიძს მე სვედავსილს მოკვდე შენთვის, ჩემო ტკბილო მეგობარო, ჩემო სენჟორო?

რად არ მომესწრაფა დღენი, როცა დედი ჩემის საშო დავტოვე, რად მოვაღწიე მე ცოცხალი ამ უბედურ დღემდის? რად არ დავიხრჩვე ზღვაში, როცა ჩემი მამული დავაგდე იმ დღესვე? რად არ ჩამოვვარდი ცხენიდან და არ მოვიტეხე კისერი"?

იმპერატორი და მისი ამალა მიეჭრენ გვიდოს და მის გამხნევებას შეუდგნენ. თავი ასწია გვიდომ და უშვერად ლანძღა ეტიენ დე ბლუა, „დიაცი" უწოდა მას და „ძაბუნი რაინდი".

ბოლოს მიუბრუნდა ალექსი კომნენს და უთხრა: „ნუ თუ მართლა გჯერა კეისარო, რაც ამ მშიშარა გრაფმა მოსჭორა. ანტიოქია ალბათ ჩვენს ხელშია ჯერაც და უფლის იმედით გავიმარჯვებთ კიდევაც".

შემდგომ ამისა, ბევრი ეეედრა იმპერატორს გვიდო, მაგრამ მან აჰყარა თავისი ბანაკი და გზას დაადგა. როცა ნიკეას სასულტანოს მიეახლა, იმპერატორმა უბრძანა თავის მონასპათ და ჯვაროსნების მიერ ხელახლა აღებული ქალაქნი, დაბანი და სოფელნი ცეცხლს მისცეს ბერძნებმა, გადაბუგეს ეს მხარე და ბოლოს ისე ჩავიდა ალექსი კომნენი კონსტანტინოპოლში, რომ თავის მონასპათაგან ნახევარი არ მიჰყოლია შინამდის ცოცხალი, რადგან უწყლო და უსურსათო გზებზე სწრაფი მარშისგან მოისრნენ როგორც ცხენები და ჯორები, ისე მონასპათაგანნი მრავალნი.

ხოლო ეტიენ დე ბლუამ ალექსანდრეტას მიაშურა, გზაში მისმა მეწინავეებმა თურქების მარბიელი დალანდეს თუ არა, ეტიენ დე ბლუას ჯარმა ალექსანდრეტა გაძარცვა [illegible] გაემგზავრა იტალიას ეტიენ დე ბლუა.

. . . . . .

*
* *

ანტიოქიის ციხე ქალაქის დაუფლების შემდეგაც, თავადი ციხის პირისპირ ერთი ძლიერი გოდოლი ეჭირა იაგი სიანის ვაჟს შემს ედ-დაულაჰს. ჯვაროსანთა სარდლობა მრავალგზის შეეცადა, მაგრამ ეს გოდოლი ვეღარ აიღო.

ევფრატის გადალახვის შემდეგ დაუზოგავად მოერეკებოდა ლაშქარს ათაბაგი ქერბოგა, გზაში მან რამდენიმე დღე დაჰკარგა ედესასა ციხის წინააღმდეგ მოწყობილ იერიშებში, ბოლოს მოეშვა ციხეს, ანტიოქიისკენ გამოსწია.

ჰალაბამდის რა მოაღწია, აქ მას შემოუერთდნენ ამირ ილ-ღაზი და ძმა მისი სუკმან, ვატტაბ ბენ მაჰმუდ, დეკაკ დამასკელი, ათაბაგი ტოგტეკინ და ჯენაჰ ედ-დაულაჰ, სპიანად.

ანტიოქია პარასკევს აიღეს ჯვაროსნებმა და კვირა დილას ანტიოქიის ციხის მზვერავებმა სამზერებიდან დაინახეს მერეხის ღრუბელივით ახლოვდება მუსულმანთა აურაცხელი ლაშქარი.

ამასაც ხედავდნენ ჯვაროსნები: ქერბოგას მონასპანი ჯერ მკალივით მოედვენ ველებს, მინდვრებზე დადგეს კარვები, შემდეგ ნელნელა მოუახლოვდნენ ანტიოქიას და ბექობები დაიკავეს.

თავათ ქერბოგამ ერთი ქარაფიანი მთა დაიკავა, იმ გოდოლს გასწვრივ რომელშიაც იაგი სიანის ვაჟი შემს ედ დაულაჰ და მისი მონასპანი იყვნენ გამაგრებული.

*
* *

ქერბოგას ლაშქარი მხოლოდ მოახლოებული იყო ანტიოქიის შემოგარენთან, როცა ჯვაროსნებმა გადასწყვიტეს წ. სვიმეონის ბოლოზიდან სურსათი მოეტანათ, როცა მუნ წარგზავნილნი უკან ბრუნდებოდნენ, ქერბოგამ რაზმეული შეაგება მათ, რაინდმა როჯერ და-ბარნევილმა უბრძანა თავის მონასპებს: ხმლები გაეშიშვლებინათ და შეუტიეს თურქებს.

უმოწყალოდ ჩეხეს ჯვაროსნებმა მტერი, მეწინავე თურქებმა ცხენები შეაბრუნეს და მოჰკურცხლეს, როჯერმა აიყოლია ოციოდე მძიმედ შეჭურვილი რაინდი და გაეკიდა მტერს.

ახალი და ახალი რაზმეულები მოერთვენ თურქებს, როჯერმა არჩია განრიდებოდა მრავალრიცხოვან მტერს და ციხე ქალაქისკენ უკუიქცნენ ჯვაროსნები:

ქრისტიანენი დაძაბუნებულ ცხენებზე ისხდნენ, ხოლო თურქნი ნასუქალ ულაყებზე, წამოეწიენ როჯერს, ჯერ ისრით განგმირეს იგი, მერმე თავი წააჭრეს, ხელშუბზე წამოაცვეს და ქერბოგას მიართვეს.

*
* *

ამასობაში მოაწია ქერბოგას ლაშქრის გულმა, რკინის ხიდი აიღეს თურქებმა, ჯვაროსანთა გუშაგებს თავები დააყრევინეს. ორონტის ნაპირებზე კარვები დადგეს და შემს ედ დაულაჰს გოდოლიც ჩაიბარეს.

მეორე დღესვე აიღეს ჯვაროსნების მიერ თავადი ციხის გასწვრივ აგებული ციტადელი, რომელიც ბოჰემუნდმა ააგო ანტიოქიის ციხიდან გამოსავლის გადასაკეტად.

ჰერცოგ გოდფრუა დე ბუჟონმა მოიწადინა გზა გაეხსნა სვიმეონის ბოლოზისაკენ მიმავალი, სამასიოდე მძიმედშეჭურვილი რაინდი აიყოლია, ციხიდან გამოუარდა თურქებს, თავგანწირულად ეკვეთნენ მტერს, [illegible] სძლიეს ჰერცოგს.

მრავალნი დასჭრეს, დანარჩენნი აოტნეს. როცა ციხის გოდოლის კარიბჭესთან მოაღწიეს, აქ ურთიერთს დაეტაკნენ ჯაჭვიანი რაინდები და ერთმანეთი გადათქერეს.

ჰერცოგ გოდფრუას დამარცხებამ ძლიერ დააღონა ჯვაროსნები. იმ ღამეს, ანტიოქიის ციხიდან თოკის კიბენი გადმოუშვეს და სამარცხვინოდ გაიქცნენ რაინდები: ვილჰელმ დე გრანტსმესნილ და ძმა მისი ალბერიხ, გვიდო ტრუსელ და-ლამბერტ—„უპოვარი“, ვილჰელმ შარპენტიე“ და ვიკონტ დე მელუნ, რომელმაც ებრაელების აწიოკებით ისახელა თავი.

წინა დღეს ბოჰემუნდ წაეკიდა მათ.

„თქვენ აზნაურნი ხართ და ნება გაქვთ უკუქცევისა. Patet via[1] მაგრამ იცოდეთ სამარადჟამო სირცხვილი მოეცხება როგორც თქვენ სახელს ისე გვარტომობას თქვენსას“.

მათ ძლივს მიაღწიეს სვიმეონის ბოლოზს და მანდაურ მეზღვაურებს ამცნეს: ანტიოქია აიღესო თურქებმა.

*
* *

უიმედობასა და შიშს ზედ დაერთო შიმშილი.

პურისა და ხორცის მარაგი გაუთავდათ, სომხებსა და სირიელებს ვეღარ მოჰქონდათ ალყაშემორტყმულ ანტიოქიაში სურსათი.

ხოცავდნენ ცხენებს, ჯორებსა და ვირებს.

გადარჩენილი პირუტყვი იხოცებოდა უთივოდ, უბზოდ. მოკვდებოდა თუ არა რომელიმე რაინდის ცხენი, ხელიდან გლეჯდნენ ჯვაროსნები ურთიერთს ლეშს. ბოლოს ეგეც შემოაკლ-

[1] Patet via — ლათ. გზა ხსნილია.

დათ, ახლა ხელი მიჰყვეს ხის ქერქების, ჯღანების და ჩონჩორის ხარშვას.

ერთი ქათამი 15 ოქრო ღირდა, აქლემის, ცხენის ან ვირის თავი ათ ბიზანტიულ სოლიდად იყიდებოდა. ერთი ცალი კაკალი თითო დინარი ფასობდა. ლანდებივით დალასლასებდნენ დამშეული ბრბოები, არც ომს აპირებდა ვინმე, ძალით გაჰყავდათ მონასპანი საგუშაგოზე.

მალემრწმენნი და მშიშარანი სარდაფებში იმალებოდნენ, ზოგნი თავქვე იწვნენ შრამელების უკან და უდრტვინველად ნებდებოდნენ სიკვდილს.

მრავალი ათასი კაცი გადაიმალა ქალაქის ერთ უბანში, ბოჰემუნდმა ცეცხლი შეუგზნო მათ თავშესაფარს და უწყალოდ გაუჟა მხდალი მეომრები. აქედან მთელ ქალაქს მოედო ხანძარი, სამასიოდე სახლი გადაიბუგა. . .

* * *

„ერთ ღამეს ანტიოქიის ციხის გუშაგებმა შენიშნეს მოწითალო ალის გაელვარება ცაში. ახლოვდებოდა დასავლეთიდან წამოსული კომეტა. ერთბაშად მოსწყდა მეტეორიტი ცას და ორონტის ხევში დაბანაკებულ თურქთა ბანაკებს დაეცა.

თავზარდაცემული თურქები გაიქცნენ, მაგრამ მეორე დღეს მაინც გამოჩნდნენ თავადი ციხის მისასვლელებთან, დღისითა და ღამით თავს ესხმოდნენ გოდოლებს.“

. . . . . .

* * *

ბოლოს ბოჰემუნდმა აისხა აბჯარი „რკინას შეჩვეულ სხეულზე“ და ჯვაროსნების მიერ აგებული გოდოლი წაართვა თურქებს. მთის თხემებიდან დაეშვნენ შეჯავშნული თურქი რაინდები, ეკვეთნენ ბოჰემუნდის სპათა და გაჩაღდა სისხლის ღვრა.

ვეფხვივით ბრდღვინავდა ბოჰემუნდ, მისგან შემოქნეული ხმალი ხოხობივით აპობდა თურქებს, მაგრამ მაშველნი მოერთვნენ თავდამსხმელებს და მისჭირდა საქმე.

მკლავი გამართეს სხვა რაინდებმაც.

წამოეშველნენ ბოჰემუნდს: გოდფრუა დე ბუჟონ, გრაფ რობერტ დე ფრიზო, ნორმანდელი რობერტი, ჩეხეს თოროსანი თურქები, უკუაქციეს თურქნი და კვლავ დაიმკვიდრეს გოდოლი.

დიდძალი თოროსანი სპაი წარმოგზავნა ქერბოგამ, გოდოლიდან გამორეკეს ჯვაროსნები და ყოველი მხრიდან ჩაჰკეტეს თავადი ციხის მისადგომები კვლავ.

* * *

შავი დღე დაადგა ჯონდი ერისთავს. გაძნელდა დედოფალყოფილის რუსუდანის კვება. როცა საჭმელი ასე თუ ისე მოიპოვებოდა, მაშინაც მცირესა სჭამდა, რათა მონაზვნებს, მეკარვეებსა და ამალას, ავადმყოფ პეტრუსს, უსინათლო ათანასეს და გაუმაძღარ ხახუტაის არაფერი მოკლებოდათ.

ბოლოს როცა ვირის ლეშიცა და მოხარშული ჯღანიც სანატრელი გახდა, მან სავსებით აღიკვეთა ჭამა. პირაღმა იწვა, აღტყინებული გალობდა ფსალმუნის ლექსებს. თვით სალოცავადაც ვერ დგებოდა ლანდადქცეული ქალი.

* * *

დედოფალყოფილი და მისი ამალა ანტიოქიაში დაბინავებული იყვნენ წ. პეტრეს ეკლესიაზე მიშენებულ ეკვდერებსა და შრამელებში. ეს ნაგებობანი ანტიოქიის აღებამდის თურქებს ბეღლებად ჰქონდათ განკუთვნილნი.

ამ ეკვდერების კედლებზე კიდევ მოსჩანდნენ წამალ გამოხუნებული ფრესკები ანტიოქიის პატრიარქებისა, წმიდანებისა და ანგელოსებისა.

ხატებათაგანს ზოგს თავი ჰქონდა გადალესილი, ზოგისთვის თვალები ამოეჩიჩქნა თურქულ იატაგანს, ზოგს შარავანდი წარხოცოდა, ზოგს ხელფეხი, ზოგსაც ფრთენი.

ამიტომაც ეს პატრიარქები, წმინდანები და ანგელოსები სამოსშემოფხრეწილ მათხოვრებს მიაგავდნენ კედლებზე აწურულთ.

რაკი ეს შენობანი ნაბეღლარი იყო, ვირთხების ლეგიონები დაშლიგინებდნენ მათში ნიადაგ. როცა ანტიოქიაში შიმშილი ატყდა, ეს ცხოველები გამძვინვარდნენ, ერთ მეჯორეს და ერთ მონაზონს ცხვირის ნესტოები მოსჭამეს.

ხახუტაის ახალი საქმე გაუჩნდა: ორკაპიანი ჯოხით აღჭურვილი დასდევდა იგი ვირთხებს.

ვირთხების ამაზრზენ წრუწუნს ზედ ერთვოდა მღამიობების ფარფატი და წრიპინი. ეს ყოველივე ძრწოლით ავსებდა დედოფალყოფილსა და მის მონაზვნებს.

მღამიობები დღისით ჩურჩხელებივით ეკიდნენ ეკვდერის თაღებში, შუქს აანთებდნენ თუ არა, მოედებოდნენ სადგომს და შექმნიდნენ ღამეულ მარულას.

ჯონდი ერისთავმა აღარ იცოდა ან ამ დიაცებისა და მოხუცების საზრდო რაგორ მოეპოვებინა, ან რომელ ჭირს შებრძოლებოდა: თურქებს, ვირთხებს თუ მღამიობებს?

ამ უსიამო ამბებს ზედ დაერთო პეტრუსის ავადგახდომა. ამ დროულ კაცს ყბაყურა დაემართა. იძალებდა სიცხე, ბოდვას დაიწყებდა სნეული. ასე რომ ჯონდის არც დღე ჰქონდა მოსვენება და არც ღამე.

შიმშილისაგან გამგელებული ხახუტაი დაძრწოდა ქალაქში. დაათრევდა ნამკვდრევი საქონლის თავ-ფეხს, ჯღანებს, კეპავდა, ხარშავდა და განუკითხავად ნთქავდა ყველაფერს.

ხუმრობდა თანაც: აფსუს, სადაა ჩემი ფაშფაშა სიდედრი, ერთ ჭამეულობისად შევესანსლავდიო ახლა.

ჰერცოგ ბოჰემუნდს ძლიერ მოსწონდა ჯონდი ერისთავი, ერთხელ ღორისთავი გამოუგზავნა საჩუქრად მას.

ხახუტაიმ წიწილის ძვლებივით დახრა ტახის ყბები.

უსინათლო ბერი ათანასე საკვებით გულმშვიდად შეეგება ამას ყოველივეს. მას დაბეჯითებით სჯეროდა, რომ უფალი სცდიდა მხოლოდ თავის მართლმორწმუნე მრევლს.

არც თუ იმედს ჰკარგავდა რომ ბაგრატოვანთა სამარი ჯვარი, რომელსაც არაერთხელ გადაურჩენია აგარიანთა მოძალებისაგან ქართველი ხალხი. უთუოდ შეინახავდა ამ ერთ მუჭა ქართველებს, რომელნიც სხვა ქრისტიანებთან ერთად მოხვდნენ ანტიოქიის ციხის გარემოცვაში შემთხვევით.

გარდა ამისა ათანასეს ურყევად სჯეროდა, რომ „ღმერთია თავათ უდიდესი ომის უფალი.“

უდარდელად ღიღინებდა ფსალმუნის ლექსებს და ყოველ დილას უზიარებდა წინაღამინდელ სიზმრებს მის გვერდით მწოლარე პეტრუსს.

ხან თეთრ რაშზე გადამჯდარი ლომისის წ. გიორგი ეზმანებოდა მას, ვითომ თეთრთოროსანი ანგელოსების ლაშქარი მოჰყავდა წმინდანს ანტიოქიაში ჩაკეტილ „ქრისტეს ლაშქრის“ მისაშველებლად, ხან მოსე წინასწარმეტყველთან ერთად დაბობღავდა ეგვიპტის უდაბნოებში, ხან ელიას ცეცხლოვან ეტლზე იჯდა, ხანაც მოციქული ისიზმრებოდა იოანე, მწვანე ცხენზე მჯდარი.

*
* *

როცა ალექსი კომნენის უკუქცევის ამბავი შეიტყეს ჯვაროსნებმა, ფრიად დაოინდნენ, ხოლო ათაბაგი ქერბოგა გაამხნევა ამ ამბავმა. გარემოცვის

რკალი უფრო მეტად დაავიწროვა და გამძვინვარებული იერიშებით მიადგა ანტიოქიის თავადი ციხის გალავნებსა და გოდოლებს.

*
* *

ანტიოქიის ციხის გარემოცვა რა მოთავდა, გათავხედებული თურქები ისრის მისაწვდენზე უახლოვდებოდნენ თავადი ციხის კედლებს. უთვალთვალებდნენ: ეგებ ვინმე გამოსულიყო გოდოლებიდან, სარჩოს მაძებარი, ან გაქცევის მოსურნე.

უნაგირების ტახტზე საბელები ჰქონდათ დახეშილი, მოსალოდნელი ტყვეთა შესაკოჭავად. . . . . .

*
* *

.... ერთ საღამოს ჯვაროსნებმა შენიშნეს: ოციოდე თურქი მხედარი ძაღლის კართა შესასვლელთან დააჭენებდნენ ცხენებს.

რამდენიმე მძიმედ შეჭურვილი რაინდი გამოვიდა ციხიდან, ცხენდა ცხენ გამოუდგნენ თურქებს და ორონტს გადაღმა გადარეკეს ისინი.

ისევ მობრუნდნენ თურქები, ამასობაში ჯვაროსნებმა დეზი ჰკრეს თავიანთ ჯაგლაგა, დამშეულ ცხენებს, გადალახეს ორონტი და დაუშინეს ისრები.

თურქებმა მიაშურეს გადაღმელ სერებზე დადგმულ კარვებს, მხოლოდ ათიოდე ცხენოსანი უკან ჩამორჩა მათ. მათ შორის ორნი ყველაზე ბოლოს მიდიოდა.

ჯონდი ერისთავი ამ დროს ძაღლის კართან იყო. მას გული ერჩოდა მათთან საბრძოლად. სხვა რაინდებმაც შეაგულიანეს, ჩვენ მოგვყვებითო.

ის ის იყო ცხენი დასძრა ჯონდიმ, მაგრამ დანარჩენები უკანასკნელ წუთში შედრკნენ და გადაიფიქრეს ვიღაც „ბერძნისთვის“ თანადგომის გაწევა.

მარტოშთენილ ჯონდის შერცხვა უბრძოლველად უკან გამობრუნება. გაქცეულ თურქებს ჯერაც გადასულიყო არა ჰქონდათ ორონტს გადაღმელი ხნულები, მარტოხელა ქრისტიანის დანახვაზე შემოაბრუნეს ცხენები.

თავდაპირველად ეს უკან მიმავალნი სამნი შემოეგებნენ ჯონდის, ჯონდიმ პირველის შემოტევა ხმლით აიცდინა, მეორეს გადაუწვინა ხმალი და ლანდის უსწრაფესად წააცალა მუზარადიანი თავი, მერმე მესამესთან მიაგდო ცხენი და ხნულში წააქცია მისი არაბული ულაყი მკერდულით. ბოლოს დეზი ჰკრა თავის ცხენს ზედ გადაწვა და ციხისაკენ გამოემართა ჭენებით.

ხმალშემართული თურქები უკან მოსდევდნენ ყიჟინით, მაგრამ ჯერაც ორონტამდის არ იყო მოსული ჯონდი, ისარმა უწია თეძოს თავზე, მაინც გაჰქუსლა ცხენი, ხოლო თურქების ცხენები ხნულში წაიქცნენ და მხედრები ქვეშ მოჰყვნენ მათ.

ჯონდიმ მოასწრო ორონტის გადმოლახვა ამასობაში.

ამ ამბავს ჯვაროსნებიც ჰხედავდნენ ციხის სამზერებიდან. ისინი ვაგლახად სტიროდნენ, რადგან „უფლის მკლავის“ ჩარევა დაინახეს ამ შემთხვევაში.

. . . . . .

თავდაპირველად გულმაგრად იყო ჯონდი, არად აგდებდა თეძოს თავის ჭრილობას. ყავარჯენს დაბჯენილი დადიოდა ქალაქში, რათა მოხუცებისა და მონაზვნებისათვის ეყიდნა საზრდო.

ხახუტაი უკვე ნამკვდრევ საქონლის ლეშსაც ვეღარ პოულობდა, მას ალესილი დანა დაჰქონდა და აგროვებდა ხის ქერქებს, ჯღანებსა და ჯორის ჩონჩორს. ჩამოხმა ეს უზარმაზარი დევკაცი, თავისი როხროხა ხმაც დაუწვრილდა შიმშილისაგან.

ჯონდის შენიშნული ჰქონდა: ღამღამობით სადღაც გაუჩინარდებოდა დიაკონყოფილი. ჯონდიმ მოუცლელობის

გამო დროზე ვერ მოუარა წყლულს, გაურთულდა იარა.

ერთ ღამეს იწვა იგი თავის კუთხეში, თვალმილული სთვლემდა. მამაკაცების სამყოფლოში უჩვეულო მყუდროება სუფევდა. მხოლოდ სნეული პეტრუს ბოდავდა ჟამიდან ჟამზე, ხანაც ხახუტაი ხროტინებდა ძილში.

დაძინებამდის ჯონდი მისჩერებოდა მისი საწოლის გასწვრივ ტიარიანი პატრიარქის შარავანდიან ფრესკას:

აგრე მოეჩვენა დასიცხულ ჯონდის: ტიარიანი დევკაცის ლანდი ჩამოვიდა კედლიდან და ზედ გადაეფოფრა მწოლარეს. მისი გრძელი, დაფანჩული წვერი უხიჩინებდა თითქოს წარბებზე.

ჯონდიმ თვალები მოიფშვნიტა. შენიშნა: ეს ცხვრის ტყავებისაგან შეკერილი წამოსასხამი უცაცუნებდა თურმე სახეზე.

გაეხარდა, ეს ყოველივე მოლანდება რომ აღმოჩნდა ძილფხიზლობისა. გვერდი მოინაცვლა და ეცადა ძილს მინებებოდა, მაგრამ არ ასვენებდა ფიქრი.

რა ბედითათ წარიმართა ყოველივე ირგვლივ!

დღე დღეზე მოსალოდნელი იყო თურქის მახვილისა, ან შიმშილისაგან სიკვდილი, უკეთეს შემთხვევაში ბრნათა ბაზარზე გაყიდვა.

ჯონდი ხედავდა თუ როგორი უთანქამობა სუფევდა ჯვაროსანთა ბანაკში.

ჯვაროსანთა ლაშქრის თავკაცთა შორის განხეთქილებანი არამც თუ არა სცხრებოდნენ, არამედ განსაცდელის პირისპირ უარესად ქიშპობდნენ ურთიერთს შორის სარდლები.

გაერთიანების ნაცვლად ისინი დაუცხრომლად კამათობდნენ; უკეთუ თურქები დამარცხდნენ, ვის უნდა რგებოდა ანტიოქია სამარადჟამო საუფლოდ?

გოდფრუა დე ბუჟიონს, ტულუზის გრაფს რაიმონს, თუ ბოჰემუნდს? პაპის ლეგატი, პუჟის ეპისკოპოზი ადემარი რომის პაპს ურბან II-ს ახსენებდა ამ ქალაქის მომავალ პატრონად.

სხვანი და სხვანი იგონებდნენ ალექსი კომნენისათვის შეპირებულ ყმადნაფიცობას და აგრე ამტკიცებდნენ: ბიზანტიას უნდა მივაკუთვნოთო მისი უძველესი ქალაქი.

ჯონდი ერისთავს უდიდესი განსაცდელის ჟამსაც არ ეკარგებოდა ოხუნჯობისა და ყმაწვილური ანგლობის უნარი.

მას სასაცილოდ არა ყოფნიდა, რომ ეგზომ წარჩინებულნი გვამნი, როგორიც იყვნენ ჯვაროსანთა წინამდგომნი, ავზნიანი ბალღებივით ეცილებოდნენ ურთიერთს ჯერაც გაუხდელი ტყავის გამო ისეთი დათვისა, რომელიც თავათ უპირებდა ყველას გადანთქმას.

მერმე რისი, ან ვისი იმედით?

ჯვაროსანთა ლაშქრიდან რამდენიმე ათეული ათასი გზაში დაიღუპა, ზოგნი ბრძოლაში, ზოგნი სახადით, ზოგნიც შიმშილისაგან.

ლაშქარს არც ცხენები გააჩნდა არც საჭურველი.

ამ ფიქრებში გართულ ჯონდის ფაჩუნი მოესმა.

გაიხედა: ნახევრად ბნელში წამოჭოტილიყო ხახუტაი თავის საწოლზე და იფხანდა გაბანჯგვლილ მკერდს.

ჯონდი თვალმილული შესცქერის.

ხახუტაი ჩამოძვრა საწოლიდან და თავის ჩოხას წაეპოტინა.

„სად მიდის ეს ეშმაკისკერძი ამ შუაღამით“? გაიფიქრა ჯონდიმ.

ხახუტაიმ ჩოხა წამოისხა, ჩლატებში ფეხი ჩადგა კედლიდან ჭალი ჩამოიღო და ფეხაკრეფით გავიდა გარედ.

ჯონდის ფრიად უმძიმდა წამოდგომა, მაგრამ ცნობისწადილმა და ყმაწვილურმა ანგლობამ ისე წასძლია, საჩქაროდ წამოდგა, ყავარჯენს ხელი წამოავლო და ლანდივით უკან მიჰყვა ხახუტაის.

ეკლესიის ქვედა სარდაფის კარი შეაღო ჭაღოსანმა.

და ხედავს ჯონდი:

უზარმაზარ სარდაფის კედლებზედაც პატრიარქებისა და წმიდანების ლანდები რიალებდენ. ქვედა პალატის შუაგულში სარკოფაგი იდგა დიდი და სხვა მრავალნი მომცრონი.

სწორედ ამ დიდი სარკოფაგის წინ ცეცხლი ენთო. რკინის სამფეხზე ჭანური ქვაბი იდგა.

ხახუტაი ცეცხლს შეფიცხებოდა. თავზე ორივე მკლავი შემოეწყო და დაღონებული შესცქეროდა მოგიზგიზე ცეცხლს.

ჯონდი კარის ალაგთან იდგა აწურული მცირე ხანს და მერმე დაახველა ოდნავ. გველცემულივით წამოიჭრა ხახუტაი და იყვირა:

რომელი ხარო?

მე ვარო.

მიუგო ლანდმა, თანაც შენიშნა: ხახუტაი ძლიერ დაიბნა და ენის ბორძიკით უთხრა:

„რაი გნებავთ ჯონდი ბატონო“?

„შენი მშვიდობა, მე ეგ მინდოდა მხოლოდ გამეგო, თუ რას დაეძებდი შე ეშმაკო გვიანი ღამით“?

„მენა... მენა...“

ისევ წაუბორძიკდა ხახუტაის ენა. ჯონდისაკენ შემობრუნდა და ჭანური ქვაბი დაფარა ზურგით.

ჯონდიმ თავათ აანთო მუნვე გდებული ჭაღი და ხახუტაის უკითხავად ჩაიხედა ოხშივარიან ქვაბში და რას ხედავს?

ჭანური ქვაბი სავსე იყო რგვალ-რგვალ რამეებითა.

ჯერ იყო და ასე ეგონა ჯონდის: თალგამებს ხარშავსო ხახუტაი.

ჯონდის ნერწყვი მოადგა პირზე.

გაიფიქრა: მეც შევექცევიო თალგამს.

„ეს თალგამები სად გიშოვნია შე ვირეშმაკა?“

ნაძალადევი ღიმილისაგან სახე დაემანჭა ხახუტაის.

„რომელი თალგამები, რასა ბრძანებ ერისთავო ბატონო?“

„მაშ რაღაა, შე ქრისტეს ფეხის მკვნეტელო?“

ხახუტაი გამოტყდა:

„ვირთხებს ვხარშავ ერისთავო ბატონო, აბა რითი ამოვყორო ეს ოხერი სტომაქი!“.

ჯონდიმ გადაიხარხარა.

„ჰო მაგრამ როგორ იჭერ მერმე ამ ვირთხებს, ხახუტაი ბედშავო?“.

ხახუტაიმ ჭაღი გამოართვა ჯონდის, დიდ სარკოფაგთან მიიყვანა თავისი დევკაცური მკლავით ფიორივით გადახადა ფიქალის სარქველი ლუსკუმას.

ცალიერ სარკოფაგში ბარე სამი ხაფანგი იდგა. ერთ მათგანში ახლად დაჭერილი ვირთხა კუსავდა თვალებს.

ხახუტაი იჯღანებოდა:

სანთლები დაგინთოს ერისთავო ბატონო ამ ვირთხამ, თორემ, ამ წუთში ვუტუცავდი მას ჭანურ ქვაბში თავს“.

„ეგ რა ლუსკუმაა ხახუტაი“?

„აგრე უბნობენ ხუცნი, ამ ლუსკუმაში თავათ წ. პეტრე ყოფილაო დამარხული, მისი ნეშთი თურქებს გადაუყრიათო სადღაც. ახლა როგორც ხედავ მე ვიყენებ მას ვირთხების საჭერად“.

„კი მაგრამ რაღა ამ ლუსკუმაში მოაწყვე შენი სათაგურები, ხახუტაი“.

„რა ვიცი, შენი ჭირიმე, ამ სარდაფში ხშირად დაეხეტებიან ვირთხებზე მონადირე ფრანკის ბერები. ამიტომაც ავირჩიე ასეთი სამალი. ერთ ორჯერ მომპარეს კიდევაც ხაფანგში გაბმული ვირთხა“.

*

* *

ცხოვრებაში ხშირად ხდება ასეთი რამე: ზოგჯერ ფრიად უმნიშვნელო საგნებს დიდ მნიშვნელოვან დასკვნებამდის მიჰყავს ხოლმე ადამიანი.

მცირეოდენი მოთმინება იქონიოს ჩემმა მკითხველმა და იგი თავათ დაინახავს ეს ცალიერი ლუსკუმა რა დიდი ამბების მიზეზი გახდა. . . . .

. . . . . .

როცა ეკვდერში უკან მიბრუნდა ჯონდი ერისთავი, ბოდავდა სნეული პეტრუს წ. ანდრიას ახსენებდა რატომღაც ხშირად.

ჯონდის წყლულის ტკივილი გაუმძაფრდა, ტფილად შეიფუთნა თეძოს თავი და თავისი ტყაპუჭები წამოისხა.

ცალიერი ლუსკუმის ნახვამ და პეტრუსის ბოდვამ უტნაური აზრები აღუძრა ჯონდის.

გადახედა ათანასეს საწოლს, უდრტვინველად ეძინა უსინათლოს. ისევ წამოდგა კვიმატი ჯონდი. ზანდუკიდან ამოიღო სწორედ ის ხელშუბი, რომელიც თურქებს დაატოვებინა მან ეშმაკის კლდეებთან. წამოისხა ზეწარი, მიეახლა მოხუცების საწოლს.

პეტრუს პირაღმა იწვა მკერდზე ხელებდაკრეფილი. მოუსვენრად ტოკავდნენ მისი დასიცხული ტუჩები.

ჯონდიმ ხელშუბის წვეტი მიაკარა ხელის გულზე მოხუცს. დაწითლებული თვალები გააფახულა პეტრუსმა და იკითხა:

რომელი ხარო?

„შენ თავად რომელი ხარ შვილო?“

ეკითხება ხმაშეცვლილი სუდარიანი.

„მე პეტრუს ბარტოლეუმი გახლავართ, რაინდის ვილჰელმის ყმადყოფილი. შენ ვიღა ბრძანდები მარქვი?

შეეკითხა პეტრუსი.

„წ. ანდრია ვარ, მოციქულთა სწორი“.

წ. ანდრიას ხსენებაზე ბალიშიდან ზეწამოიწია სნეული, მაგრამ მზერა ვერ გაუმართა სუდარიან ჩვენებას. კიდევ ეწადა ეკითხნა რაღაც. მაგრამ დაასწრო სუდარიანმა:

„აჰა, ეგაა ხელშუბი იგი, რომლითაც ევნო მაცხოვარი ჩვენი იესო. აღსდექინ პეტრუს და ამცნე ქრისტეს ლაშქარს, რომ ეს ხელშუბი ქრისტესეული წ. პეტრეს სამარხიდან ამოიღონ, წარუძღვანონ ლაშქარს და სარტონ აგარიანნი“.

ბერი ათანასე ყურს უგდებდა ამას ყოველივეს და როცა სუდარიანი ჩვენება გაქრა, ათანასემ ეს უთხრა პეტრუსს:

„ბიზანტიონში მეც მეწვია წ. ანდრია მოციქულთა სწორი. ქრისტესმიერი ხელშუბი მომაკარა ხელზე...“

ჯონდი ერისთავმა შეიცადა ვიდრე, ხახუტაი მოათავებდა ვახშმობას. როცა იგი ეკვდერში მიბრუნდა, ნებიერად წამოწვა მაძღარი და მისთვის ჩვეული ხვრინვა ამოუშვა, ადგა უჩინრად ჯონდი და „ქრისტესეული ხელშუბი“ ტაძრის სარდაფში ჩაიტანა.

ამოჰყარა ლუსკუმიდან ხახუტაის სათაგვურები, ხელშუბი ჩასდო ლუსკუმაში და ქვის სარქველი დაახურა ზედ.

მეორე დღეს გამოსძებნა მოქლონი და დაჰკეტა სარდაფი, რათა ხახუტაისათვის აღეკვეთა ვირთხებზე ნადირობა მანდ.

*

* *

ერთი კვირაც გავიდა, ათაბაგ ქერბოგას ლაშქარმა გააძლიერა გოდოლებზე შემოტევა. ერთ ღამეს თოკის კიბეები დაჰკიდეს სწორედ იმ გოდოლს, რომელსაც კარნი ძალლისანი ერქვა, შემოცვინდნენ ციხე ქალაქში, რადგან მშიერ გუშაგებს ნაშუაღამევს დასძინებოდათ. შუბოსანი თურქები დაერიენ მძინარ ჯვაროსნებს.

გამოუვარდა ჰერცოგ ბოჰემუნდი, შეიპყრეს თურქნი და გალავნებიდან კისრის ტეხით გადაჰყარეს ბნელში.

იძალა შიშმა და შიმშილმა ჯვაროსანთა ბანაკებში. ქანცმილეულ ბერებს ათასგვარი ჩვენებანი ელანდებოდათ, ზოგი ვარსკვლავეთში პოულობდა ღვთაების წამყოფას, ზოგიც სიზმრებ-

ში ხედავდა განცხადებას უფლის ნებისას.

ჯვაროსანთა შორის მომრავლდა მიტაცება, ქურდობა და სიძვა. უცოლო რაინდები და მონასპანი ნამუსს ხდიდნენ ანტიოქიაში დარჩენილ თურქ დიაცებს, ომში დაღუპულ ქრისტიანთა ქვრივებსა და საცოლეებს.

ჯვაროსან მონაზნებსაც არ ზოგავდნენ გახელებული მამაკაცები. . .

*

* *

ერთ დღეს იაგი სიამისეულ სასახლის მოედანზე ისხდნენ დაღვრემილი სარდლები და უღიმღამოდ საუბრობდნენ რა მოემოქმედათ ან მტერს როგორ გამკლავებოდნენ, ან შიმშილს?

მათ გარშემო მოჯარულ ბრბოს გამოეყო ერთი სავსებით გაყვითლებული ხუცესი და მიმართა მათ:

„სინდორებო, გვედრით მომისმინოთ მცირეოდენი“.

თავი ასწიეს სინდორებმა და მიუგდეს ყური.

„გუშაგამ მე დამძინებოდა ღვთისმშობლის ჩვენის ეკლესიაში და ვიხილე უცნაური ჩვენება ერთი. განმეცხადა მაცხოვარი ჩვენი იესო, რომელსაც თან ახლდნენ დედა მისი წ. მარიამ და მოციქულთა თავადი პეტრე წმიდა.

მომიახლოვდა წმიდანი, დადგა წინაშე ჩემსა და მრქვა:

„თუ მცნობო ვინა ვარ?“

„ვერა გცნობ მეთქი მიუგე. ამის თქმა მოვასწარი და ჯვარის სახემ გაიელვა მის თავზე.

ახლა მაცხოვარი შემომესიტყვა:

„მე თუ მცნობო“?

„ვიცანი და ფერხთით დაუვარდი უფალს და ვეაჯე მოკრძალებულად, დაგვიხსენი მეთქი სასიკვდილოდ განწირული ლაშქარი შენი“.

და მომიგო მაცხოვარმა: ეგ მე გშველოდით ნიკეის აღებისას და ამიერიდანაც მწედ ვექნები ჩემთა მონასპათ. ჩემის თანადგომით აიღეთ ქალაქი ანტიოქია. მიუხედავათ ამისა, ჩვენ ეძლევით მრუშობას და სიძვას. ამ გახრწნილების შმორმა ჩემამდის მოაღწია ცაში“.

ეს ბრძანა თუ არა მაცხოვარმა, ღვთისმშობელი და პეტრე წმიდა დაუვარდნენ მას ფერხთით და ევედრნენ შეუნდეო შენს ლაშქარს ცთომილება ესე.

მაშინ მომმართა მაცხოვარმა ჩვენმა, ტკბილმა იესომ და მრქვა:

„მიდი შეჰყარე ჩემი ლაშქარი და ამცნე, რომ სულ რამდენიმე დღეც არ გაივლის და მე მოუვლენ ჩემს ხალხს სასწაულს“.

ესა სთქვა ხუცესმა და აჩოჩქოლდნენ, როგორც თავადები, ისე გარს მოგროვილი ბრბო. ბოჰემუნდი და სხვა ნორმანელი სარდლები იჭვნეულად ღიმებოდნენ.

„სინდორებო, განაგრძო ხუცესმა, თუ თქვენ სარწმუნოდ არ მიგაჩნიათ, ის რაც მოგახსენეთ, გადამისროლეთ თავადი ციხის რომელიმე გოდოლიდან, უკეთუ გადავრჩე, ერწმუნეთ ჩემს ნათქვამს.

ეს არა გნებავთ? თუ ჩემი ნათხრობი არ გამართლდეს, თავი წარმკვეთეთ, გინდა კოცონზე დამდევით ცოცხლად“.

დადუმდნენ ურწმუნონიც ჯვაროსანთა შორის და ამ დროს უსინათლო ბერი ათანასე და პეტრუს მიეახლნენ სარდლებს.

პეტრუს წარუდგა გრაფ რაიმონდ ტულუზს და მოახსენა: მეც მქონდაო წინა დღეებში ამგვარი ჩვენება. ეს იყო მხოლოდ მე წ. ანდრია, მოციქულთა სწორი მეწვია და ხელზე მომაკარა ქრისტესეული ხელშუბი.

ეპისკოპოზმა ადემარმა თავი ასწია, ეკითხება პეტრუს:

„მერმე რა უყო წმინდანმა ხელშუბი იგი?“

აგრე მიბრძანა მოციქულთა სწორმა, წ. პეტრეს ლუსკუმაში მიაკითხონო ხელშუბსა მას“.

„მარტო იწექი სენაკში?“

ეკითხება ეპისკოპოზი.

„არა ეს ჩემი მეგობარი, მამაი ათანასე ჩემს გვერდით იწვა თავის საწეველზე.

„შენაც იხილე წ. ანდრია ბერო?“

ეკითხება რაიმონი მამა ათანასეს, რადგან მან ვერ შენიშნა უსინათლობა მისი.

ათანასემ ლათინური ვერ გაიგო და ეპისკოპოზმა ადემარმა გაუმეორა მას რაიმონის კითხვა ბერძნულად და ბოლოს თავათაც ჰკითხა ბერს:

„შენ ეს ყოველივე მართლაც ისმინე ბერო?“

„ყოველივე როგორც ბოგახსენეს, შენო მეუფებავ“, მიუგო ათანასემ. „გარდა ამისა, დასძინა უსინათლომ, კონსტანტინოპოლში მეც მეწვია მოციქულთა სწორი წ. ანდრია და ხელზე მომაკარა ხელშუბი“.

ისევ პეტრუსს მიუბრუნდა ეპისკოპოსი ადემარი და უთხრა:

„შენ ამბობდი წ. პეტრესეულ სარკოფაგშიაო ქრისტესეული ხელშუბი. ხომ არ მოგიძევია თავათ“?

„იმ დღეებში მე ავად გახლდით შენო მეუფებავ, მხოლოდ მესამე დღეს განვიკურნე, მივაკითხე იმ სარდაფს, წ. პეტრეს ეკლესიის ქვეშ, მაგრამ მოქლონით დაგმანული დამიხვდა იგი“.

„პასუხისგებას თუ იკისრებთ ამ განცხადებისთვის? მიმართა ადემარმა პეტრუსსა და ათანასე ბერს.

პეტრუსმა სთქვა:

„ის რაც მე მოგახსენეთ, თუ სწორი არ აღმოჩნდა, რომელიც გნებავთ იმ გოდოლის ზეთავიდან გადამაგდეთ, გინდ თავი მომჭერით, გინდ აღგზნებულ კოცონზე დამდევით“.

ახლა ათანასე ბერს მიუბრუნდა ადემარი, მანაც იგივე განაცხადა. ამ სამი მოხუცის დაბეჯითებით განცხადებულმა შეარყია იქვნეულნიც ჯვაროსანთა სარდლებს შორის.

მიუხედავად ამისა, ადემარ დე პუჟს ბრძანებისამებრ მოატანიეს სახარება, ჯვარი დასდვეს ზედ და განმცხადებელნი დააფიცეს.

ეხლა ეპისკოპოსმა ადემარმა მოითხოვა ქრისტეს მხედრობის სარდლებსაც დაედოთ ფიცი.

სათითაოდ იჩოქებოდნენ: ჰერცოგ ბოჰემუნდი, გოდფრუა დე ბუჟონი, გრაფ რაიმონ დე ტულუზ, ჰუგო დე ვერმანდუა და საჯაროდ ფიცსა სდებდნენ: ქრისტეს საფლავის აღებამდის ებრძოლნათ უკანასკნელ ამოსუნთქვამდის.

ტანკრედმა თავის ფიცს ეგეც დასძინა: სანამ თუნდ ოცდაათი რაინდი მაინც თან გამყვება ომში, არამც თუ ანტიოქიის შესანარჩუნებელ ბრძოლაში, იერუსალიმის აღებამდის ქარქაშში არ ჩავაგებო მახვილს.

ლანდის უსწრაფესად მოედო ქრისტესეული ხელშუბის ამბავი ჯვაროსანთა ბანაკებს, სასახლის მოედანზე მოგროვდნენ რაინდების, მონასპათა, ბერების, ხუცების, მონაზნების, მათხოვრების ბრბოები, მოზეიმე ყიჟინით შეეგებნენ როგორც მესიზმრეთა, ისე თავიანთ თავკაცებს.

„ქრისტეს ლაშქარმა“ ამ უკანასკნელთაგან აირჩია თორმეტი რაინდი, მათ შორის: ვილჰელმ დ'ორანჟ, გრაფ რაიმონ დე ტულუზ, პონციუს დე ბალანცუნ, ფარალდ დე ტორნეზ.

მათ წარუმძღვანა პეტრუს ბარტლომეუს და წ. პეტრეს ეკლესიისაკენ გაემართნენ. დაამსხვრიეს მოქლონი, რადგან არავინ უწყოდა ვის ჰქონდა შენახული კლიტენი.

დიდის ზეიმით ამოიღეს „ქრისტესეული“ ხელშუბი სარკოფაგიდან. ეკლესიის ეზოში აღარ ეტეოდა გარს მოჯარული ბრბო.

ხალხმა ეს დღე „ხელშუბის პოვნის“, დღესასწაულად გამოაცხადა. ბოჰ-

ემუნდი აირჩიეს მხედართ მთავრად. ადემარ, პუჟს ეპისკოპოსმა ბრძანა და შემდგომი სამი დღე უნდა ყოფილიყო ქენჯნისა და მარხვის დღედ.

ამავე დღეებში დაურიგეს სამადლო გლახაკთა და უპოვართა.

ჯონდი ერისთავს ჭრილობა გაურთულდა, იგი სდუმდა, ჩუმჩუმად ეცინებოდა, თანაც გახარებული იყო: მისმა ოხუნჯობამ კეთილი ნაყოფი რომ გამოიღო.

ელვისებრ სისწრაფით გაერთიანდნენ ჯვაროსნები.

ერთ საღამოს ხახუტაი დაცუცქდა ჯონდის სარეცელთან. შეძრწუნებული ეუბნება ჩურჩულით: ჩემს სათაგვურში ქრისტესეული ხელშუბი ალმოაჩინესო?

ეშინოდა თავათ: არ დამსაჯოსო ღმერთმა ესოდენი მკვრეხელობისთვის.

მესამე დღეს ჯვაროსანთა თავკაცნი მოგროვდნენ სასახლეში და გადასწყვიტეს შუაკაცნი მიეგზავნათ ქერბოგასათვის.

მიგზავნილებს უნდა გაჰყოლოდა პეტრუს და ერთიც თურქულის თარჯიმანი ვინმე ჰერულინ.

აგრე შეუთვალეს ქერბოგას: ორთა ბრძოლა გაემართათ და უკეთუ მისი ფალავანი დამარცხდებოდა, ქრისტიანობა მიეღო სპიანად, ანტიოქიის გარემოცვაზე ხელი აეღო, ნაცვლად ამისა ჰპირდებოდნენ, არც შენთა მინასპათ დაეატყვევებთ, შენ საჭურჭლეთაც თან გაგატანთო.

მოციქულები მიბრუნდნენ ანტიოქიაში და ქერბოგას შემონათვალი ამცნეს ჯვაროსანთა სარდლობას:

„ქრისტიანი მე აროდეს გავხდები, მაგრამ ერთი რამ მაოცებს: რა უფლებით ეპატრონებიან ფრანკები იმ ქალაქებს, რომელნიც ჩვენ მუსლიმანებმა წავგლიჯეთო დიაცურ ტომებს ბერძენთა მოდგმისას“?

სამაგიერო რჩევას უთვლიდა ქრისტიანებს ქერბოგა:

„გიჯობთ თავათ ადგეთ ოსმალეთის მჯული, თორემ ყველას სიკვდილი და მონათა ბაზრებზე გაყიდვა მოგელით“.

მეორე დღესვე მხედართმთავარმა ჰერცოგ ბოჰემუნდმა ბრძანა და ექვს კოლონად დაჰყვეს ქრისტეს ლაშქარი. პირველს უსარდლეს საფრანგეთის მეფის ძმა—ჰუგო დე ვერმანდუა და რობერტ დე ფრიზო.

მეორეს, უპირატესად გერმანელებისაგან შემდგარს გოდფრუა დე ბუჟონ, მესამეს — **გრაფ რობერტ დე** ნორმან, მეოთხეს პროვანსალებისგან **შედგენილს—ეპისკოპოსი ადემარ დე** პუჟ.

პროვანსალების გრაფი რაიმუნდი ავად იყო, მას უნდა ეხელმძღვანელა რაინდთა იმ ჯგუფისათვის, რომელიც ციტადელიდან მოსალოდნელ იერიშებს მოიგერიებდა.

რაიმუნდ ციხე-ქალაქის განმგებლად უნდა დარჩენილიყო ანტიოქიაში, მაგრამ მან უარი განაცხადა დიაცებთან და ხეიბარებთან ქალაქში დარჩენაზე, თავის დავარდნილ ცხენზე შეჯდა და შეუერთდა ლაშქარს.

მეხუთე ჯგუფს უსაოდლეს ტანკრედი, მეექვსესა და უძლიერესს—ბოჰემუნდი.

„ქრისტესეული ხელშუბი“ უნდა ეტვირთა რაიმუნ დ'აჟილს.

თეთრი ფილონებით შემოსილი სამღვდელნი, ჯვრით ხელში წარუძღვნენ ლაშქარს, მოხუცნი, სნეულნი და ბერ-მონაზონნი გალავნებზე იდგნენ და ცისაკენ ხელაპყრობილი ლოცულობდნენ.

გაიღო კარნი ხიდისანი და იწყო ლაშქარმა დენა.

ათაბაგი ქერბოგა ამას ყოველივეს ხედავდა შორიდან, მაგრამ იგი ისე დარწმუნებული იყო საკუთარ ძალმოსილებაში, არც კი უცდია ხელი შეეშა-

ლა ანტიოქიის ციხე ქალაქიდან გამოსულ ლაშქრის განლაგებისათვის.

ქერბოგამ უწინარეს ყოვლისა თავის ლაშქარს ჩრდილოეთისაკენ დაახვევინა უკან, მარჯვენა ფრთა ზღვისკენ გააშვერინა სპათა.

თავათ ათაბაგი ქერბოგა გულის ლაშქრითურთ, აღმოსავლეთისკენ პირშექცეული იდგა, რათა ქრისტეანეთა მარცხენა ფრთისთვის შემოევლო ბრძოლის დაწყების უმალვე.

ქრისტიანებმა ეს რა შენიშნეს სასწრაფოდ შეადგინეს ჰერცოგ გოდფრუას და გრაფ რობერტ დე ნორმანის სპათაგან მეშვიდე კოლონა და რაინალდ დე ტულ უსარდლეს მას.

ამ ნაწილს ჯარისას უნდა აღეკვეთა მტრის მარჯვენა ფრთის მიერ შემოვლის საფრთხე.

ტრამალებში გაზრდილმა თურქებმა ბრძოლის დაწყებამდის უცნაურ ხერხს მიმართეს ერთს: ცეცხლი წაუკიდეს ბალახით მოსილ ველს ბრძოლისას, იმ ვარაუდით, ეს ხანძარი შეზარავდა ევროპელებს, გარდა ამისა, იმედოვნებდნენ: კვამლი ცრემლის დენას აუტეხდა მტერს. ხანძარი მალე ჩაქრა და უშედეგოდ დარჩა ეს ცდა.

ქრისტეანენი თვალითაც კარგად ამჩნევდნენ, დიდზე უდიდეს რიცხვობრივ აღმატებას თურქთა ლაშქრისას, მაგრამ მხნედ იყვნენ, რადგან ურყევად სჯეროდათ, რომ შეჭირვების ჟამს მათ წამოეშველებოდნენ „თეთრაბჯროსანნი, თეთრ ცხენებზე აღმხედრებულნი შუბოსანთა დასტანი, რომელთაც წ. გიორგი, მერკური და დემეტრიუსი უსარდლებდნენ“.

მთავარზე უმთავრესი ეგ იყო: ყოველ ჯვაროსანის გულში ღვივოდა „ქრისტესეული ხელშუბის“ იმედი.

. . . . . .

ორონტს გადაღმა განლაგებული თურქი ამირები და მათნი მონასპანიც თვალით ზომავდნენ ქრისტეანთა ლაშქრის რაოდენობას, თუ ქრისტეანების სარდლობას სომხებისა და ბერძნულების მეშვეობით ეჭვმიუტანელი ცნობები ჰქონდათ თურქთა ლაშქრის რაოდენობისათვის, ასეთნი არ გააჩნდა თურქებს.

ანტიოქიის გოდოლებთან და გალავნებზე დაჯორგილი ბერები, მონაზვნები, მოხუცები და ხეიბარნი, მათ სათადარიგო ლაშქარი ეგონათ შორიდან.

თუ ჯვაროსანთა სარდლობამ „ქრისტესეული ხელშუბის“ პოვნის შემდეგ ერთსულოვნად აირჩია მთავარ სარდლად ჰერცოგ ბოჰემუნდი, თურქული ჯარის ამირები თავკერძობას იჩენდნენ თვით მწკრივების განლაგების საქმეში, ხოლო თავათ ქერბოგას არც სახელი და არც ნიჭი არ მოსდგამდა ესოდენ მრავალრიცხოვანი ლაშქრის მოსახმარად.

ამირ რიდჰუან ეჭიშპებოდა ქერბოგას, როგორც არაბთა ამირა მუჰამედ ბენ ვეტტაბ, ისე დამასკის და ემესსის ამირებიც იჭვით შესცქეროდნენ ქერბოგას სპასალარობას.

ჯერ კიდევ დილაადრიან, როცა ანტიოქიის კარიბჭეებიდან გამოვიდნენ მწკრივად დაწყობილი ჯვაროსნები, ამირებმა მიაშურეს ქერბოგას კარავს, იგი ჭადრაკს თამაშობდა ამ დროს.

მოახსენებდნენ: იწყებაო ომი, ქრისტეანთა ლაშქარი გამოვიდაო ციხიდან უკვე.

„არაფერია, მიუგო ქერბოგამ, რაც უფრო მალე დაიწყებენ ჩვენთან ბრძოლას, მით უფრო ადრე იპოვნიან სიკვდილს“.

ქრისტიანთა სარდლობას ეწადა თავიანთი საბრძოლო ხაზით მთლიანად გადაეტიხრა მდინარე ორონტსა და მთის თხემებს შორის დარჩენილი სივრცე, რათა თურქთათვის აღეკვეთა როგორც მხარმარცხნიდან, ისე მხარმარჯვნიდან შემოვლა.

თურქთა ერთი ბანაკი ხიდს ქვემოდ იდგა, დასავლეთისკენ პირშექცეული, ხოლო მდინარე მათ მარცხნით იყო.

ჰუგო დე ვერმანდუამ და რობერტ დე ფრიზომ ძდინარის გაყოლებით დაიწყეს შეტევა. ამასობაში მარჯვნიდან მხარში ამოუდგნენ მათ გოდფრუა დე ბუჟონ, მოაღწია პუჟს ეპისკოპოსის ადემარის პროვანსალებმაც და ამ დროს მოვიდა ქერბოგას დესპანი, ამცნო ჯვაროსანთა სარდლობას:

ორთა ბრძოლითაც შევჯერდეთო.

ბოჰემუნდი მიუხვდა ამ თურქულ ხრიკს, დროის მოსაგებად მოგონილს, უკანვე გააბრუნა მტრის დესპანი და ძეტევის განგრძობა უბრძანა ლაშქარს.

ჯერ კიდევ დესპანი არ იქნებოდა ქერბოგას ბანაკში მისული, როცა ჯვაროსანთათვის სავსებით მოულოდნელად საკმაოდ ძლიერი თურქული ცხენოსანი ჯარი წ. სვიმეონისკენ მიმავალ გზიდან შემოიჭრა ბრძოლაში, ალაჰს ყიჟინითა და დაფდაფების ცემით, გრიგალივით წინ გაუარა ქრისტიანული ლაშქრის ერთ ხაზს და მთელის სიძლიერით დაეძგერა ეპისკოპოს ადემარსა და მის პროვანსალებს, გაარღვია მწკრივები და ბოჰემუნდსა და ნორმანდელებს მოექცა ზურგს უკან.

ამასობაში ჰუგო დე ვერმანდუა ეკვეთა მტერს, შემობრუნდა ილ პრინჩიპე ბოჰემუნდ და წინ გადაუდგა მოძალებულ თურქებს; გოდფრუა დე ბუჟონმა და რობერტ დე ნორმანმა რაინდი რაინალდი წარმოგზავნეს ბოჰემუნდის მისაშველებლად, რაინალდ ვაჟკაცურად ჩეხდა თურქებს, მაგრამ ვერ გაუძლო მტერთა სიმრავლეს და უკუიქცა.

ბოჰემუნდმა აცალა წინ წამოწევა თურქთა ცხენოსნებს და მერმე თავათ გადავიდა შეტევაზე, მოეძალნენ ბოჰემუნდს თურქნი, მაგრამ წამოეშველა ბოჰემუნდს ძმა მისი ტანკრედი და ორივემ აოტნეს მტერი.

გაქცეულთა დევნა ტანკრედს მიანება ბოჰემუნდმა და თავათ [illegible] მწკრივებში, რათა სხვაგანაც [illegible] ადგილი გადაეწყვიტა.

პროვანსალების მარცხენა ფრთას გარს მოვლის საფრთხე მოელოდა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა გულმამაცი ეპისკოპოსი ადემარ, აქაც წამოეშველა ბოჰემუნდი ადემარის სპათა.

გაიხედა ორონტისაკენ ბოჰემუნდმა და შენიშნა სწორედ აქ მოსდგომოდა ჯვაროსნების მწკრივებს ქერბოგას სარდლობით მიმავალი გული ლაშქრისა.

იმ ნაწილმა თურქის ცხენოსანთა ჯარისამ, რომელსაც ხმალამოწვდილი ტანკრედი და მისნი მონასპანი მისდევდნენ, ბალახიან ველს გაუჩინეს ხანძარი.

ამ ხერხით ორ რამეს მიელტვოდა მტერი: ჯვაროსანთა მადევრისთვის დევნა გაეძნელებინა, თანაც ქერბოგასთვის ემცნოთ: მოგვაშველეთო ჯარი.

ორონტის პირად სელჯუკებსა და მოჰამედ იბნ ვატტაბის არაბ მინასპათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა, ნაწილმა ცხენები შეაბრუნა ჩრდილოეთისკენ, ნაწილიც არაბებს დაერია და დაუწყეს ჩეხვა.

ბოჰემუნდმაც მოაღწია ამასობაში მან პროვანსალები გაამხნევა „დეუს ლე ვოლტის“ ყიჟინით, რადგან ორონტის პირად მყოფთ თურქებს უკვე შემოეარნათ ადემარის სპათა მარცხენა ფრთისათვის.

ამასობაში მოაგელვეს ცხენები რობერტმა და გოდფრუამ, დასცეს ყიჟინა და უმოწყალოდ ჩეხეს თურქები, ამან გადასწყვიტა ბრძოლის ბედი.

ქერბოგას ბრძანება მწკრივიდან მწკრივში გაისმოდა: უკუვიქცეთო.

საშინელის სისწრაფით მოსწყვიტეს თურქებმა ცხენები და მთელ ხაზზე ზურგი უჩვენეს ხმალ შემართულ ჯვაროსნებს, 60.000 მეომარის ცხედარი

ბრძოლის ველზე დასტოვეს მუსულმანებმა.

გზაში უხდებოდნენ ოტებულთ სომხები და სირიელები, ჰუკებივით იჭერდნენ თურქებს და ყელზე საბელ მობმულნი ანტიოქიაში მოჰყავდათ ისინი.

ქერბოგას ლაშქრის კარვები და, დიდძალი საჭურველი, სურსათი და ოქრო ჯვაროსნებს დარჩა. ერთად ერთ თურქულ ციტადელში გარემოცული დარჩა, ციხისთავი აჰმედ იბნ მერვან. მან დესპანი გამოუგზავნა ჯვაროსნებს და ციხის კლიტენი შეაძლია.

როცა რაიმონ დე ტულუზ მივიდა გოდოლთან, აჰმედმა ითხოვა: ბოჰემუნდი მობრძანდესო თავათ.

გაწბილდა რაიმონი.

ბოჰემუნდმა ჩაიბარა ციხის კლიტენი. აჰმედმა და მისმა მეციხოვნეთ ქრისტეს შჯული აღვიარეს. ბოჰემუნდმა გაანთავისუფლა ტყვენი. მაგრამ სომხები წააწყდენ მათ ძეებში და ამოხოცეს.

ერთად ერთი ჯონდი ერისთავი დარჩა ამ ომის შემდეგ გულდაწყვეტილი: თურქების ჩეხვით რომ ვერ მოიოხა გული.

ამ გაუგონარი გამარჯვების შემდეგ ჯვაროსანთა სარდლობამ გრაფ ჰუგო დე ვერმანდუას წინადგომით მოციქულები გაუგზავნეს იმპერატორს, ალექსი კომნენს, შეუთვალეს: ჩაიბარეო პირობისამებრ ციხე-ქალაქი ანტიოქია, მაგრამ დიდხანს იცადეს ამის შემდეგ, არც ჰუგო მობრუნებულა უკან და არც იმპერატორს მოუცია რაიმე პასუხი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

# ხრამჰესი

★

კლდეებს ჰკიდია ვით ბასრი ხმალი,
მოღელავს, მოხტის ლაღი და სუფთა,
ვინ იფიქრებდა, ოდესმე ხრამი
გადიქცეოდა ანთებულ შუქად.
შებორკეს შეჰკრეს, რომ მისი ცვარი
არ დაიკარგოს კლდეებში უქმად.

მან მხოლოდ კარგი იცოდა თევზი,
გაუტაცნია მრავალჯერ ბადეც,
თრიალეთისკენ წასული მწყემსი
აქ ნალვლიანი რეცხავდა ნაბდებს,
რას იფიქრებდა წალკელი გლეხი,
რომ ხრამი სახლის ჭერს გაუნათებს!

ბელადმა სთქვა და გაიპო მთები,
ხავსმოდებული შეირყა ლოდი.
ხალხის ოცნებამ გაშალა ფრთები,
სიმართლედ იქცა, რასაც ვნატრობდით.
დედა ქალაქის რკინის ძარღვებში
ახალი შუქთა ჩანჩქერი მოდის.

ცას მოსწყდა თითქოს ყველა ვარსკვლავი,
ქალაქმა ლალით აივსო უბე,
წალკასთან ღამემ დახარა თავი,
ცეცხლი გაუჩნდა მანგლისის ღრუბელს,
ამიერიდან ნამდვილ ძმასავით,
ზაჰესს ხრამჰესი გაუწევს უღელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დემნა შენგელაია

# წითელი ყაყაჩო*

მარტი იწურებოდა. თოვლი ჯერ კიდევ არ ამდგარიყო. ღამით ყინავდა. თოშით შეკრულ მდინარეზე მოკლედ გაჭრილი ნაკელიანი გზა ტყეში იკარგებოდა. ბეტონის ლამაზ კამარებიან ხიდზე არავინ დადიოდა. ჩრდილოეთის ადრიანი გაზაფხულის ჯერ ისევ ნისლიანი დილა ღია სარკმელში მღვრიედ, სევდის მომგვრელად იცქირებოდა. შორეული ნაძვნარის ოღროჩოღრო წვეროკინათა სილუეტებით აღბეჭდილი ვეება მზე ტყის იქით წითლად, ნაგვიანევად ამოდიოდა. მდინარის ჩამოხვეწილ ფლატეზე აკვამლებულ თეთრ არყნალებში ქაღალდის წითელ ფარავანივით უხეიროდ გახლართულიყო. თავის სიმძიმეს თითქოს თვითონვე ვერ ერეოდა. მართალს კი არა,—დახატულს გავდა.

რამდენიმე დღის წინად სანიტარებმა საგორავ ჯალავერზე ჭრილობათა შესახვევ ოთახისაკენ წასაყვანად ფრთხილად რომ გადამაწვინეს, ამ გობისტოლა მზეს, არყნალებსა და ყინულით შეკრულ მდინარეს თვალი პირველად მხოლოდ მაშინ მოვკარი. მხატვარ ვასნეცოვისა და ბილიბინისაგან მდიდრულად მოხატული ჩემი ბავშვობის წიგნი, რომლითაც დედა-ჩემი რუსულს მასწავლიდა, მაშინ გამახსენდა. მასთან ერთად ბულბულით, წითელი ყაყაჩოთი და მებადურითა და ოქროს თევზით მოხატული წიგნიც თავისი „აი იათი“ მომაგონდა; ამ ვარდის ფერადიანი წიგნის მოგონებით დედა ენის დაუვიწყარ სიტბოს ყოველ ქართველს პირველად რომ აგრძნობინებდა, ჩემს გულს გაზაფხულის ვარდისფერი აისი მოეფინა. ეს გული იმ გრძნობით, რამაც ამ ცხრამეტი დღის წინად ღამით, ისიც უგონოდ აქ მომიყვანა, მაშინ აივსო. მერე, გონს მოსული, საწოლს გაკრული ხან მოწყენილი, ხან დაფიქრებული და ხან ოცნებად წასული მთელი დღეები ამ ჭერსა და ჭერისფერსავე ცას ნაღვლიანად შევცქეროდი. აქაურობა, ეს ბუნება და თვით გოსპიტალიც, სადაც მე ვიწექი, მაინც მკრთალად, ბუნდოვანად მქონდა წარმოდგენილი.

გაზაფხულის დღეები თანდათან გრძელდებოდა. დილის თოში შუადღისით ლხვებოდა, ხოლო საღამოს ნაზსა და სიფრიფანა ცას ჯერ ნარინჯისა, მერე ჟანგისა და სულ ბოლოს იისფერი ნისლი თხელ რიდეებად ეფინებოდა.

ამ დილითაც გაყინულ მდინარიდან, ტყეებიდან მობერილი სუსხიანი ნიავი ჰაერის გასაწმენდად ღიად დატოვებულ განიერ სარკმელში ჩვეულებრივად ძვალრბილის გამჭოლავად წიწინებდა, ბუხარში ცეცხლი ამაოდ ღუღუნებდა. მისი ანარეკლი პარაფინით მოპრიალებულ პარკეტის იატაკ-

* გაგრძელება „მნათობი“ № 1.

ზე ვარდისფრად ამაოდვე ციმციმებდა.

ხუთი დღეა, რაც მე ექიმმა ლოგინში ჯდომის ნება მომცა. აქამდე ჩემთვის ესეც სანატრელი იყო, მაგრამ მადა თურმე მართლაც ჭამაში მოდის, — ახლა ამასაც აღარ ვჯერდებოდი, ფეხზე დგომა, ოთახში სიარული მინდოდა.

ლეგა მაუდის საბანმოხურული, ბალიშზე ზურგით მიყრდნობილი საწოლში წყნარად ვიჯექ, სარკმელს გავცქეროდი. თვალყურს ვადევნებდი მზე თანდათან მაღლა როგორ მიიწევდა, თანდათან როგორ პატარავდებოდა, ძალაც თანდათან როგორ ემატებოდა, მაგრამ პალატაში მაინც ციოდა, ხელები საბანქვემოდან მაინც ვერ ამომეყო.

ასტამურ მატახერიას ბამბაზიის გრძელი, კოჭებამდე დაცემული გოსპიტლის რუხი ხალათი განიერ მხრებსა და მოქნილ ტანზე სიცივისაგან მჭიდროდ შემოეკვართა. სარკმლის რაფაზე ცალი იდაყვით ჩამოყრდნობილს შუბლი დილის სუსხისათვის მიეშვირა, — ისევ რაღაცას, ალბათ თავის ცხენოსანთა პოლკზე ოცნებობდა. ერთის შეხედვითვე ეტყობოდა, რომ სციოდა, მაგრამ ღია სარკმელს მაინც არ შორდებოდა. ჩრდილოეთის უძლური მზით განათებულ ნისლდაყრილ სივრცეებს კვლავ ხმის ამოუღებლად გაცქეროდა. მინდოდა მეთქვა, რომ არ გაციებულიყო, მაგრამ ფიქრსა თუ ოცნებას გაეტაცნა. ხმა არ გავეცი. რაღაც თავის საგონებელს მუდამ ხალისიანი და სიტყვამრავალი კაპიტანი დობროხოტოვიც წაეღო. ამ დილით იგი მისთვის უჩვეულოდ სიტყვაძვირი და უკარებელი იყო. თავისსავე კოხტად მილაგებულ ლოგინზე ჩუმად იჯდა. სკამზე გაშლილი ჭადრაკი ახლოს მიეწია და მეფეს მხედარსა და რამდენიმე პაიკს ყურადღებით დასცქეროდა. რაღაც ამოცანას ჩაფიქრებოდა. სიცივეს ჩვენი ციმბირელი ამხანაგიც სავგაჩოვიც აეტანა. ფანჯარაჩაცმული ის თავისი განუყრელი წიგნი ბუხრის თავზე წუთით ჩამოედო. ცეცხლის საფარი სპილენძის ჭრელაჭრულად დაჩვრეტილი ფიიშბუხარი იქით გაეწია და ისედაც აგუზგუზებულ ცეცხლს არყის შეშას კიდევ უზრავდა.

ბალიშზე ისევ ნახევრად მიწოლილმა ფეხი არტაშანით მქონდა გაკრული, გული ლოგინში ისევ არ მითმენდა.

სასთუმალთან მოდგმულ ვიწრო მაგიდაზე თანამედროვე ფრანგი მწერლის, ლუი სელინის, შავად დაკანული რომანი მედო: „მოგზაურობა ღამის პირას“. კაპიტან დობროხოტოვისათვის ეს წიგნი ჩვენ მთავარ ექიმს, ევგენი პეტროვიჩს, ენათხოვრებინა. იმანაც წაკითხვის შემდეგ წიგნი პატრონს როდი დაუბრუნა. თავისი აზრის განზრახ გამოუთქმელად მე გადმომცა.

დღიდან ომის გამოცხადებისა მე ამდენი თავისუფალი დრო არასოდეს არ მქონია, არც ამდენი მიკითხავს. ანდა ლოგინში ასე ხანგრძლივად მწოლიარეს სხვა რა უნდა მექნა? მეც ვკითხულობდი, ჩემი ქვეყნის ბედზე ვფიქრობდი, ჩემს სამშობლოზე, მშობლიურ თბილისზე, ჩემს მიწაწყალზე ვოცნებობდი.

წუხელ თითქმის არ მიძინია. ისედაც ძილგატეხილი ამ უსიხარულო რომანის შემზარავმა შინაარსმა სულ აღარ დამაძინა. რამდენ დარდს, რამდენ სასოწარკვეთილებასა და თან უხამსობას იტევდა ეს წიგნი! ადამიანის ეგრე დაცემა მხოლოდ იქ, ჩვენი ქვეყნის მიღმა, თუ შეიძლებოდა. სამშობლო, კაცური ქაცობა, სიყვარული, პატიოსნება, თავდადება და საერთოდ, ყველა ის გრძნობანი, ადამიანს რომ განაკაცებენ მის დამწერს სასაცილოდაც არ ყოფნიდა. არაფერი

წმინდა, არაფერი საოცნებო და გრძნობათა ამამაღლებელი მას არ გააჩნდა. ეს წიგნი ერთი მიწასთან გასწორებული, ღამის პირის კაცისაგან დაწერილი წიგნი იყო. მას დღე როდი უთენდებოდა, — ღამე უღამდებოდა. და ჩემთვის, მისი წაკითხვის შემდეგ, კიდევ უფრო ნათელი შეიქმნა, რომ ჩვენ, — დობროხოტოვი, ნატახერია, სავგაჩოვი მთელი ჩვენი ქვეყანა იქ, დიდ სამამულო ომის ფრონტებზე, ამ ღამეს ვებრძოდით, ღამეს, რომელიც შთანთქმით გვემუქრებოდა.

მინდოდა კითხვა განმეგრძო, მაგრამ ისევ ციოდა, ხელის საბნის ქვემოდან ამოღება ისევ მეძნელებოდა.

პალატის ღია კართან გრძელ დერეფანში მაშენკამ წამლიანი ჭიქით ჩაიარა. ამ შავბნელი წიგნის შავბნელივე შინაარსის შემდეგ ეს მომხიბლავი გოგონა თავისი თეთრი ხალათითა და ცინცხალი ახალგაზრდობით კიდევ უფრო ნათელი მომეჩვენა. ის რომ არ გამჩენოდა, ვინ იცის, იქნებ ახლა ცოცხალიც არ ვყოფილიყავ. დაკარგული სისხლი მისი წყალობით აღვიდგინე, ჯანითაც თანდათან მისივე წყალობით ავივსე. მაგრამ ადგომის ნებას ექიმი ჯერჯერობით მაინც არ მაძლევდა. მაშენკასაც ეს უნდოდა. მისგან სიკვდილს გადარჩენილსა და საამქვეყნოდ პირმობრუნებულს, როგორლაც თავის საკუთრებასავით მიცქეროდა. ჩემი ჯერ კიდევ კარგად მოუშუშებელი ჭრილობის გაძნელების გაზვიადებულად ეშინოდა. ახლოს არავის მაკარებდა. მის უნებურად არც განძრევა და არც თავისუფლად ამოსუნთქვა არ შემეძლო. კაცმა რომ სთქვას, ქონდა კიდეც ამის უფლება. ძარღვებში მისი სისხლი მედგა, სიცოცხლე მეორედ მან მაჩუქა და რა იყო აქ საკვირველი, თუ ამ სიცოცხლის მოულოდნელად ჩაქრობისა მას ეგრე ეშინოდა?

ჩვენი პალატა და თვითონ ჩვენც მას ვებარეთ. ჩვენი [illegible]ტრონიც ის იყო და, უნდა [illegible] კარგადაც გვივლიდა, ყველას საკუთარ დასავით გვპატრონობდა. თავისუფალ დროს მოახელებდა თუ არა, ჩვენთან გაჩნდებოდა. ყველას სათითაოდ მოგვიკითხავდა და ჩვენც მისგან არაფერი დამალული არ გვქონდა. ყოველი ჩვენგანის გულის მესაიდუმლე, გულის შემატკივარი ის იყო. ამდენი წოლით გაბეზრებული მოუთმენრობას ყველაზე მეტად მე ვიჩენდი და ისიც ჩემ საწოლთან სკამზე ჩამომჯდარი, ჩემს გასართობად, გულის ჯავრი რომ გადამყოლოდა, თავისი ჩვიდმეტწლიანი ნორჩი სიცოცხლიდან ომის სამოდე წლის შემზარავ ამბებს, რის მოწმეც თვითონვე ყოფილიყო, საშინელებებს, რომელიც მას ჯერ თითქმის ბავშვს თავისი თვალით ენახა, ისე უბრალოდ მომითხრობდა, რომ ტანში ძრწოლისა და მრისხანების ჟრუანტელი უნებლიედ მივლიდა. მის თითქმის ბავშვურ ნაზსა და ოდნავ მქრქალ სახის მიამიტ გამომეტყველებასა და მისსავე უკვე მოწიფულად გამომზირალ თვალებს შორის ისეთივე დიდი და თან ღრმად დამაფიქვრელი განსხვავება იყო, როგორიც მის ჰასაკსა და მისივე ცხოვრების გამოცდილებას შორის.

გოსპიტლის ამ შენობაში ომამდე თურმე ბავშვთა სანატორიუმი იყო მოთავსებული. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან დასასვენებლად ჩამოსულ ბალღებთან ერთად მაშინ დასავლეთის საზღვრის რომელიღაც ქალაქიდან ლონის მოსაკრეფად თოთხმეტიოდე წლის მაშენკაც აქ ჩამოეყვანათ. ომსაც მისთვის აქ მოესწრო. სანატორიუმის მსახურთ მოულოდნელად წინ გამოჭრილი მტრის მოახლოვებისას, პატარანი ძვირფას წამლებსა და სამკურნალო მოწყობილობასთან ერთად ტყეში ნა-

მალავად გაეხიზნათ და იქიდან ღრმა ზურგში თვითმფრინავებით გადაეყვანათ. მაშენკამ თავისი შშობლებისა არა იცოდა რა. ობლად დარჩენილს და დარდით გამწარებულს ადგილიდან ფეხი თურმე ვერასგზით ვერ მოაცვლევინეს. სხვებთან ერთად ჩვენი ექიმი, ევგენი პეტროვიჩიც, ტყეში გასულიყო. პატარა მაშენკა მას იქ შვილივით მინდობოდა. იმასაც მამასავით შეეტკბო იგი. ეალერსებოდა, დარდიან გულს მშობელ მამასავით უამებდა და ჯერ პატარას, მაგრამ გონიერსა და ბეჯით გოგონას მედიცინის დის მოვალეობას ასრულებინებდა. მაშენკა ტყესა და ფათერაკებით აღსავსე პარტიზანულ ცხოვრებას მალე შეეჩვია. ტყის ძმებს ევგენი პეტროვიჩის ნამალავად ხანდახან ბრძოლაშიც დაყვებოდა და ჭირსა და ვაივაგლახს მათთან ერთად ვაჟკაცურად ისიც იტანდა. სამი წლის ბრძოლაში, ჭაპანწყვეტაში შეუმჩნევლად დაქალიშვილდა.

ადამიანის ფასი, მისდამი სიყვარულიც მას აქ ესწავლა. მისი გულითადობა, მისი ჯერ კიდევ მისგანვე შეუგნებელი ეშხი მუდამ მხიბლავდა. ახლაც მისი აქ ყოფნა მინდოდა. ძინდოდა, რომ ის ჩვენთან თავისებური ხალისიანი ცქრიალით შემოსულიყო, თავისებურივე მოსიყვარულე ღიმილით მოგვსალმებოდა და მისთვის ჩვეული მზრუნველობით, თანაგრძნობითა და სინაზით ეკითხა, წუხელ როგორ გვეძინა, ან თავს საერთოდ როგორ ვგრძნობდით; მაგრამ, სჩანს, ჯერჯერობით ჩვენთვის არ ეცალა.

ჩემი მოუთმენლობა მხოლოდ ჭინკასავით გამჭრიახმა დობროხოტოვმა იგრძნო. თავი მაღლა აიღო. თავისი მუდამ ციმციმა თვალებით რატომღაც მიბჟუტულად მომაჩერდა. ერთხანს ჩუმად მიცქეროდა. მიცქეროდა და ვგონებ, არც მხედავდა, ვგონებ, ისევ იმ თავისი ძნელად ამოსახსნელი საჭადრაკო ამოცანის ვარაუდში იყო.

— ცოტაც მოითმინეთ, ამხანაგო დავლაძე, — თქვა მან, — წუხელ ... ნავ გასაგონად. თქვა ისე უხალისოდ, თითქოს მისი სიტყვები მე არც შემეხებოდა. — ცოტაც, სულ ცოტაც და ფეხზე დადგებით.

სავგაჩოვმა და მასთან ერთად მატახერიამ ერთი უბრად, პირშეკრულივით შემომხედა.

— ნუ სწუხართ, ამხანაგო, — განაგრძო ისევ დობროხოტოვმა იმავე განურჩეველი კილოთი. — თქვენ რა გიშავთ. მალე, სულ მალე გაეწერებით.

თვალი მომაშორა. ღია სარკმელს იმავე დაფიქრებული თვალებით გახედა. ერთხანს ჩუმად იყო. ხმას არც სავგაჩოვი და არც მატახერია იღებდა.

— ესეც შენი მარტი. — განაგრძო დობროხოტოვმა იმნაირად, თითქოს ისევ თავისთვის ლაპარაკობდა, — მზეა და მაინც ყინავს.

სავგაჩოვმა და მატახერიამ ხმა არც ახლა გასცეს, თუმცა ეს სიტყვები მათ გასაგონად იყო ნათქვამი. დობროხოტოვი გაჩუმდა. ხელები ბამბაზიის ხალათის ორთავ სამაჯეში ღრმად შეიყო. სიცივისაგან მხრებში კიდევ უფრო მოიბუზა. თავისი ჭადრაკის დაფას ისევ ყურადღებით დააჩერდა.

— ჩემს ქვეყანაში ახლა ნუში, ატამი ყვავის. — ვთქვი მე ვითომ ჩემთვის, მაგრამ განზრახ ხმამაღლა, რომ ჩემი სიტყვები ყველას გაეგონა.

ასტამურ მატახერიამ უბრად, თითქოს თანხმობის ნიშნად გადმომხედა. არა უთქვამს რა. მდინარის გაღმა გორაკებსა და თითქმის სწვრივად ჩახვეწილ ფლატეზე ნისლივით აშლილ თეთრი არყნალის სიხშოებს უბრადვე გახედა.

ჩემმა ნატვრით ნათქვამმა სიტყვებმა საყვარელი თბილისი მომაგონეს. კრწანისის, ორთაჭალისა და ვერის ხილნარები ახლა ალბათ მართლაც

ყვავოდნენ. ჭერამ — ტყემლები დირსიჭალაში თეთრად იკვამლებოდნენ. მთაწმინდის კალთები მწვანით იმოსებოდნენ. მტკვრის სანაპიროზე ჩამწკრივებული ახალგაზრდა ჭანდრები ზამთრის ძილისაგან შმუშვნით იღვიძებდნენ. ნორჩი ფოთლებით გაზაფხულის მზეს ბავშვებივით ეთოთინებოდნენ. მშობელი დედა, ჩემი სამუშაო ოთახი, ჩემივე ჭერამდე აზიდული წიგნებით სავსე თაროები თვალწინ ცოცხლად დამიდგა, გულმა ძგერა დამიწყო. მერე ის მზიანი დღე მომაგონდა, მე და არჩილს ტკბილ საუბრის დროს ომი თავს მოულოდნელად რომ დაგვატყდა. ნეტავ სად არის ახლა იგი? სად ებრძვის მტერს? ნეტავი ერთხელ კიდევ მაჩვენა ის ჩემი სიყრმის მეგობარი და მასთან საუბრით გამაძღო. თითქოს ჩემთვის ეს ხანგრძლივი განშორება იყო საჭირო, მისდამი სიყვარული კიდევ უფრო ძალუმად რომ მეგრძნო. სამი წელიწადია, რაც მე ჯარში ვარ და ამ სამ წელიწადში ვინ მოსთვლის რამდენი ფრონტი მოვიარე, რამდენი ათასი კილომეტრი გადავლახე, სიკვდილს თვალებში ჩემთვის რამდენჯერ ჩამოუხედავს. რამდენმა უცხო სახემ ჩაიქროლა ჩემ თვალწინ, ჩაიქროლა, რომ მერე არასოდეს არ მენახა, მაგრამ ჩემი ყმაწვილური დღეების თანაზიარი არჩილი მაინც ერთადერთი იყო. თვითონაც არ ვიცი, მოგონებათა რა თანმიმდევრობამ გამოიწვია, არჩილის სახეს მაიკოს მშვენიერი სახე რათ აეფარა. არც ის ვიცი, დედაჩემი პირზე აფარებული თეთრი ცხვირსახოცით რკინიგზის ბაქანზე დარდიანი რათ იდგა. მაიკო მატარებელს გულამოვარდნით მოსდევდა და თან გულამოვარდნითვე გვეძახდა: „არჩი-ილ! ბეჟა-ან!“ მატარებელი ლიანდაგებში ჩაყენებულ ვაგონებს შორის გრიჭლით მიქროდა. ბაქანი უკან რჩებოდა. მაიკოს ძახილი თანდათან ყრუდ მომესმოდა.

ოცნებისაგან საბოლოოდ ხმამ გამომიყვანა.

— თქვენ, ცხენოსანო! — კი არ მიმართა, თქვა მან ოდნავ უკმეხად მატახერიას გასაგონად, თქვა ისე ხმამაღლა, რომ მისი ხმა ყველამ გავიგონეთ. — ფანჯარა მიხურეთ. თუ ღმერთი გწამთ, მიხურეთ, თორემ, სანამ ეგ თქვენი ახალგაზრდული ძვლები სიგრილეს იგრძნობდნენ, მე ჩემი დამემართება.

მერე ხმას დაუწია. ნათქვამის აზრი წყნარად დაყვავებით გაიმეორა:

— ფანჯარა დაკეტეთ. ჰაერი საკმაოდ გაიწმინდა.

მატახერიამ უფროს ამხანაგს ისევ დაფიქრებით, ისევ უბრად მოხედა. მერე სარკმელი მართლა მიხურა, სარაზავი საღი ხელით მჭიდროდ ჩაკეტა. ჩვენკენ არც მოუხედავს, თავისივე მიულაგებელი ლოგინისაკენ ნელა გაემართა. არ ვიცი დაჯდომას, თუ ისევ დაწოლას აპირებდა, რომ ამ დროს მაშენკა კოხტად და მოქნილ ფეხებში მჭიდროდ მორგებულ რბილლანჩიანი უქუსლო ფოსტლებით, რომლებსაც აქ „ტაპოჩკებს“ ვეძახდით, პალატაში უხმაუროდ შემოვიდა. თეთრი ბლონდის ცახოცით თავწაკრული, თეთრივე ტილოს გაქათქათებული ხალათითა და თავისი ახალგაზრდობით, ქალიშვილური სინაზით იგი მართლაც რომ გაზაფხულის ცამოწმენდილ დილასა გავდა. მოწყენილი პალატა სიცოცხლის ხალისით ერთბაშად აავსო.

7

— დილა მშვიდობისა, ამხანაგო დავლაძე! — მომესალმა მაშენკა ისე, რომ ჩემკენ არც მოუხედავს, თითქოს მე აქ არც ვარსებობდი.

— დილა მშვიდობისა, მაშენკა! — ჩამოვართვი სალამი ღიმილით, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ მან ყურადღება, ვიგრძენ, ახლაც განზრახ არ მოძაქცია.

— რომ იცოდეთ, ამხანაგებო, რომ იცოდეთ, რა ბილაა! — წამოიძახა ყმაწვილურად მიამიტი და თან თავდავიწყებული ალტაცებით მაშენკამ. მერე რატომღაც ხმამაღლა გაიცინა და პირზე შერჩენილი ღიმილით განაგრძო: — მზეა, მაგრამ ჩრდილში მაინც ცივა. ყინვა ლოყებზე სასიამოვნოდ იკბინება.

— მე კი ემაგ თქვენი სასიამოვნო ყინვისაგან ლამის არის გავიფიჩხო. — თქვა დობროხოტოვმა უკმაყოფილოდ. თითქოს გაბუტვითაც და იმდენად როდი ციოდა, რამდენადაც მხრებში სიცივისაგან მოიბუზა.

მაშენკას ისევ გაეცინა. გამიზეზებულ ვაქკაცს პასუხი არ მოუჭრა. ხალათის ჯიბიდან მინის ბრჭყვიალა თერმომეტრი ხელდახელ ამოიღო და ხელის ღონიერი მოქნევით ხელდახელვე დაბერტყა. მერე სინდიყის დონე ხარკმლის ნათელზე შეამოწმა.

— გამომართვით. — თქვა მოკლედ, თითქმის მკაცრად და მინის ჩხირი მკაცრადვე გამომიწოდა.

სიცხის საზომი მას მაშინვე გამოვართვი. იღლიაში უხმოდ ამოვიდე. მისი სიგრილით ტანში უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა.

სალამით მან მხოლოდ მე რომ მომმართა, თერმომეტრიც მხოლოდ მე რომ გამომიწოდა, მივხვდი, — დანარჩენები მას ჩემი ძილის დროს მოენახულებინა, სიცხეც მათთვის ალბათ მაშინ გაეზომა.

— როგორ გეძინათ, ძილის გუდავ? როგორია ხართ?—შემეკითხა ხუმრობით და პასუხს როდი მოუცადა. — რომ იცოდეთ, ამხანაგებო, რომ იცოდეთ, გარეთ რა ამბავია... თოვლი ლხვება... მდინარეზე საცაა თოშიც დაიძვრის... ფუტკრებიც თავისებურად მალე სულ მალე აიშლებიან და თქვენ კი... ეიჰ, შოგიწყენიათ!

— რა ვქნათ, მაშენკა. — თქვა დობროხოტოვმა ისევ ბესლიანად უკმაყოფილებით. — ამ დასაქცევში ისე ვართ, თითქოს მებრძოლები კი არა, რომელიღაც ცხელი ქვეყნის ჭრელი, ნასათუთევი ყვავილი ვიყოთ. ეს ხელ-ფეხიც ნამყენებივით გვაქვს შეხვეული...

მაშენკამ კაპიტნის გესლიან სიტყვებს ყური არ ათხოვა. წუთით ჩაფიქრდა. პოლკოვნიკ სავგაჩოვს მოუტრიალდა.

— მანდ რა ბებრულად მოკუნტულხართ? გცივათ? იცოდეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, რომ აქ, ამ პალატაში, მე პოლკოვნიკიცა ვარ და მეთაურიც. წელში გაიმართეთ. წელში გასწორდით და ხასიათიც გაგისწორდებათ. ვაქკაცს ეგრე რამ შეგაცივათ? ციმბირელი ხართ, სხვა არა იყოს რა.

— ციმბირელია, მაგრამ სამაგიეროდ ტანკისტია. — ვთქვი მე სიცილით. — სამი წელიწადია, რაც ტანკში ზის და ამ ხნის მანძილზე ბენზინის სუნსა და სითბოს იმდენად შეეჩვია, რომ, ხედავთ, ახლა მართლაც ცხელი ქვეყნის ყვავილივით არის, გაზაფხულის ნიავსაც თაკილობს.

— ყვავილი!—წამოიძახა ისევ გესლიანად დობროხოტოვმა. — სადაური ყვავილია? ყვავილი კი არა, კაკტუსია.

სავგაჩოვმა შუბლი შეიკრა. ამხანაგისაგან ნათქვამი გესლიანი სიტყვები რომ მიეფუჩეჩებინა, შუბლშეკრულმა ხმამაღლა ნაძალადევად გაიცინა.

— ეგ კარგად გამოიგონეთ, ამხანაგო კაპიტანო. აბა სადაური გოგო მე ვარ, რომ ყვავილს მადარებდნენ. კაკტუსი, — აი ეს მესმის. ეს მართლაც რომ შემეფერება.

— კაკტუსი, რომელსაც თავზე ერთი ბუსუსიც არ გააჩნია. — მოუჭრა სიტყვა დობროხოტოვმა.

სავგაჩოვი მხრებში უხერხულად აიწურა. რატომღაც გაბოროტებულ

ამხანაგს პასუხი არ გასცა. ბუხართან საწყლურად მოიბუზა. გული მისდამი სიბრალულის გრძნობით უნებლიედ ამევსო.

მაშენკამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს დობროხოტოვის სიტყვები არ გაუგონია. კაპიტანს შუბლ ქვემოდან დაკვირვებით გახედა.

— თქვენ ისევ დარდობთ, ამხანაგო დობროხოტოვ. — თქვა ცოტახანს შემდეგ დაფიქრებით და თავისი გონიერი, სვილისფერი ჟუჟუნა თვალებით ვაჟკაცს კიდევ უფრო თვალჩაციებით მიაჩერდა. — მე რას გამომპარებთ... დარდობთ, ამხანაგო კაპიტანო, ისევ დარდობთ... დარდი დიდი რამეა, მაგრამ ზომიერების გრძნობა როდი უნდა დაკარგოთ... დარდმა ნებისყოფა როდი უნდა წაგართვასთ. რა ვქნათ გული ახლა დარდით ყველას სავსე აქვს, მაგრამ წონასწორობას როდი კარგავენ, — იბრძვიან... ებრძვიან იმათ, ვინც ეს დარდი მოგვიტანა. განა იმათ, ჩვენ ხალხს დარდი არა აქვს? აქვს, ამხანაგო, აქვს და გული მტრისადმი მრისხანებით აკი იმიტომაც ავსებია! აკი იმიტომაც ანადგურებს მტერს ეგეთის დაუცხრომელი მძვინვარებით.

მაშენკას ეს სიტყვები ჩემთვის მოულოდნელი იყო. ვერ გამეგო მუდამ ხალისიანსა და ვერცხლის წყალივით მოუსვენარ დობროხოტოვს ისეთი რა დარდი უნდა ჰქონოდა, რომ მისგან ეგეთი ღრმა თანაგრძნობა გამოეწვია.

წუთით გაჩუმდა. ისევ განაგრძო:

— წელან ტყეში ვიყავი. მე ხომ ტყის ქალი ვარ! საწყალი მამაჩემი! ათწლედის მასწავლებელი იყო. დაკვრას მასწავლიდა. ენებს მასწავლიდა. ბოლოს ომმა ყველაფერი ისე შეატრიალა, რომ ტყის ქალი გამოველ. პარტიზანებთან ერთად ტყეს შევეჩვიე. უმისოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. მუსიკისა და ენების მაგიერ ჭიანჭველებისა და ფრინველების ენა შევისწავლე. თქვენ არ იცით, სასიამოვნოა დილაბნელში ფრინველების ჟრიამულის მოსმენა. ანდა ჭიანჭველების სოროსთან ჯდომა და თვალყურის დევნება, როგორ დაუღალავად ფუსფუსებენ ისინი. ამ დილით ძილში ვიღაცამ დამიძახა. თვალი გამოვახილე, არავინ იყო. მაშინვე მივხვდი, — ტყე მეძახდა. ლოგინში წამოვიჭერ. თბილად ჩავიცვი. ფეხები ვალინკებში ჩავყავი. თავიც თბილად წავიკარ და ეზოში ჩაველ. ხიდზე ნელა გაველ და თვითონაც არ ვიცი შუა ტყეში საიდან გავჩნდი.

წუთით გაჩუმდა. სახეზე მწუხარების რამ ბინდმა ნისლივით გადაუარა, მაგრამ თავი მაშინვე ჯიუტად გაიქნია, ცახოცქვემოდან გამოჩრილი ოქროსფერი რბილი ბუწუწები ხელით გადაისწორა. ეტყობოდა, რომ ამ დილით იქ, ტყეში განცდილი სევდიანი რამ სიხარული მას ახლაც ძალუმად აღელვებდა.

— ორი დღეა, რაც დათბა და კვირტებს თავი უკვე წამოუყვიათ! ერთ მათგანს ხელი მოვკიდე. ქორფა იყო, სველი და ოდნავ წებიერი. თვითონაც არ ვიცი, რათ გამეცინა. — ლაპარაკობდა იგი სიცოცხლით სავსე ადამიანის იმ ახალგაზრდული უპირატესობის გრძნობით, რომელსაც მისივე სიყმაწვილე ალაპარაკებს, რომელსაც წინ უცნობი, მაგრამ სანატრელი მომავალი უღიმის.

ჩემთვის გაღებული სისხლი მას ჯერ კიდევ სრულად ვერ აღედგინა. ისედაც დიდრონი, უცნობი, რაღაცის მიამიტი მოლოდინით კიდევ უფრო გაგანივრებული ცისფერი თვალების უხილავი რამ შუქი მის მიმქრქალებულსა და გულის ამაჩუყებლად მინაზებულ სახეს თითქმის უხილავადვე მოჰფენოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ირგვლივ სიჩუმე იყო. — განაგრძო ისევ მაშენკამ. — სიცოცხლის წვენი მერქანს ისე ძალუმად აწვებოდა, რომ ხე თითქოს ჭრაჭუნებდა. გული სიხარულით ერთბაშად ამევსო და თვითონაც არ ვიცი, როგორ ვიყვირე: „აუუ! აუუ!“ — აუუ! — აუუ!—ტყის სიხშოებმა გამოძახილით მიპასუხეს. სადღაც წვრილიანში თურმე ფრინველი თვლემდა. დაფრთხა. უზარმაზარი ფრთების ბათქუნით მაღლა აიმართა. მე კი თოვლში მივებოტებოდი. თვითონაც არ ვიცი საით მივდიოდი. ტოტები ტანისამოსში მეტანებოდნენ, თოვლს თავზე მაყრიდნენ. ერთბაშად, ბუუჰ! მგლის ორმოში ბრაგვანი მოვადინე. ორმო ღრმა იყო. მაღლა ძლივსძლივობით მოვბობღავდი და თან ჩემ თავზე მევე მეცინებოდა. ორმოს პირას ჩამოვჯექ. თოვლით სავსე ფეხზე გახდილ ვალინკებს ვბერტყავდი. ვბერტყავდი და ვხედავ, — თოვლში ენძელას თავი არხეინად ამოუყვია. აა, შე ეშმაკო, შე გაზაფხულისმაუწყებელო, სალამი-მეთქი, აქ რა გინდა-მეთქი. ის კი, თითქოს ვინა გდიხარო, სანთელივით თავისთვის ენთო. მერე ერთი ამბავი მომაგონდა...

ხმა ჩაუწყდა მისი ბავშვურად გაბრწყინვებული თვალები ერთბაშად ჩაქრნენ, ისე უზრუნველად აღარ გამოიცქირებოდნენ.

მე გაკვირვებული მივჩერებოდი მას. არ ვიცოდი რისთვის მიმეწერა ჯერ მისგან ენად ეგეთი გაკრეფვა და მერე ეგრე უეცრად გაჩუმება. ხარბი თვალებით შევცქეროდი და მისი უმძრახობა, კოხტად დადგმული, ჯერ მოუტეხავი ქალიშვილურად ოდნავ სავსე ტანი კიდევ უფრო მხიბლავდა. თავისივე ეშხით ჩემში გამოწვეული უნებლიე წადიერება მაშენკამ ალღოთი იგრძნო. შეკრთა, სახეზე ფერფურმა ხან რძისფრად და ხან ღვინისფრად გადაუარა. მერე მშფოთვარედ, საყვედურითა და თითქოს მუდარით სავსე თვალები წუთით შემოგვანათა, ეტირი ისევ ამარიდა.

— უნდა მოგახსენოთ, რომ... — დაიწყო ისევ, მაგრამ ენა აერია. თვითონაც არ იცოდა რა უნდა მოეხსენებია ჩვენთვის. უხერხულება რომ დაეფარა, ბუხრის ქაშანს, სარკმლის რაფასა და მაგიდებს თეთრი ხალათის კალთა თითით მოუსვა. შეამოწმა, სუფთა იყო თუ არა. მატახერიას აშლილ ლოგინს ყურადღება მხოლოდ ახლა მიაქცია. შუბლი კუშტად, განზრახ გადამეტებით შეიკრა და გადამეტებულივე გაგოროზებით იკითხა:

— ეს რასა გავს? ეს რასა გავს, ჰა?

ქართველი ლეიტენანტი დაიბნა. საწოლს ირგვლივ როგორღაც სასაცილოდ აფუსფუსდა. დაჯდა, ისევ ადგა და თითქოს თავისთვის სასაცილოდვე წაიბუტბუტა:

— ბოდიში. ბოდიში, მაშენკა!

ლოგინს ლეგა მაუდის თხელი საბანი ცალი ხელით მამაკაცური მოუხერხებლობით უშნოდ წააფარა და მისი ჭკუით მილაგებულსა და წესრიგში მოყვანილ საწოლზე ბალიშის დადებასა და მით საქმის მოთავებას რომ აპირებდა გული მაშენკას სწორედ მაშინ მოუვიდა.

— ეგრე არა! ეგრე არა—მეთქი!— ხმას მოუთმენრად აუწია. ბალიში ვაჟკაცს ხელიდან გაგულისებით გამოგლიჯა და სკამზე გაგულისებითვე დადო. მერე უშნოდ წაფარებული საბანი ლოგინს ერთბაშად გადააცალა და ბალიშს ზემოდ ისიც გაგულისებით დადო. მაშენკას ფიცხ საქციელს ჩვენ სრულიადაც არ გაუკვირვებივართ. ლეიტენანტ მატახერიას ის, როგორც ახალგაზრდასა და ჩინითაც პატარას, ყველაზე მეტად ეთამამებოდა.

— ჯერ ზეწარი ეგრე, აი ეგრე უნდა გაბერტყო. — განაგრძობდა ის თავისას. — მერე ეგრე, აი ეგრე უნდა

დააფინო და თან კარგად გაასწორო, ძილის დროს ტან ქვეშ მოყოლილმა ნაოჭმა რომ არ შეგაწუხოს. — ლაპარაკობდა ჭკუაზე დამარიგებელი კილოთი და თან გაბერტყილ ზეწარს ლრ-ვინზე მართლაც ლამაზად შლიდა. სასთუნალთან ჩარსავის ყურს რომ ასწორებდა, ნაალს ქვეშ ამოდებულ რაღაც ნივთს ხელი უცაბედად მოუხვდა.

— ეს რა არის? — იკითხა და თვალები ვაჟკაცს გაოცებით და თან რისხვით შეანათა, რადგან ნაალს ქვემოდ რაიმეს შენახვა სასტიკად იყო აკრძალული. — ეს რა არის — მეთქი?— იკითხა ისევ მაშენკამ და მატახერიამ გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ ძძიმე მსხვილტანიანი წიგნი ნაალს ქვემოდან ძლიესძლიეობით გამოათრია.

— ხომ იცი, რომ აქ არაფრის შენახვა არ შეიძლება. — თქვა მან და წიგნზე დახედვა ვერ მოასწრო, რომ ქართველმა ვაჟკაცმა გოგონას ის თავისი ნამალავი წიგნი მისგან მოულოდნელი უდიერობით ხელიდან გამოგლიჯა, არავის რომ არ დაენახა, ხალათს ქვეშ უცებ ამოიდო.

ასტამურ მატახერიას ამგვარ საქციელზე უნებლიედ გამეღიმა. ჯერ სავგაჩოვსა და მერე დობროხოტოვს ჩუმად გადავხედე. ღიმილზე იმათაც ღიმილითვე მიპასუხეს. მისი საიდუმლო ჩვენთვის კარგა ხანია, რაც საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა. ყველამ ვიცოდით, რომ ეს წიგნი ვინმე თავადის ურუსოვის მეფისდროინდელ ოთხტომიანი შრომას წარმოადგენდა მეცხენეობაზე, მაგრამ, რადგან თვითონ არ ამხელდა, ნამუსს ჩვენც ვუნახავდით. თავი იმნაირად გვეჭირა, ვითომც არაფრის ბაიბურში არ ვიყავით.

არ მესმოდა, არც ახლა მესმის, რათ მალავდა ის ეგრე იჭვნეულად თავის ამ სრულიად არასათაკილო ვნებას. ღამით, როცა ყველა მძინარე ვეგონეთ, წიგნს სასთუნალ[illegible] ქვეშიდან ფრთხილად გამოიღებდა — და დიდხანს კითხულობდა. ხან თავისთვის მარტო ეღიმებოდა, ხან შუბლს კუშტად შეიკრავდა და ხან სახეზე უღრმესი ყურადღება ეხატებოდა. ჩვენც დიდად ვაფასებდით მის ამგვარ ვნებას. ვიცოდით, რომ ის ერთი უშესანიშნავესი ოფიცერთაგანი იყო ჩვენი კავალერიისა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მისგან დიდათაც ვიყავით გაწვალებული. ღამით შემთხვევით გაღვიძებულნი, წიგნით ხელში დავინახავდით თუ არა, არ გვეძინებოდა, მაგრამ მისი მყუდროება რომ არ დაგვერღვია, თავს ისევ ვიმძინარებდით. ყველაზე საყურადღებო ის იყო, რომ მას ეს თავისი იდუმალი ვნება ყველას გულის მესაიდუმლე მაშენკასათვისაც არ გაუმხელია. ახლა, ყველაფერი ერთბაშად რომ გამომჟღავნდა, მაშენკა, ცოტა არ იყოს, ნაწყენი დარჩა. თვალი თვალში გამნარავად გაუყარა, მაგრამ არა უთქვამს რა, შეწყვეტილი საქმე ისევ განაგრძო.

— მერე საბანი ეგრე უნდა გადააფარო. ეგრე, აი ეგრე უნდა გაასწორო და თან გვერდებიც ეგრე უნდა ამოუკეცო. — ამბობდა ისევ ისე და თან საბანს ასწორებდა, გვერდებს მართლაც ლამაზად უკეცავდა.

მატახერიამ უბეში ამოდებული წიგნი რომ არ დავარდნოდა, დაჭრილი ხელის იდაყვით მკერდზე მაგრა მიიკრა და სალი ხელით საბანს გასასწორებლად წაეტანა.

— იქით გაიწი! იქით გაიწი, ხელს ნუ მიშლი! — წამოიძახა მაშენკამ გაგულისებით და ვაჟკაცი უხეშად მოიგერია. მერე ბალიში ხელის ბარტყუნით ააფუვა და სასთუნალთან ისიც ლამაზად დადო.

მატახერია მიხვდა ეგრე რისთვისაც უჯავრდებოდნენ. სახეზე შინაგანი

ტკივილის გრძნობა აღებეჭდა. გვერდზე გაცბუნებული გადგა.

— ესეც ეგრე. —სთქვა მაშენკამ კმაყოფილებით და თავის ნახელავს მუშტრის თვალით დახედა. მერე წინ წამოცურებული ცახოცი თავზე თმიანად გაისწორა და მილაგებულ ლოგინის პატრონისაკენ არ მიუხედავს, განაგრძო: — შენ იცი რა გითხრა? შენ ლოგინში კი არა, ბუნაგში უნდა იწვე, შე მთის დათვო, შენა.

— არა, მაშენკა. — არ დაეთანხმა დობრიხოტოვი. — ბუნაგში კი არა, თავლაში უნდა იწვეს... გვერდით ცხენი ქერს ახრამუნებდეს, თორემ ისე არ დაეძინება.

მატახერიას გაეცინა. ულაზათო სახე ღიმილისაგან ერთბაშად დაუმშვენდა.

— რას იცინი? — შეუტია მაშენკამ გაჯავრებულსავით. — გემდური და კიდევ იცინი? არა, ამას როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემგან რამე დამალული გექნებოდა!

— ეგეთია, — შეუნთო ცეცხლი ისედაც გაგულისებულ მაშენკას სავგაჩოვმა. — გულჩახვეული, უქმური. აქაოდა, ტანკისტი ხარო, თავისი მტერი ვგონივარ.

სავგაჩოვი, რა თქმა უნდა, ხუმრობდა. მატახერიას ის მტრად სრულიადაც არ მიაჩნდა, მაგრამ მაშენკა შარზე იყო და იმასაც ეს უნდოდა. ისედაც გაცბუნებულ ვაჟკაცს შუბლ ქვემოდან ერთი თავისებურად კუშტად გახედა, მაგრამ დიდხანს ვერ გასძლო, მაინც გაეღიმა, ღიმილით შეეკითხა:

— ეგეთი ღრჯუ და გულგაუხსნელი რამ გამოგიყვანა?

მატახერია სულ დაიბნა. არაფერში ზომა მან არ იცოდა. თავისი დანაშაულიც ახლა ზომაზე მეტად გადააფასა.

— მაპატიე, მაშენკა... — თქვა და ყურებიანად გაწითლდა. — თვითონაც არ ვიცი როგორ მოხდა. ეგ ისეთი საქმეა... ცხენის საქმე... ვიფიქრე, ქალია და ვაი თუ დამცინოს ...

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მაშენკას გაეღიმა.

— არაფერსაც არ გაპატიებ. — თქვა მან მიზეზიანად და ტუჩები გაბუტულ ბავშვსავით დაებურცა. — არასოდეს, იცოდე, არასოდეს არ გაპატიებ. — მერე უცებ მოლბა, კილო იცვალა: — მერე რა, რომ ქალი ვარ. მით უარესი, თუ ქალი ვარ. ეგეთი დაუკვირვებელი სანამ უნდა იყო, ჰა? როგორ არ იცი, რომ ქალმა ყველაფერი უნდა იცოდეს.

მატახერიამ მხრები ულაზათოდ აიჩეჩა. ნამდურავ გოგონასთან ახლოს მივიდა და ხელი მკლავში ფრთხილად მოკიდა.

— მაშენკა!—წაიბუბუნა მან მართლაც მთის დათვივით. — მაშენკა. — გაიმეორა ქალებთან ლაპარაკს უჩვევ მამაკაცის კილოთი. — შეიძლება? ერთი წუთით... ერთი წუთით თუ შეიძლება?

და ამ სიტყვებით სარკმლისაკენ ხელით ფრთხილად გასწია.

— რატომაც არა. — თქვა მაშენკამ დაუფარავი ცნობისმოყვარეობით და უდარდელად, როგორღაც კვიმატიანად გაეცინა. — მაგრამ ჯერ ეს მითხარი, აი, ქართველები ყველანი, ყველანი ეგეთნი ხართ?

— არ მესმის. როგორი? — იკითხა მატახერიამ დაეჭვებით.

— როგორი და ეგეთნი... ეგეთნი რაღა... აბა მე რა ვიცი როგორი!— წამოიძახა თითქოს გაგულისებით მაშენკამ და თავი დაბლა დახარა, პარაფინით გაპრიალებულ პარკეტზე ფეხსაცმელის წვერი ისე მოუსვა, თითქოს რაღაცას სრესდა.

მატახერიამ მხრები ისევ აიჩეჩა. ჯერ მე, მერე დობრიხოტოვსა და სულ ბოლოს სავგაჩოვს გამოგვხედა, თითქოს ამბობდა, — რა ვქნა, ამ ქალის ვერა გამიგია რაო.

მაშენკას ისევ გაეცინა. ვაჟკაცს განზრახი კოკობზიკური სინარნარითა და თან ეშმაკურ ღიმილით სარკმელთან მიჰყვა. ჩვენ რომ არ დაგვენახა, მატახერია მას განიერი მხარბეჭით აეფარა. უბიდან წიგნი ნამალავად ამოიღო და ზედ დაახედა.

— ცხენი! — წაიკითხა მაშენკამ წიგნის სათაური ხმამაღლა. მერე ის ჩემთვის ნაცნობი, ძვირფასად დაკანული წიგნი ვაჟკაცს ხელიდან გამოართვა და თავიდან ბოლომდე ჩაათვალიერა; ცხვირი, შუბლი და მთელი სახე ყურადღებისაგან ბავშვსავით სასაცილოდ დაეჭმუხნა. ასაკით, გარეგნობით კი ჯერ მართლაც თითქმის ბავშვი იყო, მაგრამ ახლა ამ უზარმაზარ ვაჟკაცის გვერდით კიდევ უფრო პატარა, კიდევ უფრო ბავშვი მოჩანდა. მიუხედავათ ამისა, მაშენკას თავი მასთან ქალური უპირატესობის შეგნებით მაინც ღირსეულად ეჭირა, ვეება მამაკაცს ბალღსავით შემწყნარებელად უღიმოდა. ის კი უხერხულად იწურებოდა. ტლანქმა და გაუთლელმა არ იცოდა თავისი გრძნობა როგორ გამოეხატა. ბოლოს გული თავის თავზე თითქოს თვითონვე მოუვიდა. გრძელი, ცხენოსნურად ოდნავ მოსალტული გამხდარი ფეხებით ერთ ადგილას როგორღაც სასაცილოდ აცუნცრუკდა, წიგნი ხელიდან ტლანქად გამოგლიჯა. ცალი თითი ენით დაისველა, გადაშალა, კიდევ გადაშალა და ის, რასაც ის ეგრე გულდაგულ ეძებდა, ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა, სარკმლის რაფაზე გადაშლით დასდო.

— რა მშვენიერებაა! — ამოხდა მაშენკას აღტაცებით და წიგნს ხელი ისევ წაავლო, რაღაც სურათს ღიმილით დასცქეროდა, მისი მშვენიერებით ვეღარ ძღებოდა.

მივხვდი, ის მშვენიერება, რამაც მაშენკა ეგეთს აღტაცებაში მოყვანა, ჩემთვის ნაცნობი მართლაც რომ მომხიბლავი ორლოკანელის ცხენის სურათი იყო. [illegible] დღის წინად მატახერიამ ეს სურათი სხვების ნამალავად მეც მაჩვენა. თავისი ვნება მე, როგორც ქართველს, და, მაშასადამე, მისი აზრით, ცხენის უსათუოდ დიდ მოყვარულს, დიდის ამბით გამანდო. თუ ის, რამაც ახლა მაშენკას აღტაცება გამოიწვია, მართლაც ცხენის ის ნაცნობი სურათი იყო, მის გრძნობას მაშინ მეც უსაღუოდ ვიზიარებდი.

მაშენკას ყურადღებით წაქეზებული მატახერია სურათს უკვე დაუფარავი კმაყოფილებით, ასე გასინჯეთ, სიამაყის გრძნობითაც დასცქეროდა. უხაროდა, მისი გატაცება ეგრე მხურვალედ რომ გაიზიარეს. მხრებში ისევ სასაცილოდ აიფხორა და წიგნი უცებ დახურა. ხმა მღელვარებისაგან ვეღარ მოზომა, მისი სიტყვები ყველამ გავიგონეთ:

— ჩემი ცხენიც ეგეთია. — თავისმავე ხმამ თვითონვე შეაკრთო, მაგრამ მაინც განაგრძო: — მაგრამ სულ სხვა ჯილაგისა. ნამდვილი ყაბარდოა შავლოყოს ჯილაგისა. გაფრინდება, — ქარს გავს მინდვრად გავარდნილს.

მისმა მჭერმეტყველებამ ყველა გაგვაკვირვა, მაგრამ ჩვენი გაკვირვება ხანმოკლე აღმოჩნდა, — სიტყვების მარაგი ერთბაშად შემოელია. უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაცა, მაგრამ გამოთქმა იმისა, რასაც ის ამ წუთს განიცდიდა, ვერ მოახერხა და ხელი თავის თავზე გაგულისებულმა მოუთმენრად ჩაიქნია.

— ეეხ! — ამოიოხრა და ყველაფერი იმითი თქვა. სარკმლის რაფას ისევ თავისებურად ჩამოეყრდნო, ტყის სიხშოებს ისევ უბრად გახედა. და ახლა მისთვის ისევ არაფერი არ არსებობდა, — არც ჩვენ, არც მაშენკა და არც არავინ.

მაშინკამ ვაჟკაცს გახედა. გაეღიმა. დობრიხოტოვს თვალი როგორღაც ეშმაკურად ჩაუკრა და ჩემკენ მოუხედავად ჩემკენვე გამოემართა.

— თერმომეტრი მაჩვენეთ. — თქვა მკაცრად და ხელის განძრევაც ვერ მოვასწარ, რომ ჭერანგის საკინძე ნაჩვევი ხელით უცებ გამიხსნა, სიცხის საზომს ნათელზე დახედა.

— სიცხე არა გაქვთ. — თქვა დაუფარავი სიხარულით და რატომღაც გაწითლდა.

— პერანგი შეიბნიეთ. არ გაცივდეთ. — დაუმატა განზრახ მკაცრად. დაბერტყილი თერმომეტრი ხალათის ჯიბეში ისევ ჩაიდო. მერე მატახერიას მიუახლოვდა. მხარზე ხელი ალერსიანად ჩამოადო. თვალებში ჩახედა.

— ჩვენთან ერთი კავალერისტი კიდევ წევს. — თქვა ღიმილით.—გინდა გაგაცნობ?

მატახერია მისკენ მობრუნდა. ზემოდან ერთი დაეჭვებით დახედა. მერე თავისთვის რაღაც გაივარაუდა და თვალები უცებ გაუბრწყინდა.

— სად არის? გამაცანით.

სადღაც ეზოში საუზმის ნიშნად ზარი დარეკეს.

8

პალატაში ჩემს გარდა არავინ იყო. ჩვენ გვერდით მოთავსებულ ქირურგიული ოთახიდან პრიმუსის ბუზღუნი ამ დილითაც ჩვეულებრივად მოისმოდა. შეხვევათა გამოსაცვლელათ მე იქ რამდენიმეჯერ ვყოფილვარ და ყოველი წვრილმანი ნათლად მქონდა წარმოდგენილი. თეთრი კედლები, ვრცელი ფანჯრები და თეთრივე დგამი შეხვევათა გამოსაცვლელად მისულ დაჭრილებს თვალს თავისი ცივი ბრწყინვალებით ახლა ალბათ ისევ უსიამოვნოდ ჭრიდნენ. თეთრად შეღებილ თაროებზე შემოდგმულ მინის ბოცოებს, უცნაურ ხელსაწყოებს, ნიკელირებულ ქვაბში გამოსახარშავად ჩალაგებულ სადოსტაქრო იარაღებსა და ოქროს სათვალეებიან, ძველი ხალხოსნის სანდომიანი გარეგნობის წვერშეკვეცილ ჭაღარა ექიმს. ჩვენს ეგვენი პეტროვიჩსაც, თავისი განუყრელი თეთრი ჩაჩითა და იოდისაგან კალთაამომწვარ თეთრივე ხალათით თითქოს ვხედავდი. საოპერაციო მაგიდის ირგვლივ მისი თავდაჭერილი და თან საქმიანი ფაციფუცი, ასისტენტებისა და მედიცინის დების მიმართ მისგან ლათინურად მოკლედ ნათქვამი განკარგულებაც თითქოს მესმოდა. როგორც სჩანდა, უმნიშვნელო და სახელდახელო ოპერაციებს ის ახლაც აქვე უბანგოდ აკეთებდა. ტკივილისაგან შეიწრებულთა ხან თავდაჭერილ კვნესასა, ხან გაბმულ გმინვასა და ხან ყურთასმენის წამღებ ყვირილზე გული სიბრალულისაგან მეკუმშებოდა. ტაშტში ჩაყრილ გამონაცვალ სისხლიან-თხრამლიან ბამბას, მარლასა და ტანზე შემოხდილ თაბაშირის ჭუჭყიან ნამტვრევებს არ ვხედავდი, მაგრამ მათი უბრალო წარმოდგენაც ჩემში ზიზღის გრძნობას ბადებდა.

შუადღემაც მოატანა. დილიდანვე უღიმღამოდ აციაგებული მზე თანდათან ძალიანდებოდა. გაზაფხული აღარ ხუმრობდა. წყლად ქცეული თოვლი საწვიმარ მილებში სასიამოვნოდ ღურღურებდა, მიწაზე ტრიშინით იღვრებოდა.

ჩემი მეგობრები ისევ არ ჩანდნენ. ქირურგიული ოთახის კართან ალბათ ისევ თავისებურად ჩუმად იდგნენ, თავის ჯერს მოთმინებით ელოდნენ. ძალას ბოლოხანს მეც თანდათან ვიკრებდი. მეგონა, დღეს არა,—ხვალ ყავარჯენით სიარულის ნებას მომცემდნენ. ის კი არა, ისევ ვიწექი. შეხვევაზედაც არავის გავყავდი. გოსპიტლის

ლალებს თვალყურს ამაო მოლოდინით ვადევნებდი. მათ ცქერაში მოთმინება მეკარგებოდა. ზეწარგადაფენილ გორგოლაჭიან ჯალავერებზე მწოლიარე ავადმყოფებს შესახვევ ოთახისაკენ რომ მიაგორებდნენ, მოსიარულე დაჭრილები ყავარჯნებით ანდა თავისი ფეხით რომ მიკელანობდნენ თვალს შურიანად ვაყოლებდი.

გარეთ გაზაფხულის ჟრიამული იდგა. გულმა იქით ისეთნაირად გამწია, თითქოს ვიღაც მეძახდა. ოცნებად წასულს, არ გამიგია პოლკოვნიკი სავგაჩოვი კართან უსიტყვოდ როგორ აიმართა. მაშინვე მივხვდი, რომ უგუნებოდ რასმე იყო. პალატაში დაღვრემით შემოსულს თვალი უხმოდ მივატანე. კაპიტანი დობროხოტოვიც მას იღლიებს ქვეშ საყრდენებით მოქცეულ ყავარჯნის მოკლე ხარიხებზე ორთავ ხელით დაბჯენილი დაღვრემილადვე შემოჰყვა. თვალი იმასაც უხმოდ გავაყოლე. ერთის შეხედვითვე შევატყე, რომ არცერთი მათგანის გაწერა ჯერჯერობით არ მოხერხდებოდა. რაიმეს თქმა ჩემ მოვალეობად რატომღაც მაინც მივიჩნიე და ვიკითხე:

— რაო? რა თქვა ექიმმა?

დობროხოტოვმა პასუხიც არ მაღირსა. ხელი უიმედოდ ჩაიქნია. ყველაფერი იმითი თქვა. მერე თითქმის კართან მიდგმულ თავის ვიწრო ლოგინზე მოწყვეტით დაეშვა. ყავარჯნები საწოლ ქვეშ ჩვეულებრივი წესრიგით შეალაგა. ჭერს უხმოდ მიაჩერდა.

პასუხი არც სავგაჩოვმა მაღირსა. ბოლომდე ჩაჭრილი ხალათი ღიპიან მუცელზე ვიწროდ შემოიკვართა. ფეხმძიმე დედაკაცივით კალთაატაცებული და გავამსხვილი ბუხრისაკენ უბრად გაემართა.

— სანამ უნდა ვეგდო აქ? — წამოიძახა მან როგორღაც დიაცურად აწრიპინებული ხმით მოუთმენრად და სკამი ცეცხლთან ხმაურით მისწია, ზედ მართლაც დაეგდო.

— სამოქალაქოში მაინც გამოვდგებოდი. — თქვა დობროხოტოვმა უკმაყოფილოდ. — ვიმუშავებდი... თანაც ვიმკურნალებდი.

სავგაჩოვმა ბუხარში ნაცარი ჩხირით გამოქექა და, ჩვენთვის კი არა, თავისთვის წაიბუზღუნა:

— ხანშესული ხარ... ფილტვი ძნელად გიშუშდებაო...

ტყვია მას მართლაც ფილტვში ჰქონდა გაელილი. ჭრილობაც მართლა გვიან უშუშდებოდა და ხანდახან როგორღაც უსიამოვნოდ ახველებდა. ყველა ვგრძნობდით, თვითონაც ხშირად უთქვამს, რომ მისი საქმე არც ისე კარგად იყო, მაგრამ თავს მაინც არ უჯერებდა.

დობროხოტოვი ისევ ჩუმად იყო. სავგაჩოვი ბუხარში ჩხირით ნაცარს ისევ ქექდა. ხმას არც მე ვიღებდი.

ქირურგიულ ოთახიდან პრიმუსის ბუზღუნი აღარ მოისმოდა. შეხვევებს ალბათ მორჩნენ. მატახერია, სანამ იხ პალატაში ქარიშხალივით არ შემოიჭრა, არავის არ მოგვგონებია.

— მივდივარ! გათავდა! — წამოიძახა მისთვის უჩვეულო მოუსვენრობით ოთახში შემოსვლისთანავე და, ისედაც ახოვანი და წარმოსადეგი, ახლა კიდევ უფრო ვეება და მხარბეჭგანიერი მოჩანდა. ხელიც შეხვეული აღარ ჰქონდა. თავისი სიხარულით ისე იყო აღტაცებული, რომ ჩვენი უგუნებობა ერთბაშად არ შეუმჩნევია. მე გაოცებული შევცქეროდი მას. ეს ჩემი მუდამ დინჯი და, ასე გასინჯეთ, დუნე თანამემამულე, არასოდეს ასე გამოცოცხლებული არ მენახა.

— მომილოცეთ. — თქვა მან ისევ ხმამაღლა და თან სახე იმნაირად უბრწყინავდა, რომ ისე ართვალი, ისე უსანდომო აღარ მოჩანდა. მუდამ

წყნარი და აუჩქარებელი, ახლა ისე აგზნებულიყო, რომ შეკითხვის საშუალებასაც არ გვაძლევდა, — გაგვეგო მაინც აგრე რა ახარებდა.

— გამწერეს. უფრო სწორედ რომ ვთქვათ. ხვალ გამწერენ და მერე.. Эех, шарабан, мой, шарабан!—წამოიძახა თავისი ცხენის საუგო სახელი ისე თავაუღებლად, რომ ცხენთა თქრიალი, ფაფართ შხუილი და წინ ყიჟინით გავარდნილი ასტამურ მატახერია თვალწინ ცოცხლად დამიდგა.

— წავალ... ქვესკნელში ჩავძვრები, თვალებს დავითხრი და ჩემ პოლკს, იმ ჩემ შარაბანს სადმე მაინც ვიპოვი.— თქვა ხმის დაწევით და თან სიხარულით აჩქროლებულ გულს, ეტყობოდა, ძლივს იოკებდა.

წუთით გაჩუმდა. მღელვარებისაგან შეკრული სუნთქვა მოიბრუნა და მერე ისევ განაგრძო:

— ხედავთ? შეხვევაც ამხსნეს. მითხრეს... ევგენი პეტროვიჩმა მითხრა, რაც გინდა, ის აკეთეო... თუ გინდა ყირაზე დადექიო...

და ამ სიტყვებით დიდიხნის უმოქმედობისაგან გაშეშებული, ბამბასა და თაბაშირში დიდიხნითვე ნახვევ-ნასალუქევი თეთრი მოვარდისფერო ხელი სანახავად, შესამოწმებლად ყველას სათითაოდ გამოგვიწოდა.

— ხედავთ? არა, ვინ იცის, იქნებ არც გჯერათ? ვაი შენ, ჩემო თავო!— თქვა სინანულითა და ხმაზედვე ეტყობოდა, რომ თავისი ბედნიერება, ჩვენ კი არა, მგონი, თვით მასვე არ სჯეროდა. თავის მდგომარეობას, აზრს, რომ იგი ისევ ჯანსაღად არის, ჯერ თვითონაც ვერ შეჩვეოდა.

მუდამ კეთილსა და გულისხმიერ დობროხოტოვს მატახერიას გაწვდილ ხელზე არც დაუხედავს, მაგრამ ის თავისი სიხარულით ისე იყო დაბრმავებული, რომ ამხანაგის უკმეხობა არც შეუმჩნევია, ჩემკენ ჯიქურ გამოემართა. მეც რა ძალა მქონდა, ამ ბავშვსავით გასათუთებულსა და ნაკაბიებ ხელს ნაძალადევი ღიმილით დავხედე. თვითონაც არ ვიცი რა ვუთხარ. ის კი ვიცი, რომ სავგაჩოვისაკენ იგი კმაყოფილებით გაემართა.

— დახედეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, აბა დახედეთ.

სავგაჩოვმა ხელზე ღიმილით დახედა.

— აბა ხელი ჩამჭიდეთ...

სავგაჩოვმა ხელში ხელი ფრთხილად ჩასჭიდა.

— მოუჭირეთ. — წააქეზა პოლკოვნიკი მატახერიამ. — აბა მოუჭირეთ. ნუ გეშინიათ, არ მეტკინება.

თავისი უშუალო, თითქმის ბავშვური სიხარულითა და თან მისგან ეგრე მოულოდნელი გამოცოცხლებით ის იმდენად მომხიბლავი იყო, რომ სავგაჩოვმა მისი გაწბილება ველარ შეძლო. ხელზე ხელი მართლა მოუჭირა. თავის საქციელზე თვითონვე გაეღიმა.

— ხედავთ? არ მტკივა. — თქვა მატახერიამ ბავშვური თავგამოდებით და არ ვიცი ვის, მგონი, თავისივე თავს თვალი ეშმაკურად, თითქოს ნიშნის მოგებითაც ჩაუკრა. — ექიმმა მითხრა ხვალამდე კიდევ მოიცადეთ. მეც მოვიცდი. ხვალაც ამ თვისაა. ხვალ კი ყველას, ყველას გამოგეთხოვებით...

სიტყვა ალარ დაასრულა. უცებ მოიწყინა. სახე უცებვე გაუბრწყინდა, მაგრამ ხმაში მოწყენა მაინც ეტყობოდა.

— იცით... ახლა, როცა გამწერეს... რო გამწერეს, მივხვდი, თურმე ისე შეგჩვეივართ... მაგრამ არაფერია...— თქვა იმნაირად, რომ მის ხმაში ვაჟკაცის თავაღებულება, სილაღე და თითქოს ბედის გამოწვევაც ერთად იგრძნობოდა: — მოიცათ, მალე, სულ მალე წაიკითხავთ, უნტერდენლინდენზე

ჩემი ესკადრონით ყიჟინით, სტვენით, თქარათქურით, ცოკ, ცოკ, ცოკ, რომ გავიჭრები. ნახავთ, ჩვენი სტალინი მაღლობას რომ გადამიხდის, ბარაქალას მეტყვის. ეიჰ, ჩვენი დრო მართლა როდი წასულა!

ხმა არავის ამოუღია. მის ხმამაღლა ოცნებას ყურს ყველანი ისევ ვუგდებდით, თითქოს გვეშინოდა, რომ მისი ბედნიერი წუთები არ დაგვერღვია. მატახერიამ ირგვლივ ჩამოვარდნილ სიჩუმეს ყურადღება მხოლოდ ახლა მიაქცია.

— რა? რა? — იკითხა ხმის მიამიტი გაგრძელებით და ჭროღა თვალები კითხვის ნიშნად ყველას სათითაოდ მოგვავლო.

ხმა ისევ არავის ამოუღია.

მატახერია მხოლოდ ახლა მიხვდა, რათ ვიყავით ჩვენ ეგრე მოწყენილნი. თავისი სიხარულის, თითქოს თვითონვე შერცხვა, ბავშვივით დაიბნა.

— ბოდიში. ბოდიში. — თქვა გაცბუნებით და ყველა იმნაირად ჩაგვათვალიერა, რომ, მგონი, თვითონაც არ იცოდა ბოდიშს რისთვის იხდიდა. მერე მაშინკასაგან თავის ლამაზად მილაგებულ საწოლს წყნარად მიუახლოვდა. ზედ ზურგშექცევით ირიბულად ჩამოჯდა. ჩემსა და მის სასთუნალს შორის ჩადგმულ საზიარო ვიწრო მაგიდის ქვემო უჯრა, ხმაურობა რომ არ გამოეწვია, ფრთხილად გამოაღო და თავისი და ჩემის აზრით ნაგავში გადასაყრელი ავლადიდება ფრთხილად, სათითაოდ ამოალაგა. გაშლილ ცხვირსახოცზე ალუმინის კოვზს, ალუმინისავე ჯიბის მათარას, ცხენის აბზინდს, თოკის ნაჭრებს, თაფლის სანთელსა და რაღაც ხარახურას, რომ არ საჭიროებდა, იმდენხანს წყნარად, თავისთვის ჩუმად ალაგებდა.

მე იქვე ვიწექ. მის საქმიანობას თვალყურს უნებლიე ღიმილით ვადევნებდი. მიკვირდა ამ ვეება კაცში ბავშვური მიამიტობა ვაუკაცურ თვისებებთან ეგრე როგორ [illegible] ეწყმუ-ლი. მიკვირდა, სიკვდილში, სიმარეში ათასგზის გამოვლილმა, ამდენი კდემამოსილება და უშუალობა საიდან შეინარჩუნა. ის მე მუდამ რაღაც კეთილშობილ ნადირს მაგონებდა და მით უფრო მიკვირდა, ამ თვისებასთან ერთად ღრმა გონიერება და აზროვნებაც რომ ახასიათებდა.

ახლაც ის მე ისევ ნადირს მაგონებდა, რაღაც კეთილშობილ ცხოველს თავის ბუნაგთან რაღაცას საქმიანად რომ ფუსფუსებს ხოლმე. ის თავისი გადასაყრელად გასამეტებელი ნივთები ფრთხილად, დიდის მოწიწებით ისე დაალაგა, მაგრამ მუცელგამობერილ მათარას მოხერხებული ადგილი ვერასგზით რომ ვერ უპოვა, აშალა, დალაგება ისევ თავიდან დაიწყო. ყველაფერი მოთავებული რომ მეგონა, ჭკუაში რაღაც სწორედ მაშინ არ დაუჯდა, ყველაფერი ისევ აშალა. ახლა მესამენაირად იწყო დალაგება, მაგრამ საქმე ახლა გრძელტარიანმა კოვზმა გაუჭირა, ადგილი ახლა იმას ვეღარ უპოვა.

არ ვიცი საიდან, ალბათ გაშლილ ცხვირსახოცისაგან ცხენის ოფლისა და მოუქნელი ტყავის მძაფრი სუნი მხოლოდ ახლა მეცა. საქმე ისევ მოთავებული რომ მეგონა. მატახერიას თვალში რაღაც ისევ არ მოუვიდა, ყველაფერი ერთიმეორეში ისევ დომხალივით აურია და, უჯრაში ორთავ ხელის მოსმით რომ ჩაყარა, მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ მას ნივთის შეკვრა კი არა, თავისი ახლად შეხსნილი ხელის შემოწმება უნდოდა. სჩანს, თავისი ხელის მოქმედებით კმაყოფილი ჯერ ისევ არ იყო. უჯრა გაგულისებით მიხურა. მერე წამოდგა. თავისთვის ვიღაცას ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა და, თვალი მე რომ შემასწრო, შეკრთა, ახლა მე გამიღიმა. უნდოდა რაღაც

ეთქვა, მაგრამ არ მითხრა, ბუხრისაკენ ხმის ამოუღებლად გაემართა.

— შეიძლება? — შეეკითხა სავგაჩოვს გადამეტებული აღმოსავლური თავაზიანობით.

— რატომაც არა.—თქვა სავგაჩოვმა დაუფარავი კმაყოფილებით და გვერდზე ოდნავ მიიწია ამხანაგს თავის გვერდით ადგილი დუთმო. — დაბრძანდით.

მატახერია პოლკოვნიკ სავგაჩოვის გვერდით წყნარად დაჯდა.

დერეფანში სიწყნარე თანდათან მყარდებოდა. ჩანს, ექიმმა შეხვევათა ცვლა მართლა დაასრულა და საცაა პალატების ჩამოვლასაც დაიწყებდა. ჩვენს პალატაში ის ყველაზე გვიან შემოდიოდა. ავადმყოფების ჩამოვლას მით ასრულებდა.

მოსიარულე დაჭრილები მის მოლოდინში წესისამებრ თავთავის საწოლებზე უნდა მსხდარიყვნენ. საგორავ ჯალავერებისა და რეზინის სათიხრიანი ყავარჯნების ხმაური მიწყდა. ავადმყოფთა ქუსლჩაკეცილი და ფეხზე მოურგებელი რეზინის რბილლანჩიანი ფაჩუჩების ფრატუნიც თანდათან მიყუჩდა.

დობროხოტოვი ისევ თავის ლოგინზე იჯდა. ჯავრის გულზე გადასაყრელად ასეთ დროს იგი ჭადრაკს გაშლიდა ხოლმე. ახლა ის თავისი განუყრელი ჭადრაკი მას ჩვეულებისამებრ არ გაუშლია. ლაპარაკის გუხებაზე ისევ არ იყო. ხმას არც მე ეცემდი. უქმი, არასმაქნისი კითხვა-გამოკითხვით ისედაც აბეზარს მოსული კაცის კიდევ უფრო გაბეზრებას ვერიდებოდი.

პალატაში დათბა. სავგაჩოვი თავის „მოქიშპე“ მატახერიასთან ერთად ბუხარს მაინც ახლოს უჯდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნებაზე დღეს არც ის იყო, ცდილობდა ცხენოსან ლეიტენანტთან გამოთხოვების ამ წინა დღეს განსაკუთრებით თავაზიანი და გულისხმიერი ყოფილიყო. კმაყოფილნი, რომ მათ შორის იმ მუღლსა და გაუგებრობას ადგილი უკვე აღარ ჰქონდა, ლაპარაკით მათდა შეუმჩნევლად თანდათან გაერთნენ. ერთი ალბათ თავის გამგზავრებასა და შავლოყოს ჯილაგის „შარაბანზე“ ჩურჩულით ოცნებობდა, მეორე მოტორიზებული ნაწილების მნიშვნელობის გამო მყუდროდ, ჩურჩულითვე საუბრობდა. ხანდახან ხმას მისდა უნებლიედ აუწევდნენ, — სავგაჩოვი ციმბირელი თავისი დაფლეთილი ფილტვებით როგორღაც მქისე ხმით წამოიყეფებდა, სამხრეთელი ტკბილი ბანით აბუბუნდებოდა. მატახერია ცეცხლს თვისი განიერი მხარბეჭით თითქმის მთლიანად ფარავდა, ის თავისი წეღანდელი მღელვარება მას თითქოს დაეძლია. დევგმირული გარეგნობით თავის ჩვეულებრივ სიმშვიდეს ისე მეტყველად გამოხატავდა თავის სკვარამსა და ოდნავ უკარებელ სულიერ მდგომარეობასაც თითქოს ისევ დაბრუნებოდა, მაგრამ შინაგანი, ჯერ ისევ დაუოკებელი ღრმა სიხარული მის ხმაში მაინც იგრძნობოდა.

კაპიტანმა დობროხოტოვმა მათ მეგობრულ ურთიერთობას ყურადღება ბოლოს მაინც მიაქცია. უცქირა, უცქირა, მათ ცქერაში ის თავისი გულის დარდი წუთით თითქოს გადააავიწყდა. სახეზე ღიმი ოდნავ შესამჩნევად მოეფინა, თვალებიც ჩვეულებისამებრ ოდნავ შესამჩნევადვე აუციმციმდა. მერე მე გადმომხედა. თვალით მანიშნა, — ერთი ამათ დამიხედეთო. პასუხად მეც გავუღიმე. თვალითვე ვანიშნე, — ვხედავ — მეთქი.

ისინი კი საუბრით ისე გართულიყვნენ, რომ ხმას მათდა შეუმჩნევლად თანდათან აუწიეს. მათი სიტყვები თანდათან მკაფიოდ მოგვესმოდა.

ასტამურ მატახერია, მას იქეთ, რაც მაშენკამ მისი გულის ნადები ეგრე მოულოდნელად გამოამჟღავნა, თავის საგანზე, მართალია, ძუნწად, მაგრამ უკვე გულახდილად ლაპარაკობდა. ბუხრის თავზე მათი ის ერთად ჩამოდებული წიგნებიც: ტექნიკური მსხვილტანიანი ცნობარი „ჰუტი“ და თავადი ურუსოვის არანაკლებ მსხვილტანიანივე შრომა „ცხენი“, თითქოს მათ შორის ჩამოვარდნილ მეგობრულ ურთიერთობის ალეგორიას წარმოადგენდნენ.

მიუხედავად თავისი ახალგაზრდობისა, ასტამურ მატახერია სკამზე მაინც აღმოსავლური სიმშვიდით დინჯად იჯდა. ის დღევანდელი სიხარულიც მას თითქოს აღარ ემჩნეოდა. თავის ახლად შეძენილსა და ენად გაკრეფილ უფროს მეგობარს ყურს წყნარად უგდებდა. მისი სიმშვიდე, ნებიერი რამ მყუდროება მე მზეზე თვლემად მიგდებული ფოცხვერის განცხრომას მომაგონებდა, კუნთმოშვებული და მილუშული თავის უტეხობასა და შემმართებელ მძვინვარებას მომხიბლავი და თან საშიში გარეგნობით ეგრე მჭერმეტყველურად რომ გამოხატავს ხოლმე.

ტანჩამკვრივებულ-ჩასუქებული სავგაჩოვი თავისი გარეგნობით მატახერიას სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა. საკუთარი აზრის გამოთქმით გატაცებულს თავისი ის წელანდელი დარდი სულ დავიწყებოდა. შუბლი დაძაბულ ფიქრისაგან მელოტიანად ანაოჭებოდა, ჩხია თვალები გამჭოლავად ანთებოდა. ახალგაზრდა ქართველ მეგობარს იგი თავისი ხანისა და გარეგნობისათვის შეუფერებელი თავდავიწყებით, ასე გასინჯეთ, მისტიური მგზნებარებითაც მოუთხრობდა ამბავს ადამიანის გენიის საკვირველებისა. უკვირდა, როგორ მივიდა ადამიანი იმ შეგნებამდე, რომ პირველი თოკი დაეგრიხა, როგორ აღმოაჩინა მან პირველი ბორბალი და როგორ მიხვდა შემდგომ, რომ მისი ღერძის ირგვლივ შემოსატრიალებლად საჭიროა, მისივე წრის რაღაც უსასრულობამდე მცირე ნაწილი წუთის რაღაც უსასრულოდვე მცირე მონაკვეთში თანმიყოლებით უძრავი იყოს. ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ იქ, ჩვენი ქვეყნის მიღმა, მთელი გულისყური იქითკენ იყო მიქცეული, თუ როგორ მოჰკლან ადამიანი, როგორ ანადგურონ მისნი, უდიდესნი მიღწევანი.

— აკი იმიტომაც ვეუბნავდი იმათ ეგრე დაუზოგავად.—თქვა ხმის აწევით და სახე მღელვარებისაგან ახლა მელოტიანად წამოუჭარხლდა. — მე ადამიანი მიყვარს, მაოცებს მისი გენია და ამიტომაც მეზიზღებიან ისინი, ადამიანის მოსისხლე მტრები. მათდამი სიბრალულის გრძნობა ჩემ გულში არასოდეს არ გაიელვებს. სანამ ისინი უდანაშაულო ქალებს ცოცხლად დაწვავდნენ, ნამუსს ხდიან, რომ თავისი ბილწი ვნება დაიკმაყოფილონ. და მით ისინი საქმიანად გამოიყენონ, მერე თმას კრეჭენ, რომ ტყუილუბრალოდ არც ის დაკარგონ, მით თავისი ნაალები გატენონ და ზედ თავის გრეტხენთან ერთად მუდმივ ქალოვნებაზე ოცნებაში რბილად იძინონ, სიზმრად გრაალის კოშკები ნახონ, მათ ძვლებს დაფქვავენ, რომ ფოსფორით ყანები გაანოყივრონ და მათგანვე დახოცილი ბავშვების ჯერ სისხლშეუმშრალი სათამაშოები სახრჩობელების გვერდით გადაღებულ თავის სურათებთან ერთად ცოლშვილს სამახსოვროდ გაუგზავნონ.

მატახერიამ თავის მგზნებარე თანამესაუბრეს მშვიდად შეხედა, მერე მხრებში ოდნავ შეიშმუშნა. ბეჭებზე მჭიდროდ შემოჭდობილი ხალათს, ზედ რომ არ შემოხეთქვოდა,

შეღავათი მისცა და ხელები ცეცხლს შმუშვნით მიუფიცხა.

— და მერე, განა ყოველივე ეს ტექნიკა არ არის? როგორც თქვენ ამბობთ ხოლმე, მაღალი ტექნიკა?

— რა? არ მესმის. — სთქვა გაცბუნებით სავგაჩოვმა.

— რა და კრემატორიუმი, სადაც ხალხს წვავენ. ელექტრონის რთული წისქვილი, სადაც ადამიანის ძვლებს ფქვავენ, ფოტოგრაფია, სურათს რომ იღებენ და ყოველივე ამას ზედ გრეტხენი თავისი მუდმივი ქალოვნებით და გრაალიცით დაუმატეთ...

სიტყვას გეზი უცებ უცვალა, პირდაპირ, თითქმის უკმეხადაც შეეკითხა:

— რა გამოდის?

სავგაჩოვი დაიბნა.

— როგორ თუ რა გამოდის? არ მესმის, რას მეკითხებით. — კი არ თქვა, დააკვნესა პოლკოვნიკმა. — რა გინდათ მაგითი რომ თქვათ?

— არაფერი. — თქვა ისევ წყნარად მატახერიამ. — მე მხოლოდ ის მინდა ვთქვა, რომ ადამიანის კულტურას მხოლოდ ტექნიკა არ განსაზღვრავს. რადიო, ავტომობილი, ხორცის საკეპავი მანქანა არაფერს ნიშნავს, თუ მას რუსთაველი, ტოლსტოი არ ყავს. ხოლო რაც შეეხება გრეტხენსა და გრაალს, ეს სინამდვილეს მოწყვეტილი ფუჭი ოცნებაა და, უნდა მოგახსენოთ, რომ ჯალათები ყველაზე დიდი მეოცნებენი არიან. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ინკვიზიცია ადამიანისადმი სიყვარულის სახელით სპობდა ადამიანს. ხალხი სულია, ამხანაგო პოლკოვნიკო, და სულს ტექნიკა როდი შეიცავს. — დაასრულა მისთვის არაჩვეულებრივად გრძელი და ჩვენთვის მოულოდნელი სიტყვა ახალგაზრდა ლეიტენანტმა და გრძლად ნათქვამი სიტყვით თვითონვე გაცბუნებულმა მე და დობროხოტოვს შემკრთალი თვალებით გადმოგვხედა. ერთბაშად გაბრაზდა, თითქოს შერცხვა, რომ სიტყვა გრძლად მოუვიდა. თავი დახარა, ბუხარში კინაღამ შერგო.

მე გამაოცა მისმა აზრებმა და რწმენამ, რომლითაც მან ეს სიტყვები წარმოსთქვა. აქამდე მეგონა, რომ მის გულს ცხენის გარდა არაფერი არ იზიდავდა. ახლა ჩემთვის მოულოდნელი იყო ყოველივე ის, რაც მისგან გავიგონე. მხოლოდ ახლა გავიგე, თუ რათ უცქეროდა იგი ეგრე მტრულად სავგაჩოვისაგან მხოლოდ ტექნიკური საკითხებით გატაცებას.

მატახერიამ თავი ისევ მაღლა აიღო. სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება აღბეჭდოდა. ეტყობოდა, რომ ამ გამოთხოვების წინ გადაეწყვიტა ეთქვა ის, რაც აქამდე ეგრე აწუხებდა, ეთქვა რაც ეგრე სწამდა და მერე ენა ისევ მუცელში ჩაეგდო. ეთქვა ის, რის გადათქმევინებაც მისთვის არავის არ შეეძლო და ხვალ აქედან თავისებურად მშვიდად წასულიყო და, ვინ იცის, მერე შეეხვდებოდით ერთმანეთს სადმე, თუ არა.

— ტექნიკის აყვავებას იქ დამონების სურვილი იწვევს, ჩვენში კი მხოლოდ თვისუფლებისა — ჩვენი ტექნიკა მოწინავეა, ხოლო იმათი ჩამორჩენილი, არა მდგომარეობის, არამედ მიზნის მიხედვით, რომელთაც მათი არსება გამოუწვევიათ.

გაბმული მსჯელობა მას არ სჩვეოდა. ახლაც ასე მოიქცა. რაც თქვა, ისიც ზედმეტად მიიჩნია. გაჩუმდა. თავი ისევ დაბლა დახარა, ბუხარში ისევ კინაღამ შეჰყო.

პოლკოვნიკი სავგაჩოვი მისი სიტყვებით სახტად დარჩა.

— ეს როგორი საქმეა? — წამოიძახა მისდა უნებლიედ და მე და დობროხოტოვს გაკვირვებით შემოგვხედა, მერე გულხუთვიანივით აქშინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, სახე და მელოტი კიდევ უფრო წამოუწითლდა და მოტიტვლებული თავი დაბნეულობისაგან მოიფხანა, ისევ მოიფხანა, ფეხზე წამოდგა და თვალები ისევ ააცეცა, იმნაირად ააცეცა, თითქოს თვითონვე უკვირდა რათ წამოვდექიო.

— მაშ, ეგრე, არა? — თქვა თავისთვის ჩაფიქრებულათ. — მაშ თქვენ ამბობთ, რომ ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ...

გაჩუმდა. არ უთქვამს რას ამბობდა მატახერია. გაშეთებული ჩხია თვალები ისევ მე, მერე დობროხოტოვს მიაჩერა. თითქოს გვეკითხებოდა, — თქვენ? თქვენ რაღას იტყვითო?

— ამხანაგო პოლკოვნიკო. — თქვა დობროხოტოვმა მისი უსიტყვო კითხვის პასუხად.—ამხანაგი მატახერია მართალია. ახალი მანქანის შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე „წყნარი დონის“ დაწერა. ამიტომაც არის, რომ იმათ ედისონი ჰყავთ და ტოლსტოი არა. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი მიდიან, წარსულს ბარდებიან. ჩვენ კი მოვდივართ. ახალგაზრდა ბურჟუაზია ერთ დროს მოწინავე წოდება იყო და მას სერვანტესი ყავდა, შექსპირი ყავდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტექნიკა მაშინ ჯერ კიდევ პრიმიტიული იყო და ამერიკა კოლუმბმა აფრიანი კარაველებით აღმოაჩინა. მონათმფლობელთა წოდებაც ერთ დროს აგრევე ახალგაზრდა იყო. მას ჰომიროსი ყავდა, ექსილე და მენანდრე ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტექნიკა კიდევ უფრო პრიმიტიული იყო და კოლხეთი იაზონმა ტრირემებით აღმოაჩინა.

სავგაჩოვი ფეხზე ისევ გაოგნებულივით იდგა. ის, რაც მან ახლა გაიგონა, მისთვის ჯერ გაუგონარ სიახლეს წარმოადგენდა და არ იცოდა მატახერიასათვის რა პასუხი გაეცა.

პალატაში სიჩუმე ჩამოვარდა. ასტამურ მატახერიას საკითხი, როგორც ჩანდა, ამოწურულად მიაჩნდა და ბუხართან თავისებური ზანტი სიმშვიდით იჯდა. რაღაცაზე, ალბათ თავის ცხენოსანთა პოლკში დაბრუნებაზე, ოცნებობდა. ხმას არც დობროხოტოვი იღებდა. მეც ჩემი სადარდელი მქონდა. ვფიქრობდი და ვერ გამეგო დღეს შეხვევაზე რათ არ გამიყვანეს.

— მოიცათ! მოიცათ! — წამოიძახა სავგაჩოვმა ისე, თითქოს ფიქრს ვინმე არ აცლიდა. სკამზე დაჯდა და, თავი ხელებში რომ ჩარგო, ცეცხლის ანარეკლი მელოტზე ვარდისფრად აუციმციმდა.

— იცით? იცით, ამხანაგებო, თქვენ მართალი, უსათუოდ მართალი უნდა იყოთ! — გაიძახოდა ის წარამარა და თან თავს მაღლა არ იღებდა, ფიქრს ისევ განაგრძობდა. — ლენინს ეს საკითხი უსათუოდ განხილული ექნება. ამის გამო მას თავისი აზრი უსათუოდ იქ ექნება გამოთქმული, სადაც უატის ორთქლის მანქანის გამო ლაპარაკობს. დღესვე ვეტყვი მაშენკას, რომ ის წიგნი მომიტანოს... იცით, ამხანაგებო, ვფიქრობ, ვფიქრობ და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ თქვენ უსათუოდ, უსათუოდ მართალი უნდა იყოთ...

ფიქრით გართულს არ გაუგია ევგენი პეტროვიჩი მაშენკასთან ერთად პალატაში როდის შემოვიდა. სავგაჩოვის უკანასკნელ სიტყვებს ყური მოჰკრა თუ არა, კართან შედგა. სალამის მაგიერ თავაზიანად და თან ეშმაკურად გაგვიღიმა. თვალით გვანიშნა, რომ ხმა არ ამოგვეღო. მერე წინ რამდენიმე ნაბიჯი ფეხაკრეფით გადმოდგა და თავჩაქინდრულ სავგაჩოვს შეეკითხა:

— რაშია საქმე, ამხანაგო პოლკოვნიკო? ეგრე რას ჩაუფიქრებიხრთ, ან უსათუოდ მართალი ნეტავ ვინ არის?

სავგაჩოვმა თავი მაღლა აიღო. ექიმის დანახვისთანავე ფეხზე წამოიჭრა. ბოლომდე ჩაჭრილ ხალათს სიჩქარეში ყურადღება დროზე ვერ მიაქცია და კალთები წინ განივრად გადაეშალა, თავისი ჩამრგვალებული ტანით საცვლების ამარა წუთით გამოჩნდა, მაგრამ მოასწრო, სამოსი ტანზე ისევ მალე შემოიკვართა.

— ეს ისე, ევგენი პეტროვიჩ... — ოდნავ გასაგონად, თითქოს თავისთვის ჩაიბურტყუნა სავგაჩოვმა. — რაღაცას ჩემთვის ვფიქრობდი... მაშ რა ვქნათ? უსაქმო კაცის ამბავი ალბათ თქვენც მოგეხსენებათ...

— უსაქმო კაცის? — გაკვირვებით იკითხა ევგენი პეტროვიჩმა და წვრილად მოჭუტულ ცისფერ თვალებზე ოქროსსალტეებიანი სათვალე ორთავ ხელით გაისწორა. — უსაქმო კაცის ფიქრი, ამხანაგო პოლკოვნიკო, უსაქმოა და, უნდა მოგახსენოთ, რომ მავნეც. თქვენ ერთი ეს მითხარით, უსაქმოდ რათ უნდა იყოთ, ა? წიგნები ხომ საკმაოდ გაქვთ? ხომ იცით, რომ იქ, ბრძოლის ველზე, კითხვის დრო იმდენი აღარ გიქნებათ. ამიტომ ეს დრო კარგად უნდა გამოიყენოთ. ბევრი, ძლიერ ბევრი უნდა იკითხოთ...

და უცებ ჩემკენ შემოტრიალდა.

— გამარჯობათ, ამხანაგო დავლაძე! — მომმართა მხოლოდ მე, რადგან დანარჩენები მას შეხვევაზე ყავდა ნახული. მერე პასუხს არ მოუცადა, მაშენკას მიუბრუნდა:

— რატომ შეხვევაზე არ მომიყვანეთ?

მაშენკა დაიბნა. სახეზე ალმური შემოენთო. უნდოდა თავის გასამართლებლად რაღაცა ეთქვა, მაგრამ პასუხს ვერ მოახერხა.

ევგენი პეტროვიჩმა თავის ახალგაზრდა მედიცინის დას თვალებში დაკვირვებით ჩააჩერდა. უცქირა, უცქირა. „რომანი, რომანი, არა?“ — მივხვდი გაიფიქრა და შუბლის კოხები კუშტად შეიკრა. ისიც შევატყე, რომ მისი ამგვარი თვითნებობა [illegible] გულიც მოუვიდა. განრისხებულმა [illegible] შეგვემჩნია, შეწყვეტილ საუბრის საგანს ისევ დაუბრუნდა:

— ჰოდა, იმას გეუბნებოდით. სანამ აქა ხართ, ბევრი, ძლიერ ბევრი უნდა იკითხოთ, თორემ ჩამორჩებით. განა ჩვენ მარტო ზარბაზნებით ვიბრძვით. სიმართლის რწმენით ვიბრძვით. ჩვენი ოფიცერი ამიტომაც სამართლიანი და განათლებული კაცი უნდა იყოს.— ამბობდა ის ოდნავ მღელვარედ და თან ემჩნეოდა, რომ მის ხელში გაზრდილ მაშენკასადმი ბრაზი გულში ისევ უდუღდა, თავისივე თავს ძლივს ერეოდა.

— წიგნებს . რათ არ აწვდით? — ჰკითხა მაშენკას და ცუდად დაფარული მოუთმენრობით განაგრძო: — კომკავშირის უჯრედმა ამ საქმისათვის მაშ რათ გამოგყოთ?

და განრისხებულს არ შეუმჩნევია საწყალი გოგონა მხრებში როგორ უხერხულად და თან შესაბრალისად აიწურა.

— სანამ უნდა გეუბნებოდე, — წამოიძახა მან ხმის აწევით. — სანამ უნდა გეუბნებოდე, რომ დაჭრილის სულიერ მდგომარეობას მისივე ჯანმრთელობისათვის ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?

ევგენი პეტროვიჩის ამ სამართლიანმა უკმეხობამ ყველა უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. ყველაზე მეტად მისმა ამგვარმა ქცევამ მე შემაწუხა, მაგრამ რა მექნა? არ ვიცოდი ჩემს კეთილისმყოფელს რით გამოვსარჩლებოდი. ვგრძნობდი, რომ ევგენი პეტროვიჩი ერთს ამბობდა და სულ სხვას გულისხმობდა. ეს სხვა მე ვიყავ და ამიტომაც მისი გაგულისება გარეგნულად სხვას უსამართლოდ მოეჩვენებოდა. სავგაჩოვს მისი საქციელი ამიტომაც აკი ესეთად მოეჩვენა. არავინ რომ არ მოველოდით, მაშენკას ის სწორედ

ამ დროს ყოვლად უადგილოდ და კეთილშობილი თავგამოდებით ჩაეშველა:

— უნდა მოგახსენოთ... — თქვა მახ და თხელი ტუჩები გაუფითრდა, გაწიწმატებით მოკუმა, სიტყვა სიტყვას ბრაზით ველარ წააწყო: — უნდა მოგახსენოთ, ევგენი პეტროვიჩ... გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ მაშენკა აქ არაფერ შუაშია...

მაშენკა ამ სიტყვებზე მხრებში კიდევ უფრო აიწურა, მაგრამ ევგენი პეტროვიჩს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, პოლკოვნიკის სიტყვებიც თითქოს არ გაუგონია ნირშეუცვლელად წამოიძახა:

— დღეს, ამხანაგებო საყურადღებო გადმოცემა იყო. — და მაშენკას მოულოდნელად მოუბრუნდა: — ჩაწერე?

— ჩავწერე, ევგენი პეტროვიჩ. კარგად ჩავწერე. — თქვა მაშენკამ შემკრთალი ხმით და, თვალებზე მომდგარი ცრემლი რომ დაეფარა, თავი დაბლა დახარა.

საქმე ის იყო, რომ ჯერ სიშორისა და მერე აღუდგენელი გზების გამო გაზეთები ჩვენამდე მხოლოდ მეორე დღეს, ისიც ძლივსძლივობით აღწევდნენ. ფრონტის ამბები იმავე დღეს, რომ გვცოდნოდა, საინფორმაციო ბიუროს რადიოგადმოცემათა ჩაწერა მაშენკას ევალებოდა.

— მერე? — იკითხა ისევ შარიანად ევგენი პეტროვიჩმა და მისგან გაზრდილი მედიცინის დის პასუხის მოლოდინში თვალებში ისევ ჩაციებით ჩააცქერდა.

— დაჭრილებს არ ეცალათ. — თქვა მაშენკამ ხმის კანკალით და, ტირილი რომ არ წასკდომოდა, უცებ გაჩუმდა. ცხვირსახოცის კუთხეს კბილით ძენძვა დაუწყო.

განა ევგენი პეტროვიჩმა თვითონ არ იცოდა, რომ გადმოცემათა წაკითხვა, სანამ ის შეხვევებსა და პალატის ჩამოვლას არ მორჩებოდა, მოუხერხებელი იყო, მაგრამ თავისი გაგულისების მიზეზის გამხელას ჩვენის თანდასწრებით ერიდებოდა. მაშენკა-თვალზემორეული ცრემლები ეტყობოდა იმანაც შეამჩნია. აღელდა, სათვალე ორთავ ხელით ისევ გაისწორა, მაგრამ თავი განზრახ ისე დაიჭირა, თითქოს არაფრის ბაიბურში არ იყო.

— იცით, ამხანაგებო? — თქვა მან ჩვეულებრივზე უფრო ხმა მაღლა. — დღეს სასიხარულო, დიდად სასიხარულო გადმოცემაა. უნდა გახაროთ, რომ ჩვენები საგაზაფხულო შეტევაზე გადავიდნენ.

თან ლაპარაკობდა, თან მიახლოვდებოდა და, საწოლთან რომ მოვიდა, სიტყვას გეზი უცებ უცვალა:

— როგორ ხართ?

— კარგად ევგენი პეტროვიჩ. ვფიქრობ, რომ კარგად. — ვთქვი შეგირდივით, მაგრამ მან სიტყვა არ დამასრულებინა. საბანი უცებ გადამხადა, უცებვე ბრძანა:

— ფეხი გაუხსენით.

მაშენკამ ექიმს სიტყვა აღარ გაამეორებინა. წელამდე დაბინტულ-დაარტაშნებული ფეხი მაშინვე ფრთხილად, მაგრამ საჩქაროდ შემიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ პალატაში საკმაოდ თბილოდა, ცხრამეტი დღე ბამბასა და მარლაში თბილად ნახვევ ფეხზე ბუძგი ლურჯ ბუსუსებად მაინც დამაყარა.

ფეხი რომ არ დამგრილვოდა, ევგენი პეტროვიჩმა საბანი ისევ წამაფარა, ჩემკენ გადმოიხარა და განსაკუთრებული ყურადღებით შემეკითხა:

— საქართველოდან არაფერია?

— არაფერი, ევგენი პეტროვიჩ. — ვთქვი ნაღვლიანად. — მოგეხსენებათ, ომია და ადგილმდებარეობას ისე ხშირად ვიცვლიდი, რომ სამშობლოსთან კავშირი ბოლოს მაინც დავკარგე.

— ოო! — თქვა ევგენი პეტროვიჩმა თანაგრძნობით.

გარეთ გამოფენილი დაჭრილების ხმაური დერეფანში თანდათან მატულობდა, ბუზღუნს ჩვენმა აკულინა ივანოვნამაც თანდათან უმატა. ექიმისაგან პალატების ჩამოვლის და შეხვევების დასრულების შემდეგ იატაკს იგი ისევ გვიდა ხოლმე და კართან ახლა ცოცხით, აქანდაზითა და თუნუქის სათლით მძიმე ბაჯბაჯით ჩაიარა, ბუზღუნს ისევ განაგრძობდა:

— მამაკაცი! მამაკაცი და ბავშვი ერთია. კუდში სულ ცოცხით უნდა სდიო.

და ხმას უცებ განრისხებით აუწია.

— აბა ეს რასა გავს? ეს რასა გავს-მეთქი? პაპიროსის ნამწვი აქ ვინ დააგდო?

მის მრისხანებას, როგორც სჩანდა, არავინ არაფრად არ აგდებდა. დაჭრილები მას გაცელქებულ ბიჭებივით აწვალებდნენ. თან ეალერსებოდნენ, — დედას, ბიცოლას და რა ვიცი კიდევ რა საალერსო სახელს არ ეძახდნენ და თან სიცილ-ხარხარისაგან თავს ვერ იკავებდნენ. ისიც, ის დალოცვილი დედაკაცი, მათდა გასაბარელად ვითომ კიდევ უფრო ცეცხლდებოდა, ისევ ბუზღუნებდა, რომელიმე მათგანს ისევ გამწარებით უცაცხანებდა. გაგულისებით რაღაცას ბუტბუტებდა და მის ბუტბუტში მათდამი დედაშვილური სიყვარულის გრძნობა, სინაზე და გულკეთილობა ისე მკაფიოდ გამოკრთოდა, რომ ჩვენ აქ გრძნობით გვეღიმებოდა.

ევგენი პეტროვიჩმა ხალისიან ხმაურს მიაყურა. სიცილ-ხარხარს ერთხანს უსმენდა და მერე თვალი ჩაგვიკრა.

— გესმისთ? — თქვა მოხუცური ოდნავ ხრინწიანი ჩაცინებით და თვალები ახალგაზრდულად, კვიმატიანად გაუბრწყინდა. — გესმისთ, ჩვენი აკულინა ივანოვნა როგორ ბობოქრობს? შესანიშნავი დედაკაცია! რაც მართალია მართალია, შესანიშნავი დედაკაცია! იცით, ჩვენ შორის დარჩეს და, მაგისი, ცოტა არ იყოს, [illegible] ტყეში რომ ვიყავით, [illegible] ჩვენი შიშით ტანში აციებდა, ღამე მოსვენებით არ ეძინათ, ჩვენ კი ყველას მაგისი გვეშინოდა. ხო ეგრე იყო. მაშენკა?

— მართალია, ევგენი პეტროვიჩ! — დაემოწმა თავის აღმზრდელს მაშენკა სიხარულით და, რახან დრო იხელთა, სულმოუბრუნებლად ზედიზედ დააყარა: — სანამ დაჭრილი ლოგინად არის, მისი მონაა. თავს მშობელ დედასავით ევლება, ელამუნება, ყველა ჭირვეულ სურვილებს სიტყვის შეუბრუნებლად უსრულებს... მაგრამ ფეხზე დამდგარს დაინახავს თუ არა, მაშინვე ღვთის რისხვად იქცევა. უბრალო რამეზე უჯავრდება, სულ შარზეა და სულ ეგრე ბუზღუნებს.

— შესანიშნავი ქალია! შესანიშნავი დედაკაცია! — თქვა ისევ ღიმილით ევგენი პეტროვიჩმა და ხმაურს ისევ გაფაციცებით მიაყურა. ახლა ის თავისი ცოცხითა და აქანდაზით ალბათ დერეფნის ბოლოში იყო. მისი ხმა ჩვენამდე ახლა ყრუდ აღწევდა.

— იცით, ევგენი პეტროვიჩ, — ეთქვი ღიმილით.—ამხანაგი მატახერია რახან შავია, ბასურმანს ეძახის. ვერაფრით ვერ გავაგებინე, რომ ბასურმანი არ არის.

მაგრამ ევგენი პეტროვიჩს ჩემი სიტყვები არ გაუგონია. რაღაცას ფიქრობდა. ეგრე დაფიქრებული, უხედველი თვალებით ისევ მომიახლოვდა. საწოლის წინ დაყრილი ჩემი შეხსნილი და უკვე უვარგისი ბინტები, არტაშანი და ბამბა ფეხით იქით მისწია. სკამზე ჩამოჯდა.

— საბანი გადაიხადეთ.—თქვა მკაცრად, საქმიანი კილოთი.

საბანი მაშინვე გადავიხადე. ამ ცხრამეტი დღის განმავლობაში ჩემს ფეხს ყურადღებით პირველად დავხე-

დე. ყუმბარის ნამსხვრევი მუხლის თავს ზემოთ მომხვედროდა. ჭრილობა თითქმის მორჩენილიყო, მაგრამ საქმეს ახლა მძლავრი დარტყმით ნაღრძობი მუხლის სახსარი აჭირებდა.

— მდაა! — თქვა ევგენი პეტროვიჩმა და მუხლში ხელი მომიჭირა.

— გტკივათ?

— ოდნავ. — ვთქვი და მისი ცივი ხელის მოკარებაზე ტანში უსიამოვნოდ გამაჟრჟოლა.

— მდაა! — გაიმეორა ისევ ისე ევგენი პეტროვიჩმა და წვივში ახლა ორთავ ხელი ჩამჭიდა, სახსრის მოქმედება ყურადღებით შეამოწმა. მერე ჭრილობის მოკრული პირი მოსინჯა. შვებით ამოისუნთქა.

— ახალგაზრდობას თავისი გაუტანია. — თქვა და წამოდგა. — შეგიძლიათ წამოდგეთ. ოღონდ ბევრს ნუ ივლით. მუხლს ძალას ნუ დაატანთ.

წამოდგა. მაშენკას გასაგონად თითქოს თავისთვის ხმამაღლა თქვა:

— ჭრილობა სადად შეუხვიე. ყავარჯენი შეურჩიე.

კარისკენ წყნარად გაემართა.

10

პალატების ჩამოვლაც დასრულდა. მაშენკამ ევგენი პეტროვიჩისაგან დანიშნული პროცედურებიც დაასრულა. გოსპიტალი თავის ჩვეულებრივ კალაპოტში ისევ ჩადგა. დაჭრილები თავის ყოველდღიურობას კვლავ დაუბრუნდნენ. ზოგნი სამკითხველოში გაიკრიფნენ, ზოგნი საკონცერტო დარბაზში ბილიარდს თამაშობდნენ და სპილოს ძვლის ბუკუნტალის ხმაური ყურთასმენამდე ყრუდ აღწევდა. სადღაც ვიღაცა ბაიანს უკრავდა და ზედ მეზღვაურის სიმღერას ნაღვლიანად დაღიღინებდა. სადღაც, ჩვენი პალატის გვერდით რაღაცაზე გაცხარებით დავობდნენ, მათ კამათს დასასრული არ უჩანდა. იქ დერეფნის ბოლოში, გაცელქებული მამაკაცები [illegible] ხუმრობდნენ, ლაზღანდარობდნენ, [illegible] ცოცხლით სავსე ბანით ხმამაღლა ხარხარებდნენ.

ჩვენს პალატაში ჩვეულებრივი სიწყნარე იყო.

მაშენკამ ფეხი მართლაც მსუბუქად შემიხვია და ჩემს მახლობლად საწოლის წინ წყნარად იჯდა. ეტყობოდა, ევგენი პეტროვიჩის გულისწყრომა მას ჯერ კიდევ არ დავიწყებოდა. თავის ჩვეულებრივ გუნებაზე არ იყო, მაგრამ დაჭრილების სიცილ-ხარხარს ყურს მაინც უგდებდა. მათ ცელქობაზე მისდა უნებლიედ თავისთვის ნაღვლიანად ეღიმებოდა. ყავარჯნების მოლოდინში მეც ჩემდა უნებლიედ მეღიმებოდა.

დობროხოტოვი თავის ლოგინზე ისევ წყნარად იჯდა. პოლკოვნიკი სავგაჩოვი ლეიტენანტ მატახერიასთან ერთად ბუხარს არ შორდებოდა.

— აკულინა ივანოვნა მართალია.— თქვა მაშენკამ ისე, რომ მოწყენილ სახეზე ღიმილის იერი ისევ დაჰფრფინვიდა.

მისმა სიტყვებმა გამაკვირვა. თვალებში ჩაძიებით ჩავხედე. არ მესმოდა რაში იყო მართალი ის ჩვენი ლალა.

მაშენკამ ჩემი გაკვირვება თითქოს იგრძნო, თქვა:

— მამაკაცი მართლა ბავშვია. მძლავრია, ტლანქი, მაგრამ მაინც ბავშვია. ბავშვივითვე გულახდილი და თან მიამიტი.

— ქალი? — ვიკითხე რატომღაც შემპარავად და თვალი თვალში გამომცდელად გავუყარე.

— ჩვენ—არა. ჩვენ არა ვართ ეგრე გულახდილნი. მამაკაცი ჭკუასა და მიამიტობას როგორღაც ერთად ათავსებს და ეს ჩვენი, ქალების, ბედნიერებაა. ჩვენი სიყვარული მისდამი ამი-

ტომაც უშრეტია. ქალს, რომელსაც მამაკაცი წელან ელაპარაკებოდა და, რომელიც მას, შესაძლოა, გაგიჟებითაც უყვარს, კითხეთ იმ ქალს როგორი კაბა ეცვა. ვერ გეტყვის. ის მეოცნებეა. ქალი, პირიქით, ყველაზე ადრე იმას გეტყვის რა ეცვა მის ტრფიალს, როგორი იყო. ჩვენ სხვანაირები ვართ.

— და ეს ჩვენი ბედნიერებაა. — მოვჭერ მეც მისი წაბაძვით, მაგრამ მაშენკას ჩემი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ისევ ხმამაღლა ფიქრობდა, სწორედ რომ ვთქვათ ხმამაღლა ოცნებობდა.

— იქ, ტყეში, ერთი მეგობარი მყავდა... ნამდვილი ვაჟკაცი იყო... ისიც ბავშვივით იყო...

სიტყვა უცებ მოწყვიტა. სახეზე მწუხარების რამ ბინდმა წუთით გადაურბინა. ცისფერი გამჭვირვალე თვალებიც წუთითვე ჩაუმუქდა.

— მაშენკა. — ვთქვი ჩურჩულით, რომ იმათ, ჩემ მეგობრებს, არ გაეგონათ. — მაშენკა, ნუ ხარ ეგეთი.

— როგორი? — შემეკითხა და თვალი თვალში გამიყარა.

— თვითონაც არ ვიცი როგორი... აი ეგეთი... ის... ის ვაჟკაცი ვინ იყო?

მაშენკა თვალს ისევ არ მაშორებდა, მაგრამ პასუხი მაინც არ გამცა. შერე რატომღაც ღრმად ამოისუნთქა და, საერთოდ, ყველას გასაგონად ხმამაღლა თქვა:

— უკანასკნელი ცნობები წავიკითხოთ.

— წავიკითხოთ! წავიკითხოთ! — წამოიძახა ყველამ ერთხმად, ყველა ერთბაშად გამოცოცხლდა.

მაშენკამ ჯიბიდან ფანქრით ნაწერი ოთხად გაკეცილი რვეულის ქაღალდი ამოიღო, წყნარად გაშალა და თქვა:

— აბა ყური დამიგდეთ.

უკანასკნელ ცნობათა წაკითხვის მოლოდინში თავი ყველამ ბუხრის მახლობლად კედელზე გაკრულ რუკასთან მოიყარა. დობროხოტოვს, როგორც შტაბის ყოფილ ოფიცერს, ტოპოგრაფიის მცოდნეს, რუკაზე ქაღალდის დროშიანი ქინძისთავების გადაადგილება ევალებოდა, ხოლო საგაჩოვსა და მატახერიას თვალყურის დევნება.

მაშენკამ კითხვა წყნარად დაიწყო. ყოველ სიტყვასა და წინადადებას, აზრს რომ ღრმად ჩავწვდომოდით აუჩქარებლად, გულში ჩამწვდომი შინაგანი მღელვარებით კითხულობდა.

განა კითხვა ჩვენ არ შეგვეძლო, მაგრამ ის თავის ნაწერს მაინც არ გვანდობდა. ჯერ ერთი თავისი ბავშვური ხელის რცხვენოდა და მეორეც,—უნდოდა, რომ ჩვენი სიხარულის თანაზიარი ისიც ყოფილიყო. ჩვენც ხათრს არ ვუტეხდით. მისგან წაკითხულ ყოველ სიტყვას ხარბად ვიჭერდით, ისედაც აღელვებულ მაშენკას ჩვენი სიხარულითა და გაფაციცებული ყურადღებით კიდევ უფრო ვაღელვებდით.

ჩვენები ისევ წინ მიიწევდნენ. ქალაქს ქალაქებზე იღებდნენ და ჩვენ სიხარულს საზღვარი მართლაც არ ქონდა.

— ეს რა ბედნიერი დღეები დაგვიდგა. — წამოიძახა ბედნიერი სიცილით მაშენკამ და, სანამ დობროხოტოვი რუკაზე წითელ დროშიან ქინძისთავებს წინ გადააადგილებდა, ხოლო შავდროშიანებს უკან დასწევდა, კითხვა შესწყვიტა. — შარშან, ჩვენები უკან რომ იხევდნენ, უკანასკნელ ცნობებს პარტიზანებისათვის რადიოსთან მაშინაც მე ვწერდი. ვწერდი, ვუსმენდი, ისევ ვწერდი და თან ცრემლი ლოყებზე ღაპაღუპით ჩამომდიოდა. რამდენჯერ მითქვამს ევგენი პეტროვიჩისათვის, მეტი აღარ შემიძლია და ახლა სხვა ვინმემ ჩასწეროს-მეთქი, მაგრამ არ შვრებოდა. ჩვენ ბოლშევიკები ვართ და სიმართლის არ უნდა გვეშინოდეს. მაშინ ცნობებს მე როდი ვკითხუ-

ლობდი. ჩანაწერს მებრძოლებს უსიტ-ყვოდ გადავცემდი და, ჩვენი უკან დახევის ამბები ჩემი ყურით მეორედ რომ არ მომესმინა, იქაურობას მაშინვე გავეცლებოდი. შორს, სადმე შორს წავიდოდი და ბუჩქნარებში ჩამალული ვტიროდი, ჩემთვის მარტო ვტიროდი. ახლა? კითხვა ყველამ იცით, ჩემზე უკეთაც იცით და მინდა მაინც მე წაგიკითხოთ...

— ესეც ეგრე. — თქვა საქმით გართულმა დობროხოტოვმა და რუკაზე უკანასკნელი ქინძისთავი დააბნია. — მერე, მაშენკა, მერე.

მაშენკამ კითხვა ისევ განაგრძო. დობროხოტოვი წაკითხულის მიხედვით ქინძისთავების გადაადგილებას, ახლა უკრაინის ფრონტზე განაგრძობდა. ჩვენც თან მაშენკას ვუსმენდით და თან თვალყურს ვადევნებდით, როგორ მწკრივდებოდა ქაღალდის წითელი დროშები ახლა ქალაქ კიევის ირგვლივ და როგორ იხევდნენ უკან ქაღალდისავე შავი დროშები, ქალაქს შავად როგორ ესალტებოდნენ. მაშენკა ისევ მღელვარედ კითხულობდა, ჩვენ ისევ მოუთმენარი ყურადღებით ვუსმენდით და მე ვგრძნობდი, თითქოს მესმოდა, გული ყოველ ჩვენგანს მკერდ ქვეშ სიხარულით როგორ უცემდა.

მაშენკას კითხვაში არ გამიგია პოლკოვნიკი სავგაჩოვი თავის ბუხართან ისევ როდის გაჩნდა. იჯდა, წაკითხულს უბრად ისმენდა, რუკას თვალყურს მოშორებიდან ადევნებდა და თან მღელვარებისაგან მელოტს ჩვეულებისამებრ მალიმალ იფხანდა. ლეიტენანტი მატახერია კაპიტან დობროხოტოვის ზურგს უკან იდგა, ფრონტის მდგომარეობას ითვალისწინებდა და თან ალტაცებისაგან ოხრავდა, ჯანსაღ ხელს თავისივე ახლად მორჩენილ ხელს მაგრა მჯიღავდა.

— ხედავთ, ამხანაგო ლეიტენანტო, ხედავთ? — გადულაპარაკა დობროხოტოვმა ზურგს უკან მდგომ ვაჟკაცს და თვალი კვიმატიანად ჩაუკრა. — ერთი რამ მადარდებს და არ ვიცი რა მეშველება, ამ კოჭლი ფეხით ფროილაინებთან ფოქსტროტი როგორ ვიცეკვო?

მაშენკამ კითხვა შესწყვიტა. პალატაში წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

— მერე? მერე?—იკითხა დობროხოტოვმა და ერთის შეხედვითვე ეტყობოდა, რომ გული სიხარულისაგან ჯერ კიდევ არ დაშოშმინებოდა.

— როგორ კითხვას მორჩით? — კი არ იკითხა, — დაიკვნესა.

— დიახ, მოვრჩი. — თქვა მაშენკამ და ქაღალდი ისევ ოთხად გაკეცა.—რა იყო?

— როგორ თუ რა იყო? — წამოიძახა დობროხოტოვმა და რუკაზე მისგანვე დაბნეულ ქინძისთავებს იმნაირად დახედა, თითქოს პირველად ხედავდა. მერე ჩვენკენ როგორღაც გაშეთებით შემოტრიალდა და სახეში ჩაძიებით ჩაგვაჩერდა. მერე ყრუდ, გულჩახვეულად იკითხა:

— კიევი? კიევის საქმე როგორღა არის, ამხანაგებო?

მატახერიამ კაპიტანს ხელი მხარზე მეგობრულად ჩამოადო.

— კარგად. — თქვა ალერსიანად.— ხომ ხედავ, რომ კარგად არის, ამხანაგო კაპიტანო?

მუდამ კეთილი დობროხოტოვი ამ სიტყვებზე ერთბაშად აინთო.

— წადი ერთი აქედან, დაა! შენ იმნაირად ლაპარაკობ, თითქოს კიევიდან მე კი არა, შენ იყო და ეს საქმე მხოლოდ შენ შეგეხებოდეს.

— არა, რატომ! — თქვა დამაშოშმინებელი კილოთი მატახერიამ. — მე იქიდან არა ვარ, მაგრამ, უნდა იცოდეთ, რომ გული მისთვის მეც თქვენზე ნაკლებ როდი შემტკივა. შემტკივა და მზად ვარ კიდეც მისთვის ჩემი

სისხლი დავღვარო და, თუ საჭირო იქნება, სიცოცხლეც გავწირო.

დობროხოტოვი ისე იყო გაცეცხლებული, რომ ყურს იმას კი არ უგდებდა, რასაც ეუბნებოდნენ, გულს თავის ნაფიქრს უცემდა.

— გესმისთ? — წამოიძახა გაცეცხლებით. — გესმისთ თუ არა თქვენ, რომ მე კიევში ვარ დაბადებული. ენა იქ ავიდგი, იქ დავვაყკაცდი...

სიტყვა გაუწყდა. ოდნავ შეყოყმანდა. ჰაერი არ ეყო. პირი რიყეზე გამოგდებულ თევზივით დააღო, ისევ დააღო თითქოს ძალად ამთქნარებდა. მერე ხმას უცებ დაუწია და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— იქ... იქ... — არავინ ვიცოდით რას ნიშნავდა ეს სიტყვები.

— ეეხ, თქვენ ეს არ გესმისთ. — ამოიოხრა დობროხოტოვმა და მხარზე მეგობრულად მოხვეული მატახერიას ხელი უკმეხად ჩამოიშორა. მერე თავისი ლოგინისაკენ ყავარჯნებზე დაეყრდნო, ცალი ფეხის იატაკზე ლასლასით ნელა გაემართა, მოწყვეტით დაეშვა. საწოლის ზამბარებმა ჭრაჭუნი მოიღეს.

მატახერიამ მეგობარს ნაღვლიანად გახედა. სიტყვაძვირმა და ენის უქმად ქნევას უჩვევმა არ იცოდა ეგრე უსამართლოდ განრისხებულ ამხანაგისათვის რა პასუხი გაეცა. თვალი ყოველ ჩვენგანს ისეთი გაკვირვებით მოავლო, თითქოს კითხულობდა, რა ემართებაო?

— ამხანაგო დობროხოტოვ! ამხანაგო დობროხოტოვ! — თქვა მაშენკამ და კაპიტანს ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა. მის გვერდით საწოლზე ჩამოჯდა.

ხელი მხარზე ახლა იმან მოხვია.

— მერე რა, რომ ამხანაგი მატახერია იქაური არ არის. შენ გგონია, რახან კიევში დაიბადე, ის ქალაქი მარტო შენია? არა, ამხანაგო კაპიტანო! ცდები, ძვირფასო! ჩვენ ყველანი იქაურები ვართ, ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ძველები ვართ და ის შენი კიევიც ჩვენია, გული მისთვის ჩვენც გვტკივა.

დობროხოტოვმა თავი მაღლა აიღო. გოგონას ხელი წელზე იმანაც მეგობრულად შემოხვია, მერე ყველა სათითაოდ ჩაგვათვალიერა და სახე ერთბაშად გაუბრწყინდა.

— მაპატიეთ, ამხანაგო მატახერია.— თქვა დამნაშავის კილოთი.—მაპატიეთ, ამხანაგებო, რომ ცოტა გავცხარდი... მე მეგონა, რომ...—სიტყვა ველარ დაასრულა — ყელი ცრემლმა გადაუკეტა. ტირილი რომ არ ატყდომოდა იმისი თუ შეეშინდა? ყავარჯნებს ხელი დაავლო და დერეფანში საჩქაროდ გავიდა. თვალი ყველამ სიბრალულით გავაყოლეთ.

— ამხანაგი დობროხოტოვი მართალია. — თქვა მატახერიამ, როცა ის თვალს მიეფარა. — თქვენ გგონიათ, მე მიჯავრდებოდა? არა, ამხანაგებო, თავის ბედს უჯავრდებოდა. მაშ რა ჰქნას კაცმა, როცა ბოღმა გულს შემოაწვება? ჯავრი ვინმეზე თუ არ იყარა, დაიხრჩობა. ყველაზე უმცროსი მე ვარ და რა ექნა? ადგა და ჯავრი ჩემზე იყარა.

მაშენკა ისევ დობროხოტოვის საწოლზე იჯდა. ვეება ვაკკაცს აღტაცებით შესცქეროდა.

— ამხანაგო მატახერია! — თქვა მან ალერსიანად. — მოდი, აბა ჩემთან მოდი.

მატახერია ერთი პირობა შეყოყმანდა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ბოლოს გადასწყვიტა. მშვიდად, მოთვინიერებულ წარმტაც ნადირივით მისკენ საკვირველი მორჩილებით გაემართა.

— მოდი, მთის დათვო! მოდი, ნუ გეშინია. — მიეალერსა ვაკკაცს მაშენკა წამაქეზებლად.

მატახერია მასთან წყნარად მივიდა... თვითონაც არ მოელოდა, მის გვერდით როგორღაც თავისთავად დაჯდა. მაშენკას მის საქციელზე უნებლიედ გაეცინა. თავზე ხელი ისე, როგორც ბავშვს, ალერსით გადაუსვა. მერე გონს მოსვლა არ აცალა, წამოდგა. კარისკენ საჩქაროდ გაემართა გაკვირვებული ვაჟკაცი სხვის ლოგინზე მარტო დატოვა.

სახტად დარჩენილმა მატახერიამ გოგონას თვალი გააყოლა. ხელები გაოცებით გაშალა.

— რა გემართებათ? — წაიბურტყუნა მან მართლაც მთის დათვივით და მხრები უხეიროდ აიჩეჩა. — რა გემართებათ, ვერ გამიგია... თუ, ყველანი ერთად დაგიჟდით? ეეხ! — ხელი მოწყვეტით ჩაიქნია დობროხოტოვის ლოგინიდან საჩქაროდ წამოდგა. მე და სავგაჩოვმა ერთმანეთს გადავხედეთ. სიცილი წაგვსკდა.

(გაგრძელება აქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირონა ვაკელი

# მესხური ლაშქრული

დიდი ხანია ჩემს ქვეყანაში
მწუხარედ არ რეკენ ზარები,
არ გრიალებენ ზათქით ურდონი,
არ თარეშობენ არც ხაზარები...
დრომ დაივიწყა ძველი ჭრილობა
და ძველი მოთქმა ყრუ მრისხანების,
არ ნადგურდება მტრისგან ვენახი,
არ ითელება პურის ყანები.
მაგრამ თვალთ მიდგას მაინც ნანგრევნი
და ნამსხვრევები ძველი ზარების,
თითქოს ამდგარან შუბებით ხელში
ბექა და ბეშქენ-ოპიზარები...
ძველი მხედრები, ძველი სწავლულნი
და გვეძახიან რუსთველის ენით:
ტყვედყოფნა გვეყო, აღმართეთ ხმალი
და დაიხსენით საფლავი ჩვენი...
ძველი ივერის ძველი აკვანი
და დიდი კერა ქართულ აზრისა,
სად წმიდა ნინომ თავის ნაწნავით
შეკრა პატარა ჯვარი ვაზისა.
და ამ ჩვენების შემდგომ მე ვხედავ
თითქოს დაიძრენ ძველი ზარებიც,
ჯლარჯეთში ბრწყინავს ქართული დროშა
და შატბერდს ხატვენ ოპიზარები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიკარპე კაკაბაძე

# შეხვედრა მშენებლობაზე

★

## პიესა 4 მოქმედებად

### მოქმედნი პირნი

გ ო დ ე რ ძ ი — ინჟინერი, ქარხნის უფროსის მოადგილე, სამამულო ომის გმირი.
რ ა ფ ი ე ლ ი — ინჟინერი, საამქროს უფროსი, სამამულო ომის ლეიტენანტი.
ლ ა ე ჯ ა ნ ი — ინჟინერი, სამამულო ომის მონაწილე.
შ უ შ ა ნ ა — საამქროს ბრიგადის უფროსი, სამამულო ომის მონაწილე.
გ უ რ გ ე ნ ი — ქარხნის მშენებლობის უფროსი.
დ ა თ ა — შუშანას მამა, ძველი მუშა.
ა რ ტ ე მ ი — არქეოლოგი, სამამულო ომის მონაწილე.
თ ე ბ რ ო ნ ე — დარეჯანის დედა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
ა რ ს ე ნ ი — სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.
ს ლ ა ვ ა — მოსკოვიდან მოვლინებული მომუშავე.
მ ა რ დ ი ა ნ ე.
მ ე დ ე ი ა — ექიმი.
ხ ი ს ს ა ა მ ქ რ ო ს უ ფ რ ო ს ი.
ი ნ ჟ ი ნ ე რ ი.
ს ე რ ჟ ა ნ ტ ი.
მ დ ი ვ ა ნ ი.
გ ე ნ ე რ ა ლ ი.
პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი.
I-ლ ი მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე.
მ ე-2 მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე.
1-ლ ი ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი.
მ ე-2 ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი.
1-ლ ი ს ა ნ ი ტ ა რ ი.
მ ე-2 ს ა ნ ი ტ ა რ ი.
მ უ შ ე ბ ი.
წ ი თ ე ლ ა რ მ ი ე ლ ე ბ ი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქმედება პირველი

### სურათი პირველი

საომარი სანგრები ხშირ ბუჩქნართან ველზე. შორს მოსჩანს მდინარის ზოლი. გაზაფხულის ალიონია. ისმის ფრინველთა ხმამაღალი ჟრიამული. სცენაზეა პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი და გ ო დ ე რ ძ ი. არტილერიის შორეული ქუხილია.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: მაშ მოახერხეთ მდინარის გაღმა მტრის დაზვერვა? მახარებს თქვენი ნაამბობი.

გ ო დ ე რ ძ ი: დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო, ვნახე მათი ზღუდეები და როგორც ინჟინერმა მათი ნაგებობის მიხედვით მივხვდი, სად რა მახე აქვთ დაგებული.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: მე მაოცებს ამ დიდ ამოცანასთან დაჭრილიც რომ გამოგიყვანიათ. ეს მხოლოდ ალალბედობით ამიხსნია.

გ ო დ ე რ ძ ი: სწორედ ამ ქალის შეხვედრამ შემაძლებინა მტრის დაზვერვა.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: როგორ?

გ ო დ ე რ ძ ი: როდესაც ავაზაკებმა აქედან ქალი მოიტაცეს, იმ დროს მე მტრის ხაზზე ვიყავ გადაცოცებული. ის თითქმის ჩემი ცხვირის წინ ჩამოატარეს, მაგრამ ტყვესთან ჭიდილით იყვნენ გართულნი და მე ვერ შემამჩნიეს. თანაც ღამდებოდა. მათ ჩუმად გავსდიე და მალე შევატყე, რომ იმ ავაზაკებს არ უნდოდათ ტყვე თავის ადგილზე ჩაებარებინათ. აუარეს გვერდი თავიანთ გუშაგებს, რომელთა სამყოფელი თითონ იცოდნენ, ჩუმად გავიდნენ ფონზე და ქალი ტყისკენ გააქროლეს. მე ამით ვისარგებლე და მათ კვალდაკვალ მივყევ როგორც სანატრელ გზის გამკვლევებს. იქ კი უცბად თავს დავესხი და გავფანტე ისინი. მხოლოდ გაქცევის წინ ქალი დამიჭრეს ვერაგებმა.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: მერე როგორღა მოახერხე დაზვერვაც და დაჭრილის პატრონობაც.

გ ო დ ე რ ძ ი ის ჭრილობანი პირველად მსუბუქად შოგვეჩვენა და გათენებამდე ერთად დავხოხავდით. მხოლოდ განთიადის მოახლოებისას შეწუხდა ქალი, სჩანს გაუმიზეზდა წყლული და თავშესაფარ ჯურღმულში დავმალე. მე კი ზევით ვეწეოდი დაზვერვას. მხოლოდ დაღამებისას ის ამოვიყვანე გვირაბიდან და ერთი საათის წინ შოვაღწიეთ. ო, ამ ღამეს უფრო მეტი სიმწარე გადაგვხდა, ამხანაგო პოლკოვნიკო, მართლაც, ალალბედად გამოვედით.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: მადლიერიც უნდა იყოთ ბედისა, ამხანაგო, მე მგონია შენ დაზვერე მტრის უკანასკნელი შეურყეველი ზღუდე.

გ ო დ ე რ ძ ი: მეც ძალიან კმაყოფილი ვარ.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: რა მშვენივრად თენდება, ხედავ!

გ ო დ ე რ ძ ი: გაზაფხულის დილაა. მე ვფიქრობ ჩვენი ქვეყნისთვის ბედნიერი გაზაფხულია — მალე მოეღება ბოლო კაცობრიობის ნათელ მომავალის მტერს.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: მაშ მოხვალ შტაბში და დაწვრილებით ჩაგვაბარებ ანგარიშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო დ ე რ ძ ი: ახლავე.... მხოლოდ ამ სანიტრებს მინდა გამოვემშვიდობო.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: რომელთაც დაჭრილი ჩააბარე? კარგი.

(შემოდიან სანიტარები, შემოჰყავთ საკაცურზე ზეწარგადაფარებული დაჭრილი. გოდერძი მათ უახლოვდება. პოლკოვნიკი მიდის).

ა რ ტ ე მ ი: (სანიტარი) დაასვენეთ ავადმყოფი.

1-ლ ი ს ა ნ. ქ ა ლ ი: მას მიეძინა.

ა რ ტ ე მ ი: (გოდერძის) ო, კარგია, რომ მობრუნდით, თქვენი გვარი ვერ მოვიგონე.

გ ო დ ე რ ძ ი: მე კი სწორედ ამისათვის მოვბრუნდი, რომ თუ თქვენ არა თუ გვარი, ჩემი სახელიც დაივიწყოთ.

ა რ ტ ე მ ი: როგორ, რაზედ ლაპარაკობთ?

გ ო დ ე რ ძ ი: რად მკითხავთ გვარს, ჯერ ეს გამაგებინეთ.

ა რ ტ ე მ ი: ავადმყოფისათვის მინდა. ის სულ თქვენა გკითხულობთ, ახლა ძლივს ჩიეძინა.

გ ო დ ე რ ძ ი: რაც იცით ჩემს შესახებ, უთხარით?

ა რ ტ ე მ ი: არა, ჯერ არაფერი არ მითქვამს.

1-ლ ი. ს ა ნ. ქ ა ლ ი: ძალიან ენატრებით. ვეუბნებით: ჩვენ ხომ შენი ახლო მეგობრები და ამხანაგები ვართ, რაღა იმ უცნობს ნატრულობთქო. ის კი მაინც თქვენ გეძებთ. საკვირველი კიდევ ის არის, ორი დღე და ღამე გიტარებიათ ხელზე აყვანილი და სახით კი თურმე არ უნახვიხართ.

ა რ ტ ე მ ი: ო, სულ ეს აქვს ენაზე: სახით არ მინახავსო.

გ ო დ ე რ ძ ი: სწორია, მხოლოდ სიბნელის საფარქვეშ მომყავდა მტრის გარემოცვიდან. დღისით კი გვირაბში ვიმალებოდით.

ა რ ტ ე მ ი: ო, რამდენი ჭრილობა აქვს, მაგრამ საშიში არცერთი არ უნდა იყოს.

გ ო დ ე რ ძ ი: მთავარია ბოვლა.

ა რ ტ ე მ ი: დიახ, პირდაპირ ჰოსპიტალში იგზავნება. მაშ, ამხანაგებო, ნუ აყოვნებთ, გასწიეთ.

1-ლ ი ს ა ნ. ქ ა ლ ი: დიახ, სწორია. ფრთხილად ავწიოთ. გზას გავუდგეთ, ამხანაგებო.

მ ე-2 ს ა ნ. ქ ა ლ ი: ჰო, წავიღოთ ჩვენი შუშანა, ჩვენი საყვარელი მერცხალი.

(სანიტრებს მიჰყავთ დაჭრილი).

ა რ ტ ე მ ი: სჩანს მართლაც ვაჟკაცურად გადაგირჩენიათ ეს ქალი. და მადლიერიც არის. თუმცა, ისე შევატყვე, ბაგ ქალს მარტო მადლობის გრძნობა არ აღელვებს, თუ შეიძლება მეგობრულად მითხარით, უფრო ნაზი გრძნობებით ხომ არ მოგისწრია მასთან დაკავშირება. მახსოვს მანამდე მთხოვდი, რომ შენთვის ეს ქალი გაშეცნო.

გ ო დ ე რ ძ ი: დიახ, სწორედ მიმხვდარხარ.

ა რ ტ ე მ ი: როგორ, დაჭრილთან? ეს ხომ გარყვნილებაა?

გ ო დ ე რ ძ ი: არა, დაჭრილიც რომ არ ყოფილიყო, მე მგონია სიძვას გულში მე მაგასთან არ გავივლებდი. ჩვენ შორის ბხოლოდ ნაზი გრძნობები დაისახა. მე მას გასამხნევებლად ვუყვავებდი და ბოლოს თითონ არ ვიცი, როგორ მოხდა, ორი სიტყვით შევფიცე სიყვარული.

ა რ ტ ე მ ი: გასამხნევებლადო, ამბობ, ბაგრამ შეიძლება გულწრფელიც იყავი. სწორედ მოგახსენოთ, კარგი ქალიშვილია, თუ შერჩა სიცოცხლე ბაგ საცოდავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო დ ე რ ძ ი: ახლა ამისათვის მოვბრუნდი, ერთ რამეს გთხოვთ, ჩემს ვინაობას ნუ გაუმხელთ მაგ ქალიშვილს.

ა რ ტ ე მ ი: რათა?

გ ო დ ე რ ძ ი: ეს ჩემი სიტყვა მასთან დავიწყებას მიეცეს.

ა რ ტ ე მ ი: რათა, აჰა, გამოდის რომ შენ აჩქარებულხარ, დაპირებები გაგიცია და ახლა სიტყვა უკან მიგაქვს, რადგან უკვე ისე არ გხიბლავს.

გ ო დ ე რ ძ ი: პირიქით, თანდათან უფრო მომწონს და ვგრძნობ მიყვარდება, მაგრამ მე პირობით სხვასთან ვარ დაბმული.

ა რ ტ ე მ ი: აი, ეს ვაჟკაცობა მესმის. ყველა ვერ დაიტრაბახებს, მასე მტკიცე ზნეობას. ტყუილია.

გ ო დ ე რ ძ ი: თოფის ცეცხლთან შენც გინახავს თუ როგორ თამამად ვხუმრობ, მაგრამ ციურ ცეცხლთან თამაში არ შემიძლია, ვერ ვბედავ. გესმის, ძველო.

ა რ ტ ე მ ი: იცოცხლე, მე მაგისთანა საქმეებში გამობრძმედილი ვიყავი, მაგრამ ახლა რა, ამ ოხერ მტერთან ბრძოლაში ჩემი თავის ლანდიც არა ვარ.

გ ო დ ე რ ძ ი: გასაგებია!

ა რ ტ ე მ ი: მეორე, ესეც სათქმელია, ღამის ბინდში, როდესაც მაგ ქალი შოიყვანე, კიდევ რაღაცას გავდი, ამ ალიონის სინათლეზე კი-ვერ მოსჩანხარ არშიყად, წვერი გაბუძგული გაქვს და სახე სულ დაკაწრული, ზოგგან დაწყლულებული და დასიებულიც. ეს რა მოგსვლია?

გ ო დ ე რ ძ ი: ნეტა იცოდე, რა ჩიგვნარში მომყავდა მაგ დაჭრილი, რა გაჭირვებით გამოვიყვანე ოღონდ მაგ ქალი დამეცვა და ჩემს ტყავს ეკალს არ ვარიდებდი.

ა რ ტ ე მ ი: ეს ხომ მაშაკაცის ხვედრია. მშვენიერება მაშინ გვაძლევს უფლებას ვუცქიროთ, თუ მის საფრად დავდგებით.

გ ო დ ე რ ძ ი: მაშ, ხომ მტკიცედ მაძლევ სიტყვას?

ა რ ტ ე მ ი: რასაკვირველია, ვეტყვი არ ვიცნობ-თქო და მორჩა, მე შენ გეტყვი, სახით მოგნახავს, სიზმარზე უფრო დაავიწყდები... მხოლოდ, კიდევ გკითხავ, მასთან რამე დანაშაული ხომ არა გაქვს ჩადენილი?

გ ო დ ე რ ძ ი: არაფერი, გარდა იმისა, რომ შემიყვარდა და ჩემს გრძნობას გულში ვკირავ.

ა რ ტ ე მ ი: ო, მასეთ დანაშაულისათვის თითონაც საკმაო სასჯელს იხდის ადამიანი.

გ ო დ ე რ ძ ი: მაშ, ასე.

ა რ ტ ე მ ი: ეს ჩიტებიც რა ამბავშია, გესმის? თოფ-ზარბაზნის ხმა არ აფრთხობს ამ ოხრებს. რატომ? იმიტომ, რომ გაზაფხულის ძალა უძლეველია. გესმის?

გ ო დ ე რ ძ ი: კიდევ რით არის ეს გაზაფხული დიადი?

ა რ ტ ე მ ი: მით რომ კაცობრიობის გაზაფხულის მტერი მარცხდება.

გ ო დ ე რ ძ ი: შენ ჭკუის კოლოფი ხარ, მაგრამ ახლა ნამუსის კოლოფადაც უნდა გადაიქცე.

ა რ ტ ე მ ი: მერწმუნე არ გაგამხელ.

გ ო დ ე რ ძ ი: მაშ გამარჯვებით.

ა რ ტ ე მ ი: გაგარჯვებით.

(მიდიან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქმედება პირველი

### სურათი მეორე

თავადური სასახლის ერთერთი ოთახი. კედლები დაზიანებულია ყუმბარებით. კუთხეში დგას სათნოების გამომხატველი გადამტვრეული მარმარილოს ქანდაკება. კედელზე — ნახევრად დამწვარი სურათი ძვირფას ჩარჩოში. საწერ მაგიდაზე ყრია სამხედრო იარაღი და მოწყობილობა. სცენაზეა ლეიტენანტი რაფიელი და ხელშეხვეული სერჟანტი მარდიანე.

რაფიელი: დიახ, ჩემო მარდიანე, ძალიან ვიზრუნე ერთმანეთს შეხვედროდით.

მარდიანე: საველე ჰოსპიტლიდან საშვებიც გამოგითხოვია ჩემთვის. დღეს საექიმო შემოწმება მაქვს დანიშნული და ბაინც ერთი საათით გამომიშვეს. სიმართლე გითხრა გამიკვირდა, ასე რისთვის დაგჭირდი,

რაფიელი: გუშინ გავიგე, რომ შენ მდინარეზე შეტევის დროს დაჭრილხარ, ეს გენერალს ვაუწყე და მანამდე ბინდა მტრის ზღუდეების შესახებ რამე გკითხოთ.

მარდიანე: მე მგონია აქ ვერ გამოგადგებით. ჩვენი ცდა სრული მარცხით დამთავრდა. მე კი გამოლმა დავიჭერ, ბდინარემდე არც მიმიწევია.

რაფიელი: ო, ეს სამწუხარო ამბავია.

მარდიანე: მგონი ჩვენს შემდეგაც იყო უნაყოფო ცდა. ნუთუ ასე გაძნელებულია დაზვერვა?

რაფიელი: მტერი აქ ძალიან ფხიზლადაა. მხოლოდ ამ ბოლოს ერთი აბბავი მოხდა, მარდიანე, მტრის მხრიდან ავაზაკებმა ერთ საღამოს ქალი მოგვტაცეს, თავისიანებისგანვე დაფარულად გადასვეს მდინარეზე და ტყისკენ გააქროლეს საზიზღარი საქმისათვის. იმ დროს ერთი ჩვენი საერთო მეგობარი დასაზვერავად იყო გადახოხებული მტრის ხაზზე. იგი გაჰყვა კვალდაკვალ ავაზაკებს და ამოჰყო თავი მტრის ზურგში. იქ დაჭრილი ქალი დროზე დაიხსნა მოძალადეებისგან, მტრის ზღუდეები დაზვერა და მეორე ღამეს საშინელი გაჭირვებით გამოვიდა უკან, თან დაჭრილი ქალიც გამოიყვანა.

მარდიანე: ეს რომელმა საერთო მეგობარმა ჩაიდინა.

რაფიელი: ის კაცი მე აქ გავიცანი. მან ერთ ბრძოლაში სიკვდილს გადაეარჩინა და იმ დღიდან დავმეგობრდით. შემდეგ შეემთხვა ეს, რაც ახლა მოგიყევი. მან ეს ამბავი ვრცლად მომიყვა და გამომიტყდა, რომ ის დაჭრილი ქალი შეუყვარდა, მაგრამ არ ეცნობა, რადგან ერთი ახალგაზრდა ქვრივისთვის აქვს პირობა მიცემული.

მარდიანე: რომელი ქვრივისთვის? ვინ არის ის კაცი, არ მეტყვი?

რაფიელი: მოგახსენებ, მარდიანე, მხოლოდ... ჯერ დარეჯანის ამბავს გკითხავ.

მარდიანე: შენი მეუღლისას?

რაფიელი: დიახ.

მარდიანე: აკი გითხარი, რაც ის ფრონტზე წავიდა, თითქმის ორი წელი არაფერი ვიცოდით მის შესახებ და ახლა წარმოიდგინე, რა სიხარული

ვიგრძენ, როდესაც ლოგინად მყოფმა, გაზეთში აღმოვაჩინე, რომ ეს უგზო-უკვლოდ დაკარგული ქალი სასახელოდ გამოსულა [illegible] მოცვიდან. ორდენით დაუჯილდოვებიათ.

რ ა ფ ი ე ლ ი: მაშ მეტს არაფერს მეუბნები?

მ ა რ დ ი ა ნ ე: რას მკითხავ, ვერ გავიგე.

რ ა ფ ი ე ლ ი: ეჰ!

მ ა რ დ ი ა ნ ე: რად ჩაქინდრე თავი?

რ ა ფ ი ე ლ ი: კარგა ხანია მშვიდად არა ვარ.

მ ა რ დ ი ა ნ ე: აქ, ფრონტზე მშვიდად ვინღა არის. აი, ამ ძვირფას ქანდაკებას შეხედე. რა მშვენიერი ქმნილებაა და როგორ დაზიანებულა. დღეს ცოცხალ ადამიანსაც ეს სჭირს.

რ ა ფ ი ე ლ ი: ეს დაზიანებულია და მაინც სათნოებას გამოსახავს. ზოგი ცოცხალი არსება კი სასტიკ ბედს სულ გამოუცვლია და ოდესმე კეთილად ცნობილი, ახლა ბოროტად გადაქცეულა...

მ ა რ დ ი ა ნ ე: თუ დარეჯანზე ლაპარაკობ, არ გამოცვლილა.

რ ა ფ ი ე ლ ი: არა?

მ ა რ დ ი ა ნ ე: დიახ, რაზედნად ვიცი.

რ ა ფ ი ე ლ ი: როგორ მოიქცა ის, როდესაც შეცდომით ჩემი სიკვდილი შეატყობინეს?

მ ა რ დ ი ა ნ ე: სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და თავს აბრალებდა შენს გაუბედურებას.

რ ა ფ ი ე ლ ი: რათა?

მ ა რ დ ი ა ნ ე: ის ამბობდა თითქოს არმიაში წასვლის წინ დაქორწინება მოგთხოვა, ამ სურვილის გასატანად საბუთი გაგიყალბა და ერთი დღით ჩამოგაშორა შენს საზხედრო ნაწილს, რის გამო ცუდ პირობებში მოგიხდა ფრონტზე წასვლა და დაიღუპე.

რ ა ფ ი ე ლ ი: ის უსიამოვნება შემახვედრა... მაგრამ მეგონა, რომ სამაგიეროდ შევიძინე მოსიყვარულე მეუღლე, ჩემს გულწრფელ დაზტირებლად მაინც მიმაჩნდა...

მ ა რ დ ი ა ნ ე: მან კიდეც გითანაგრძნო.

რ ა ფ ი ე ლ ი: შეიძლება პირველად, მაგრამ ბოლოს?

მ ა რ დ ი ა ნ ე: ბოლოს, წითელ არმიაში წავიდა. მტერზე შურისსაძიებლად უფრო კი, შეიძლება, თავის დანაშაულის გამოსასყიდად და მას შემდეგ, როგორც გითხარი, არაფერი ვიცოდით, სანამ გაზეთით არ გავიგეთ მისი დაჯილდოება.

რ ა ფ ი ე ლ ი: არ უღალატნია ჩემთვის?

მ ა რ დ ი ა ნ ე: არა, რას ამბობ!

რ ა ფ ი ე ლ ი: თუ ის ჩემი ხსოვნის პატივსაცემად შევიდა ჯარში, ვე ხომ მას ჯარში შესულს იქ ჩამოუსწარი და შევატყობინე ჩემი მშვიდობით გადარჩენა, რად დამემალა და მაშინვე ფრონტზე წავიდა?

მ ა რ დ ი ა ნ ე: გამგზავრებული იყო და არ უნდოდა შენთან შეხვედრით ზედმეტი ღელვარება განეცადა ისე კი ამბობდა, რომ მისი ნატვრაა, თუ ომს გადავურჩით, შევხვდეთ ერთმანეთს და ვიყოთ ბედნიერნი.

რ ა ფ ი ე ლ ი: ამგვარად შენ მას მიხატავ პატიოსან მეუღლედ.

მ ა რ დ ი ა ნ ე: დიახ. მე ასე ვიცნობ.

რ ა ფ ი ე ლ ი: მაშ, ახლა ჩემს ამბავს მოგახსენებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა რ დ ი ა ნ ე: ბრძანეთ.

რ ა ფ ი ე ლ ი: მე ახლა გიამბობდით როგორ დაიხსნა ის ქალი ავაზაკებისგან ერთმა ჩემმა მეგობარმა და გითხარი, რომ ის დაჭრილი ქალი შეუყვარდა, მაგრამ არ ეცნობა, რადგან ერთი ახალგაზრდა ქვრივისათვის აქვს პირობა მიცემული... მერე, თანდათან მისი ლაპარაკიდან გამოვარკვიე, რომ ის ახალგაზრდა ქვრივი ჩემი ცოლი ყოფილა.

მ ა რ დ ი ა ნ ე: შენი ცოლი?

რ ა ფ ი ე ლ ი: დიახ, დარეჯანი... მე გავვოცდი. ვერაფერი ვერ გავუმჟღავნე, მაგრამ რაღაც კითხვები შივაყარე და გავიგე, რომ შენ ყოფილხარ მათ შორის შუამავალი... და, ბოლოს, ენაჩავარდნილი დავშორდი.

მ ა რ დ ი ა ნ ე: ო, მას გოდერძი ხომ არ ჰქვია?

რ ა ფ ი ე ლ ი: დიახ. მაშ მართალია?

მ ა რ დ ი ა ნ ე: რას ამბობ, გოდერძი აქაა? კარგადაა? რა საკვირველად შეხვედრიხარ, რაფიელ! იცი, ის რა შესანიშნავი კაცია, დინჯი, და, ამავე დროს, ბავშვივით გულუბრყვილი. თუმცა ვაჟკაცობა არ ემჩნეოდა, მისგან არავითარი გმირობა არ გამიკვირდება. ნეტავი დრო შეჭონდეს შევეყარო.

რ ა ფ ი ე ლ ი: ჯერ იმ მთავარზე მიპასუხე: ის მართალია?

მ ა რ დ ი ა ნ ე: არა, ის ხომ სისულელეა, არავითარი პირობა არა აქვს დარეჯანთან.

რ ა ფ ი ე ლ ი: როგორ მაბრიყვებ, მარდიანე!

მ ა რ დ ი ა ნ ე: მოგახსენებ, ბატონო, ეს სულ ჩემი გამოგონილი ამბავია. მე მას ისე გადავეცი დარეჯანისგან სიტყვა, რომ დარეჯანმა არ იცის.

რ ა ფ ი ე ლ ი: რად დაგჭირდა?

მ ა რ დ ი ა ნ ე: შენი დაღუპვის ამბავმა ისე ძალიან იმოქმედა დარეჯანზე, რომ გადაწყვიტა თავი შეეწირა შენი ხსოვნისათვის. გოდერძი მას ღრმად თანაუგრძნობდა, როგორც მეგობარი, მე კი ნათესავური გრძნობა მავალებდა მასზე მეზრუნა და დამეკისრებინა მისთვის შენი, თავი, მით უმეტეს, რომ თქვენ არც გიცხოვრიათ ერთად როგორც ცოლ-ქმარს. მე, გოდერძი და დარეჯანი ერთმანეთის შესაფერისად ვცანი. ამაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო გოდერძის დედამაც. მას მოსწონდა დარეჯანი და ეს სურვილი გოდერძის გავუმხილე ის დათანხმდა უფრო ხათრით, ვიდრე სიყვარულით, მაგრამ დარეჯანი ამ დროს ისე შევიდა წითელ არმიაში, რომ ამის თქმა მასთან ვერ მოვახერხე. გულში კი მაინც ვფიქრობდი, რომ მათი შეერთება საბოლოოდ მოხერხდებოდა და ამიტომ განვუცხადე გოდერძის, თითქოს დარეჯანმა მიიღო მისი წინადადება, მაგრამ ჯარში გაწვეული აღმოჩნდა. იმ დღეებში გოდერძიც ჯარში გაიწვიეს და მას შემდეგ არ შემხვედრია. ეს არის ყველაფერი.

(შემოდის სერჟანტი).

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი: ამხანაგო ლეიტენანტო!

მ ა რ დ ი ა ნ ე: (უცბად) ო, მე კიდეც მიგვიანდება.

(აპირობს წასვლას)

რ ა ფ ი ე ლ ი: დაიცადე!

მ ა რ დ ი ა ნ ე: შეგიძლია მე გამიცხო, დარეჯანი კი არაფერ შუაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ა ფ ი ე ლ ი: ერთი წუთით—აქ გოდერძი უნდა მოვიდეს.

მ ა რ დ ი ა ნ ე: მოვესწრები მის ნახვას. ახლა კი შტაბში დასაკითხად არ გჭირდებით და უმიზეზოდ ვერ დავიგვიანებ-შვიდობით!...

(მიდის).

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი: რაზმი შევსებულია, ამხანაგო ლეიტენანტო!

რ ა ფ ი ე ლ ი: ძალიან კარგი. ალბათ დღეს გავალთ წინა ხაზზე.

(კარებზე ისმის კაკუნი).

გადაეცი ეს ტელეფონოგრამა პოლკოვნიკს.

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი: არის!

რ ა ფ ი ე ლ ი: კარებზე ვინც არის, შემოვიდეს.

(სერჟანტი მიდის. შემოდის გოდერძი).

რ ა ფ ი ე ლ ი: ო, გოდერძი. ნეტავ, ადრე მოსულიყავი. სხვა?!...

გ ო დ ე რ ძ ი: დღეს ის ქალი დაკითხეს შტაბში.

რ ა ფ ი ე ლ ი: როგელი? გარემოცვიდან რომ გამოიყვანე?

გ ო დ ე რ ძ ი: ჰა.

რ ა ფ ი ე ლ ი: მერე, გამოეცნაურე?

გ ო დ ე რ ძ ი: არა.

რ ა ფ ი ე ლ ი: მაშ?

გ ო დ ე რ ძ ი: შორით ვუსმენდი. ის ისე ცოცხლად გვიყვებოდა მთელ ამბავს, რომ მსმენელნი შეძრწუნდნენ. მისი ნაამბობი ეშთხვეოდა ჩემსას, მაგრამ რადგან ჩემი მოხსენებების შესახებ მას არაფერი გაუმხილეს, ის დაეჭვდა, ხომ არ დავიღუპე, ბრძოლაში ამ ეჭვით გაფითრებული წავიდა — საარაკო არსებაა.

რ ა ფ ი ე ლ ი: რად ეშალები?

გ ო დ ე რ ძ ი: ეჰ, მიზეზი ბევრია, ჩემო ძმაო!

რ ა ფ ი ე ლ ი: ის ხომ არ გაფიქრებს, რომ ქვრივისთვისა გაქვს სიტყვა მიცემული.

გ ო დ ე რ ძ ი: ესეც, რასაკვირველია.

რ ა ფ ი ე ლ ი: მაშ, მე გავიგე, რომ იმ ქვრივთან პირობა არ გქონია და უსაფუძვლოდ იტანჯები.

გ ო დ ე რ ძ ი: უსაფუძვლოდ რათა, შენ ტყუილად გგონია, თითქოს ასეთი კავშირი მარტო სიყვარულით იდება. ჩემს პირობას დარეჯანთან საფუძვლად აქვს პატივისცემა. გრძნობით ძალიან აგზნებული თავიდანაც არ ვყოფილვარ.

რ ა ფ ი ე ლ ი: მაშ, მას უყვარდი?

გ ო დ ე რ ძ ი: რა მოგახსენო. ეს კი ვიცი, რომ მისი გული გარდაცვლილ ქმარს ეკუთვნოდა.

რ ა ფ ი ე ლ ი: მაშინ-რა გავალებს ერთგულებას.

გ ო დ ე რ ძ ი: შენ რაღად მიადვილებ ღალატს.

რ ა ფ ი ე ლ ი: აქ საღალატო არც გაქვს. შენი წინადადება ბარდიანეს დარეჯანისთვის არც გადაუცია.

გ ო დ ე რ ძ ი: როგორ არა, თითონ დედაჩემიც ჩაერია.

რ ა ფ ი ე ლ ი: მან ყალბი თანხმობა მოგიტანა დარეჯანისგან.

გ ო დ ე რ ძ ი: ეს აზრი საიდან მოგდის?

რ ა ფ ი ე ლ ი: ახლა აქ იყო მარდიანე და ყველაფერში გამომიტყდა.

გ ო დ ე რ ძ ი: მარდიანე აქ იყო? საიდან?

რ ა ფ ი ე ლ ი: მე დავიბარე. მინდოდა მისთვისაც დაეკითხათ მდინარეს ადამა ზღუდეების ამბავი, რადგან შეტევაში მონაწილეობდა, მაგრამ ვერ ვიფიქრეთ, რომ მდინარემდე ვერ მიეღწევია, ისე დაჭრილა, და აზრი არ ჰქონდა მის დარჩენას. მერე თქვენი ამბავი ვკითხე. აი სათუთუნეც დარჩენია. სულ რამდენიმე წუთით გაგასწრო. საექიმო შემოწმებაზე ეჩქარებოდა და დაიბარა, რომ ამ დღეებში გინახულებს.

გ ო დ ე რ ძ ი: მაშ მან გითხრა რომ დარეჯანისაგან ყალბი პირობა მომიტანა?

რ ა ფ ი ე ლ ი: დიახ, ასე გამოტყდა.

გ ო დ ე რ ძ ი: ეს რად დასჭირდა?

რ ა ფ ი ე ლ ი: მომავალში თქვენს შეერთებაზე ზრუნავდა, როგორც ნათესავი და მეგობარი და ამ ხერხით შენ წინდაწინ დაგაბა.

გ ო დ ე რ ძ ი: მაშ მე შემიძლიან დარეჯანთან მხოლოდ დაძმური დამოკიდებულება მქონდეს, როგორც გული მოითხოვს. ეს, იცი, რა სიხარულია?

რ ა ფ ი ე ლ ი: აბით ჩემო გოდერძი მეც მომეხსნა გულიდან აუტანელი სიმძიმე და შენ უკეთილეს ვინმედ აღმიჩნდი.

გ ო დ ე რ ძ ი: მე აღგიჩნდი უკეთილესად, რისთვის?

რ ა ფ ი ე ლ ი: ჯერ აქ ფრონტზე სიცოცხლით ვარ შენგან დავალებული.

გ ო დ ე რ ძ ი: ფრონტზე ხომ ყველა ვართ ერთი მეორისაგან სიცოცხლით დავალებული.

რ ა ფ ი ე ლ ი: მერე, მაკვირვებს შენი წმინდა დამოკიდებულებაც ჩემს დარეჯანთან.

გ ო დ ე რ ძ ი: დარეჯანს შენად რატომ სთვლი? საიდან იცნობ?

რ ა ფ ი ე ლ ი: გაგიკვირდება, რასაც გეტყვი.

გ ო დ ე რ ძ ი: ჰო...

რ ა ფ ი ე ლ ი: მე მისი მეუღლე ვარ.

გ ო დ ე რ ძ ი: როგორ?

რ ა ფ ი ე ლ ი: მე ვარ რაფიელი, დარეჯანის ქმარი.

გ ო დ ე რ ძ ი: ამიხსენი, რას ლაპარაკობ.

რ ა ფ ი ე ლ ი: დაჭრილი ვიყავ და ამხანაგებს შეცდომით შემოეთვალათ ჩემი სიკვდილის ამბავი.

(დუმილია).

გ ო დ ე რ ძ ი: მაშ, ის კაცი ხარ... ის რაფიელი.

რ ა ფ ი ე ლ ი: დიახ.

(დუმილი)

გ ო დ ე რ ძ ი: ეს იცის ვინმემ?

რ ა ფ ი ე ლ ი: დარეჯანს სანამ ფრონტზე გაემგზავრებოდა, ჩავუსწარი და ვაცნობე წერილიც მომწერა.

გ ო დ ე რ ძ ი: გინახულა?

რ ა ფ ი ე ლ ი: არა. მომწერა, რომ დაუდევრობით დიდად დამიშავა. ვიცი მისი ხასიათი, თავისთავს ძნელად აპატიებს შეცდომას.

გ ო დ ე რ ძ ი: მე ჯერ გადაგიშალე გული და ახლა კი ვსჯი, რაშდენად უხერხული იყო ჩემი აღსარება.

რ ა ფ ი ე ლ ი: მე სიკეთე დავინახე შენი,—სხვა არაფერი. ვიცი, რომ კაცის გულში ასე ნამალავად ჩახედვა უწესობაა, მაგრამ ეს უნებურად მოგივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო დ ე რ ძ ი: მეც ჩემი ბხრივ, მადლიერი ვარ ამ შემთხვევის. შენ ბრა თუ გამანთავისუფლე მძიმე მოვალეობისაგან, სასაცილოდ ვაქცევ ჩემი ქენჯნა.

რ ა ფ ი ე ლ ი მერე, ახლა, სრული იმედი ჩაგესახა, გაბედნიერდები იმ ქალთან?

გ ო დ ე რ ძ ი: რად მკითხავ... ჰო... ესეც მართალია. ამ გარემოებაში ისევ განწირულია ჩემი სიყვარული.

რ ა ფ ი ე ლ ი მეც ხომ ასეთ ბედში ვარ. აქ ისე ყრუდ მაქვს გულში ჩამარხული დარეჯანის ხსოვნა, რომ ფიქრითაც იშვიათად ვეხები.

გ ო დ ე რ ძ ი: მესმის. ჩვენთვის ადვილია ერთმანეთის გაგება.

რ ა ფ ი ე ლ ი: მე ვფიქრობ, რაც ჩვენთვის ძვირფასი საუნჯეა და ფრონტზე კი არ გვეხმარება, ჩავკიროთ გულში, თორემ უდროოდ თუ გამოვამჟღავნებთ ჩვენს, უსუსურობად იქცევა. ვიყოთ სულგრძელნი: ვიქონიოთ იმედი, რომ სამშობლო გაიმარჯვებს და ჩვენ შევესწრებით იმ დღეს... მანამდე კი ვიბრძოლოთ პატიოსნად.

გ ო დ ე რ ძ ი: ჩემს სიყვარულს მისთვის ვთვლი ამაღლებულად, რაფიელ, რომ ჩემს მაღალ მოვალეობას სამშობლოს წინაშე არ ცილდება და ვფიქრობ გმირობასაც მინერგავს, მე არ მინდა მას მივეკარო შესაფერ დრომდე... მხოლოდ ერთ რამეს ვაპირებ, რადგან დღეს ისე სასოწარკვეთით დამეძებდა, მივწერ რომ ცოცხალი ვარ და მიყვარს, ამით შევზღუდავ მასთან ურთიერთობას უკეთეს მომავლამდე.

რ ა ფ ი ე ლ ი: ო, ეა მოგწონს, მახარებს. კეთილშობილ კაცის გულში ქალის სიყვარულიც კეთილშობილ იერს იღებს და შეგუებით თავის ცეცხლს უნაწილებს მის საუკეთესო ზრახვებს, მისწრაფებებს. ამიტომ ახლა შენი მჯერა ჩემს თავზე მეტად.

(მოისმის აფეთქება).

რ ა ფ ი ე ლ: (იხედება ფანჯარაში) მტრის თვითმფრინავმა სადგურს დაარტყა.

(შემოდის სერჟანტი).

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი: შტაბიდან ტელეფონით გიხმობენ, ამხანაგო ლეიტენანტო, და გოდერძიც იკითხეს.

რ ა ფ ი ე ლ ი მე მგონია ჩვენ ამაღამ შეტევაზე გადავალთ.

გ ო დ ე რ ძ ი: ვფიქრობ, რომ მდინარეზე გადასვლა პირველად მე მერგება, რადგან მტრის ზღუდეებს ვიცნობ.

რ ა ფ ი ე ლ ი: ამ პატივის სიძნელესაც ვიცნობთ.

გ ო დ ე რ ძ ი: ყველაფრისათვის მზად ვართ, წავიდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი მოქმედება

### სურათი მესამე

მდინარის დასავლეთ ნაპირზე ბეტონირებული სანგრებია. ზოგგან დაზიანებული, დამსხვრეული ტანკები, ზარბაზნები და სხვა იარაღები. შორს ისმის ბრძოლის ხმაურობა. სცენაზეა გოდერძი და არტემი.

არტემი: აი, მოთმინება რომ გამოიჩინე ასე უცბად, იმიტომ გაგიწბინდე და შეგიხვიე გვერდის ჭრილობა. სისხლის დენა შეგიწყდა. ახლა ხელსაც შეგიხვევ.

გოდერძი: არა, ეს უმნიშვნელოდაა გაკაწრული.

არტემი: შეგიხვევ. დამანებე. ჰო, ასე (ხელს უხვევს) ასე... ახლა თუ გინდა ვილაპარაკოთ. ალბათ ძალიან გიამა გოდერძი ჩემი ნახვა. ამის საბუთია ეს წერილი, შუშანას გადასაცემად რომ ჩამაბარე.

გოდერძი: ეს ერთი კვირის წინათ დავწერე და ვერ მოგაკვლიეთ. ჩვენ აქ მარტო ერთი საქმე გვაქვს — მტერს ვებრძოლოთ.

არტემი: მერე რა საშინელი მტერი გვყავს მაგალითად, სადაცაა შუშანა აქ გაჩნდება, მე კი მაინც არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ წერილის გადაცემას მოვესწრები, ან თუ გადავეცი, იქნებ მას წაკითხვა არ დასცალდეს... ასეთ ტაფაში, რასაკვირველია, მხოლოდ მსუნაგები ეძებენ სიტკბოს, თქვენ კი, ვისაც გულით კავშირი გინდათ, შესაფერ დროს უნდა ელოდეთ, მანამდე კი მტერთან ბრძოლის მეტი აღარ დაგრჩენიათ.

გოდერძი: ასეა!

არტემი: თან, ესეც მიკვირს რა სიკეთე შესძლებია კაცს, რომ სიკვდილის კალთიდანაც უგზავნიან სალამს და სიყვარულის სასოებას ერთმანეთს.

გოდერძი: შენ სთქვი, სადაცაა აქ გაჩნდება შუშანა?

არტემი: ძალები გვემატება. აი, შეხედე რა შენაერთები გადმოდიან. არა, გოდერძი, თუმცა ერთი გულით დაგეთანხმე, რომ ჯერ არ გაცნობოდი შუშანას, მაგრამ ახლა ვფიქრობ რა მშვენიერი ამბავი იქნება, რომ ახლა მას შენი გმირობით გაწმენდილ გზაზე მომავალს შეხვდე, ხელი ჩამოართვა და უთხრა, რომ ის შენა ხარ.

გოდერძი: ჯერ მძიმე გზა არ მოგვილევია.

არტემი: ერთი კაცის სიცოცხლისაგან კმარა, რაც შენ დღეს ჩაიდინე.

გოდერძი: აქ ყოველი დღე მოითხოვს მთელს სიცოცხლეს.

არტემი: ამ კვირაში მდინარეზე გადმოსვლის ყველა ცდა მარცხით თავდებოდა, მაგრამ უფრო მაოცებს, ამ სიმაგრეებმაც რომ ვერ გაგაბრუნა უკან.

გოდერძი: მე ხომ ეს ზღუდეები მაშინ დავზვერე, როდესაც ქალის ბომტაცებლებს შემოვსდიე. იმ შემთხვევამ მარგო ეს საპატიო დავალება და ეს შევძელ დაზვერვის წყალობით.

არტემი: შენ თავიდან სწავლობდი სამხედრო ხელოვნებას?

გოდერძი: არა, ინჟინერი ვარ.

არტემი: სად მუშაობდი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო დ ე რ ძ ი: მდინარე ტაბაკვარზე, უკეთ ვთქვათ, ვიწყებდით მუშაობას ქარხნის მშენებლობაზე, მაგრამ ომის დაწყებასთან შეწყდა ეს საქმე. შენ რა ხელობის იყავ?

ა რ ტ ე მ ი: არქეოლოგი.

გ ო დ ე რ ძ ი: ო, არ ველოდი.

(შემოდის დაჭრილი)

დ ა ჭ რ ი ლ ი: დაჭრილნი ვართ, ამხანაგო ლეიტენანტო.

გ ო დ ე რ ძ ი: მერე, ყურადღება ხომ არ გაკლიათ?

დ ა ჭ რ ი ლ ი: დიახ, პირველ რიგში თქვენზე უფრო მძიმე დაშავებულებს ვშველითო, გვეუბნებიან.

ა რ ტ ე მ ი: ალბათ ვერ გაგწვდნენ, მაგრამ აი, უკვე გადმოსულან სანიტრები, ხედავთ?

დ ა ჭ რ ი ლ ი: როგორ არა, მაშ, შევეგებები და მივიყვან ამხანაგებთან.

(დაჭრილი მიდის. შემოდის სერჟანტი).

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი: ამხანაგო ლეიტენანტო, ხომ უკეთ ხართ?

გ ო დ ე რ ძ ი: იქ როგორ უტევთ?

ს ე რ ჟ ა ნ ტ ი: მეორე ხაზზე მტერმა ფეხი მოიმაგრა.

ა რ ტ ე მ ი: მაშ, ახლა ნაპირთან მიგაცილებ, გოდერძი, მერე სხვებს მივხედავ.

გ ო დ ე რ ძ ი: არა, ძვირფასო.

ა რ ტ ე მ ი: აი, ხედავ ვინ გადმოსულა-შუშანა. მას ახლავს მედეია ექიმი, რომელმაც ძმიმე დღეებში მოუარა.

გ ო დ ე რ ძ ი: მე გაცილება არსად მინდა, სხვებს, მიეშველე.

ა რ ტ ე მ ი: რათა?

გ ო დ ე რ ძ ი: კარგად ვარ. ისე მომიხდა ჭრილობის შეხვევა, თითქოს დავისვენე.

(აპირებს წასვლას).

ა რ ტ ე მ ი: საით, გოდერძი?

გ ო დ ე რ ძ ი: ისევ ჩემს ბიჭებს გავუძღვები.

ა რ ტ ე მ ი: არც ისე სახუმრო ჭრილობა გაქვს.

გ ო დ ე რ ძ ი: არც ისე კარგადაა ჩემი ბიჭების საქმე, ამ ჭრილობამ დამაკავოს.

ა რ ტ ე მ ი: შუშანას ვერა ხედავ?

გ ო დ ე რ ძ ი: მას უთხარი, ვიღაც დაჭრილმა გადმომცა წერილითქო. მერე, თუ მოვკვდე, ანახე ჩემი ცხედარი და ყველაფერი მოუყევი, თუ არა და — არ გამცე. ასე, ჩემო არტემ. (სერჟანტს) წავიდეთ!

(გოდერძი და სერჟანტი მიდიან)

ა რ ტ ე მ ი: ბნნედ მიდის, მაგრამ ბევრი სისხლი დაჰკარგა და ჯანი არ ეყოფა. იქ კი, ეტყობა, მტერი ბოძლიერებულა აი, უკვე ჩაება ბრძოლაში ამოეფარა სანგრებს. არა მგონია კიდევ ვნახო ეს საცოდავი.

(არტემი მიდის. შემოდის პოლკოვნიკი და ორი ლეიტენანტი)

1-ლი ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი: მდინარეზე დაუბრკოლებლად ვაბამთ ხიდებს და არტილერია გადმოგვაქვს.

პ ო ლ კ ო ვ ნ ი კ ი: ეს ლეიტენანტ გოდერძის რაზმის გამარჯვების შედეგია, მაგრამ აქ ფეხს ვერ მოვიკიდებთ, სანამ მეორე ხაზიც არ აგვიღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-ლი ლეიტენანტი: მე უკლებლად გადმოვიყვანე ჩემი რაზმი.

პოლკოვნიკი: სად არის დაჭრილი ლეიტენანტი გოდერძი?

მე-2 ლეიტენანტი: მან შეიხვია ჭრილობა და ისევ ჩადგა რიგში.

(შემოდის სერჟანტი, დაჭრილია)

1-ლი ლეიტენანტი: შენ, სერჟანტო, საიდანა ხარ?

სერჟანტი: მეორე ხაზზე ვიბრძვი. ლეიტენანტი გოდერძი მეორედ დაიჭრა უფრო მძიმე და საკაცურით მოჰყავთ. რაზმი გაჭირვებაშია.

პოლკოვნიკი: შენი რაზმი საბრძოლოდ მზად არის?

1-ლი ლეიტენანტი: მზად არის, ამხანაგო პოლკოვნიკო!

პოლკოვნიკი: დაიკავე მეორე ხაზი.

1-ლი ლეიტენანტი: არის!

(მოისმის ხმები).

მე-2 ლეიტენანტი: შტაბი გადმოვიდა. გენერალი გიხმობთ, ამხანაგო პოლკოვნიკო!

(ყველანი მიდიან. შემოდიან არტემი და მედეა)

მედეა: შენ იცი რა წერილი გადაგიცია შუშანასთვის?

არტემი: არ წამიკითხავს.

მედეა: იმ კაცისაგანაა, რომელმაც შუშანა იხსნა. თავის ვინაობას არა სწერს. სახით მაინც არ გახსოვს?

არტემი: შევპირდი, თუ ვიპოვე დაჭრილი ან მკვდარი, ვანახვებ.

მედეა: ახლა მარტო ამ სერზეა, გაცხარებული ბრძოლა.

არტემი: ისიც აქ უნდა იყოს.

მედეა: ო, ალბათ ბისთვის შევარდა შუშანა ისე თავდაუზოგავად წინა ხაზზე და ყოველ დაჭრილს მადლს მიტომ აყრის უხვად, რომ თითოეულ მათგანში იმ კაცს ვარაუდობს.

არტემი: მაშ, აქ არ უნდა გადამეცა წერილი, მაგრამ ვიფიქრე საიქიოს არ გამყვესთქო.

მედეა: მიკვირს, ნუ თუ უყვარს შუშანას ის უცნობი?

არტემი: რად გიკვირს?

მედეა: სახით თურმე გარკვევით არც უნახავს. პირობა კი მიუცია. რით მოხიბლა ერთ-ორ ღამეში?

არტემი: ის მოხიბლულია მისი თანაგრძნობით, საუბრით და გმირობით. მე მგონია მისი სახეც სიბნელეში მიმზიდველი ეჩვენებოდა.

მედეა: მაინც ვერ ამიხსნია, როგორ იტანჯება!

არტემი: მერე, ვინ იცის რა თრთოლვით აგონდება მისი შეხებაც. ის ხომ ორ ღამეს ქალს სულ გულზე აპყრობილს ატარებდა, ვინ იცის ასეთ შეხებაში რამდენი ალერსი იყო და სხვა გამოუთქმელი რამ.

(შემოაქვთ საკაცურით გოდერძი. შემოდის სერჟანტი).

სერჟანტი: ეს ჩვენი ლეიტენანტია, გოდერძი.

არტემი: ო, გოდერძი, მეორედ დაგჭრეს?

სერჟანტი: მეორედ უცბად დასჭრეს. გაუწიეთ პირველი დახმარება დამეხმარეთ ახლა გაღმა გავიყვანოთ.

არტემი: მედეა!

მედეა: ვინ არის?

არტემი: ნათესავი...

(შემოდიან გენერალი, პოლკოვნიკი და მე-2 ლეიტენანტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერჟანტი: ლეიტენანტი მოვიყვანეთ.
გენერალი: ო, ეს არის ჩვენი ჭაბუკი?!
პოლკოვნიკი: როგორ არის, ექიმო?
მედეა: აი, გამოიხედა... (გოდერძის) უფროსი ამხანაგები გკითხულობენ.
გოდერძი: არა მიშავს!
გენერალი: თქვენ პირველმა გაგვიკაფეთ გზა მდინარეზე, ძვირფასო გოდერძი. პირველმა მოიკიდეთ ამ ნაპირზე ფეხი და წარდგენილი ხართ საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე.
გოდერძი: ეს მეტია ჩემს დამსახურებაზე!
გენერალი: ჩვენ არც ვიცოდით, თუ ცოცხალი გადარჩი, მაგრამ თქვენი საქმის მიხედვით წარგადგინეთ შტაბიდან.
პოლკოვნიკი: თქვენ მოიერიშეც ისეთივე უებრო აღმოჩნდით, როგორც მზვერავი.
მედეა: ნუ ღელავთ, მალე გამორჩებით.
გოდერძი: გმადლობთ.
გენერალი: მაშ სათუთად გადმოიყვანეთ.
(გენერალი პოლკოვნიკი და ლეიტენანტები მიდიან).
არტემი: სერჟანტო, შენ კიდევ შეუხვეველი ხარ?
სერჟანტი: დრო არ მქონდა.
არტემი: დროს ახლა მოგანახვინებთ, ინებეთ ჩემი სამსახური. მაშ.
(მოშორებით კუთხეში არტემი სერჟანტს ჭრილობას უხვევს).
მედეა: (ბაჯას უსინჯავს გოდერძის. თავისთვის) სუსტადაა!
არტემი: ო, შუშანა გამოჩნდა, აგერ დაჭრილებს უვლის.
მედეა: ო, სიხარულო, შუშანა, გესმის, ხომ მრთელად ხარ?
შუშანა ხმა: არა.
მედეა: რა მოგივიდა?
შუშანა ხმა: ხაზზე ვიყავ, სულთმობრძავნი ვნახე.
მედეა: მერე?
შუშანა ხმა: მწარედ ჩამრჩენ ხსოვნაში.
მედეა: (გოდერძის) რაზე შეკრთი? ის ჩემი მეგობარია.
გოდერძი: აქ მოვიდეს.
მედეა: ბოდი, გოგონა, იცი, აქ დღევანდელი დღის გმირი ჩამაბარეს, გაგაცნობ.
შუშანა ხმა: აქ ვალს ვიხდი.
მედეა: (ბაჯას უსინჯავს გოდერძის) გამომიგზავნეთ საკაცის ამწევი. ეს კაცი საიმედოდაა.
შუშანა ხმა: ძმობილო!
არტემი: რა?
შუშანა ხმა: ის აღარ შეგხვდა დაჭრილებში?
არტემი: არა.
შუშანა ხმა: მაშ მკვდრებში?
არტემი: არა, მერწმუნე საიმედოდაა.
გოდერძი: რაო?
მედეა: ო, აქ დიდი საარაკო ამბავია. ეს გოგონა, ახლა რომ დავუძახეთ, შეყვარებულია. ძლიერ არ გაიცინოთ, თორემ გაწყენთ. მას სატრფომ ამ

ბრძოლაში წერილი გამოუგზავნა და თავის კვალი კი ისე დაუმალა, რომ არ შეაწუხოს... ახლა მას ეძებს და ვერ პოულობს, ვერც ცვლებში და ვერც ცოცხლებში. ისე გააფთრებულია სიმწრით, თავს ბრალობდა რომ სხვების მოვლის ვალი არ აჩერებდეს. თავხედი არ გეგონოთ, მორცხვია და ჭკვიანი... მაგრამ ზოგჯერ ბედია უცნაური და არა თვითონ კაცი. ქვეყანაზე ყველას თავის ხვედრი აქვს და მას ბედად აქ შეხვდა სიყვარული. ყველა პირობას ეგუება ადამიანის გული.

გ ო დ ე რ ძ ი: დაუძახეთ, ჩემთან მოვიდეს.

მ ე დ ე ი ა: წუთით მოდი, გოგონა, დაჭრილი გთხოვს.

შ უ შ ა ნ ა ს ხ მ ა: აგერ, ამათ ჭრილობას ვუხვევ.

(შემოდის ლეიტენანტი მებრძოლებით)

მ ე დ ე ი ა: (დახედავს ავადმყოფს) მეტად გაფითრდა.

მ ე-2 ლ ე ი ტ ე ნ ა ნ ტ ი: ასწიეთ, ბიჭებო, საკაცური. ხიდი გადებულია. გადავიყვანოთ მდინარეზე ავადმყოფი.

(ფ ა რ დ ა)

## მოქმედება მეოთხე

### სურათი პირველი

ქარხნის მშენებლობის უფროსის გ უ რ გ ე ნ ი ს კაბინეტი ფიცრის შენობაში. ავეჯი უბრალოა. ფართო, ღია ფანჯრებიდან სჩანს, გაზაფხულის აყვავებულ ველზე, ბარაკები და კაპიტალური შენობების ხარაჩოიანი კედლები. სცენაზეა გ უ რ გ ე ნ ი და მ დ ი ვ ა ნ ი.

გ უ რ გ ე ნ ი: ეს ასე შეასწორეთ, გადააბეჭდინე და შემდეგ მოვაწერ ხელს.

მ დ ი ვ ა ნ ი: კიდევ ერთი განცხადებაა, მოსაზღვრე კოლმეურნეობა დახმარებას ითხოვს იმ ფართობის სამაგიეროდ, რომელიც ქარხნის მშენებლობას დაუთმო.

გ უ რ გ ე ნ ი: ეს გამგეობას წარუდგინე. სხვა, იქ ხომ არავინ მელოდება.

მ დ ი ვ ა ნ ი: სოფელ ჭალის საბჭოს თავმჯდომარეა არსენი და ერთი ქალი.

გ უ რ გ ე ნ ი შემოვიდნენ.

(მდივანი მიდის. შემოდიან არსენი და თებრონე)

ა რ ს ე ნ ი: სალამი, ამხანაგო გურგენ. ეს „განთიადის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარეა — თებრონე, ალბათ გაგიგონიათ.

გ უ რ გ ე ნ ი: დაბრძანდით. სხვა, რას გვეტყვი, არსენ?

ა რ ს ე ნ ი: გუშინ შვილის წერილი მივიღეთ ქალაქ გორკიდან, თქვენი მადლიერია, იქაურ ქარხანაში რომ მიავლინეთ.

გ უ რ გ ე ნ ი: მეც მაქვს ცნობა, რომ იქ ჩვენგან გაგზავნილი ბიჭები კარგად მუშაობენ.

ა რ ს ე ნ ი: მაშ, გამოცდილი მუშები ჩამოგივათ!

გ უ რ გ ე ნ ი: ო, ეს ერთი წვეთია.

ა რ ს ე ნ ი: სხვაგანაც ხომ ამზადებთ ახალგაზრდებს?

გ უ რ გ ე ნ ი: თქვენ ჯერ ვერ წარმოიდგენთ, ეს რამოდენა საქმეა.

ა რ ს ე ნ ი: ვხედავთ რამოდენა ველზე იგება შენობები.

თ ე ბ რ ო ნ ე: დიახ, მთელი ქალაქივით შენდება ასე უცბად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ უ რ გ ე ნ ი: მთავარია, რომ შენობაში მუშაობა უნდა გაჩაღდეს, ამისთვის ხალხი გვინდა.

თ ე ბ რ ო ნ ე: იცოცხლეთ, ომი გამარჯვებით დამთავრდა და ხალხი ბრუნდება კოლექტივებში, თუ აქამდე მუშას ვეძებდით, ახლა ფართობს ვეძებთ.

გ უ რ გ ე ნ ი: ეს ქარხანა ბევრს დაიტევს, მაგრამ გაწვრთნილ მუშებს მოითხოვს.

ა რ ს ე ნ ი: აქ ომამდეც იწყებდნენ მუშაობას. მახსოვს მაშინ ერთი ახალგაზრდა ინჟინერი გოდერძი ბარაკებს აშენებდა და ომის დროს შესწყდა ყველაფერი. დღეს კი გავიგე რომ ის ინჟინერი ომიდან საბჭოთა კავშირის გმირად დაბრუნებულა და ისევ აქ მუშაობს.

გ უ რ გ ე ნ ი: დიახ, ის ამ ქარხნის მშენებლობაზე ერთერთი მთავარი ხელმძღვანელია.

ა რ ს ე ნ ი: აი, ის გოდერძი დამემოწმება, მაშინაც როგორ თანაგრძნობით ვაწვდიდით მუშახელს კოლექტივებიდან.

გ უ რ გ ე ნ ი: დაწყებისთვის ძალა ვის არ ყოფნის, მაგრამ საქმე დაგვირგვინებაა. ახლა მშენებლობა გაჩაღებულია. დღეს-ხვალ თითონ ქარხნის საამქროებიც ამუშავდება და საჭიროა ამ ქარხნის მომუშავეები ადგილობრივ მოსახლეობიდან შევქმნათ. ეს ქარხანა მარტო ჩვენს მიწაზე კი არ უნდა იდგეს, არაშედ ჩვენს ძალაზე და უნარზეც, მაშინ იქნება ის ჩვენი ქარხანა.

ა რ ს ე ნ ი: ეს ყველას გვესმის.

გ უ რ გ ე ნ ი: თქვენი სოფლებიდან ახალგაზრდობა ზანტად მოდის.

ა რ ს ე ნ ი: ამ ბოლოს უფრო გამოფხიზლდნენ, ასეა, თქვენ ბრძანეთ საქმის დაწყება ადვილიაო, სოფლელებში კი სწორედ დაწყება სჭირს ახალი საქმისა.

გ უ რ გ ე ნ ი: თუ ამხსნელი არა ყავთ?

ა რ ს ე ნ ი: უხსნით და მაგალითსაც ვაძლევთ. მე ხომ შვილი ჩაგაბარეთ, ახლა თებრონე სწორედ ამის სათხოვრად მოვიდა, რომ აქ მისი ქალიშვილი მიიღოთ.

გ უ რ გ ე ნ ი: თქვენი ქალიშვილი?

თ ე ბ რ ო ნ ე: დიახ. მშენებელი ინჟენერია.

ა რ ს ე ნ ი: სამამულო ომშიც დაჯილდოებულია?

თ ე ბ რ ო ნ ე: დიახ.

გ უ რ გ ე ნ ი: ახლა სად არის?

თ ე ბ რ ო ნ ე: აქ მომყვა, მხოლოდ ჯერ მე თითონ მინდოდა შეგხვეწნოდით.

(შემოდის მდივანი)

მ დ ი ვ ა ნ ი: რაფიელის საამქროს მშენებლობაზე რა ხდება, მოგახსენეს?

გ უ რ გ ე ნ ი: ვიცი. ერთი კვირის წინათ შემპირდნენ, რომ საქმეს გამოასწორებდნენ და დღეს კომისია შეამოწმებს.

მ დ ი ვ ა ნ ი: კომისია იქ არის. ახლა გოდერძი წავიდა და გთხოვა, თქვენც დაესწროთ შემოწმებას. რაღაც დიდი უსიამოვნებაა.

გ უ რ გ ე ნ ი: კარგი. დავხედავ.

მ დ ი ვ ა ნ ი: გოდერძიმ ორჯერ დამირეკა ზედიზედ, გურგენმა დახედოს საჩქაროდ, რაფიელი მას ვერ დაუწყნარებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო ო ბ ე ნ ი: კარგი. თქვენ, აშხაწაგებო, თუ დრო გაქვთ, დამიცადეთ, არ დავაყოვნებ. თუ არა და, სხვა დროს...

თ ე ბ რ ო ნ ე: არა უშავს, ბატონო!

(შემოდის გოდერძი)

გ ო ო ბ ე ნ ი: ოჰ, აქეთ მომაკითხე, გოდერძი? თქვენკენ მოვდიოდი, თითქოს სასწრაფოდ მიხმობდი!

გ ო დ ე რ ძ ი: დიახ, ვერ არის კარგად საქმე. თქვენ თითონაც დახედეთ და მერე ჩემსას მოგახსენებთ. მე განგებ არ დავიცადე. ვერ ავიტან რაფიელის დაღვრემილობას. ის შეძრწუნებულია ზეტად, ვიდრე მას შეჰფერის.

გ ო ო ბ ე ნ ი: მე თავის დროზე გავაფრთხილე.

გ ო დ ე რ ძ ი: ის ძალიან დაეწდო თავის სამუშაოთა მწარმოებელს.

გ ო ო ბ ე ნ ი: ახლა რა ვუყოთ, კარგები სხვა ობიექტებზეა დაკავებული და უარესით ხომ ვერ შევცვლით.

გ ო დ ე რ ძ ი: მაგ საამქროს მშენებლობას ვერ შევანელებთ.

გ ო ო ბ ე ნ ი: მაშ, თქვენ აქ ბრძანდებოდეთ. ესენი, გოდერძი, მოწინავე სოფლის ამხანაგებია. ერთი ახალგაზრდა მშენებელი შემოყავთ ჩვენთან და მანამდე მოელაპარაკე.

(გურგენი და მდივანი მიდიან)

გ ო დ ე რ ძ ი: ვისი მოწყობა გიწდათ აქ, თქვენი ახლობელია?

ა რ ს ე ნ ი: ამის ქალიშვილია, ბატონო. მშენებელი ინჟინერია, ომში დაჯილდოებული. მე მგონია სასახელოდ გამოგადგებათ.

გ ო დ ე რ ძ ი: აქვს რამე გამოცდილება მშენებლობაზე?

თ ე ბ რ ო ნ ე: ამაზე თითონ მოგახსენებთ.

გ ო დ ე რ ძ ი: ახლა სად არის?

თ ე ბ რ ო ნ ე: ჩვენ გვახლავს. გარეთ დავტოვე. მე წინდაწინ მინდოდა გაგება: ეს საქმე თუ მოხერხდებოდა.

გ ო დ ე რ ძ ი: ჩვენ მასეთი მომუშავეები გვჭირდება, შეგვიძლია ახლავე მოელაპარაკოთ, სთხოვეთ მოვიდეს.

თ ე ბ რ ო ნ ე: არსენ. ერთი გაისარჯე, ეზოში იცდის.

(არსენი მიდის)

კიდევ მოგახსენებთ, ჩემს აზბავს: მე მინდა ჩემი ქალიშვილი ნამდვილად მიიღოთ, იმიტომ, რომ აქ მისი მეუღლე მუშაობს საამქროს ხელმძღვანელად.

გ ო დ ე რ ძ ი: რომელი?

თ ე ბ რ ო ნ ე: თუ არ დაგავიწყდათ, ჩემს ქალიშვილს იცნობდით... მე თქვენ შორიდან გიცნობთ.

გ ო დ ე რ ძ ი: რომლის მეუღლეა? გამაგებინეთ, ვისზე ამბობთ?

თ ე ბ რ ო ნ ე: რაფიელის.

გ ო დ ე რ ძ ი: როგორ, საიდან?

თ ე ბ რ ო ნ ე: ის ჩემი სიძეა.

გ ო დ ე რ ძ ი: თქვენს ქალიშვილს დარეჯანი ჰქვიან?

თ ე ბ რ ო ნ ე: დიახ... მხოლოდ დაქორწინების დღიდან სამხედრო ვალდებულებამ დააშორა.

გ ო დ ე რ ძ ი: ეს აზბავი ვიცი. როდის ჩამოვიდა დარეჯანი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ე ბ რ ო ნ ე: ერთი კვირაა. ოჰ, სიზმარი მეგონა, ამდენი წლის უნახავი ქალიშვილი სავსე ჭიქასავით რომ შემოვიდა ეზოში.

გ ო დ ე რ ძ ი: ის სცნობს თავს რაფიელის მეუღლედ, თუ ისევ ქალიშვილია რჩება მათი ქორწინება?

თ ე ბ რ ო ნ ე: ესეც გცოდნიათ. დიახ. მას აქეთ, რაც ქორწინებაზე ხელი მოაწერეს, ერთმანეთი არ უნახავთ და ახლა თითქოს ხელახლა უნდა შეეთვისონ ერთმანეთს.

გ ო დ ე რ ძ ი: ვინ არ დაშორებულა დროებით? ეს უშლის შეთვისებას?

თ ე ბ რ ო ნ ე: საქმე იმაშია, რომ ქორწინების მოსაწყობად ქალმა დანაშაული ჩაიდინა და დარცხვენილია.

გ ო დ ე რ ძ ი: ვიცი. მე ომში წასვლამდეც გამიგონია დარეჯანისაგან ამაზე სინანული. ის დაუფიქრებლობით მოუვიდა.

თ ე ბ რ ო ნ ე: იმ შეცდომას ცუდი ამბავი მოყვა. ბევრი საყვედურიც გაიგონა. ქალი ჯავრში ჩავარდა. გულით კი უყვარს რაფიელი მაგრამ დაეჭვდა, რომ დაკარგა მისგან პატივისცემა და უნდა ისევ დაიმსახუროს.

გ ო დ ე რ ძ ი: მე მგონია, სამამულო ომში წარმატება ამაღლებს მის ღირსებას.

თ ე ბ რ ო ნ ე: ეჰ, ბევრი ვიდავე ქალიშვილთან, ბოლოს გადავწყვიტე, თქვენთან მოვაწყო სამსახურში, რადგან გავიგე რომ აქ არის რაფიელი.

გ ო დ ე რ ძ ი: ეს ამბავი ძალიან მხვდება გულზე. სულითდა გულით დაგეხმარებით.

თ ე ბ რ ო ნ ე: დარეჯანმა ჯერ არ იცის, თუ ის აქ მსახურობს და ამისთვის მინდა უცბად ჩავაბა. აქ გამოცდიან ერთმანეთს და ან ავად გადაწყდება, ან კარგად.

გ ო დ ე რ ძ ი: იმედი მაქვს კარგად დასრულდება.

(შემოდის დარეჯანი)

თ ე ბ რ ო ნ ე: აი, შვილო, უფროსმა გვიხმო.

გ ო დ ე რ ძ ი: დარეჯან! ხომ არ დაგავიწყდი?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ოჰ, გოდერძი! საიდან? აქ მუშაობ?

გ ო დ ე რ ძ ი: შეც გავვოცდი, როდესაც ამ მანდილოსანთან ლაპარაკში გავიგე, რომ ის დედათქვენია და თქვენთვის მთხოვს აქ ადგილს.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: რა მოულოდნელი სიხარულია!

გ ო დ ე რ ძ ი: ჩემთვისაც ასეა, დარეჯან მე აქ ხელს მოგიწყობ, თქვენი უნარი გამოამჟღავნოთ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ამის იმედი კი მაქვს, ვიცი, რომ გულისხმიერი ხარ, თუმცა ამ აღფრთოვანებას ერთი სიმძიმეც ახლავს. კარგ ამხანაგებთან მეტ მოვალეობას გრძნობ ადამიანი.

(შემოდის გურგენი)

გ უ რ გ ე ნ ი: იქ უფრო ცუდადაა საქმე, ვიდრე შეგონა.

გ ო დ ე რ ძ ი: დიახ. დიდი ჩამორჩენაა.

გ უ რ გ ე ნ ი: ეს არის თქვენი ქალიშვილი, თებრონე?

თ ე ბ რ ო ნ ე: დიახ.

გ ო დ ე რ ძ ი: ეს ჩემი ნაცნობი და მეგობარი აღმოჩნდა, გურგენ. აქ ძალიან გამოგვადგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ უ რ გ ე ნ ი: თქვენ რა განათლება გაქვთ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: საალმშენებლო დავამთავრე და შემდეგ სამამულოში გახლდით.

გ უ რ გ ე ნ ი: სად გიმუშავნიათ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: სამხედრო ობიექტებზე.

გ ო დ ე რ ძ ი: დაჯილდოებული ხართ, არა?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: დიახ. მძიმე პირობებში დავალების შესრულებისათვის.

გ უ რ გ ე ნ ი: შეძლებთ ჩვენთან რომელიმე საამქროს აგებას უხელმძღვანელოდ ტექნიკურად?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მგონი, შევძლო.

გ უ რ გ ე ნ ი: მაშ, ჯერ პირობებს გაეცანით, ჩვენ აქ ახლა ყოჩაღი სამუშაოთა მწარმოებელი გვჭირდება.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: კეთილი.

გ უ რ გ ე ნ ი: აქ ზოგი ახალგაზრდა გამოგვადგა.. მხოლოდ დღეს ერთ ობიექტზე გვაქვს გარღვევა (ფანჯარაში) ხედავ, გოდერძი, ისე გაანჩხლებულია რაფიელი, აქ არ შემომყვა და მანქანების ყუთებთან რაღაც ამბავშია.

გ ო დ ე რ ძ ი: თუ დროზე ვერ ავუგეთ საამქრო, ის მანქანები ყუთებში ჩაიჟანგება.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: დედა, ხედავ რაფიელს?

თ ე ბ რ ო ნ ე: არა, შვილო, ის სხვაა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: როგორ არა, უკაცრავად, იქ ყუთებთან რომ ვიღაცეებს უწყრება, თქვენ მასზე ლაპარაკობთ?

გ ო დ ე რ ძ ი: არა....

გ უ რ გ ე ნ ი: სწორედ მაგაზე. ის დიდი საამქროს უფროსია და შენობაზე აქვს დაბრკოლება.

გ ო დ ე რ ძ ი: მთავარი მიზეზი ისაა, რომ სამუშაოთა მწარმოებელი სუსტი აღმოაჩნდა.

გ უ რ გ ე ნ ი: აქამდე თითონ მამშვიდებდა და ეს იცავდა, ახლა კი ჩვენ გვესაყვედურება.

გ ო დ ე რ ძ ი: ძალიან შეშფოთებულია.

გ უ რ გ ე ნ ი: სწორედ უკანასკნელ კვირაში, როდესაც დაგვპირდნენ, რომ საქმეს გამოასწორებდნენ, სულ არაფერი არ გაუკეთებიათ.

გ ო დ ე რ ძ ი: ამ კვირაში თავიდან დაშვებულ შეცდომას ასწორებდნენ.

გ უ რ გ ე ნ ი: როგორ, შეცდომაც აქვთ?

გ ო დ ე რ ძ ი: დიახ. გეგმიდან გადახრა იყო და გამოასწორეს.

გ უ რ გ ე ნ ი: არა, ეს არ გვეპატიება.

გ ო დ ე რ ძ ი: აგიხსნით, რაშიც იყო საქმე.

გ უ რ გ ე ნ ი: ქარხნის ხელმძღვანელები დახმარების მაგიერ თითქოს მამშვიდებთ და გაჭირვებით შეგროვებულ მუშებს მიცდენთ. რაფიელს ეს ჩემგან არ ეპატიება, არც მე არავინ მაპატიებს.

გ ო დ ე რ ძ ი: დიდი დაძაბულობით კიდევ მოესწრება ვადაზე გაკეთება.

გ უ რ გ ე ნ ი: რომელ უბანს მოვაკლო მშენებლები?

გ ო დ ე რ ძ ი: ამისთვინ არის ის შეშფოთებული.

გ უ რ გ ე ნ ი: დამეთანხმეთ, გოდერძი, რომ აქ მე ვარ ჩავარდნილი, მას, შეუძლია ხელი დაიბანოს.

გ ო დ ე რ ძ ი: ის ამას არ იკადრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ უ რ გ ე ნ ი: არა, მე ახლა ისევ დავათვალიერებ ყველაფერს უფრო დაწვრილებით. ჰო, თქვენ ქალიშვილო, ჩვენთან არ რჩებით?

თ ე ბ რ ო ნ ე: რასაკვირველია, ამაზე საპატიო საქმეს სად იშოვიდა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე მინდა აქ მუშაობა, მხოლოდ თუ შეიძლება გამოგყვებით და ვნახო რა გარღვევაა იქ საამქროს მშენებლობაზე.

გ უ რ გ ე ნ ი: ისეთ საეჭვო საქმეს ვერ მოეკიდებით.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ნუ თუ იქ ადამიანის მონდომებას არაფერი შეუძლია?

გ უ რ გ ე ნ ი: რა დამაჯერებელი კილო გაქვთ. თქვენი იმედი ხომ არა აქვს თებრონეს?

თ ე ბ რ ო ნ ე: მე და არსენმა დღეს ერთი წყება ახალგაზრდები უნდა გამოგიკაზმოთ.

გ უ რ გ ე ნ ი: წამობრძანდით, ვნახოთ, ვილაპარაკოთ.

(გურგენი, დარეჯანი და თებრონე აპირებენ წასვლას, შემოდის მდივანი)

მ დ ი ვ ა ნ ი: თქვენთან სიძველეთა დაცვის წარმომადგენელია.

გ უ რ გ ე ნ ი: ჰო, ის გარეთაც შემხვდა. მიიღე, გოდერძი. ვიღაც არქეოლოგია, თურმე შენ ფრონტიდან გიცნობს. მე ახლა მისთვის არ მცალია.

(გურგენი, დარეჯანი და თებრონე მიდიან. შემოდის არტემი. გოდერძი ათვალიერებს ქაღალდებს)

ა რ ტ ე მ ი: (თავისთვის) როგორ გამოცვლილია.

გ ო დ ე რ ძ ი: დაბრძანდით. ამ წუთში.

ა რ ტ ე მ ი: შემიძლია დაგიცადოთ აქხანაგო გოდერძი.

გ ო დ ე რ ძ ი: ოჰ, არტემ.

ა რ ტ ე მ ი: ასე გვიან შემამჩნიე?

გ ო დ ე რ ძ ი: აქ საიდან გაჩნდი?

ა რ ტ ე მ ი: ერთ კეთილ საქმეზე ვარ, ისტორიული ნაშთების დაცვაზე უნდა დამეხმაროს თქვენი მშენებლობა.

გ ო დ ე რ ძ ი: საიდან, როგორ?

ა რ ტ ე მ ი: ნუ გიკვირთ. დიდ ხეს ბევრი ნაფოტი ცვივაო ნათქვაშია. თქვენ აქ ბევრი მასალა დაგიცვივათ, რომელიც შეიძლება ჩვენი ნაშთების გასამაგრებლად გამოდგეს.

გ ო დ ე რ ძ ი: მერე რა საბაბით დაგეხმაროთ?

ა რ ტ ე მ ი: თქვენ ახლა იბადებით, ის ნაშთები კი თქვენი წინაპრებია და ამიტომ პატივი უნდა სცეთ და მათი ფერფლი მოსაგონებლად შეინახოთ.

გ ო დ ე რ ძ ი: ეს კარგი სიტყვაა, მაგრამ ასეთი ქველმოქმედება გვიხერხდება?

ა რ ტ ე მ ი: არა მოწყალებას არ გთხოვთ, ჩვენ შეგვიძლია თქვენს კლუბს მოვემსახუროთ, კულტურის ნაშთები გავაცნოთ და ამისათვის რამე მივიღოთ. ახლა ეს მითხარი: შენ როგორა ხარ? ძალიან კი გამოცვლილხარ, რასაკვირველია, უკეთესობისკენ.

გ ო დ ე რ ძ ი: ხშირად გიგონებდი, ჩემო არტემ და ვისთვის შეკითხა შენი ამბავი, არ ვიცოდი.

ა რ ტ ე მ ი: ო, არ ყოფილხარ გულმავიწყი, თორემ რამდენისთვის შემიხვევია ჭრილობა და არ მცნობენ, თუმცა შენთან ხორციელი ჭრილობის გარდა სულიერი წყლულის მესაიდუმლეც ვიყავ, არ გახსოვს ის ქალი?

გ ო დ ე რ ძ ი: ო, ეს სწორედ გადმომკარი, არტემ. მართალია იმით გიგონებდი, ყველა ჭრილობები მომირჩა, ის კი ღრმავდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა რ ტ ე მ ი: როგორ კიდევ ნახულობ შუშანას?

გ ო დ ე რ ძ ი: არა, ვერსად ვერ ვნახე და ბოლოს მეშინია ცუდი ამბავი არ გავიგო.

ა რ ტ ე მ ი: ის კარგად არის.

გ ო დ ე რ ძ ი: მართალს ამბობ? საიდან იცი?

ა რ ტ ე მ ი: მის მამას ვიცნობ და მისგან გავიგე. დღესაც ვნახე ის ალმშენებლობაზე.

გ ო დ ე რ ძ ი: ვინ? შუშანას მამა?

ა რ ტ ე მ ი: დიახ. დათა ჰქვია, ძველი მუშაა. ცნობილი მიწის-მბურღავია. ნუთუ არ იცოდით, თქვენთვის წყალსადენი გაჰყავს.

გ ო დ ე რ ძ ი: გამიგონია... მე ხომ აქ ახალი ბოსული ვარ. ჰო, მერე გაესაუბრე?

ა რ ტ ე მ ი: როგორ არა. თურმე იმ ადგილებიდან გამოჰყავს წყალი, სადაც ჩვენი ძვირფასი ისტორიული ნაშთებია.

გ ო დ ე რ ძ ი: ქალიშვილი?

ა რ ტ ე მ ი: მითხრა, რომ ის ჯერ ძერწვაზე მუშაობს და თუ შესაფერი საქმე მოუძებნა, აქ გადმოიყვანს, თუ არ გათხოვდაო. მე მაშინვე მომაგონდა თქვენი ამბავი, მაგრამ ვერაფერი ვკითხე და ვერც ვეტყოდი რამეს.

გ ო დ ე რ ძ ი: მას შეიძლება საქმაროც ჰყავს. მე კი სულ დავავიწყდი.

ა რ ტ ე მ ი: რა მოგახსენო. შენი დაჭრის შემდეგ მალე დავშორდი. საერთოდ ცოცხალი ადამიანის გული ცვალებადია. მხოლოდ როგორც არქეოლოგმა, უნდა მოგახსენოთ, როდესაც ორი ათასი წლის სამარხს ვხსნი და ცოლქმარს ერთად ვნახულობთ, რაღაც სიამოვნების გრძნობა მივლის, მათი მიწისქვეშ იმდენი ხნის განუყრელობით.

(შემოდის რაფიელი)

გ ო დ ე რ ძ ი: რა შეშფოთებული შემოდიხარ, რაფიელ. შენ არტემ, აქ სანამდე რჩები? ბესტუმრე ამ საღამოს.

გ ო დ ე რ ძ ი: მაშ გელოდებით.

(არტემი მიდის)

რ ა ფ ი ე ლ ი: ძნელი გამოსასწორებელია ეს მარცხი. მანქანების დათვალიერებამ სულ ამაფორიაქა. ხომ ვერ დავხსნით იმდენ ყუთებს, ან სად უნდა ამოვალაგოთ, არა და ამ საამქროს ბშენებლობა, ხომ ხედავ, როგორ ბრკოლდება. ძილი არ არის, სულს ვერ ვითქვამ.

გ ო დ ე რ ძ ი: ცოტა შენი ბრალიც არის, არა გრძნობ?

რ ა ფ ი ე ლ ი: თქვენ ეს გამშვიდებთ.

გ ო დ ე რ ძ ი: არა. ამ დაბრკოლებაზე პასუხი ხომ შენზე უმალ ჩვენ მოგვეთხოვება.

რ ა ფ ი ე ლ ი: თქვენ აქ თუ ჩავარდებით, სხვა უბანზე მაინც გეჭნებათ წარმატება.

გ ო დ ე რ ძ ი: არა, აქ თუ ჩავვარდით, ის არ გაგვამართლებს ეს, იმ ანდაზას ჰგავს, კარგი ფონია, მაგრამ ერთ ადგილს აღრჩობსო.

რ ა ფ ი ე ლ ი: მერე რა გამოსავალია. მე თუ გინდათ ჩემს თავზე ბივიღებ დანაშაულს და სასჯელს, მაგრამ ეს არ უშველის ქარხანას. გურგენი სად არის და რა ზომებს იღებს?

გ ო დ ე რ ძ ი: აქვს მას უკიდურესი საშუალება — ეს გაბოასწოროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ა ფ ი ე ლ ი: საშინლად ხელმოჭერილია.

გ ო დ ე რ ძ ი: ჩვენ მაინც შევიყვანეთ შეცდომაში.

რ ა ფ ი ე ლ ი: ეს სამუშაოთა მწარმოებელი თუ დავტოვე, არაფერი გამოვა. ვერც მასალას შოულობს თავის დროზე, ვერც მუშებს, ყველაფერი მის მაგიერ ჩემი საზრუნავია.

(შემოდის გურგენი, შემოყვება დათა)

მობრძანდით დათა, თქვენ დღეს მიემგზავრებით მთაში?

დ ა თ ა: დიახ. მზად მყავს მუშები და მიწის ბურღიც კარგი მაქვს.

გ უ რ გ ე ნ ი: ო, ამ წყალსადენის საკითხის დროზე გადაწყვეტა, იცით როგორი საჭიროა ჩვენთვის?

დ ა თ ა: ჩე რაც მომეთხოვება, როგორც მბურღავი მუშა, გულს არ დაგაკლებთ.

გ უ რ გ ე ნ ი: ეს ძველი მუშაა. მეფის დროს წავიდა საზღვარგარეთ, ყველგან მიწის ბურღვას სწავლობდა და მეტს არაფერს.

დ ა თ ა: დიახ. წინათ იქაურებს უქებდნენ მუშაობას.

გ უ რ გ ე ნ ი: როდესაც ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, მაშინვე მუშაობით დაგროვებული ფულით შეიძინა კარგი მიწის ბურღი და საშუშაოდ გამოეშურა სამშობლოს. მას აქეთ თავაუღებლად მუშაობს და დღეს ჩვენში რამდენიმე დაბა-ქალაქს აქვს დათას გამოყვანილი წყალსადენი.

რ ა ფ ი ე ლ ი: სულ ამ საქმეზე მუშაობს, ოჯახს არ მოჰკიდებია?

გ უ რ გ ე ნ ი: ეს არ ვიცი.

გ ო დ ე რ ძ ი კი, მგონია თქვენ ცოლშვილი გყავთ?

დ ა თ ა: მყავდა მეუღლე და პირველ შვილს გადაჰყვა. მისგან ერთი ქალიშვილი დაჩრჩა, ახლა დიდია, მეტი არავინ არ მყავს.

გ ო დ ე რ ძ ი: ის ქალიშვილი სად არის?

დ ა თ ა: ქალაქში.

გ უ რ გ ე ნ ი: მაშ, დღეს გაგიშვებთ, რადგან მზადა ხართ, დათა, მხოლოდ იცოდეთ რომ დრო ჩვენთვის ძვირფასია.

დ ა თ ა: ეს მესმის, მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს. ნება მიბოძეთ, იქ მთაში ჩემს მუშებს ორი იქაური კაცი დავუმატო, ეს სასარგებლო იქნება, რადგან ნათქვამია — ადგილობრივ კურდღელს ადგილობრივი მწევარი დაიჭერსო. იქ ზოგ სამუშაოზე ისინი უფრო გაზოდგებიან.

გ უ რ გ ე ნ ი: კარგი. დაგეხმარები. შენ კი, რაფიელ, მე მგონი დღესვე გიშოვი სამუშაოთა მწარმოებელს.

რ ა ფ ი ე ლ ი: აი, მე ვფიქრობ, ვინ უნდა გამოვნახო და ვერც ერთზე ვერ შევჩერებულვარ.

გ უ რ გ ე ნ ი: ეხ, აქ მარტო სამუშაოთა მწარმოებელიც არაა დამნაშავე ჩვენ ვერ ვუხელმძღვანელეთ და შენმა მოუთმენლობამაც შეგვიშალა ხელი...

რ ა ფ ი ე ლ ი: ვიცი რაზედაც გადამკარი. იქ, გურგენ, ნიადაგის წყლებმა წაგვიხდინა ნამუშევარი. წყალსაწრეტები კი თქვენ დროზე ვერ მოაგვარეთ.

**გ უ რ გ ე ნ ი: ახლა წუწუნი არ გვიშველის, როგორმე გაზოვასწოროთ საქმე** და საყვედური მერე ვუთხრათ ერთმანეთს.

რ ა ფ ი ე ლ ი: თუ ეს ცარიელ დაპირებად არ დარჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ უ რ გ ე ნ ი: დღეს ერთი ახალგაზრდა ინჟინერი ქალი მოვიდა მშენებლობაზე, სჩანს ყოჩაღი მომუშავე იქნება, ეგებ ის გამოგადგეს.

რ ა ფ ი ე ლ ი: რა უნდა გააკეთოს უმუშახელოდ? დღეს გავიგე ამ გასაჭირში კიდევ რამდენიმე მუშა დაგკლებია, ზოგი ავადმყოფობით არ მოვიდა და ზოგიც ცუღლუტობით.

გ უ რ გ ე ნ ი: ის მუშა-ხელის შოვნაშიდაც იჩენს რაღაც უნარს. აქვს კავშირი სოფლებთან ზოგსაც მე დაგიმატებ, სულ რომ ვინმეს დავაკლო.

რ ა ფ ი ე ლ ი: არ ვიცი, შენი იმედი მაქვს, გურგენ!

გ უ რ გ ე ნ ი: ახლა უნდა მოველაპარაკო და თუ საბოლოოდ დავრწმუნდი იმათ უნარიანობაში, დღესვე ჩაგაბარებ.

(გურგენი და დათა მიდიან)

რ ა ფ ი ე ლ ი: გახსოვს, გოდერძი, როგორ ვნატრობდით ჯერ გაპარჯვებას მერე ჩვენ საკუთარ საქმეებზე დაბრუნებას, დღეს ხომ აგვისრულდა ნატვრა, მაგრამ ასე ყოფილა კაცი. ყოველ პირობებში სავსეა ახალი მღელვარებით და ზრუნვით.

გ ო დ ე რ ძ ი: ის დღე თუ გახსოვს, როდესაც მარიგებდი, სანამ ფრონტზე ვალს ვიხდით, სხვა გრძნობა, რა ძვირფასიც არ უნდა იყოს, ჩვენთვის ჩავკიროთ გულში უკეთეს დროზდეო.

რ ა ფ ი ე ლ ი: ახლაც ხომ დატვირთული ვართ საზრუნავით, მაგრამ რასაკვირველია აქ ვერ გირჩევდი ისე დიდი ვნება გულში ჩაგეხშო. მაინც, როგორ გათავდა შენი ამბავი იმ ქალთან?

გ ო დ ე რ ძ ი: მხოლოდ ამ წუთში გავიგე შენთან ერთად.

რ ა ფ ი ე ლ ი: როგორ?

გ ო დ ე რ ძ ი: დღეს გავიგე, რომ ის ძველი მუშა დათა, რომელიც ახლა აქ იყო, მისი მამა ყოფილა და აკი შენ გასაგონად ვკითხე და მიპასუხა, ქალაქშიაო. ამის მეტი არაფერი არ ვიცი.. ჰო, ერთი კიდევ საეჭვო სიტყვა გავიგონე.

რ ა ფ ი ე ლ ი: რა სიტყვა?

გ ო დ ე რ ძ ი: არ ღირს, საეჭვოა.. ჰო, ახლა ეს მითხარი შენი ოჯახის საქმე როგორ აწყობ?

რ ა ფ ი ე ლ ი: დარეჯანი ჩამოსულა და მარტო კანონითაა დაკავშირებული, ისევ უხერხულად გრძნობს—შემეყაროს.

გ ო დ ე რ ძ ი: უნდა გათავდეს იმ დანაშაულით ქენჯნა.

რ ა ფ ი ე ლ ი: არ ვიცი, ის აწუხებს, თუ კიდევ სხვა რამე სჭირს. მე ზგონია რა წყლულითაც არ უნდა მოსულიყო, ვაპატიებდი, თუმცა: ესეც ითქმის, სიყვარული ზოგჯერ ბევრს გადაიტანს და მცირეზე ტყდება.

გ ო დ ე რ ძ ი: თითონ რისთვის არ შეეყარე?

რ ა ფ ი ე ლ ი: არ მომეკარა. მე კი მეშინია მიძალებით მეტი უფსკრული არ ზოითხაროს ჩვენ შორის. ბოლოს შევუთვალე, გაყრას ხომ არ მოითხოვს. მან პასუხად შემოთვალა, რომ ამის გადაწყვეტას მომავალს ანდობს. საჭიროდ არ სთვლის აჩქარებას.

(შემოდის მდივანი)

მ დ ი ვ ა ნ ი: ამხანაგო გოდერძი, მეზობელ სოფლებიდან რჩეული ახალგაზრდების ჯგუფი მოვიდა მშენებლობაზე სამუშაოდ. ზათ მოსვლას ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო გვიან ვვარაუდობდით, ჯერ არც სამუშაო გამოგვიყვია მათთვის და არც ბინები მოგვიმზადებია.

გ ო დ ე რ ძ ი: რად არ ველოდით. ხომ თვითონ მოვიწვიეთ ეს ახალგაზრდები?

ქ დ ი ვ ა ნ ი: აგიტაცია ჯერ მხოლოდ დაიწყო და საკმაოდ დიდი ჯგუფი მოვიდა.

გ ო დ ე რ ძ ი: მოათავსეთ დროებით ბარაკებში, სანამ ახალი კორპუსის მშენებლობა დამთავრდებოდეს.

(შემოდიან გურგენი და დარეჯანი)

გ უ რ გ ე ნ ი: ეს ჩვენი ახალი თანამშრომელია; ამნანაგებო: მე მგონია კარგად იცნობთ ერთმანეთს... მაგრამ მე გაცნობთ ერთმანეთს როგორც თანამშრომლებს.

რ ა ფ ი ე ლ ი: დარეჯან!

გ უ რ გ ე ნ ი: ეს იმ საამქროს ხელმძღვანელია, რომლის შენობა თქვენ უნდა ააგოთ.

გ ო დ ე რ ძ ი: მოვალეობაც ამას ქვია.

მ დ ი ვ ა ნ ი: ყველას აღტაცებას გამჩნევთ. თქვენ იცით, რა მძიმე პირობებში ეკიდებით ამ საქმეს?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ამიტომ დიდ პატივად მიმაჩნია.

რ ა ფ ი ე ლ ი: მაშ თანახმა ხართ აქ იმუშაოთ, დარეჯან?

დ ა რ ჯ ა ნ ი: რა იქნება ამაზე სანატრელი გამოვიჩინოთ უნარი ერთმანეთის ხელისშესაწყობად და ამავე დროს ქვეყნის სასარგებლოდ.

(ფ ა რ დ ა)

## მოქმედება მეორე

### ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

ქარხნის მშენებლობის უფროსის კაბინეტი, კარგად მორთული, ახლადაგებულ შენობაში. მ დ ი ვ ა ნ ი დგას. დამლაგებლები აკრიალებენ და ასწორებენ ავეჯს. შემოდიან გ ო დ ე რ ძ ი დ ა რ ე ჯ ა ნ ი და 1-ლი და მე-2 მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე დამლაგებლები მიდიან.

ქ დ ი ვ ა ნ ი: გურგენი ამ წუთში გავიდა კაბინეტიდან და დაიბარა, რომ ის დარბაზში ისმენს მოხსენებას წყალსადენზე.

გ ო დ ე რ ძ ი: ო, მაგ მოხსენებას ვიცნობ.

მ დ ი ვ ა ნ ი: წყალსადენზე დათას მუშაობას იწონებენ.

გ ო დ ე რ ძ ი: წარმატებით მუშაობს, მართალია.

1-ლ ი მ ო ს ა მ: ჩვენს ბოკვლევას არ გაცნობილხარ, გოდერძი?

გ ო დ ე რ ძ ი: ამ მიდამოს გარე მშენებლობაზე?

მ ე-2 მ ო ს ა მ: დიახ!

გ ო დ ე რ ძ ი: კარგი. ამ საღამოს მოვიყაროთ თავი ჩემს კაბინეტში.

1-ლ ი მ ო ს ა მ: კეთილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე ისევ თქვენ უნდა მიშველოთ, გოდერძი.

(შემოდის რაფიელი)

კედლები მოთავებულია, ახლა სახურავზეა შეფერხება.

გ ო დ ე რ ძ ი: რა გაკლიათ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მუშა-ხელი უნდა მოგვიმატოთ.

გ ო დ ე რ ძ ი: ეს ახლა ძნელია.

რ ა ფ ი ე ლ ი: არ უნდა დაგვაბრკოლოთ, გოდერძი, ზოგიერთი საამქროები უკვე ამუშავდა. ამის გარდა რამდენიმე დღეში მივლინებული მუშები ჩამომივა გორკის ქარხნებიდან. მე ისინი ყუთებში ჩაწყობილ მანქანებზე ხომ არ უნდა დავაყენო?

გ ო დ ე რ ძ ი: არა უშავს. შენობას ბაინც ვადაზე ადრე გვაბარებს დარეჯანი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: რაფიელის დაპირებით შენობის დასამთავრებელი მასალა გუშინ უნდა მოემზადებინათ, მაგრამ დღესაც არაა.

რ ა ფ ი ე ლ ი: ამაზე ისევ გურგენს მივმართავ.

1-ლ ი ძ ო ს ა მ: მაშ საღამოს, ამხანაგო გოდერძი.

გ ო დ ე რ ძ ი: კარგი.

(მოსამსახურენი გადიან)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: თქვენ მოილაპარაკეთ, მე კი მანამ საწყობებში შევიარ, იქნებ რამე გამოვნახო.

(მიდის)

რ ა ფ ი ე ლ ი: მასალას მიშოვით, მაგრამ ოსტატების სიმცირეა, ეს ვიცი.

გ ო დ ე რ ძ ი: რაც გყავთ, როგორმე უფრო ნაყოფიერად ამუშავეთ.

რ ა ფ ი ე ლ ი: დარეჯანი მათ ხელმძღვანელობას არ აკლებს, რამდენადაც შეიძლება.

გ ო დ ე რ ძ ი: ჰო, ეს ქალი დიდ მხურვალებას იჩენს, მუდამ წითელ დაფაზეა გამოცხადებული. მაგრამ თქვენს შორის დამოკიდებულებაში ვერ ვხედავ წარმატებას.

რ ა ფ ი ე ლ ი: რა ვიცი, ჩვენ დაშორების დღიდან ალბათ იმდენი გადაგვხდა, რომ დიდად გამოვიცვალეთ და დღეს გვჭირდება ისევ დაახლოვება.

გ ო დ ე რ ძ ი: პირიქით, თქვენ იმ დაშორების წლებში ისე პატიოსნად მოიხადეთ სამშობლოს ვალი, რომ ასეთ დროებით დაშორებას კიდევ უფრო უნდა დაეკავშირებინეთ.

რ ა ფ ი ე ლ ი: ამ მშენებლობაზე მუშაობამაც ისე გაგვიტაცა, აქამდე მშვიდად დალაპარაკებას ვერ ვახერხებ. სულ რაღაცას უჩქარით ერთმანეთს, სულ ვფუსფუსებთ. კიდეც გვერიდება მუშაობაში ხელი არ შევუშალოთ ერთმანეთს.

გ ო დ ე რ ძ ი: ჩემთვის კი თქვენი მდგომარეობა სახარბიელოა.

რ ა ფ ი ე ლ ი: სახარბიელო? რათა?

გ ო დ ე რ ძ ი: რამდენიმე თავის წინათ თქვენ ამაზე ვერც იოცნებებდით, თქვენ დღეს ომიდან მთრთელად დაბრუნებულნი, გამარჯვებულ სამშობლოში ერთად გაბმულხართ უღელში და წარმატებით მუშაობთ ქვეყნისათვის. ჩემი სიყვარულის საგანი კი ამ ქვეყნის სინამდვილეში არ სჩანს, ის სიზმარივითაა. ამ ბოლოს ძლივს შევიტყვე, რომ ჯანმრთელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნებულა, მაგრამ ვუყვარვარ ან ვახსოვარ თუ არა, ეს საკითხია.. არ ვიცი, რამდენად გასაგებია შენთვის ჩემი სიტყვა, დარეჯანმა კი საკ-სებით გამიგო.

რ ა ფ ი ე ლ ი: როგორ, დარეჯანს შუშანას ამბავი მოუყევი?

გ ო დ ე რ ძ ი: ვუამბე და ძალიან იმოქმედა მასზე. ქალი ასეთ საკითხებში უფრო გულისხმიერია.

რ ა ფ ი ე ლ ი: მე კი დარეჯანი მხოლოდ „შენებლობაზე" მელაპარაკება და მაშინაც თითოეულ სიტყვას თითქოს ჩანგლით იღებს.

გ ო დ ე რ ძ ი: ეს ზოგჯერ მეტი გრძნობის ნიშანია.

რ ა ფ ი ე ლ ი: სამწუხაროდ იმ დანაშაულის ლანდი გვადუმებს, რომელიც ერთხელ ჩაიდინა მე „ინდა ვაპატიო, მაგრამ ის თითონ არ ივიწყებს.

გ ო დ ე რ ძ ი: თქვენ ჯიუტობთ უწამლავთ ერთმანეთს სიცოცხლეს. ეს ზოგჯერ სჭირს შეყვარებულებს და უფრო ხშირად კარგ პირობებში ემართებათ.

რ ა ფ ი ე ლ ი: მე აქ სულ უბრალო ვარ.

გ ო დ ე რ ძ ი: ახლა თქვენი უბედურებაც და ბედნიერებაც თქვენ ხელთ არის.

რ ა ფ ი ე ლ ი: მე მარტო ერაფერი შემიძლია... ჰო, გურგენმა დაიგვიანა, იქით „ივაკითხოთ.

(აპირებს წასვლას. შემოდის დარეჯანი)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მასალა აღმოვაჩინე, გოდერძი, მხოლოდ თქვენ დაგვეხმარეთ, რომ გადმოგვცენ.

გ ო დ ე რ ძ ი: კარგი. დაგვიცადე მე და გურგენიც ახლავე მოვალთ.

(გოდერძი მიდის)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: გორკის ქარხნებიდან როდის მოველით მუშებს?

რ ა ფ ი ე ლ ი: ჯერ არ გაგზავნილან?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე მგონია მათ ჩამოსვლამდე გავმართავთ შენობას და ზოგ მანქანასაც დავდგამთ.

რ ა ფ ი ე ლ ი: როგორმე უნდა მოვახერხოთ.

(შემოდის მდივანი)

იქ გურგენს ელოდება ვინმე?

მ დ ი ვ ა ნ ი: არა, იქ მხოლოდ დათას ქალიშვილია, ქალაქიდან ჩამოსული და თავის მამას ელოდება.

რ ა ფ ი ე ლ ი: როდის ჩამოსულა?

მ დ ი ვ ა ნ ი: აი ახლა.

რ ა ფ ი ე ლ ი: ნამდვილად ის არის?

მ დ ი ვ ა ნ ი: ალბათ. ტყუილს რად იტყვის?

რ ა ფ ი ე ლ ი: აქ შემოსასვლელ ოთახშია?

მ დ ი ვ ა ნ ი: დიახ. იქ ზის საკვოიაჟით.

რ ა ფ ი ე ლ ი: ოჰ, (აპირებს წასვლას) თუ დამაგვიანდეს, უჩემოდ მოილაპარაკეთ.

(მიდის)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: რად აფორიაქდა ასე უცბად. აქ საქმე მიატოვა.

მ დ ი ვ ა ნ ი: სიმართლე გითხრათ, მომხიბლავი სახის ქალიშვილია.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: იმ მიწის მბურავს ჰყავს ასეთი ქალიშვილი?

(შემოდის გურგენი და გოდერძი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ უ რ გ ე ნ ი: დარეჯან, თქვენ იშვიათად მოდიხართ ჩემთან თხოვნით, მაგრამ თუ მოითხოვეთ რამე, მერე თავის გაწბილება არ გიყვართ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: დიახ, თუ აუცილებელი საჭიროება არა მაქვს, არ მოვგაგონებთ.

გ უ რ გ ე ნ ი: მე და გოდერძი ამ აზრისა ვართ. ნაწილობრივ ჩვენ დაგაკმაყოფილებთ, დანარჩენს კი თქვენი მონდომება შეავსებს და ასე გაკეთდება საქმე.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ჩვენც აუცილებელს ვთხოულობთ.

გ უ რ გ ე ნ ი: ჩვენ აქამდე მაგ საამქროს დამთავრებას ასე არ ვჩქარობდით და დღეს ძალიან გიმადლით, რომ ვადაზე ადრე გვისრულებთ.

(შემოდიან დათა და არტემი)

მობრძანდით, დათა, კადრების უფროსთან არ ყოფილხართ?

დ ა თ ა: გახლდით, ბატონო, მაგრამ კარგ ოსტატებს ვერ იმეტებს ჩემთვის.

გ უ რ გ ე ნ ი: ვერ შეთანხმდით?

დ ა თ ა: ბოლოს მაინც მოვრიგდით. არა უშავს, ზოგიერთ მუშებს ჩვენ თითონ შევასწავლით და დავაწინაურებთ ოსტატებად.

გ უ რ გ ე ნ ი: ეს კარგი გამოსავალია.

დ ა თ ა: ახლა ერთი სათხოვარი გვაქვს მე და არტემს.

გ უ რ გ ე ნ ი: ალბათ საქველმოქმედო წინადადებაა, რადგან არტემი ურყევია.

დ ა თ ა: დიახ, თუ წინდაწინვე არ დამძრახავთ.

გ უ რ გ ე ნ ი: არ დაივიწყო, ჩემო დათა, რომ დღევანდელ სხდომაზე ყველამ მოვიწონეთ შენი ნამუშევარი და წყალსადენის მშენებლობის უფროსის თანაშემწედ დაგნიშნეთ. მე მგონია გარეშე საქმეებისათვის ვერ მოიცლი.

ა რ ტ ე მ ი: მე თითონ არ დავუშვებ, ამხანაგო გურგენ, თქვენი თანამშრომლების მოცდენას. კარგად მესმის, რომ თუ ჩვენი ნაშთები წარსულითაა საინტერესო, თქვენი მშენებლობა მომავლითაა ისტორიული მნიშვნელობის.

გ უ რ გ ე ნ ი: დათას დავალებული აქვს მალე მოაწოდოს კარგი. წყალი ჩვენს მშენებლობას.

დ ა თ ა: სწორედ ამაზე მოგახსენებთ, ბატონო.

გ უ რ გ ე ნ ი: ჰო, გისმენ.

დ ა თ ა: ჩვენ იქ წავაწყდით მრავალ საუკუნის წინათ გაყვანილ წყლის მილებს. იმ ნაშთებმა ადვილად მომანახვინა წყლის დიდი მარაგი. შემდეგ უნებურად გავყევ იმ ძველ წყალსადენის ნაშთებს. ის დიდი ოსტატობით მიდიოდა ზევით და მან შემიყვანა ციხე-დარბაზის ნანგრევებში.

გ უ რ გ ე ნ ი: შენ ქვეყანა შემოგივლია მუშად, ჩემო დათა, და ახლა ხელობა გამოიცვალე?

დ ა თ ა: მართალია, მე სიცბუკის წლებში, რევოლუციამდე, ევროპა-ამერიკაში მიმუშავნია, იმ დროს ის ქვეყნები ჩვენზე წინ იყო ტექნიკით და ვფიქრობდი რომ ისინი მშრომელთა ხელით იყვნენ დაწინაურებული. ამიტომ მათი მუშებისაგან ვსწავლობდი მუშაობას და ბოლოს, როდესაც სამშობლოში ებრუნდებოდი, ეს ფიქრი მახარებდა, რომ მუშაობა ვისწავლე და სამუშაო იარაღი მომქონდა.

გ უ რ გ ე ნ ი: შენ აქ სამშობლოს ემსახურები და არა კერძო პირებს.

დ ა თ ა: დიახ. მეც ამით ვამაყობ. ახლა კი ჩვენი წინაპარი ოსტატების ნაშრომი ვნახე და ახლო მივიღე გულთან.

გ უ რ გ ე ნ ი: ეს გასაგებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა თ ა: ამისათვის გთხოვთ ნება გვიბოძოთ თავისუფალ საათებში, ვისაც ეს მოგვეხალისება, დავეხმაროთ არტემს იმ ნაშთების შემაგროვებელ მომავალ თაობებსაც შერჩეს ის სანახავად.

გ უ რ გ ე ნ ი: თავისუფალ დროს რითაც გაერთობით, თქვენი საქმეა. შეიძლება მე თითონ გავიღო საკუთარი წვლილი მაგ საქმეზე.

(შემოდიან რაფიელი და შუშანა)

რ ა ფ ი ე ლ ი: ეს ქალიშვილი, ამხანაგებო, თურმე მთელი დღე ტრიალებს ჩვენს მიდამოში და აღფრთოვანებულია ამ მშენებლობით.

დ ა თ ა: ჰო, მოსულხარ, ქალიშვილო!

შ უ შ ა ნ ა: დილით ჩამოვედი!

ა რ ტ ე მ ი: (ჩუმად) გოდერძი ხედავ, ცნობილობ?

გ ო დ ე რ ძ ი: ის არის...

ა რ ტ ე მ ი: შუშანა!

შ უ შ ა ნ ა: არტემ!

გ უ რ გ ე ნ ი: ეს ვინ არის?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: დათას ქალიშვილი უნდა იყოს.

შ უ შ ა ნ ა: რა სანატრელად მქონდა შენი ნახვა, როგორ ვნატრობდი შენ სადმე შეგხვედროდი.

ა რ ტ ე მ ი: რადგან შევხვდით, აწი არ დავიკარგებით.

რ ა ფ ი ე ლ ი: ხომ ხედავთ, რა სამხიარულოდ დაგირჩათ აქ შემოსვლა გაიცანით ეს ამ მშენებლობის უფროსია, გურგენი.

გ უ რ გ ე ნ ი: თქვენი ქალიშვილია, დათა?

დ ა თ ა: დიახ.

რ ა ფ ი ე ლ ი: გოდერძის არ იცნობთ?

შ უ შ ა ნ ა: ვერა... თუმცა, მგონი მეცნობილება.

გ უ რ გ ე ნ ი: ეს ამ მშენებლობის ერთერთი ხელმძღვანელია და სამამულო ომის გმირი.

შ უ შ ა ნ ა: აქაც ხომ სარბიელია გმირისათვის?

გ უ რ გ ე ნ ი: სად მუშაობს ეს ქალიშვილი, დათა?

დ ა თ ა: აქ მინდა იმუშავოს.

გ უ რ გ ე ნ ი: **რა დარგში?**

რ ა ფ ი ე ლ ი: ამას მე გეტყვით. საამქროები დავათვალიერებინე და ხის სახელოსნოში ინატრა მუშაობა.

გ უ რ გ ე ნ ი: **თქვენ იცით ეს საქმე?**

შ უ შ ა ნ ა: დიახ. ჩემთვის იქნება მორგებული.

დ ა თ ა: თავიდან ხელოვნება ენატრებოდა—ძერწავდა დ ხეზედაც მუშაობდა.

გ უ რ გ ე ნ ი: ეს ჯილდო სად მიიღეთ?

შ უ შ ა ნ ა: სამამულო ომში.

ა რ ტ ე მ ი: დაჭრილიც იყო.

გ ო დ ე რ ძ ი: რამდენჯერ დაიჭერით?

შ უ შ ა ნ ა: ერთხელ, ბატონო.

რ ა ფ ი ე ლ ი: (გოდერძის ცალკე) ამნაირად გახსოვდა?

გ ო დ ე რ ძ ი: პირველად მეუცხოვა. ახლა ვრწმუნდები, არ გამოცვლილა.

გ უ რ გ ე ნ ი: აქამდეც უნდა ჩამოგეყვანა, დათა, თუ არსად მსახურობდა.

დ ა თ ა: აქამდე საქმროს ელოდებოდა, მხოლოდ ახლა შეიტყო, რომ იგვიანებს და მომწერა, რომ დაიწყებს მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ა ფ ი ე ლ ი: ყავს საქმრო?

ღ ა თ ა: დიახ, დანიშნულია.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: (თავისთვის) როგორ ღელავს რაფიელი. ახლა ფერიც ეცვალა!

გ ურ გ ე ნ ი: მაშ თქვენ გინდათ აქ გაერთოთ საქმროს ჩამოსვლამდე?

შ უ შ ა ნ ა: არა, მე მსურს მუშაობის ნაყოფიც დავახვედრო, ამიტომ თავაუღებლივ ვიმუშავებ.

გ უ რ გ ე ნ ი: ეს კარგი მიზანია. აქ ქალებიდან მოწინავეთაგანია ეს ჩვენი დარეჯანი, მხოლოდ დღეს ჩემგან არ დარჩა კმაყოფილი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე მგონია მასალაზე მაინც არ გამაწბილებთ.

გ უ რ გ ე ნ ი: მუშა-ხელი რომ გაკლიათ, აითვისებთ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ჩემი მუშები გადაჭარბებით ასრულებენ სამუშაოს.

გ უ რ გ ე ნ ი: კარგი. მასალასთან ერთად რამდენიმე ოსტატსაც ჩაგაბარებთ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: გმადლობთ!

გ უ რ გ ე ნ ი: რაც მთავარია, იატაკი კარგად გაგიკეთებია, სადაც უმძიმესი მანქანები იდგმება.

შ უ შ ა ნ ა: არტემ, თქვენ აქ რჩებით?

ა რ ტ ე მ ი: არა, სამწუხაროდ ახლა მივალ. მამა თქვენს კი მალე შევხვდები.

დ ა თ ა: მაშ ხვალიდან, ჩემი ქალიშვილი აქ შეუდგება მუშაობას, მე კი იქ, მთაში!

(ფ ა რ დ ა)

## მოქმედება მესამე

### სურათი პირველი

სცენაზეა წყალსადენის სამუშაოთა ნაგებობა, წყლის მილები, მიწის საბურღავები და სხვა სამუშაო იარაღი. სცენის ბოლოში გათხრილია ძველი სამარხი, ამოღებულია ძველ ქვა-დაფები წარწერებით, სცენის იქით სჩანს ციხე-დარბაზის ნანგრევები, ხავსმოდებული ჩუქურთმებიანი სვეტები და კედლები სუროებში და ველურ ყვავილებში. სამარხის პირად არქეოლოგები. ცალკე დგანან გ ო დ ე რ ძ ი, რ ა ფ ი ე ლ ი, ა რ ტ ე მ ი და დ ა თ ა.

ა რ ტ ე მ ი: ამ მთას რომ მოაღწიეთ, შემდეგ საურმე გზაზე მანქანით არ უნდა გევლოთ.

დ ა თ ა: მანქანა დაზიანდა?

გ ო დ ე რ ძ ი: დიახ, ხევში გდია.

ა რ ტ ე მ ი: ჰო, რაფიელი არ მეუბნება, როგორ გადაყვა ის მანქანას. ალბათ არ სიამოვნებს გახსენება. თქვენ მითხარით, გოდერძი.

გ ო დ ე რ ძ ი: ყველა გადმოხტა, მხოლოდ შუშანა კაბით წამოედვა რკინის წვეტს, რაფიელმა ეს შენიშნა, გაანთავისუფლა და მოასწრო ქალის ნაპირზე გადმოსროლა, მაგრამ თითონ ამის გამო მანქანამ გადაიტანა, როდესაც მანქანის დამსხვრევის ხმა მოგვესმა, დარეჯანმა შუშანას მიაკივლა, რომ მან კაცი იმსხვერპლა და შუშანა სასოწარკვეთილებით კლდიდან ვარდებოდა, მაგრამ ვიღაცამ დააკავა. შემდეგ მოგვესმა რაფიელის ხმა და ვხედავ უფსკრულის პირას ხის ტოტებისთვის წაუტანებია ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა რ ტ ე მ ი: ბედნიერი შემთხვევაა.

გ ო დ ე რ ძ ი: ო, კინაღამ ძვირად დაგვიჯდა ამ კვირა დღით გამოსვლა.

დ ა თ ა: ამიტომაც ფერი არ ედვათ ქალებს, ალბათ კიდევ ვერ მოსულან ბოლომდე.

რ ა ფ ი ე ლ ი: არა, ამ სანახაობამ გადაავიწყათ მღელვარება. ახლა თქვენს ნამუშევარს ათვალიერებენ.

გ ო დ ე რ ძ ი: რაზე დაფიქრებულან ჩვენი არქეოლოგები? ჯერ არ შეიძლება მივუახლოვდეთ?

ა რ ტ ე მ ი: დიდი მნიშვნელობის სამარხი აღმოჩნდა. შიგ თვალის მომჭრელი ამბეია. აი, ნახავთ.

გ ო დ ე რ ძ ი: მანამდე კიდევ დავათვალიეროთ რამე.

დ ა თ ა: მაშ ახლა განახვებთ ამ კვირაში დაწყებულ მუშაობას.

(რაფიელი და დათა გადიან)

ა რ ტ ე მ ი: გატყობ მოუთმენლად მოელი რა პასუხს გადმოგცემ შუშანასაგან.

გ ო დ ე რ ძ ი: ჰო, მასთან ცალკე ლაპარაკობდი, ალბათ კითხე?

ა რ ტ ე მ ი: დიახ, ვუთხარი, რაც მის მამისგან გავიგე და ვკითხე საქმროს ვინაობა.

გ ო დ ე რ ძ ი: გაგიმხილა?

ა რ ტ ე მ ი: როგორ არა. აღმოჩნდა რომ შენ გთვლის საქმროდ... ის წერილი, რომელიც იმ დღეს შენგან გადავეცი, მთრთოლვარე ხელით ამოიღო და მაჩვენა, სასოებით ინახავს.

გ ო დ ე რ ძ ი: იმ დღეს, დაჭრილმა რომ გავუგზავნე?

ა რ ტ ე მ ი: ჰო, ვწუხვარ, რომ მამამისის ნათქვამი საეჭვოდ მივიღეთ. ალბათ ამისათვის არ გამოეცნობილე. ახლა შევატყვე, მკითხავდა, სადმე ხომ არ შემხვედრიხარ, ამიტომ უცბად მოვშორდი.

გ ო დ ე რ ძ ი: მეც შევნიშნე, რომ შენ უცბად წამოდი და ის დაღონებული იხედებოდა შენსკენ.

ა რ ტ ე მ ი: მე მას ახლა იმ განზრახვით მოვშორდი გოდერძი, რომ შენ მიგიყვანო მასთან და გაგაცნო.

გ ო დ ე რ ძ ი:—ახლა?

ა რ ტ ე მ ი: ჰო, ეს იქნება მშვენიერი დასასრული იმ ლაპარაკისა, რომელიც მე მასთან მქონდა.

გ ო დ ე რ ძ ი: არა. ეს პირველ შეხვედრისას რომ მომხდარიყო, კარგი იყო, ახლა კი... ის არაერთხელ შემხვდა საქმეში, სხვა ადამიანად მიცნობს...

ა რ ტ ე მ ი: მერე?

გ ო დ ე რ ძ ი: შეიძლება კიდეც ეწყინოს, რომ ის მე ვარ, მაშინ არ ვიცი, რა მოხდება?

ა რ ტ ე მ ი: ვერ გავიგე, რას მეუბნები. მივიდეთ.

გ ო დ ე რ ძ ი: არა. ყველაფერს ვერ გეტყვი. მან ერთხელაც არ შემომხედა მადლიანად. უბრალოდ თბილადაც კი არ უპასუხებს ჩემს ყურადღებას. მე კი ის მიყვარს.

ა რ ტ ე მ ი: კაცო, შენ ჩემს თვალწინ კლდეებს შებრძოლებიხარ, გმირად გიცნობ და ნუ თუ სიყვარული ასეთი საშინელებაა.

გ ო დ ე რ ძ ი: ყველაფერს თავის ადგილი აქვს.

ა რ ტ ე მ ი: მაშ რას აპირებ?

გ ო დ ე რ ძ ი: ვეცდები ჯერ თანაგრძნობა მოვიპოვო მისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა რ ტ ე მ ი: როგორდა, როდესაც შენივე ჩრდილი გეღობება?

გ ო დ ე რ ძ ი: ჩემს აჩრდილს უნდა ვაჯობო.

ა რ ტ ე მ ი: არა, ის სჩანს შენს პირობას მტკიცედ ინახავს. არაფერი ეჭვო ეჭვო არა გაქვს. მიდი და გამოეცანი. სხვა კაცის სახით რომ დაუწყო გაცნობა, ეგებ ისე შეაძულო თავი, რომ წარსულმაც ველარ გიშველოს.

გ ო დ ე რ ძ ი: ბრძოლის ველზე თუ დავიპყარი მისი თანაგრძნობა, მშვიდობიან შრომაში მეორედ მოვიპოვებ, უფრო მტკიცე სიყვარული იქნება.

ა რ ტ ე მ ი: შენ გატყობ სულ იბნევი. ბრძოლის ველზე რომ ვერ გამოეცანი ეს მესმის. ამის ადგილი იქ არ იყო. პირველ შეხვედრაზეც ეჭვმა შეგაჩერა. მეც უხერხულობას ვგრძნობ, პირში სიტყვა არ დავანებე, ისე მოვშორდი ამ განზრახვით, რომ შენ მიგიყვანო. ახლა არ ვიცი რა სახით მივბრუნდე.

გ ო დ ე რ ძ ი: მოიმიზეზე რამე, ეს არაფერია.

ა რ ტ ე მ ი: ვთქვათ არაფერია... მაგრამ შენ მაინც ნუ გადადებ.

გ ო დ ე რ ძ ი: უფრო კარგად გავიცნობ. დავაკვირდები როგორც ადამიანს და მშრომელს, ჩემს თავსაც გავაცნობ, არ მინდა ჩვენი სიყვარული დაემყაროს მარტო იმ შემთხვევას.

ა რ ტ ე მ ი: მაშ, ერთს გირჩევ. მასეთ საკითხებში მენდე, რომ მალამო ვარ. თუ მისი გაგება გინდა, მარტო შრომაში და შენთან გარეგან მოქცევაში ვერ გაიგებ. როცა სხვა ცეცხლი აქვს. მის გასაგებად შიგ გულში უნდა დააყურო, რა დუღილი აქვს, მისწერე წერილი, მე ვეტყვი, თითქოს შენგან გუშინ მივიღე და ამისათვის მოვშორდი უცბად, რომ პორტფელიდან ამომეღო და მიმეტანა. მისწერე, რომ... ერთი სიტყვით, რასაც გული გეუბნება, მისწერე და მე მისგან პასუხს გადმოგცემ. მე ვფიქრობ, მისი წერილიდან უფრო კარგად გაიგებ მას და უფრო გაბედულად იმოქმედებ.

გ ო დ ე რ ძ ი: ო, შენ სწორედ მორგებული გასაღები მონახე. წამოდი, ახლავე დავწერ წერილს, მხოლოდ პასუხი... ოღონდ, იცი, უსათუოდ—მოაწერინე. მე მგონი მის მთელ სულსა და გულს დავინახავ.

(გოდერძი და არტემი მიდიან შემოდიან შუშანა და დარეჯანი)

შ უ შ ა ნ ა: როგორ გადავრჩით დღეს, დარეჯან... და რა გადაგვხდა მაშინ, როდესაც უფსკრულში რაფიელი გადაიტანა მანქანამ, რა მძიმე გასახსენებელია. ისე ვგრძნობ, თითქოს მკვდრეთით აღდგა რაფიელი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: დიახ. დაუვიწყარი დღეა, იმიტომ, რომ პირადად თქვენთვის რაინდულად გასწირა თავი.

შ უ შ ა ნ ა: როგორ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: თქვენი კაბა რკინას წამოედვა და იმ დროს, როდესაც მანქანა უფსკრულზე ვარდებოდა, გამოხსნა და ნაპირზე გადმოგისროლათ, თითონ კი ამასობაში უფსკრულზე დაქანდა.

შ უ შ ა ნ ა: არა, მე ის კი არ მახარებს, რომ მან გაიშეტა თავი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: კიდევ ამით შეგიძლიათ იამაყოთ, რომ თქვენ თითონაც გადაწყვიტეთ თავის მოკვლა და მგზავრებმა დაგიჭირეს უფსკრულის პირად. ერთი სიტყვით, რაფიელმაც და თქვენც ერთმანეთისათვის თავისდადება დაამტკიცეთ.

შ უ შ ა ნ ა: რადა გაქვთ ასეთი კილო?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე ვამბობ იმას, რაც მოხდა.

შ უ შ ა ნ ა: რაც იყო, კარგად დასრულდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: არა, მე ბოლოს დამამშვიდა ამ სანახაობამ.

შ უ შ ა ნ ა: მაშ, რაც გადაგვხდა, დავივიწყოთ.

(მოისმის ხმაურობა და შორეული ხმები. შემოდიან რაფიელი, არტემი და გოდერძი)

გ ო დ ე რ ძ ი: ჩვენს ობიექტს ხალხით დატვირთული მანქანები მოადგა.

შ უ შ ა ნ ა: ვინ არიან?

რ ა ფ ი ე ლ ი: ჩვენი მშენებლობიდან იქნებიან: ზოგიერთებს კიდევ უნდოდათ წამოსვლა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ო, უსათუოდ ჩვენები იქნებიან. ბევრს დაწყდა გული, ვგრძნობდი, რომ ისინი დაგვედევნებოდნენ.

რ ა ფ ი ე ლ ი: ხელს გვიქნევენ, მივეგებოთ.

(გოდერძი, რაფიელი და დარეჯანი მიდიან)

ა რ ტ ე მ ი: (ცალკე შუშანასთან) ჩვენ განვაგრძოთ ჩვენი ლაპარაკი, შუშანა, იცით რაზე მოგშორდით ასე უცბად?

შ უ შ ა ნ ა: ჰო.

ა რ ტ ე მ ი: ეს წერილი მან გამოგიგზავნა.

შ უ შ ა ნ ა: ვინ?

ა რ ტ ე მ ი: ვისი პირველი წერილიც ხელში გაქვს.

შ უ შ ა ნ ა: (დახედავს წერილს) ო, რა სთქვი, ვისგანაა? როდის გადმოგცა?

ა რ ტ ე მ ი: ამ დღეებში. მხოლოდ ჯერ უნდა გამეგო, ხართ თუ არა მისი პირობის ერთგული. თქვენმა პასუხმა დამარწმუნა, ეს წერილი ამომეღო პორტფელიდან და მომეტანა.

შ უ შ ა ნ ა: გმადლობთ. არა თუ გმადლობთ. არ ვიცი ეს როგორ გამოვთქვა.

ა რ ტ ე მ ი: იმედი მაქვს თქვენგან დაწერილ პასუხს გადავცემ.

შ უ შ ა ნ ა: მერე თითონ სად არის?

ა რ ტ ე მ ი: სადაც არ უნდა იყოს, თქვენი გულის მიმზიდველობის არეში რჩება.

(შემოდიან დარეჯანი, დათა, რაფიელი და 1-ლი და მე-2 მოსამსახურე)

1-ლ ი მ ო ს ა მ.: დღეს გორკიდან ჩვენი ჭაბუკები ჩამოვიდნენ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ალბათ ნაწილი ჩამოვიდა.

მ ე-2 მ ო ს ა მ: არა ყველანი გვეახლნენ. თქვენ კი ერთი საათით გამოასწარით.

1-ლ ი მ ო ს ა მ.: დიდი ზეიმია ჩვენს უბანში.

(შემოდის გოდერძი და ხის საამქროს უფროსი)

დ ა თ ა: ო, შენი საამქროს უფროსიც ამოსულა, შუშანა.

გ ო დ ე რ ძ ი: გორკიდან ჩამოსული რამდენიმე მუშა აქაც ამოჰყვა ამხანაგებს, ვარაუდობენ, რომ თქვენთან დაინიშნებიან, დათა, შეხვდით და გაეცანით.

დ ა თ ა: ძალიან სანატრელი სტუმრები მომსვლია.

(მიდის)

ხ ი ს ს ა ა მ ქ რ ო ს უ ფ რ ო ს ი: რაფიელიც აქ არის? ახლა მუშა-ხელზე წუწუნს შეანელებ.

რ ა ფ ი ე ლ ი: არც შენ იყავი მშვიდად.

ხ ი ს ს ა ა მ ქ რ ო ს უ ფ რ ო ს ი: ხის საამქროში ოცი კაცი შეგვემატება, შენ კი, რაფიელ, ას კაცს მიიღებ შენს დიდ საამქროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ა ფ ი ე ლ ი: ბედი მომივიდა, რომ საამქრო გამართული მაქვს, თორემ მაგ ბიჭებს სხვები დაირიგებდნენ.

გ ო დ ე რ ძ ი: დარეჯანის ბეჯითობას ვუმადლოთ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ჯერ ხომ კიდევ აკლია.

გ ო დ ე რ ძ ი: ნუ გეშინია. ახლა მანქანების დადგმაზეა ჯერი.

რ ა ფ ი ე ლ ი: ჰო, მართლა ხის საამქროში არ შეანელოთ ჩემს შეკვეთაზე მუშაობა. ხომ იცით, რომ უთქვენოდ ზოგი მანქანის დადგმა მიბრკოლდება.

ხ ი ს ს ა ა მ ქ რ ო ს შ უ შ ა ნ ა ს ბრიგადის იმედი მაქვს, ჯერ მეშინოდა, მაგ-
უ ფ რ ო ს ი: რამ ახლა ვხედავ, წარმატებით კეთდება.

შ უ შ ა ნ ა: რა ვიცი, მე ჯერ თქვენი მოწონება მამხნევებს.

გ ო დ ე რ ძ ი: არა უშავს, გუშინ აკი მე თითონ დავათვალიერე თქვენი ნამუშევარი.

შ უ შ ა ნ ა: ჰო, ახლა ვატყობ, რომ შევძლებ. თქვენ რომ ბოლოს ხელსაწყო იარაღი მიშოვეთ, მერე უფრო გამიადვილდა.

გ ო დ ე რ ძ ი: მე მგონია იარაღი იმდენად არ გიშლიდათ ხელს, რამდენად გაბედულება გაკლდათ.

შ უ შ ა ნ ა: დიახ, გაუბედავ კაცს მეტი ძალა ეხარჯება და ნაყოფსაც ვერ იღებს.

გ ო დ ე რ ძ ი: ჩვენ გირჩევთ, შუშანა, ეს გამბედაობა არა მარტო მუშაობაში, ჩვენთან დამოკიდებულებაში გამოიჩინოთ და რაც გჭირდებათ, ყველაფერი დროზე გაგვაგებინოთ.

შ უ შ ა ნ ა: გმადლობთ, პატივცემულო გოდერძი. თქვენ, საერთოდ ყველასთან გულისხმიერი ხართ, კერძოდ ჩვენს ბრიგადაზე კი იმდენი ზრუნვა გაქვთ გაწეული, რომ ვერ გაგვიმართლებია ჩვენი ნამუშევარით.

რ ა ფ ი ე ლ ი: ჩვენ ადამიანებს ვაფასებთ არა მარტო ნაყოფით, კეთილი მისწრაფებითაც.

შ უ შ ა ნ ა: კეთილ სურვილებს ზოგნი ტყუილადვე იჩემებენ, ძვირფასო რაფიელ, ამიტომ მართალი ადამიანები შიშობენ, მატყუარებში არ გაურიონ და მორიდებული არიან, სანამ ნაყოფს არ წარმოადგენენ. მთელი ჩემი ნატვრა ახლა ესაა, როგორმე თქვენი შეკვეთა ბრიგადას წარმატებით დავასრულებინო და იმედი გავამართლო.

გ ო დ ე რ ძ ი: სწორად მოგიგო, რაფიელ! შენ კი მცდარი აზრი გამოთქვი. ჩვენ კეთილ მისწრაფებებს მხოლოდ საქმით ვცნობილობთ, მუშას სინდისიერად ვთვლით, როდესაც ვადაზე ადრე ასრულებს სამუშაოს. ჩვენ დროზე თუ არ დავასრულეთ და კარგად არ ავამუშავეთ ქარხანა, სახსენებელიც არ ვიქნებით ჩვენი კეთილი მისწრაფებებით.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: არა, ძვირფასო გოდერძი, რაფიელს ტყუილად კიცხავთ, ის თითონაც მაგ აზრისაა, მხოლოდ შუშანას ხათრით სთქვა ისეთი სიმსუბუქე. საერთოდ მას შუშანასთან მეგობრობა მეტად აბრუებს. ჩემთან კი სიფხიზლე არ ღალატობს, მაგალითად, როდესაც მივუხვდი და ისე გავაკეთე რაღაც შენობაში როგორც მას გულის სილრმეში სწადდა, ამისათვის მუშებსაც და ჩემს თავსაც ზედმეტი ჯაფა დავაყენე, არ მოისვენა, სანამ ჩემზე საყვედური არ გამოაცხადებინა მშენებლობის წესის დარღვევისათვის.

რ ა ფ ი ე ლ ი: დარეჯანს კარგად ესმის, რომ დღეს ჩვენი მოვალეობა უფრო დიდია, ვიდრე ჩვენი ურთიერთობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ამიტომაც არ გამკვირვებია ის ამბავი და მე თითონაც არ ვიჩენ საქმეში შენთან რაიმე სირბილეს.

გ ო დ ე რ ძ ი: არც საჭიროა ამაზე ლაპარაკი, დარეჯან. ჩვენ აქ თანაბ-ლით დაძაბული ვართ საქმეზე და ერთმანეთისგან მოვითხოვთ თანა-მშრომლობას და არა ხათრს და ლმობიერებას აქ უადგილოა იმის გა-მოტანა, თუ როგორ მიიღეთ საყვედური.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ეს თქვენი სიტყვის დასამოწმებლად მოვიგონე. მე საყვე-დურის ღირსად მცნო რაფიელმაც; თუმცა კარგად სცნობდა ჩემს კეთილ მისწრაფებას და ნაყოფიც მოსწონდა. აქ კი ამბობდა, თითქოს შუშანას პატივსაცემად მარტო მისი მისწრაფება კმაროდეს.

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი: მობრძანდით ამხანაგებო შეგიძლიათ დახედოთ ამ სამარხს

(შემოდიან დათა, მოსამსახურენი მუშები. შუშანა განზე გაიწევს და წერილში იყურება)

ა რ ტ ე მ ი: მაშ, წაიკითხე ეგ წერილი და შემდეგ შემოგვიერთდი.

(შუშანა მიდის)

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი: ეს ქრისტიანობაზე ადრინდელ ხანას ეკუთვნის.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: რა მშვენიერი ნივთებია.

1-ლ ი მ ო ს ა მ ს.: როგორი თლილი ქვებია, რა უცხო ხელოვნებაა.

გ ო დ ე რ ძ ი: სულ სხვანაირი.

1-ლ ი მ ო ს ა მ.: არ შეიძლება გავიგოთ ეს რომელ საუკუნეს ეკუთვნის?

მ ე-2 მ ო ს ა მ.: გაჩუმდი, ხომ ხედავ არ გიპასუხებენ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე მინდოდა გამეგო, შეიძლება თუ არა, რომ ეს მედეას მა-მის ერთერთი საფლავი იყოს?

ა რ ქ ე ო ლ ო გ ი: თუ შეიძლება, არტემ, დაიხმარე მუშები და ეს მძიმე ქვა-დაფები აქეთ გადმოიტანეთ, ვეცდებით როგორმე ეს უძველესი წარწე-რები წავიკითხოთ და შემდეგ უფრო ადვილად გაგცემთ პასუხს კითხვებ-ზე, რაც ასე გაინტერესებთ.

(მუშებს მიაქვთ ქვადაფები. არქეოლოგები მიდიან)

ა რ ტ ე მ ი: აი, ახლა როდესაც არქეოლოგები წავიდნენ, მე როგორც თქვენი მეგობარი, ყველაფერს დაგათვალიერებინებთ.

(შემოდის შუშანა)

რ ა ფ ი ე ლ ი: შუშანა, სადა ხარ, მოდი... შენ ხედავ, აკვირდები?

შ უ შ ა ნ ა: მე ვხედავ ბეჭედს და შიგ მიწას, ის მიწა ალბათ ერთდროს თი-თი იყო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ვინ იცის ეს თითი რისი შემძლე იყო.

შ უ შ ა ნ ა: ჰო, შეიძლება ზოგი ადამიანი მხეცად სცხოვრობდა, მაგრამ საფ-ლავიდან ყველა კაცი მოსჩანს ადამიანად.

ა რ ტ ე მ ი: პოვნილი ნივთები ადასტურებენ, რომ ეს მეფე თავის ქამს გა-ღმერთებული იქნებოდა და პირველ ხანში, ალბათ ამის საფლავს თაყ-ვანსა სცემდნენ, ამიტომ ეს საფლავი შეგინებული იქნებოდა ადრინდე-ლი ქრისტიანობის მიერ და მეფის სახელიც მივიწყებული.

რ ა ფ ი ე ლ ი: დიახ, ქრისტიანებმა გამოაცხადეს, რომ მათვან იწყება ახალი ადამიანი.

გ ო დ ე რ ძ ი: მაგრამ ამ საფლავის შემდეგი თაობები მხოლოდ ურმის სი-სწრაფით მორბოდნენ. ჩვენ კი დღეს ჩვენს ქარხნებში მუშაობით მეოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედი საუკუნის განმავლობაში უფრო ეშორდებით ძველ ცხოვრებას, ვიდრე ისინი მრავალ საუკუნეებით შორდებოდნენ.

რაფიელი: ჩვენ შრომით ფოლადის ფრთებს ვისხამთ.

დარეჯანი: ჩვენ ვაკეთებთ ცეცხლით მსუნთქავ ხარებს და მით ვხნავთ საკოლმეურნეო ყანებს.

შუშანა: ჩვენ შრომით ვიჯავშნებით აყვავებულ სამშობლოს დასაცავად, დიდი ბელადის თაობა ვართ.

გოდერძი: შენ რას გვეტყვი, დათა?

დათა: მე ვხედავ ყველანი ალერსით უყურებთ ამ ნაშთებს. მე თითონ აქ თავისუფალ საათებში ეს ნანგრევები შემიმაგრებია. ამ საქმეში ჩვენი ქარხნის სხვა მუშებიც მეხმარებოდნენ. სხვის მაგივრ არაფერს გეტყვით, მე კი ამ ნაშთებს პატივს ვცემ, როგორც ადამიანის შრომის ნიშნებს. აი, დააკვირდით ამ უძველეს საფლავს: აქ შესანიშნავი სამკაულები და ჭურჭელი რომ არ გვეპოვა, ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდით, რომ ეს შავი მიწა მეფე იყო. მეფე გამქრალა, მაგრამ მისი ოსტატების ნაშრომი დარჩენილა და დღეს იმ მეფის წარსულში არსებობას გვეუბნება არა მისი მეხოტბე, არამედ ხელოსნების ნაშრომი. თქვენ დააკვირდით მშვენიერად გამოძერწილ კერპებს. გაჰქრა რწმენა ღმერთებისა, რომელსაც ეს ნაძერწი გამოხატავს. მოიშალა თაყვანისცემა იმ ტაძრისა, რომლის ქვაკუთხედიც აქა ძევს, მაგრამ დარჩა ნახელოვნები მუშა-ოსტატისა, რომელთა ნაშრომი ჩვენთვის ისევ წმინდაა, სადიდებელი... ალბად, პირველადაც ეს ნაოსტატები იყო მთავარი ჩამგონებელი ძალა კერპის სიწმინდისა. მე მსმენია, ჟამთააღმწერლების თქმები ჩვენი წინაპართა ბრძოლების შესახებ, გმირთა მიერ დანთხეული სისხლი ფასს დებს სამშობლო მიწას... მაგრამ ეს მიწა კიდევ მითაა სათაყვანო, რომ წინაპართა შრომის ოფლითაა მორწყული. ჩვენ ისეთ ხანაში ვართ, როდესაც ქვეყანას შრომა აწინაურებს და აძლიერებს. ჩვენ ვერ ვიარსებებთ, თუ მშრომელი ერი არ ვიქნებით, ამიტომ პატივი ვცეთ ჩვენს წინაპართა შრომის ძეგლებს და ჩვენს ხანაშიც გამოვამჟღავნოთ შრომის უნარი.

არტემი: ეჰე, ჩვენმა არქეოლოგებმა ეტყობა მუშაობა დაამთავრეს.

(შემოდის არქეოლოგი)

არქეოლ.: ძვირფასო ამხანაგებო. ქვა-დაფების ამოკითხვა გადავდეთ და ამ სამარხის შესახებ გარკვეულად ჯერ ვერაფერს გეტყვით, მხოლოდ უდაოა, რომ ამ გათხრამ დიდი მნიშვნელობის მასალა მოგვცა. ძალიან მადლობელი ვართ ქარხნის მშენებლობის მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებმაც ყურადღება გამოიჩინეს სიძველეთა ძეგლებისადმი.

(არქეოლოგები და მუშები მიდიან)

დარეჯანი: მეგობრებო, რადგან ჩვენი ცნობისმოყვარეობა მეტად აღძრულია, ჩვენ თითონ გავუზიაროთ, თუ რამე მოსაზრებები გვაქვს, ერთმანეთს.

არტემი: პირადად მე ვერაფერს გეტყვით. თქვენ კი ალბათ გაქვთ, დარეჯან, რამე სათქმელი, მაგალითად, წელან შეეკითხეთ, რამდენად შესაძლოა, რომ ეს სამარხი მედეას მამის იყოსო გვითხარით, რა ნიშნებით აიღეთ ეჰეი, რომ ეს ასეთის სამარხია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე მხოლოდ მსურდა ამ საკითხზე მეცნიერები დაფიქრებულიყვნენ.

გ ო დ ე რ ძ ი: მე მგონია, ჩვენ უფრო დინჯ დამოკიდებულებას ვიჩენთ, თუ ნაკლებად ვიმსჯელებთ ჩვენთვის უცხო დარგში. დღეს ჩვენ საკმაოდ დატვირთული ვართ შთაბეჭდილებებით და უკვე შეგვიძლია მადლობა გადაუხადოთ ამხანაგ არტემს აქ მოწვევისათვის და დათას აქ გაწეული მუშაობისათვის.

(ყველანი ადგებიან წასვლას)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე დათას სიტყვაც მომეწონა.

1-ლ ი მ ო ს ა მ.: მით უფრო გვხვდება გულში დათას ნათქვამი, რომ დღეს შრომის გამოცდილებისათვის გაგზავნილი ამხანაგები დაგვიბრუნდენ ქალაქ გორკიდან.

ხ ი ს ს ა ა მ ქ რ ო ს ამხანგებო, ახლა ერთი ამბავი: ამ საღამოს ჩვენს უ ფ რ ო ს ი: კლუბში შეხვედრაა და ვისაც გსურთ, გორკის ქარხნებიდან დაბრუნებულებს შეხვდით. ისინი მალე დაიწყებენ თქვენს გვერდით მუშაობას.

1-ლ ი მ ო ს ა მ.: ძალიან კარგი. გამოცდილი მეზობელიც სასარგებლოა, არა თუ გვერდით მომუშავე.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ე, სამუშაო იმდენი იქნება ჩვენს ქარხანაში, მაგათი შემომატება იკმარებს?

გ ო დ ე რ ძ ი: ეს სწორია. ამისთვის განზრახული გვაქვს კიდევ დავარჩიოთ ჩვენს საამქროებში უნარიანი მომუშავეები და გავგზავნოთ გორკის, მოსკოვის და სხვა მოწინავე ქარხნებში გამოცდილების მისაღებად.

ხ ი ს ს ა ა მ ქ რ ო ს არ ჩავყვეთ აწი ამ ბილიკებს?

უ ფ რ ო ს ი:

რ ა ფ ი ე ლ ი: წავიდეთ.

გ ო დ ე რ ძ ი: მაშ, გამოვემშვიდობოთ, ამხანაგებო დათას, ვუსურვოთ წარმატებებით დაასრულოს საქმე და ადრე მოგვაწოდოს ამ მთის ცივი ნაკადი ქარხნებში.

რ ა ფ ი ე ლ ი: გამოვემშვიდობოთ იმ ძველ დარბაზებსა და ვუთხრათ, რაც მისთვის ზარალი მიუყენებია დრო და ჟამს, ჩვენ გადაჭარბებით აღვადგენთ ახალი მშენებლობის სახით.

(ნელნელა მიდიან შუშანა განმარტოვდება. იხედება წერილში)

გ ო დ ე რ ძ ი: (არტემს) რა მოწიწებით უპყრია ხელში ჩემი წერილი!

ა რ ტ ე მ ი: ნეტა რამდენჯერ წაიკითხავს?

გ ო დ ე რ ძ ი: ხშირად იხედება შიგ და ყოველთვის შენგან დაფარულად... თითქოს ირცხვენდა, არ შეგემჩნია.

(არტემი და გოდერძი მიდიან)

შ უ შ ა ნ ა: არტემ!

(შემოდის რაფიელი)

რ ა ფ ი ე ლ ი: რად ჩამორჩენილხარ? არ დავეშვათ ერთად ამ ბილიკებით?

შ უ შ ა ნ ა: არა, მე ცოტას დავიცდი, რაფიელ.

რ ა ფ ი ე ლ ი: რა მოგივიდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ უ შ ა ნ ა: არაფერი.

რ ა ფ ი ე ლ ი: რაღაც ფარულს სიხარულს გატყობ თვალებში.

შ უ შ ა ნ ა: ასე ძალიან მაკვირდებით?

რ ა ფ ი ე ლ ი: ჰო, თუმცა ეს შეგეფერებათ დღეს, სამაგალითოდ გადარჩით.

შ უ შ ა ნ ა: მაშ, თქვენ ორმაგ სასიხარულო გაქვთ. მეც მიხსენით და თითონაც გადარჩით.

რ ა ფ ი ე ლ ი: ახლა ადვილად ვლაპარაკობთ.

შ უ შ ა ნ ა: მართალია, რომ წარმოვიდგენ რა ჭირში იქნებოდა საბრალო მამაჩემი.

რ ა ფ ი ე ლ ი: მე ვფიქრობ, რომ კიდევ ერთი კაცი მასზე არა ნაკლებ შეძრწუნდებოდა.

შ უ შ ა ნ ა: ეს რა ქართულია? არა, ჩვენ არც ისე მოცლილი ვართ იმაზე ვიფიქროთ, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

რ ა ფ ი ე ლ ი: მაგალითად, რა გაქვთ ამაზე მეტად საფიქრელი?

შ უ შ ა ნ ა: სამუშაო.

რ ა ფ ი ე ლ ი: იქ საიმედოდ გაქვთ საქმე, მერწმუნეთ.

შ უ შ ა ნ ა: მე მაინც ვღელავ.

რ ა ფ ი ე ლ ი: რათა?

შ უ შ ა ნ ა: საქმროს ველოდები და მინდა ჩემი გაკეთებული დავანახვო.

რ ა ფ ი ე ლ ი: საქმროს? ო-ო. ახლა, შუშანა, ერთ რამეს გკითხავ. მე არ ვიცი, ვინ არის თქვენი საქმრო, მხოლოდ ერთხელ მითხარით, რომ ის ნამდვილი გმირია.

შ უ შ ა ნ ა: მაკმარეთ, რაც ვთქვი, მეტს ნუ მკითხავთ.

რ ა ფ ი ე ლ ი: კარგი. მაშ ახლა გოდერძიზე ვილაპარაკოთ. ის გმირია არა მარტო ფრონტზე, აქაც მშენებლობაზე.

შ უ შ ა ნ ა: მერე?

რ ა ფ ი ე ლ ი: მე ვატყობ, რომ თქვენ მოსწონხართ.

შ უ შ ა ნ ა: მეც პატივს ვცემ.

რ ა ფ ი ე ლ ი: შენ რომ სხვასთან არ იყო პირობით დაკავშირებული, მას უპასუხებდი თანაგრძნობით?

შ უ შ ა ნ ა: როგორ შეიძლება ასეთი შეკითხვა. ან და რად მეკითხებით?

რ ა ფ ი ე ლ ი: მე ეჭვი მაქვს, რომ მას მეტად მოსწონხართ.

შ უ შ ა ნ ა: თუ თქვენ ხუმრობთ, მე არ მეცინება. და თუ ნამდვილად ლაპარაკობთ, აქ ვერ დავრჩები.

რ ა ფ ი ე ლ ი: სად ვერ დარჩები?

შ უ შ ა ნ ა: აქ, ამ ქარხნის მშენებლობაზე.

(შემოდის არტემი)

ა რ ტ ე მ! (უახლოვდება) ერთი წუთით. (ცალკე გაიყვანს) მე მინდა პასუხი დავწერო და დაგიტოვოთ გადასაცემად სანამ გზატკეცილზე გავიდოდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოქმედება მეოთხე

### სურათი პირველი

რაფიელის საამქროში შესასვლელი ფართობი, რომლის იქით ფანჯრებიდან და ღია კარებიდან სჩანს დიდი საამქროს მანქანები და შენობის კედლები. ფანჯარასთან დგას ხისშემკეთებელი საამქროს უფროსი. საამქროდან გამოდიან ინჟინერი და დათა.

ხის საამქროს უფროსი: დათა, თქვენი ქალიშვილის ნამუშევარი არ დაათვალიერეთ?

დათა: დიახ, ვნახე. დაწყებისათვის კარგი ნიშანია.

ინჟინერი: კარგი იქნება, თუ სხვა შეკვეთებსაც ასე შეგვისრულებს თქვენი საამქრო. ასეთი რამის პირველად გაკეთება არა მარტო ბეჯითობაა, შემოქმედებაა...

ხის საამქროს უფროსი: ასეთი მუშაობა ჩაატარა შუშანამ, ახლა კი რატომღაც მოითხოვა მოსკოვის ქარხანაში მივლინება. როგორმე გადააფიქრებინე, დათა. ჯერ ისედაც უჭირს ჩემს საამქროს, მაგ კი საუკეთესო ბრიგადას ხელმძღვანელობს.

ინჟინერი: ეს ამბავი მეც მაწუხებს. რაფიელი მიყვება მივლინებულებს ხელმძღვანელად.

დათა: თქვენ რამდენი ხანია აქ მუშაობთ?

ინჟინერი: იმ დღიდან, რაც ქალაქ გორკიდან ჩამოვედი, აქ რაფიელის თანაშემწედ დამნიშნეს. მის გვერდით თავს მხნედ ვგრძნობდი, ახლა კი მეტი დაძაბვა დამჭირდება. სანამ ეს საამქრო სამუშაოდ დაიტვირთება, ის მეტი გამოცდილებით ჩამოვა, გაწვრთნილ ბიჭებსაც ჩამოიყვანს.

(შემოდის რაფიელი)

რაფიელი: დათა, თქვენ დღეს ჩამოდით საამქროდან?

დათა: დიახ. წყლის მილები მაქვს გადასაზიდი.

რაფიელი: იცით, რომ მოსკოვის ქარხნებში მიმყავს მუშები? შუშანამაც მოინდომა წამოსვლა.

დათა: დიახ.

ხის საამქროს უფროსი: სწორედ ამაზე ვლაპარაკობდით ახლა, როგორ დაჟინებით მოითხოვა.

რაფიელი: ურჩიეთ, დათა, ნუ ჩქარობს, ის სლავასაც კი შეხვეწნია.

დათა: სლავა ვინ არის?

რაფიელი: აი ის, აქეთ მოჰყავს გურგენს. საკავშირო ცენტრიდანაა მოვლინებული, მოკვლევას ჩაატარებს და, როგორც მცოდნე რჩევას მოგვცემს.

ინჟინერი: ამ საამქროში მოდის?

რაფიელი: ჰო. მოემზადეთ შესახვედრად. საამქროს გულდასმით დათვალიერებს.

(ინჟინერი მიდის. შემოდიან გურგენი და სლავა)

გურგენი: ჰო, ეს ჩვენი დამსახურებული მუშაა, რომელზედაც გეუბნებოდით. წყალსადენს ხელმძღვანელობს.

სლავა: მე ამის ქალიშვილი გავიცანი, არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო ბ ე ლ ი: დიახ. მის ნამუშევრებსაც განახვებთ საამქროში.

ს ლ ა ვ ა: ეჰ, სად შევხვდით, გურგენ, ბავშვობის მეგობრები.

რ ა ფ ი ე ლ ი: ბავშვობის საიდან?

ს ლ ა ვ ა: მამაჩემი რუსეთიდან იყო სამსახურში გამოგზავნილი, აქ მახლობელ ქალაქში. მე და გურგენი სკოლის ამხანაგები ვართ. აქაურობას ვცნობთ.

(შემოდის ჩქარი ნაბიჯით დარეჯანი)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: დედაჩემი და არსენი გეახლენ და შეპირებისამებრ ახალგაზრდები მოიყვანეს.

გ ო ბ ე ლ ი: მათ გოდერძი შეხვდებოდა.

ს ლ ა ვ ა: ეს რა ახალგაზრდობაა? თქვენი მომავალი მუშებია?

გ ო ბ ე ლ ი: დიახ. გვინდა ადგილობრივ მოსახლეობიდან შევქმნათ ამ ქარხნის მუშები. ეს ქალი კი გახლავთ ამ შენობის ტექნიკური მშენებელი.

(შემოდიან გოდერძი, არსენი და თებრონე)

გ ო დ ე რ ძ ი: დღეს სოფლებიდან ახალგაზრდების ჯგუფი მოვიდა და დავაბინავეთ. (თებრონესა და არსენზე) ესენი, ამხანაგო სლავა ჩვენი მშენებლობის მოამაგე მეზობლები არიან.

ს ლ ა ვ ა: სულითდაგულით მივესალმები. ეს ქარხანა ახალ შემოქმედების გზაზე დააყენებს გარშემო მოსახლეობას. როგორ იტყვით, ამხანაგო დათა, თქვენ ხომ ძველი მუშა ხართ?

დ ა თ ა: მე ვფიქრობ, ამ ქარხნის ფარგალში მოსულ მომუშავეს დიდი ღირსება უნდა ახლდეს. ჩვენს ახალ დროში მუშის სახე გამოჰხატავს სახეს ხალხისას და ის პატიოსანი უნდა იყოს.

თ ე ბ რ ო ნ ე: ეს ჩვენც გვესმის, ამიტომ მოვიყვანეთ დარჩეული ბიჭები.

ს ლ ა ვ ა: აქედან რაფიელსაც მიყავს სასწავლებლად ჭაბუკები, რომ შემდეგ თავი ისახელონ და სხვებიც გამოზარდონ.

გ ო ბ ე ლ ი: ამ მუშების მივლინებაში, ამხანაგებო, სლავამაც ძალიან შეგვიწყო ხელი. ამოდენა ხალხის გაგზავნა ადვილი საქმე არ იყო.

თ ე ბ რ ო ნ ე: რაფიელს მიჰყავს ხალხი მივლინებაში?

დ ა თ ა: დიახ.

თ ე ბ რ ო ნ ე: შენც მიდიხარ, დარეჯან?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: არა.

გ ო ბ ე ლ ი: როგორ არა, თქვენ სიაში არა ხართ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: არა. ჯერ აქ ვიმუშავებ.

ი ნ ჟ ი ნ ე რ ი: არ ნახავთ ჩვენს საამქროს? მობრძანდით.

(მიდიან ყველანი საამქროში. რჩებიან რაფიელი და გოდერძი)

გ ო დ ე რ ძ ი: რად ჩაფიქრდი. დარეჯანი რომ არ მიგყვება?

რ ა ფ ი ე ლ ი: ალბათ სულ დავშორდებით.

გ ო დ ე რ ძ ი: ის მაშინაც შეყოყმანდა, როდესაც მივლინება გამოუცხადეთ, კიდევ ვნახავ და მოველაპარაკები.

რ ა ფ ი ე ლ ი: შენ თითონ რას აპირებ შუშანასთან? მე მგონია ახლა დროა გაუმჟღავნო სულყველაფერი, თორემ ისე დაიკინა წასვლა, გადაიკარგება.

გ ო დ ე რ ძ ი: ეჰ. უცნაური არსებაა.

რ ა ფ ი ე ლ ი: არა. ჩვენ გვავიწყდება, რომ მათ ორივეს ბევრი უჩვეულო რამ გადაწყდათ. ჩვენ კი ვერ ვიჩენთ უნარს, ისინი საკუთარ ბაგეში ჩავაყენოთ. შეიძლება ერთი მიზეზი ისიცაა, რომ დაძაბულ მუშაობაში ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო დ ე რ ძ ი: თქვენს მიმართ ეს მართალია. შენ და დარეჯანს ერთი დაწყნარება-ღა გინდათ.

რ ა ფ ი ე ლ ი: შენ კი რამ გაგიტეხა გული? მისგან ხომ მოაბეზრა ოცნების მიღება?

გ ო დ ე რ ძ ი: იმ წერილიდან სჩანს ისეთი მაღალი წარმოდგენა აქვს ჩემზე, რომ მირჩევნია შორიდან ვკვებო მისი ოცნება წერილებით.

რ ა ფ ი ე ლ ი: ძალიან დაძაბუნებულხარ.

გ ო დ ე რ ძ ი: არ მცალია მღელვარებისათვის. შევურიგდები ბედს და ჩემთვის ვიმუშავებ.

რ ა ფ ი ე ლ ი: ამით ხომ ორივე ცარიელ ჯამზე გაატარებთ მთელ ცხოვრებას.

გ ო დ ე რ ძ ი: რას იზამ!

რ ა ფ ი ე ლ ი: არა, გაუეჟილს გატეხილი სჯობიაო, ნუ აყოვნებ.

გ ო დ ე რ ძ ი: შენ გგონია არა ვცადე, მაგრამ შევატყე, რომ შხამად იღებდა და ბოლომდე ვერ ვუთხარ, ნეტავ სულ არაფერი მეთქვა, იმ წერილის მიღების მერე ოცნებამ შეიპყრო და სულ მთლად შევჯავრდი.

რ ა ფ ი ე ლ ი: რავიცი, საქმეში ძალიან გულთბილად ხართ ერთმანეთთან.

გ ო დ ე რ ძ ი: მართალია. საქმეში თითქოს ვმეგობრობთ, მაგრამ საქმის გარეშე ეს სითბო მასთან ვერ დავამყარე, ზოგჯერ ცალკე ვხვდები, მაგრამ გრძნობაზე ლაპარაკს მაწყვეტინებს და ჩემს დუმილს მკაცრად ისმენს.

რ ა ფ ი ე ლ ი: ის მიელინებაში ვერ წამოვა და მერწმუ ́ ́ ́

წავიდეს... ჩემი ბედნიერებისათვის ამ მივლინებაში წასვლა საჭირო არაა. ქარხნისათვის კი არაფერი დაშავდება მეორე წყებაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ე ბ რ ო ნ ე: ერე ასე ადვილად თმობ შენს ბედს?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე მაცადინეობა იქ მომეთხოვება, სადაც ვალი მეხება. ძალად სიყვარულს კი ვერავის დავავალებ.

თ ე ბ რ ო ნ ე: ამდენი, შვილო, მეც მესმის, მაგრამ ჯერ კარგად გაიგე ჩვენი უბედურების მიზეზი. ეგებ ის ქალი ტყუილად გიმღვრევს წყალს და თავის შესაქცევად გლუპავს, ან ეგებ ეს კაცი დროებით გააბრუა. შენი უმეცრებით, შენს თავზე ხელებს ნუ დაიკრებ, შენს სიმართლეს მაგრად ჩასჭიდე ხელი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ეს მეც მჭონდა გადაწყვეტილი. წავუკითხავ მათ, რაც გულის ფიცარზე მიწერია.

(შემოდის რაფიელი)

რ ა ფ ი ე ლ ი: დარეჯან, რა მოსაზრებით რჩებით?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: არ მინდა ასე წაგყვეთ მივლინებაში.

რ ა ფ ი ე ლ ი: რა პირობას მოითხოვ? რაც შესაძლოა, ყველაფერზე მზადა ვარ. ოღონდ უშენოდ ნუ გამიშვებ.

თ ე ბ რ ო ნ ე: (ჩუმად დარეჯანს) ო, ხომ გეუბნებოდი, შვილო.

(შემოდის შუშანა)

შ უ შ ა ნ ა: მე თქვენთან ვარ, რაფიელ, ჩემი ნატკენი გულით.

რ ა ფ ი ე ლ ი: მე ხომ თქვენ დასაამებლად არაფერს არ დავიშურებ? რით გემსახუროთ შუშანა?

შ უ შ ა ნ ა: ახლა მთელი იმედები თქვენზე მაქვს. ჰო, დარეჯან, რაღაც მოწყენილი ხარ, თუმცა თქვენ ხშირადა ხართ დაფიქრებული ან დაძაბული.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მგონია მართლაც დაძაბულად ვუგდებ ყურს თქვენს ლაპარაკს.

შ უ შ ა ნ ა: თქვენ კიდევ არ იცით რამდენად საყვარელია ჩემთვის რაფიელი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე ვატყობ.

შ უ შ ა ნ ა: ჰო, თქვენ თურმე არ გინდათ მოსკოვში მივლინება. გამიკვირდა, არც მჯერა მე ვერ წარმომიდგენია ჩვენთან არ წამოხვალთ. ოო, ჩვენთანთქო იმიტომ ვამბობ, ფიქრადაც არ მინდა დავუშვა, რომ რაფიელს დავშორდები. ახლა მისთვის მოვედი, რომ ეს ეჭვი გამიქარწყლოთ. იცით, რამდენად ძნელია ჩემთვის თქვენი დაშორება?

რ ა ფ ი ე ლ ი: მესმის. მაგრამ თქვენი საამქროს უფროსი გადაჭრით უარზეა. ამბობს, რომ ძალიან რთული შეკვეთები აქვს. თქვენ კი საუკეთესო ჯვუფს ხელმძღვანელობთ.

შ უ შ ა ნ ა: მე სულ ერთი შეკვეთით ჯისახელე თავი და ისიც მხოლოდ თქვენი ერთგული ჩაგონებით გავაკეთე და აქედან დარწმუნდით, რა სასწაულს მოვახდენ იქ მივლინებაში, აქ კი, ალბათ სულ დავეშვები. არ გეხუმრებით, რაფიელ, უნდა წამიყვანოთ.

რ ა ფ ი ე ლ ი: კარგი, რაკი ასე მთხოვ არ შემიძლია ახლო არ მივიღო გულთან და ცალკე არ მოგელაპარაკოთ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: კარგი. მოილაპარაკეთ. ინებეთ. ინებეთ. მე ხელს არ შეგიშლით.

რ ა ფ ი ე ლ ი: თქვენ...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე ხომ არ მოვდივარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ უ შ ა ნ ა: რასაკვირველია, წამოვა დარეჯანიც. ბოლოს უარს ვერ გეტყვის.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: გესმის, დედა, ხედავ? შევიდეთ საამქროში.

თ ე ბ რ ო ნ ე: მაგ ქალი ან ქვეყნის დამაქცევარია, ან სულ საწყალია.

(თებრონე და დარეჯანი მიდიან)

რ ა ფ ი ე ლ ი: მითხარით, შუშანა, ასე რად მოგინდათ მივლინებაში წასვლა.

შ უ შ ა ნ ა: ვისწავლი. ხელობას გავიუმჯობესებ და ბევრ რამესაც ვნახავ. მერე იქ თქვენ მეყოლებით. მე ხომ ძმა არ მყავს და თქვენ გთვლით ძმის მაგიერ.

რ ა ფ ი ე ლ ი: საამქროს უფროსი საჭიროდ თვლის აქ დარჩეთ. ნუ მოიღრუბლვბით, ამას გარდა აქ მამა მარტოხელად გრჩებათ... გოდერძისაც ძალიან გული წყდება, რომ მიდიხართ.

შ უ შ ა ნ ა: გოდერძის?

რ ა ფ ი ე ლ ი: ჰო. თქვენ კი, მგონია, ის არც გახსოვთ.

შ უ შ ა ნ ა: თქვენ ჩემთან ერთი ახირება გჭირთ. მუდამ ცდილობთ გოდერძის თაყვანისცემა აღმიძრათ.

რ ა ფ ი ე ლ ი: მისი ამბავი თქვეც იცით, ახლო თანამშრომლობთ მასთან.

შ უ შ ა ნ ა: თანაც მის ფარულ გრძნობას მახვედრებთ. პირდაპირ არ მეუბნებით, მაგრამ მახვედრებთ და ეს უარესია. თქვენ კი იცით, რომ საქმრო მყავს.

რ ა ფ ი ე ლ ი: როცა ჩაგკითხეთ საქმროზე, დავრწმუნდი, რომ მას თითონაც თქვენ ბუნდოვანად იცნობთ.

შ უ შ ა ნ ა: ჩემსავით ძნელად ვინმე იცნობს თავის ტოლს. მან ნამდვილად დამანახვა თავის გმირობაც და სიყვარულიც.

რ ა ფ ი ე ლ ი: მე შენოვის მინდოდა ჩამეგონებინა გოდერძის პატივისცემა, რადგან მე მგონია სპეტაკი კაცის სიყვარული ყოველ ქალს ავალებს თუ თანაგრძნობას არა, რაიმე სათუთობას. შენ კი მასთან მკაცრი იყავი და გულგრილი.

შ უ შ ა ნ ა: არა. არც ასე იყო. აბაზე მინდა ახლა გითხრა.

რ ა ფ ი ე ლ ი: მაშ?

შ უ შ ა ნ ა: ნეტავ, მართლა გულგრილი ვყოფილიყავ, მაშინ შევძლებდი გარეგნულად უფრო თბილად მოვქცეულიყავ.

რ ა ფ ი ე ლ ი: როგორ?

შ უ შ ა ნ ა: გოდერძის მოპყრობა და მასზე თქვენი საუბარი ისეთ გამოძახილს იწვევდა ჩემს გულში, რომ ზოგჯერ დამნაშავედ ვთვლიდი თავს საქმროს წინაშე და ამიტომ ვიყავ გარეგნულად მკაცრი.

რ ა ფ ი ე ლ ი: მაშ, თანაუგრძნობდით გოდერძის? რა თავისებურია ზოგჯერ ქალი. მე კი ვერ წარმომედგინა, თუ თქვენ რამე შეგაერთებდათ.

შ უ შ ა ნ ა: არა. ჩვენი შეერთება რა საფიქრებელია. მე მხოლოდ მისი ერთგული ვარ, ვისაც ველოდები. ერთსაც გეტყვი, რაფიელ. ჩემი საქმროს და გოდერძის შორის მუდამ ვპოვებდი რაღაც მსგავსებას, რომელიც სასიამოდ მაღელვებდა და მახარებდა, და უნდა გამოგიტყდე, როგორ მტკიოდა გული, როცა მკაცრად ვექცეოდი.

რ ა ფ ი ე ლ ი: შენ სიხარულზე სიხარულს უმატებ.

შ უ შ ა ნ ა: არა, რაფიელ. შენ კიდევ გგონია საქმაროს ვუღალატებ. აი, მე ხელში წერილი მაქვს და მას ვწერ ამ ამბავს, თუ როგორ მოიქცევა და მხიბლავს მისი მსგავსებით აქ ეს ადამიანი. მას ვწერ, სინანულსაც ვუთვლი, რომ მან დაიგვიანა. მჯერა, რომ ის გამიგებს და მალე შემეყრება ეს წერილი უნდა გადავცე არტემს, ისაა ჩვენი მეკავშირე.

რ ა ფ ი ე ლ ი: შუშანა!

შ უ შ ა ნ ა: აი მე მთელი გული გადაგიშალე, რაფიელ. გენდეთ. ეს ყველაფერი მისთვის გითხარით, რომ გაგაგებინოთ, რატომ მივდივარ. მე გოდერძის ახლო ვერ დავრჩები. არ შემიძლია. მას ვუთანაგრძნო და გულიც არ მანებებს უფრო მკაცრად მოვექცე, აქედან წასვლის გარდა გამოსავალი არ მაქვს. შენც ხედავ ამას და იმედი მაქვს ხელს გამომიწვდი.

(შემოდის დარეჯანი. რაფიელი ვერ ამჩნევს)

რ ა ფ ი ე ლ ი: თქვენ კარგი გული გაქვს, შუშანა. ღირსი ხართ ბედნიერების და მე ვამზადებ თქვენთვის დიდ სიხარულს თქვენი სიყვარულის ღირსს.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ბოდიში.

რ ა ფ ი ე ლ ი: ა!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: იქ სლავა გიხმობს.

რ ა ფ ი ე ლ ი: სლავა?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ჰო. მანქანაა გასასინჯი.

(რაფიელი მიდის)

მგონი უხერხულ დროს შემოვედი, შუშანა, თუმცა ეს უკეთესია მით, რომ საბაბი მოგვეცა ერთმანეთს პირდაპირ დაველაპარაკოთ. თქვენ შეგიძლიათ იყოთ კეთილშობილი.

შ უ შ ა ნ ა: მე მგონი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ჩვენ მაინც კარგი ამხანაგები ვიყავით და ეს გვავალებს ასეთ დროს გულახდილნი ვიყვეთ.

შ უ შ ა ნ ა: გარდა ამხანაგობისა, დარეჯან, მე თქვენთან სამეგობროდაც მომიწევდა გული, რომ თქვენი მხრით არ ყოფილიყო არიდება.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ფიქრობთ უმიზეზოდ გერიდებოდით?

შ უ შ ა ნ ა: ვინ იცის.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე ხომ მიცნობთ?

შ უ შ ა ნ ა: კარგის მხრივ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე წერილობითი საბუთით რაფიელის მეუღლე ვარ.

შ უ შ ა ნ ა: დიახ გამიგონია.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე არა მარტო წერილობითი საბუთებით ვარ მისი მეუღლე. მე მასთან მაკავშირებს მთელი ჩემი გული და არსება.

შ უ შ ა ნ ა: სასიამოვნოა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: გესიამოვნათ? მაშ, მე ახლა იმ გადაგიშლით გულს, რომ პირმოთნეობის სურვილიც დაგეკარგოს. ჩვენ ქორწინების წუთიდან ქვეყნის მოვალეობამ დაგვაშორა. იმ დროს მე რაღაც დავაშავე და შეგვემთხვა უბედურება, მაგრამ სიყვარული შემრჩა... სიყვარული ღირსს არ შეუძლია. მე ღირსების დასაცავად ომში წაველ, ვიბრძოდი. მე არ მიყვარს გარეგნულ ნიშნებით თავის მოწონება, მაგრამ როდესაც ომიდან ვბრუნდებოდი, ჩემი პატიოსნების ხილულ საბუთად რაფიელთან მომქონდა ეს ნიშანი.

შ უ შ ა ნ ა: ვფიცავ შენი ახსარება მახარებს.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ომიდან დაბრუნებული აქ ქარხნის მშენებლობასთან მოვხვდი და რადგან ბედმა მასთან სხვა საერთო უღელი არ შემარგო, ჩემი ერთგულება ამ შრომაში გამოვიჩინე და სირცხვილი—სიკვდილისაგან ვიხსენი... ამიტომ დღეს არა მარტო ხელწერილით ვარ მისი მეუღლე, ზნეობრივადაც მის მეუღლედ ვგრძნობ თავს, მაგრამ შენ აბართულხარ სხტეთ ჩვენს შორის.

შ უ შ ა ნ ა: რას ამბობ, დარეჯან! ეს ეჭვი სულ უსაფუძვლოა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: არ პირფერობ?

შ უ შ ა ნ ა: მაშ, მეც ჩაგახედებ ჩემს გულში. ამას ვიქ მისთვის, რომ შენს ლაპარაკში სულიერი ნათესაობა ვიგრძენ და მეგობრობა მინდა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: შენ ენაც სახესავით სასიამოვნო გქონია. როგორ დავძრახო მამაკაცი, ლამის მე მომხიბლე. თუმცა აშკარად ვიცი, რომ ქმარს მართმევ-

შ უ შ ა ნ ა: მე სხვა მიყვარს და ახლავე გაგიმხელ ჩემს საიდუმლოს. არა მარტო ეჭვის გასაქრობად. სამეგობროდაც.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მე გთხოვეთ, რომ პირდაპირი ვიყოთ. თქვენ კი ცდილობთ ისიც დამავიწყოთ, რაც აქვე ჩემი ყურით გავიგონე.

შ უ შ ა ნ ა: რა, რა გაიგონე?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: აქ იმ დროს შემოგესწარით, როდესაც ლაპარაკობდით სიყვარულზე.

შ უ შ ა ნ ა: დიახ. მე რაფიელთან ისე წრფელი მეგობრობა მაქვს, რომ მან ერთი თავის მეგობრის გრძნობები გამიმხილა და მირჩევდა...

(შემოდის რაფიელი)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ვისი, რომელი მეგობრის?

შ უ შ ა ნ ა: ეს როგორ გითხრათ.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მომილოცავს, რაფიელ. თქვენ თურმე ამხანაგის სიყვარულს უმხელთ შუშანას და ურჩევთ უთანაგრძნოს. არ ვიცი, როგორი მეგობრობაა ქალ-ვაჟის შორის. ვერ ვიტყვი, რომ შუშანა ცილს გწამებდეს. მაგრამ არც ის შემიძლია ვიფიქრო, რომ შენ ამას იკადრებ.

რ ა ფ ი ე ლ ი: ეს მართალია. მეგობარს ავთანდილივით ვუთანაგრძნე.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ვინა გყავს ასეთი? არა, ვერც წარმოვიდგენ.

რ ა ფ ი ე ლ ი: გოდერძი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: გოდერძი?

რ ა ფ ი ე ლ ი: ჰო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: გოდერძის რომ სხვა უყვარს?

რ ა ფ ი ე ლ ი: არა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მას უყვარს ქალი, რომელიც მან ფრონტზე გადაარჩინა და ის ქალი მას ვერ სცნობს.

შ უ შ ა ნ ა: როგორ: ვინ გადაარჩინა?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ო, ეს საარაკო ამბავია. ფრონტზე ერთი მშვენიერი არსება მის თვალწინ მტრებმა მოიტაცეს. ის დაედევნა, მტერს, დაჭრილი ქალი დაატოვებინა და ლამით დიდი გაჭირვებით გამოიყვანა. მას აქეთ იგი უყვარს, მაგრამ ის ქალი თურმე სახით ვერ სცნობს გოდერძის, ცივად ეპყრობა და ამიტომ ვერ ბედავს გამოეცნაუროს. არავისზე არ გაცვლის მის სიყვარულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ უ შ ა ნ ა: რაფიელ. რას ნიშნავს ამის ლაპარაკი?

რ ა ფ ი ე ლ ი: ის გოდერძია, ვისაც თქვენ ელოდებით.

შ უ შ ა ნ ა: ეს ვის ელოდება?

რ ა ფ ი ე ლ ი: ის ქალი რომელიც მან ფრონტზე გადაარჩინა—შუშანაა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: შუშანა?

შ უ შ ა ნ ა: მაშ გოდერძია?

რ ა ფ ი ე ლ ი: მე მას გადავეცი ახლა, რა აღტაცებით ამსგავსებდი მას შენს რჩეულთან და რას ფარავდი გულში მოჩვენებული სიმკაცრით. აგერ, ისიც, მოდის.

(შემოდიან გოდერძი და გურგენი. შუშანა ჩაიკეცება, სახეზე ხელს მიიფარებს)

გ ო დ ე რ ძ ი: რა მოხდა?

რ ა ფ ი ე ლ ი: გაიგო.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ო, როგორ ნათელია ახლა ჩემთვის სულყველაფერი.

გ უ რ გ ე ნ ი: მაშ, შენ დარეჯან, არ მიდიხარ რაფიელთან?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: როგორ არა. მე მიდივარ!

(ფ ა რ დ ა)

## მეოთხე მოქმედება

### ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

შუშანას და რაფიელის ბინების საერთო აივანი, გვერდით ღია ჭისკარი ქარხნის ეზოში. შესასვლელი და ხედი ქარხანასა და მის მშენებლობაზე, რომელიც თითქმის დამთავრებულია. წინ ორიოდე საფეხურით აივნის დაბლა ყვავილების წალკოტია. სცენაზე გ უ რ გ ე ნ ი და რ ა ფ ი ე ლ ი. შემოდიან პ ი რ ვ ე ლ ი და მ ე ო რ ე მ ო ს ა მ ს ა ხ ურ ე.

1-ლ ი მ ო ს ა მ.: მუშების სადგურზე გადასაყვანად მანქანები მზადაა.

მ ე-2 მ ო ს ა მ.: რკინისგზაზეც ისე მოვაგვარეთ, რომ მივლინებულებს ცალკე რონოდები ექნებათ.

გ უ რ გ ე ნ ი: მუშები, რაფიელ, ხომ ყველა გამზადებულია, უკლებლად?

რ ა ფ ი ე ლ ი: სულყველა. საზრუნავი არაფერი გვრჩება.

გ უ რ გ ე ნ ი: წასვლის დროც მოახლოვდა.

1-ლ ი მ ო ს ა მ.: მოვაწყოთ გამგზავრება?

გ უ რ გ ე ნ ი: კარგი. გამოვიდნენ მუშები და გამოემშვიდობონ ამხანაგებს. ამას გარდა, ყველამ მოისმინოს მიმართვა, რომელიც ეგზავნება დიდ ბელადს მთავარი საამქროს ამუშავების გამო.

მ ე-2 მ ო ს ა მ.: წავიდეთ.

(მოსამსახურენი მიდიან)

გ უ რ გ ე ნ ი: ბევრი გადაგვწყდა, მაგრამ ამაგიც დაგვიფასდა, კარგად მიემგზავრებით.

რ ა ფ ი ე ლ ი: სლავამაც ძლიერ დაგვეხმარა.

ა რ ტ ე მ ი: აქეთ ალბათ მაინც გრჩება თვალი, რაფიელ.

რ ა ფ ი ე ლ ი: არა უშავს, დარჩეული ჭაბუკები მიმყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა რ ტ ე მ ი: გოდერძის და შუშანას კი ძალიან წყდებათ გული შენზეც და დარეჯანზეც.

რ ა ფ ი ე ლ ი: შენ დღეს მათთან იყავი?

ა რ ტ ე მ ი: დიახ, სუფრაზე მიმიპატიჟეს.

რ ა ფ ი ე ლ ი: რად არ დაგპატიჟებდნენ? ეს ხომ, გურგენ, მათი ერთადერთი კავშირი იყო.

გ უ რ გ ე ნ ი: ვიცი მაგ ამბები. საარაკო კაცი ხარ, არტემ.

ა რ ტ ე მ ი: ჰო. წამოიწყეს სუფრაზე თავის ამბების მოგონება, როგორ ტყუილად გაიტანჯეს თავი, რამდენი ზედმეტი მღელვარება გადაწყდათ. ქალს, იმის შიშით, რომ კაცი ჯერ დაღუპული ეგონა, მერე ეშვობდა, ეგებ დასახიჩრებულია ომისგან და იმიტომ არ ჩნდებაო და ათასი სხვა... ხომ იცი ასეთ დროს ქალი ეშვით. რა მდიდარია. კაცი კი, ამისთანა გმირი, კინალამ დააძაბუნა ეშვმა, რომ ქალზე აქ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს... ისე ჩაიძირნენ ამ მოგონებაში, რომ შევატყე, ერთმანეთს დაუწყებდნენ გადახდილ ტანჯვის დაბრალებას, ხომ იცით ახალშეერთებულები ერთმანეთის სიყვარულის ისტორიაში რა თავმოყვარენი არიან... და რომ ერთმანეთი არ გაემტყუნებიათ, მთელი მათი წარსულის ტანჯვა და გაუგებრობა ჩემს უგუნურებას და უნიჭო მეკავშირეობას დავაბრალე.

რ ა ფ ი ე ლ ი: მერე დაიჯერეს?

ა რ ტ ე მ ი: მთლად არ დამიმოწმეს დანაშაული, მაგრამ ამით კი დამშვიდნენ.

გ უ რ გ ე ნ ი: შენ, არტემ, ყველას ამშვიდებ, მხოლოდ ჩემი წაღიზიანება გიყვარს ხანდახან.

ა რ ტ ე მ ი: ახლა კი ერთი პატარა საქმე მაქვს, რომელიც არ გაგაჯავრებს.

გ უ რ გ ე ნ ი: ჯერ იქით მეჩქარება.

ა რ ტ ე მ ი: პატარა ამბავია, არ გაგაცდენ.

(გურგენი და არტემი მიდიან: შემოდის თებრონე)

რ ა ფ ი ე ლ ი: რაზე შეგიწუხებიათ თავი, დედა. რა მოგაქვს?

თ ე ბ რ ო ნ ე: ნეტავ, ასე უცბად არ წასულიყავით, მე კი თქვენი პატივისცემა გასჯად არ მიმაჩნია.

(შემოდის გოდერძი)

გ ო დ ე რ ძ ი: ასეთ გამგზავრების დროს ყოველთვის ჩნდება მოულოდნელი დაბრკოლებები, გულს ხომ არ გაკლია რამე?

რ ა ფ ი ე ლ ი: ყველა თავმოყრილია და ახლა მარტო ეს გვეჩქარება—დავიძრათ და წავიდეთ.

გ ო დ ე რ ძ ი: თქვენ, თებრონე, ალბად ღელავთ?

თ ე ბ რ ო ნ ე: ახლა ყველაფერი მიხარია. გულზე ის მკბენდა, რომ შეუღლება დიდი ხანია გადასწყვიტეს და უღელში შებმა არ ეღირსათ. (რაფიელს) დარეჯანი ოთახშია?

რ ა ფ ი ე ლ ი: ჰო. ემზადება.

(თებრონე მიდის რაფიელის ბინაზე)

გ ო დ ე რ ძ ი: მაშ, ახლა, რაფიელ, არაფერი გვაქვს ერთმანეთთან შესაჩივლი ჩვენს ძველ წყლულზე.

რ ა ფ ი ე ლ ი: ის დასრულდა და იწყება ჩვენთვის, გოდერძი, ახალი ცხოვრება და ახალი ზრუნვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ო დ ე რ ძ ი: ჰო, მე მგონია ადამიანისათვის ყველაზე დიდი მიღწევა მხნეობაა.

(შემოდის დარეჯანი)

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მოვალ ავე ბარგის შეხვევა და გელოდები. რაზედ საუბრობ-დით, ხელს ხომ ა ი გიშლით?

გ ო დ ე რ ძ ი: არა, დარეჯან.

(გამოდის თავის ოთახიდან შუშანა)

შ უ შ ა ნ ა: დარეჯანის ხმა მომესმა და გამკრა გულში, რომ მრავალ დღეს ვერ გავიგონებ.

რ ა ფ ი ე ლ ი: მობრძანდი.

გ ო დ ე რ ძ ი: ჰო, იკითხე დარეჯან, რაზე საუბრობდითო. ჩვენ ვამბობდით, რომ ბევრი გადაგვწყდა, სასურველის მისაღწევად და ეს აზრი გამოვთქვით, რომ ადამიანის ცხოვრება განუწყვეტელი ზრუნვაა და ყველაზე დიდი მიღწევა მხნეობაა.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ჩვენ ბევრი გადაგვწყდა და გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს გამარჯვება მათი მონაპოვარია, ვინც ჩვენს გვერდით დაიღუპა ომში და მე ვფიქრობ დაკნინება იქნებოდა ჩვენგან, რომ უზრუნველ ბედნიერად ვთვლიდეთ თავს. ჩვენ მხნედ უნდა ვიმუშაოთ და ნაყოფი მოვუტანოთ სამშობლოს, რომელიც ქვეყნად მშვიდობისა და სიკეთის დამყარებაზე ზრუნავს.

შ უ შ ა ნ ა: როგორ გშვენის შენ ეს სიტყვები, დარეჯან!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: თუმცა ჩემო შუშანა. სჯობს ადამიანი ამშვენებდეს სიტყვას.

შ უ შ ა ნ ა: საქმეც გემოწმება და მისთვის გიხდება, გიცნობ, დარეჯან, მე ვხედავდი შენს მუშაობას ამ მშენებლობაზე და მსმენია, როგორ იხდიდი მოვალეობას ომში.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მეც ვიცი შენი წარსული. და ისე მძრავს, რომ ჩემსას მაციწყებს.

შ უ შ ა ნ ა: საბჭოთა ქალები განსაკუთრებული ადამიანები ვართ, ჩვენი ქალი უფრო მდიდარია თავგადასავალით, ვიდრე სხვა საუკუნის ქალები, მხოლოდ ჩვენს გასაცნობად არ კმარა გარეგნობა, ჩვენი საქმე უფრო სჩანს ჩვენს თავგადასავალში და საქმეში.

(შემოდის დათა)

დ ა თ ა: ვნახე, რაფიელ, შენი ჭაბუკები, სადაცაა სადგურისაკენ დაიძვრებიან. ზოგს ვიცნობ, მჯერა, რომ იქიდან ღირსეულად დაბრუნდები.

შ უ შ ა ნ ა: აი, ჩვენც ვპირდებით ერთმანეთს, ისინი გამოცდილნი დაბრუნდნენ და ჩვენც ქარხანა უფრო გაჩაღებული დავახვედროთ.

(მოისმის მანქანების გუგუნი)

რ ა ფ ი ე ლ ი: მაშ, გამოვემშვიდობოთ დროებით ჩვენ ბინას და მეზობლებს, დარეჯან.

(ყველანი მიდიან რაფიელის ბინაში. შემოდიან გ უ რ გ ე ნ ი, ს ლ ა ვ ა, ი ნ ჟ ი ნ ე რ ი, პ ი რ ვ ე ლ ი და მ ე ო რ ე მ ო ს ა მ ს ა ხ ურ ე.

ბოისმის მუსიკის ხმა, მისალმების ხმები. შემოდიან მივლინებული მუშები)

გ უ რ გ ე ნ ი: აბა, გამარჯვებით, ჭაბუკებო, გამარჯვებით.

ხ მ ე ბ ი: დავემშვიდობოთ ჩვენს ხელმძღვანელებს. ნახვამდის, ნახვამდის.

(გამოდიან ქარხნის მუშები, შემდეგ რ ა ფ ი ე ლ ი, დ ა რ ე ჯ ა ნ ი, შ უ შ ა ნ ა, თ ა. რაფიელს და დარეჯანს ბარგს გამოართმევენ მუშები, რაფიელი [illegible] შეუერთდებიან მიმავლებს)

ს ლ ა ვ ა: თქვენი სახელით ამხანაგებო, გამზადებულია მიმართვა.

მ უ შ ე ბ ი ს ხ მ ე ბ ი: გაუმარჯოს სლავას, ჩვენს მეგობარს.

გ უ რ გ ე ნ ი: ჩვენი ქარხნის სახელით ამხანაგებო ვუგზავნით დიდ ბელადს მიმართვას რომ ამ ქარხნის მთავარი საამქრო ამუშავებულია და პირობას ვსდებთ დასახული გეგმა გადაჭარბებით შევასრულოთ.

მ უ შ ე ბ ი ს ხ მ ე ბ ი: გაუმარჯოს ჩვენი გზის გამკაფავს დიდ ოქტომბერს! გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს!

რ ა ფ ი ე ლ ი: მშვიდობით მეგობრებო, ნახვამდის.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: მშვიდობით, შუშანა.

შ უ შ ა ნ ა: ნახვამდის.

ბ უ რ გ ე ნ ი: ჩვენ იმედით ვშორდებით ერთმანეთს და მჯერა შეხვედრა იქნება იმედების გამართლება.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი: ნახვამდის დედა. ნახვამდის მეგობრებო.

თ ე ბ რ ო ნ ე: მშვიდობით. ყოჩაღად, კარგად შვილებო.

მ უ შ. ხ მ ე ბ ი: ნახვამდის მეგობრებო, ნახვამდის დათა.

დ ა თ ა: ნახვამდის. ისწავლეთ. მშრომელი ახალგაზრდობა სამშობლოს დიდებაა.

(ფ ა რ დ ა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა რუსი პოეტები

★

ს. გუძენკო

## იმპერიაპარპაგები

არ ვიცოდი, ქედს გადაღმა
ვიხილავდი ასეთ მხარეს,
სადაც ეღერდნენ მშობლიური
სიმღერები მონარნარე.

თავიდანვე ვერც ვარჩევდი,
ველში ჰვავი შრიალებდა,
მდინარენი გრიალებდნენ,
თუ რუსული სიმღერები,
უკრაინის სიმღერები
მწვავდა და მაკრიალებდა!

დილით შეველ ერთ ქალაქში,
ლევ ტოლსტოის ქუჩა ვნახე,
ლოცვასავით წარმოსთქვამენ
აქ პუშკინის დიად სახელს!

მე მხვდებოდნენ ქვისმნგრეველნი
და ტყისმჭრელნიც მთხოვდნენ ამას.
მესაუბრნა თუ რა უყვარს,
რა ახარებს ჩემს ქვეყანას.

ვამაყობდი ჩემი ქვეყნით,
და ჩეხეთის ყველა მხარე
სიყვარულმა მომატარა,
სიყვარულით მოვიარე!

მეზვრენი და მხვნელ-მთესველნი
მჭახე ღვინოს მთავაზობდნენ,
სურნელოვან პურს მაძლევდნენ
და ერთ რამეს ერთხმად მთხოვდნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოგვიყევი სტალინგრადზე!
— დიდ რუსეთზე გვითხარ რამე!..
... გრაფის პარკში
ჩინარებთან
ვსაუბრობდით მთელი ღამე!

**მ. ლულინი**

★

## ლედა

სულ მარტოდმარტო, განთიადისას,
მშვიდ შიროკოვის იმ არემარეს,
სადაც არ ისმის ხმა გრიალისა,
მოლოხტ-მდინარის მარცხენა მხარეს.

ამშვენებს ფიჭვი უზარმაზარი, —
სადაც ბავშვობის დროის ნახული
ცოცხლობს მრავალი კარგი ზღაპარი,
მხიარულება და გაზაფხული.

იქ წყალდიდობა, გუგუნი ზვირთთა
ჭაობს ზღვად აქცევს, ხმაურით ჰფარავს.
იქ არის ჩემი სამშობლო წმინდა
ერთადერთი და ძვირფასი მარად.

იქ მე ყველაფერს მწვანეში ვხედავ,
ველებს, ჩინარებს ზეცამდე ასულს,
იქ უცხოვრია ჩემს ძვირფას დედას,
დედას ელენე ვასილის ასულს.

მოვიგონებ და მოსული შორით
ნაცნობ სურნელით დაჰბერავს ქარი,
იქ დგას საყდარი ვიაზოსკოვის,
იქვე—საფლავი უბრალო ჯვარით!

რა ვქნა, აღარ ხარ, მაგრამ მე თრთოლვით
ქუხილისა და ცეცხლის თარეშში
როგორც იმედი, წარბშეუკრთომი,
შენ მიმიძღოდი ყველა მხარეში!

ვიყინებოდი, გზას განვაგრძობდი,
თუ ვეცემოდი, ვდგებოდი მყისვე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ ქვაბურას ჩუმ რაკუნს ვგრძნობდი,
ჩემი ფეხისხმაც მესმოდა ისევ.

წინ მივდიოდი სანგრებში, თოვლში
ხევი, ტრანშეა მეღობებოდა,
გვენატრებოდა ფაფა და ბორშჩი
და კოცონები ბეუტავდნენ ოდნავ.

დიდ ბრძოლებს შორის, შესვენებისას,
როცა ფეხზეც კი ველარ ვდგებოდით,
შენ მოგიხმობდი, ძვირფასო, ისევ
და ერთ რამეზე გევედრებოდი:

რომ შთაგენერგა: ჯარისკაცული
ხვედრის ატანა ყველა ბრძოლაში,—
უფრო გმირული და ვაჟკაცური
ვყოფილვიყავი მე შენი ბავშვი.

კვლავ შემოდგომა ფეხდაფეხ გვდევდა,
არ მეშინოდა ყინვის, ქარისა,
რადგან შენ იყავ მშობელი დედა,
ვიყავ ნაშობი რუსი ქალისა.

ჩაჩქანზე წყალი ჩქეფდა ჩქარჩქარი,
და ხმაურობდა დაღლილ თავს ზემოთ,
შენ გვერდში მიდექ, როგორც ზღაპარი
და მომყვებოდი, ძვირფასო ჩემო.

იყო ზაფხული და პაპანება,
მიწა სიცხისგან ადუღებული,
თრთოდა, ღელავდა და კანკალებდა
მთელი საშყარო დადუმებული.

ჭვავის ყანაში მაშინ შენს მკლავებს
გაჰქონდა ცელი მზეზე კაშკაშით,
და შატილოვის ქერის თავთავებს
ცელავდი ქალი, როგორც ვაჟკაცი.

შემდეგ პურის და ბეღლის სურნელი...
ეჰ, სხვა ძალა მაქვს ახლა მუხლებში
და რაღა დამრჩა აწ სასურველი,
დავვაჟკაცდი და გავხდი უხეში.

ახლა ჩემს ხელებს, დაბეჟილ ხელებს
ჩაუბღუჯია მტკიცედ აღვირი,
და შმაგ ბედაურს წინ მივაგელვებ,
ირგვლივ კი ცეცხლი ელვარებს ხშირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იმიტომ, რომ ყველაზე წმინდა
ძიყვარს სამშობლო მარად და მარად,
სად წყალდიდობა, გუგუნი ზვირთთა
ჭაობს ზღვად აქცევს, ხმაურით ჰფარავს!

სადაც ცოცხლობენ კატაბარდები
გადახვეულნი ღობეებს მძიმედ,
სადაც ბალახის სუნით დათვრები,
სად სასურველი მარწყვი ციმციმებს.

სადაც მდუმარედ მიდის გზაწვრილი,
ნაწვიმარ ბალახს სხვა ფერი ადევს,
სადაც მე ერთი რუსი ყმაწვილი
ჭირნახულ რუსის ქალს დავებადე.

და კვლავ მზადა ვარ, მივდივარ გზაზე
ოთხი წელია წინ მივალ რისხვით,
ფეხის ხმას ქვაბის რაკუნი ავსებს,
ფეხებზე მეონავს მტრის შავი სისხლი.

ბული დგას ცხელი და მოშორებით
ჩანს კოცონები ბეუტავენ ისევ,
აენთებიან პროჟექტორები
და ხანჯალივით სერავენ სივრცეს!

სეტყვამ დასეტყვა ძველი ჩაჩქანი,
და ქვემეხებიც ჰქუხან, არ სდუმან,
გვერდით მომყვები, როგორც ზღაპარი,
მხარში მიდგეხარ, ძვირფასო, ჩუმად.

ო, არასოდეს არ დავეცემი,
მაგრამ ბრძოლაში მივდივარ როცა,
ძვირფასო ჩემო, მშობელო ჩემო,
მე ველოდები შენგან დალოცვას.

ნ. ერიპაკინი

*

## გამოსვლა

გადამწვარ მიწას ქარი დაჰყვირის,
ქარი სიცოცხლის მახარობელი,
აი, კვირტებზეც ფეთქავს აპრილი
აპრილი მწვანე ფოთლის მშობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასკდნენ, გაიხსნენ კვირტები ერთხმად
და როგორც მწვანე პეპლები ხეზე,
ტყვიით გახეთქილ ხის ტოტთან ერთად,
ფოთოლნი შვებით შეირხენ მზეზე.

უფრო ადრე კი, ზეიმით, ლხენით
წამოდგა ხალხი! ნანგრევთა მხარეს
ცეცხლი აანთეს ცამდე ამწვდენი
და კოცონები ააბდღვრიალეს!

ახლა ამ სოფლის ნაცნობ შუკებში
ველარ შეხვდებით ყვავყორნებს ვერსად,
შეხეთ ოსტატებს, ჩანთებით ხელში
ეგებებიან მშვიდობის დღესა.

ერთიმეორეს გამოჰყვა ლხენით
ქვისმთლელთ და დურგალთ ძმური კრებული,
დურგალს რომ ძველი პილოტკა ჰშვენის,
ბავშვი შეჰყურებს აღტაცებული.

მთელს მიდამოში, სად ახლებურად,
იწყო ცხოვრება მკვიდრმა რბეულმა,
კვლავ მშენებლობის მოლაშქრეებად
ხალხი ხალისით გადაქცეულა.

აი, დურგალი, ამაყი სახით,
წინათ მრისხანე პარტიზანელი,
გუშინ გრანატით ხელში თუ ნახეთ,
ახლა ნაჯახი დაბღუჯა ხელით.

მაშ, მასპინძელო, გაშალე სუფრა,
სიმღერისა და ლხინის მხმობელი,
დარბეულ ქვეყნის დიდ გაზაფხულზე
გაჰკივის ქარი მახარობელი!

თარგმანი ალეკო შენგელიასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ დავითაშვილი

# გენერალი ლესელიძე

★

1

ხვარბეთი პატარა სოფელია მახარაძის რაიონში. აქ ჩასვლას რაიონის ცენტრიდან ავტო მანქანა ოცდაათი წუთი უნდება.

როგორც გურიის ბევრი სხვა სოფლის, ისე ხვარბეთის ირგვლივაც ციტრუსების ბაღებითა და ჩაის პლანტაციებით მორთული სერებია. კოლმეურნეთა ახალი სახლები, სკოლის, კლუბის, ბიბლიოთეკის, კოოპერატივის შენობები თვალს ახარებს.

ხვარბეთელი გლეხები ერთსულოვნად შრომობენ კოლმეურნეობაში. თუ ხვარბეთის კოლმეურნეობა რაიონში პირველი არაა, არც თუ უკანასკნელია. ხვარბეთი ჩვეულებრივი სოფელია, როგორიც მრავალია საბჭოთა კავშირში. ამ სოფლების კოლმეურნენი მთელი ძალღონით შრომობენ, რათა განამტკიცონ ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის, ჩვენი მშვენიერი სამშობლოს ძლიერება.

თავისი წარსულითაც დიდით არაფრით განსხვავდება ხვარბეთი რაიონის სხვა სოფლებისაგან. რევოლუციამდეის მემამულეთაგან ჩაგვრის მთელ სიმძიმეს განიცდიდა. ხვარბეთი მაშინ ყოფილი მეფის რუსეთის განაპირა მხარეთა ბევრი ასეული სოფლების ბედის მოზიარე იყო. გლეხები უმიწაწყლობით იტანჯებოდნენ, მემამულეები კი დიდძალ მიწას ფლობდნენ. გლეხს თუ მიწა გააჩნდა, ჩვეულებრივ ეს იყო ბუჩქებითა და გვიმრით დაფარული მწირი მიწის პაწაწინა ნაკვეთი, რომელზეც ჭაპანწყვეტით მოჰყავდა მჭლე სიმინდი.

ასევე უბადრუკად გამოიყურებოდა ხვარბეთი ამ საუკუნის ცხრაასიან წლებშიც, როდესაც აქ, ღარიბ გლეხს ნიკოლოზ ანდრიას-ძე ლესელიძეს შეეძინა სამი ვაჟი! რომელთაც შემდეგ, დიდი სამამულო ომის წლებში ასახელეს მშობლიური სოფელი, თავისი საყვარელი სამშობლო, დაუვიწყარი საგმირო საქმეებით.

ნიკოლოზ ანდრიას-ძემ რევოლუციური ბრძოლის სახელოვანი სკოლა გაიარა ბათუმის პროლეტარიატის რიგებში. იგი შედიოდა შემდგომ ოზურგეთის რევოლუციური კომიტეტის შემადგენლობაში, მონაწილეობას ღებულობდა მეფის დამსჯელი რაზმის წინააღმდეგ გამართულ ცნობილ ნასაკირალის ბრძოლაში და ოზურგეთის ბაზრის უფროსის გენერალ ერმოლოვის მკვლელობაში.

რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ნიკოლოზი გადაასახლეს ციმბირში. დარჩა ხვარბეთში მისი ცოლი—ნინო პავლეს ასული სამი ბავშვით—დავითით, კოტეთი და ვიქტორით. ლესელიძის ვაჟიშვილებმა ბავშვობის წლები მძიმე, წელმომწყვეტ შრომაში გაატარეს. ჯერ კიდევ ცხრა წლის ასაკში მომავალი გენერალი კო-

ტე ლესელიძე ჩაქვის საუფლისწულო უწყების ჩაის პლანტაციაზე დადიოდა სამუშაოდ.

ნიკოლოზ ლესელიძე გამოიქცა გადასახლებიდან და წლების განმავლობაში იმალებოდა, არალეგალურად ცხოვრობდა.

რუსეთში დაიქუხა ოქტომბრის ქარიშხალმა. ძალაუფლება საქართველოში მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში. მენშევიკებთან გააფთრებული ბრძოლით საქართველოს ბოლშევიკებს მიჰყავდათ ხალხი საბჭოთა ხელისუფლების დაშყარებისაკენ. ფართოვდებოდა არალეგალური პარტიული და კომკავშირული უჯრედების ქსელი. ერთ-ერთი ასეთი უჯრედის წევრი იყო კოტე ლესელიძე.

მალე საქართველოს მიწაწყალზეც აღმობრწყინდა თავისუფლების ცისკარი. ნიკოლოზ ლესელიძის ოჯახშიც დადგა სიხარულის დღეები. წამოზრდილი ვაჟიშვილები უკვე შველოდნენ მშობლებს...

ერთხელ ნიკოლოზმა თავი მოუყარა შვილებს და უთხრა:

— განხორციელდა ჩვენი ოცნებები. ახლა უნდა დავიცვათ ის, რაც უკვე მოვიპოვეთ. ჩემი რჩევაა, შვილებო, წახვიდეთ და იმსახუროთ წითელ არმიაში. ის მოგცემთ თქვენ იმას, რაც ვერ მოგეცით ჩვენ, მშობლებმა. ის თქვენთვის კარგი სკოლა იქნება. და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში ნიკოლოზ ანდრიას-ძე ლესელიძემ მისცა წითელ არმიას სამი ვაჟიშვილი—დავითი, კოტე და ვიქტორი.

ძმებმა არტილერისტის სპეციალობა აირჩიეს და სამშობლოს თავდაცვის საქმეს მიუძღვნეს მთელი სიცოცხლე.

1921 წელს კონსტანტინე ლესელიძე, რომელიც ჯერ კიდევ სრული თვრამეტი წლისა არ იყო, ჩამოვიდა თბილისში და შევიდა ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში, საარტილერიო დარგზე.

ხუთ წელიწადს იმსახურა კოტემ ჯერ ოცეულის მეთაურად, ხოლო შემდეგ ბატარეის მეთაურის თანაშემწედ იმ სამხედრო სკოლაში, რომელიც მან დაამთავრა. ამის შემდეგ იგი დანიშნულ იქნა 1-ლი ქართულ მსროლელთა პოლკის ბატარეის მეთაურად.

1928 წელს კოტე ლესელიძე გაგზავნეს ლენინგრადში მეთაურთა შემადგენლობის დახელოვნების ერთწლიან საარტილერიო კურსებზე, რომელზეც ღებულობდნენ მხოლოდ წარჩინებულ მეთაურებს.

კონსტანტინე ლესელიძის ოჯახში სათუთად ინახება ფოტოსურათი, სადაც გადაღებული არიან საარტილერიო კურსების მსმენელები კ. ე. ვოროშილოვთან და ს. მ. კიროვთან. ამხანაგებს ვოროშილოვსა და კიროვს, რომლებიც კურსების სანახავად მოვიდნენ, კურსების უფროსმა წარუდგინა ახალგაზრდა არტილერისტები. როდესაც ჯერი ლესელიძეზე მიდგა, კიროვმა ჩამოართვა მას ხელი და შენიშნა:

— ლესელიძე, — მაშ ქართველი ხართ. კახეთიდან, ალბათ?

ლესელიძემ მოკრძალებით უპასუხა:

— არა, სერგეი მირონის-ძევ, მე გურიიდან ვარ.

— ვიცი გურიაც. მამაცი, ენერგიული ხალხი ცხოვრობს იქ. ბევრი სასახელო ფურცელი ჩასწერეს გურულებმა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ასეთები უყვარს არტილერიასაც. გისურვებთ წარმატებებს...

ლენინგრადის ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამ კეთილსურვილს ლესელიძემ თავგამოდებული სწავლით უპასუხა: კურსები ფრიადზე დაამთავრა.

ცოდნით აღჭურვილი ლესელიძე ბრუნდება საშშობლოში და მსახურობს დივიზიონის მეთაურად მე-2 ქართული დივიზიის ერთერთ პოლკში. ერთი წლის შემდეგ იგი საარტილერიო პოლკს მეთაურობს. ლესელიძის

პოლკმა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ჩინებული მაჩვენებლები მოიპოვა და მას სნაიპერთა პოლკის საპატიო სახელი მიენიჭა.

კ. ნ. ლესელიძე შედიოდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში, როშელიც, საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავთან დაკავშირებით, 1936 წელს მიღებულ იქნა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ კრემლში.

1938 წელს ლესელიძე უკვე მეთაურობს იმ დივიზიას, სადაც მან დაიწყო სამსახური ბატარიის მეთაურად. სპეციალობით არტილერისტი, იგი მიისწრაფოდა შეეძინა საერთოსაჯარისო უფროსისათვის საჭირო თვისებები. დიდი მონდომებით სწავლობდა ლესელიძე ყველა გვარეობის ჯარების მჭიდრო თანამოქმედების ტაქტიკას.

მას არ უსწავლია სამხედრო აკადემიაში, სამაგიეროდ თავის ცოდნას თვითგანვითარებით ამდიდრებდა. იგი გაშუდმებით კითხულობდა წიგნებს, არ სტოვებდა არცერთ ახალ წიგნს, დღითიდღე აფართოებდა თავის ჰორიზონტს. მას თანაბრად იტაცებდა თანამედროვე ბრძოლის ტაქტიკის საკითხები და პუშკინისა და წერეთლის ლექსები, სუვოროვის ლაშქრობანი და შოლოხოვისა და ფადეევის რომანები.

მაგრამ ნამდვილი აკადემია წინ იყო. ეს იყო ომის აკადემია.

ლესელიძე შეხვდა გერმანელებს ომის პირველსავე დღეს ბრესტთან. იგი იყო მსროლელთა კორპუსის არტილერიის უფროსი.

როგორც კი ჩვენს საშობლოს ვერაგულად თავს დაესხნენ ფაშისტი ყაჩაღების ურდოები, მტერმა მაშინვე განიცადა თავის თავზე ლესელიძის არტილერისტთა ზალპების ძალა.

ლესელიძემ იცოდა, რომ გერმანელებთან მძიმე და ხანგრძლივი ბრძოლა მოელოდა ჩვენს ქვეყანას, იგი ფხიზლად აფასებდა მტრის ძალებსა და სამხედრო ხელოვნებას, და ამის მუსაბამისად ამუშავებდა მასთან ბრძოლის ტაქტიკას: თავი კი არ აერიდებინა, პირიქით, ჩაბმულიყო ბრძოლაში მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან, მოესპო მისი ტექნიკა და ცოცხალი ძალა. როდესაც გერმანელთა ტანკები გარღვევაზე მოდიოდნენ, ლესელიძე მათ არტილერიის ცეცხლით უღობავდა გზას.

ლესელიძე ყოველდღიურად ზრდიდა მებრძოლებში შეუდრეკლობასა და გამძლეობას.

ერთხელ, მინსკთან, იმ ზღუდეს, რომელსაც იცავდნენ ლესელიძის არტილერისტები, უტევდა გერმანელთა ახალმოსული სატანკო დივიზია.

ტანკები „შემჭიდროებულად" მოდიოდნენ, რათა გაერღვიათ ჩვენი თავდაცვა და გაეხსნათ გზა მტრის ქვეითი დივიზიისათვის, რომელიც მათ უკან მოსდევდა.

ფოლადის უზარმაზარი ურჩხულები უახლოვდებოდნენ ჩვენს პოზიციებს.

„გავუძლებთ"—ეს კითხვა მაშინ ბევრ ჩვენს მებრძოლს აღელვებდა. გარღვევის საშიშროება თვალწინ იდგა. გერმანელთა ტანკების „შემჭიდროებას" უპირისპირდებოდა მხოლოდ ორი ჩვენი ბატარია, ხევში რომ იყო განლაგებული.

ამ კრიტიკულ წუთებში პოლკოვნიკმა ლესელიძემ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. სხვა ბატარიების ხევში მიზიდვა უკვე დაგვიანებული იყო. ტანკები მიუახლოვდებოდნენ თუ არა ხევს, 150-200 მეტრზე ცეცხლი პირველად უნდა გაეხსნათ მეზობელ დივიზიონებს.

ანგარიში ზუსტი აღმოჩნდა. შეტევაზე გადმოსული გერმანელთა ტანკების წინ გაჩნდა მეზობელი ბატარიების ცეცხლის კედელი. ყუმბარების პირდაპირი მოხვედრისაგან ტრიალი იწყო ადგილზე რამდენიმე მანქანამ, ხოლო ორი ცეცხლის ალში გაეხვია. ფაშისტთა

ტანკისტები დაიბეგნ და თავიანთი ძანქანები ძიაბრუნეს იმ ძხრით, საიდანაც სცეცდა ჩვენი არტილერია. ახლა გერმახელთა ტანკები კარგ სამიზნოს წარმოადგენდა ხევში ძიმალული ჩვენი ქვემეხებისათვის. საბჭოთა არტილერისტებმა გამოაგორეს ქვემეხები ღია პოზიციებზე და გრიგალისებური ცეცხლი გახსნეს. გერმანელთა ტანკები ერთიმეორეზე გამოდიოდნენ წყობიდან. გადარჩენილები სწრაფად გაბრუნდნენ უკან.

სატანკო დივიზიამ, რომელიც ცდილობდა ჩვენი თავდაცვის გარღვევას, სერიოზული დანაკლისი განიცადა. ლესელიძემ დაამტკიცა, რომ გერმანელთა ტანკები ვერ შეაშინებენ საბჭოთა არტილერისტებს, რომ ჩვენი მდიდარი საარტილერიო ტექნიკის უნარიანი და ეფექტური გამოყენებით შეგვიძლია ჩვენს სასარგებლოდ გადავწყვიტოთ ბრძოლა, ბიუხედავად მტრის რიცხვობრივი და ტექნიკური უპირატესობისა.

საბჭოთა ჯარები ბრძოლით იხევდნენ უკან. ფაშისტთა არმიის გენერლებს მოყავდათ აღმოსავლეთზე თანამედროვე იარაღით აღჭურვილი 170 ჯავშნოსანი დივიზია. მთელი მსოფლიო დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს, თუ როგორ უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდნენ აღმოსავლეთში გერმანელთა მექანიზებული ბანდები.

თავდაცვითი ბრძოლების მსვლელობაში ლესელიძის არტილერისტები თანამოქმედებდნენ ქვეითსა და სხვა გვარეობათა ჯარებთან, გამანადგურებელ ზალპებს უშენდნენ მტერს, იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშებს, ზურგს უმაგრებდნენ ჩვენს ნაწილებს კონტრიერიშებში.

1941 წლის 31 ივლისით დათარიღებულ დაჯილდოების ფურცელში ვკითხულობთ: „პოლკოვნიკ კონსტანტინე ლესელიძის უშუალო ხელმძღვანელობით კორპუსის არტილერიამ ბოსპო მოწინააღმდეგის 100-ზე მეტი ტანკი. ძალზე გააფთრებულ ბრძოლებში (მინსკთან, ვოლმთან, მდინარეებზე: ბერეზინა და დნეპრი). კორპუსის არტილერიის მიერ ფაშისტთა ტანკების განადგურებას ხელმძღვანელობდა უშუალოდ ცეცხლის პოზიციებზე. მამაცი მეთაურია“.

1941 წლის აგვისტოში პოლკოვნიკი ლესელიძე უკვე 50-ე არმიის არტილერიის უფროსია. თავდაცვითს ბრძოლებში ლესელიძის არტილერისტები უტყუარად გვიჩვენებდნენ გულადობის, შეუდრეკლობისა და გმირობის შესანიშნავ მაგალითებს. როდესაც უკან იხევდნენ, ისინი სერიოზულ ზიანს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს.

ბრიანსკის ულრანი ტყეები, კედლებად დგანან ასწლოვანი ხეები. თუმცა ჩანს, თუ როგორ ირხევიან იმათი ტოტები, მაგრამ არ ისმის ტყის ხმაურობა. ყველა ხმას ჰფარავს ყუმბარათა სკდომის გრუხუნი. იქ, სადაც დაეცემიან ისინი, მიწა სვეტად ადის, ოხვრით ვარდებიან ძირს ბუმბერაზი ხეები.

ტყეში, პატარა ძელმიწურში, ოპერატიულ რუკაზე თავდახრილი ზის პოლკოვნიკი ლესელიძე. 50-ე არმიის არტილერიის უფროსი ემზადება მორიგი ოპერაციისათვის.

მტერი არ ისვენებს. დროგამოშვებით ისე ახლო ეცემა ყუმბარა, რომ ზანზარისაგან ჭერიდან რუკაზე მიწა ცვივა. პოლკოვნიკი დინჯად გადაბერტყავს მიწას და განაგრძობს რუკის შესწავლას.

მოაქვთ დაზვერვის მიერ შეკრებილი უკანასკნელი ცნობები. ლესელიძე საჩქაროდ გადაათვალიერებს მათ. გერმანელები თავს უყრიან ტანკებს, თვითმფრინავებს.

— აშკარაა, მზადდება ახალი დარტყმა!

არტილერიის უფროსი მიდის საერთო საჯარისო შენაერთის მეთაურთან. ისინი ერთად აძუშავებენ კონტრდარტყმის გეგმას, ყველაზე უფრო მოსალოდნელი მიმართულებით.

დიდი სატანკო ძალებით გერმანელები უტევდნენ იმ უბანს, რომელსაც იცავდნენ ლესელიძის არტილერისტები, ისინი მიზნად ისახავდნენ, მოესპოთ აქ საბჭოთა არტილერია, ხელთ ეგდოთ ქალაქი ბრიანსკი და შემდეგ განეგრძოთ შეტევა მოსკოვზე.

საბჭოთა მებრძოლებს უხდებოდათ დღეში გერმანელთა სამი-ოთხი სატანკო იერიშის მოგერიება.

სხვა გვარეობათა ჯარებთან მჭიდრო თანამოქმედებით ლესელიძის არტილერისტებმა არამცთუ გადაუღობეს გზა ბტრის სატანკო დაჯგუფებას ბრიანსკის შორეულ მისადგომებთან, არაშედ აგემეს მას მთელი რიგი გამანადგურებელი დარტყმები.

სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ გერმანელებმა დატოვეს ბრძოლის ველზე 90 დამსხვრეული მანქანა და იძულებული გახდნენ შეეცვალათ სატანკო იერიშის მიმართულება. მაგრამ შეზობელ უბანზე მათ მაინც შესძლეს გაერღვიათ ჩვენი თავდაცვა და ზურგიდან საფრთხე შეექმნათ ბრიანსკისა და მისი დამცველი ჯარებისათვის.

არტილერისტებმა მიიღეს ახალი საპასუხისმგებლო დავალება: შოესპოთ შემოჭრილი გერმანელთა ტანკები.

ლესელიძე გავიდა მოწინავე პოზიციებზე და პირადად ხელმძღვანელობდა საბრძოლო მოქმედებებს. მისი ყოფნა ბატარიებთან მებრძოლებს აღაფრთოვანებდა. გერმანელთა დამტვრეული და დაწვარი ტანკების რიცხვს იმ დღეს მიემატა—19, ხოლო გაჟლეტილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა რიცხვს—350.

18 ოქტომბერს გერმანელებმა აიღეს მოჟაისკი. მოსკოვისაკენ [illegible] ახალი აიოდაარი საფრთხე [illegible] ამ დღეს ამხანაგ სტალინის მიერ ხელმოწერილი სპეციალური დადგენილებით, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მოსკოვი საალყო მდგომარეობაში გამოაცხადა და მოუწოდა მშრომელებს დედაქალაქის დაცვისათვის. მოსკოველებმა დედაქალაქს გარშემოარტყეს გაბიერი ორმოები, ხანგრძლივი საცეცხლე წერტები და ძელმიწურები, ესკარპები და ბოძგინტები. ათასობით მოსკოველები შეუერთდნენ სახალხო ლაშქარს, რათა იარაღით ხელში დაეცვათ მშობლიური ქალაქი.

მტერს ძვირად უჯდებოდა თავისი წინსვლის ყოველი ნაბიჯი. სასტიკ ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა უდიდესი ზარალი მიაყენეს გერმანელებს და შეაჩერეს ისინი დედაქალაქის შორეულ მისადგომებთან. მაშინ მოწინააღმდეგე შეეცადა დაერტყა მოსკოვისათვის საშხრეთიდან—ტულაზე, სერპუხოვზე და კაშირაზე გავლით. მაგრამ ეს განზრახვაც ჩაეფუშა. ტულამ, რომელსაც ლესელიძის არტილერისტები იცავდნენ, გმირულად მოიგერია გუდერიანის მე-2 სატანკო არმიის იერიშები. გერმანელებს ყოველდღე მოჰქონდათ ოთხი-ხუთი სატანკო იერიში, მაგრამ ყოველთვის უკუიქცეოდნენ. აქ დაძაბულ საათებში, როგორც სხვა დროსაც, არტილერიის სარდალი საარტილერიო პოლკების დივიზიონების, ბატარიების მეთაურებთან ერთად, ქვეითთა ქვეგანაყოფების სამეთაურო პუნქტებზე იმყოფებოდა. რადიო აკავშირებდა მათ ცეცხლის პოზიციებთან და ათეულობით შორსმსროლელი და საპოლკო ქვემეხები ერთი სიცოცხლით სუნთქავდნენ ქვეითს ჯართან ერთად. მტერს ძლიერ ცეცხლს უშენდნენ. ლესელიძე ასწრებდა ყოფნას თითოეულ ბატარიაზე, ასწრებდა ადგილზე მითითებათა მიცემას, თავისი სიმშვიდითა

და აუჩქარებლობით ჯარისკაცებში გამარჯვების რწმენას ნერგავდა.

ქვემეხის მეთაურმა სერჟანტმა ნიკიტენკომ ერთ დღეში გერმანელთა სამი ტანკი დააზიანა. ლესელიძემ გაიგო ეს, მივიდა გმირთან და პირადად მიუღოცა დიდი საბრძოლო წარმატება.

— თქვენ, ამხანაგო ნიკიტენკო,— უთხრა ლესელიძემ,—ერთხელ კიდევ დაამტკიცეთ, რომ საბჭოთა არტილერისტებს არ ეშინიათ გერმანელთა ტანკების. სამშობლო ღირსეულად დააფასებს თქვენს გმირობას.

მეორე დღეს სერჟანტ ნიკიტენკოს გუნდმა კიდევ ორი ტანკი და ერთი ჯავშნიანი მანქანა დააზიანა.

29 ოქტომბერს გერმანელთა ტანკები მჭიდროდ მიადგნენ ტულას. ჩვენი ქვეითი ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია. ლესელიძე ყოველგვარ ზომებს ღებულობდა, რომ შეეჩერებინა მტრის წინსვლა. მან გასცა ბრძანება გამოეგორებინათ ქვემეხები ღია პოზიციებზე. მიუხედავად გერმანელთა ტანკებისა და არტილერიის გრიგალისებური ცეცხლისა, საბჭოთა არტილერისტები თავდადებით აღუდგნენ წინ მტრის შემოტევას. დაჭრილები წყობილებაში რჩებოდნენ, ერთი კაცი მუშაობდა მთელი გუნდის მაგივრად, ოფიცრები ცვლიდნენ წყობილებიდან გამოსულ სერჟანტებს და მებრძოლებს. ქალაქის მთავარი მისადგომები მოიხერგა გერმანელთა დამტვრეული ტანკებითა და მანქანებით.

ლესელიძის დიდმა გულადობამ გადასწყვიტა ტულის ბედი. მოწინააღმდეგე, რომელმაც ის იყო შეაღწია ქალაქის სამხრეთ განაპირა უბანში, უკუგდებულ იქნა ჩვენი ძლიერი საარტილერიო ცეცხლით.

საბჭოთა არტილერისტებმა ჩაჰკეტეს გზა მოსკოვისაკენ. 67 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა მოსპეს მათ ტულასთან.—ლესელიძემ ტულის დაცვაში გამოიჩინა არა მარტო სარდლის ნიჭი, არამედ დიდი ვაჟკაცობაც. ტულას დაცვისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით 7 დეკემბერს საბჭოთა ჯარები გადავიდნენ კონტრშეტევაზე. ჩვენი არტილერია გამანადგურებლად ურტყამდა მოწინააღმდეგის თავმოყრის ადგილებს, ამ ხანებში უკვე არტილერიის გენერალ-მაიორის, ლესელიძის არტილერისტები მიერეკებოდნენ გერმანელებს, არ აძლევდნენ მათ მოსვენებას არც დღისით და არც ღამით.

ორმოცდაორი წლის ივნისში უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძე დანიშნულ იქნა ამიერკავკასიის ფრონტზე, მაგრამ უკვე არა არტილერიის უფროსად, არამედ საერთოსაჯარისო შენაერთის მეთაურად. არტილერიის გენერალ-მაიორი შეუდგა კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებზე თავდაცვაში მყოფ მსროლელი კორპუსის მეთაურობას. შემდეგში ამ შენაერთს წილად ხვდა განსაკუთრებით მძიმე ამოცანა: იგი აღმოჩნდა გერმანელთა იმ ჯარების მთავარი დარტყმის მიმართულებით, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ გამოსულიყვნენ შავი ზღვის სანაპიროზე, რათა მოეჭრათ ნოვოროსიისკისა და ტუაფსეს რაიონში მომქმედი საბჭოთა ჯარები.

ომის პირველი წლის განმავლობაში ლესელიძე ებრძოდა მოწინააღმდეგეს ტრამალებზე, ვაკეებზე, ახლა მას მოუხდებოდა სამხედრო მოქმედების წარმოება მთიან ადგილებში. ლესელიძე დიდი ხნით ადრე შეეთვისა მთებს. საარტილერიო პოლკი და მსროლელთა დივიზია, რომელთაც იგი ჯერ კიდევ ომამდე მეთაურობდა, საბრძოლო სწავლებას მთიან მდებარეობის პირობებში გადიოდა. ალბათ, ეს გამოცდილება გახდა დასავლეთის ფრონტიდან

ამიერკავკასიის ფრონტზე, ომის მთიან ასპარეზზე, გენერალ ლესელიძის გადაყვანის საბაბი.

გენერალ ლესელიძეში შეხამებული იყო დახელოვნებული არტილერისტისა და ნიჭიერი საერთოსაჯარისო უფროსის თვისებები. მიუხედავად იმისა, რომ ლესელიძე მუდამ არტილერიის დიდ პატრიოტად რჩებოდა, იგი ამავე დროს აღიარებდა ომში ქვეითი ჯარის გადამწყვეტ მნიშვნელობას. ამიტომ იყო რომ იგი განუწყვეტლივ აღრმავებდა თავის ცოდნას საერთოსაჯარისო ტაქტიკასა და სტრატეგიაში.

კავკასიაში ლესელიძეს ძნიმე მდგომარეობა დახვდა. გერმანელთა მოტორიზებულმა და სატანკო ნაწილებმა ფართო ფრონტით გადმოლახეს მდინარე დონი, გავიდნენ სტავროპოლის მხარის ტრამალოვან სივრცეებზე და კავკასიის მთავარი ქედის მისადგომებს მიაღწიეს.

ოცდაათი რჩეული დივიზია მოჰყავდა აქეთ ევალდ ფონ კლაისტს. ათასობით რუხი ურჩხული—ტანკები ებერგარდ **მაკენზენისა მიემართებოდნენ** თერგისაკენ.

სამხრეთით, უღელტეხილებისაკენ მიმართულების აღებით გერმანელებს განზრახული ჰქონდათ გასულიყვნენ ბაქოსა და შავი ზღვის სანაპიროსთან. ამ ოპერაციისათვის ისინი დიდხანს და გულდასმით ემზადებოდნენ. ჯარები, რომლებიც დანიშნული იყვნენ გარღვევისა და შავი ზღვის სანაპიროზე გასვლისათვის, შედგებოდნენ სპეციალურად შერჩეული სამთო ალპური ნაწილებისაგან, რომლებიც უკან მოსდევდნენ შემტევ ჯარებს.

საბჭოთა არმიის ნაწილები, რომლებიც იდგნენ კავკასიის მთავარი ქედის გასწვრივ, განსაკუთრებული გულადობითა და შეუდრეკლობით იბრძოდნენ, მაგრამ ბოწინააღმდეგემ შესძლო ცალკეულ უბნებზე სოლივით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში. გაფთრებული ბრძოლები ულელტეხილებისათვის რამდენიმე კვირა გრძელდებოდა. არ იყო რეზერვები, გამოილია სურსათის მარაგი. ომი მაღალმთიან პირობებში საბჭოთა მეომრებისაგან მოითხოვდა მთელი მორალური და ფიზიკური ძალების უდიდეს დაძაბვას.

ლესელიძის კორპუსი იცავდა კავკასიის ქედის უმნიშვნელოვანეს უღელტეხილებს—ქლუხორის, მარუხის და სანჩაროს. გერმანელები ყოველივე ღონეს ხმარობდნენ, რომ განევითარებინათ შემდგომი წინსვლა და გასულიყვნენ შავზღვასთან სოხუმისა და გუდაუთის მიმართულებით, მაგრამ ბათ ვერ მიაღწიეს აქ წარმატებებს.

მიუხედავად რეზერვების უყოლობისა და მომარაგებაში შეფერხებებისა, კორპუსმა გაუძლო თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ გერმანელთა ურდოების პირველ შემოტევას და არ გაატარა ისინი ზღვისკენ. ლესელიძის რკინისებური გამძლეობა, მისი შეუდრეკელი ნებისყოფა გამარჯვებისადმი აკაქებდა ყველა მებრძოლს და ოფიცერს, ხელს უწყობდა ოპერაციების წარმატებითს განვითარებას.

ლესელიძე მთელ დღეღამეებს მოწინავე პოზიციებზე ატარებდა. მიუხედავად მწვავე რევიზიზმისა, იგი ფეხით დადიოდა მთებში, ხეობებში, საიაც წყდებოდა ამიერკავკასიის თავდაცვის ბედი და თავისი დინჯი ხმით, უბრალო და გონიერი რჩევით ყველას ამხნევებდა და აქეზებდა საგმირო საქმეებისათვის.

ორმოცდაორი წლის აგვისტო. მარუხის უღელტეხილისათვის მკაცრი ბრძოლების დღეები.

გერმანელები გამაგრდნენ მთების მწვერვალებზე. ლესელიძე უფრო მეტად ამაგრებდა ტაქტიკურად ხელსაყრელ სიმაღლეებზე განლაგებულ თავის საცეცხლო პოზიციებს.

ლესელიძეს კარგად ესმოდა, რომ ომი მთებში—ესაა, უწიხარეს ყოველისა, ომი გზებისათვის. ამიტომ თავის პირველ ამოცანად ეიაჩნდა გზათა კვანძების ხელში დაჭერა. ამასთან ერთად იგი აწარმოებდა საძანევრო ომს.

— თუ ჩვენ შევძლებთ კარგად მანევრირებას მთებში, რა დასერილიც უნდა იყოს ის,—ეუბნებოდა ლესელიძე თავის ოფიცრებს,—მაშინ ჩვენ, უსათუოდ, მოვერევით გერმანელებს.

გერმანელებს ეკავათ ურეუშის ქედი, რომელიც მარცხნივაა მარუხის უღელტეხილიდან. აქედან ისინი უთვალთვალებდნენ მთელ ჩვენს თავდაცვას. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ჯარებს. ლესელიძემ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ხელში ჩაეგდო ურეუში. მაგრამ დღისით მისი აღება შეუძლებელი იყო. მხოლოდ ღამეს და მოულოდნელობას შეეძლოთ უზრუნველეყოთ ამ მთის მწვერვალის იერიში.

ვის უნდა მიენდოს ესოდენ ძნელი და საპასუხისმგებლო დავალების შესრულება?

საჭირო იყო მოქმედება მუდმივი თოვლის სამფლობელოში.

თავისი არჩევანი ლესელიძემ შეაჩერა უფროსი ლეიტენანტის ნიკოლოზ ტიტორენკოს ათასეულზე. ეს არჩევანი შემთხვევითი როდი იყო: ტიტორენკოს ათასეულს არაერთხელ გამოუჩენია თავი მთებში უნარიანი მოქმედებით.

ლესელიძემ პირადად ჩაატარა ათასეულის ინსტრუქტირება. ყველა აღგზნიბული იყო გადაწყვეტილებით: ბოლომდე შეესრულებინა კორპუსის მეთაურის დავალება.

ახლოვდებოდა საიერიშოდ გასვლის დრო. საათის ისარი სამს უახლოვდებოდა. ამ გათენების წინა საათში ლესელიძემ ტელეფონით გამოიძახა ლეიტენანტი ტიტორენკო. ერთხელ კიდევ მიუთითა დავალების საპუსუხისმგებლო ხასიათზე და დასძინა:

— რაც უნდა დაგვიჯღეს, გერმანელები ჩამოყრილ უნდა იქნენ ურეუმიდან. მოაგონეთ მებრძოლებს სუვოროვის სიტყვები: „სადაც ირემი გაივლის, იქ ჩვენი ჯარისკაციც გაივლის! სადაც ირემი ვერ გაივლის, ჩვენი ჯარისკაცი იქაც გაივლის!“

უკუნეთ წყვდიადში, იარაღითა და საოშარი მასალით დატვირთული გულადი ვაჟკაცები გაემართნენ მწვერვალის საიერიშოდ.

საბჭოთა ჯარისკაცებს უხდებოდათ ციცაბო აღმართზე ასვლა. კლდეებს ყინულის ქერქი ჰქონდა გადაკრული.

ათასეულის მებრძოლთა შორის ძალიან ცოტა იყო ალპინისტი. ისინი გუშინდელი კოლმეურნეები იყვნენ. ამათგან მხოლოდ თითოოროლა თუ ასულა ოდესმე ფრიალო გრანიტის კლდეებზე. მაგრამ სამშობლო საგმირო საქმეს მოითხოვდა და ისინი მიდიოდნენ წინ, სძლევდნენ ყველა სიძნელეს.

წინ მიდიოდა ტიტორენკო, ხელებითა და ფეხებით სინჯავდა შვერებს, რომლებზეც შესაძლებელი იქნებოდა დაყრდნობა. მას მისდევდა კომისარი შვეცოვი, რომელსაც მის ქამარზე ჩაევლო ხელი, ხოლო ამათ მიჰყვებოდნენ დანარჩენი მებრძოლები. მიდიოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც შეიძლება არასოდეს არ დადგმულა ადამიანის ფეხი.

უცებ ამოვარდა საშინელი ქარიშხალი. მსხვილი სეტყვა სახეს უკაწრავდა მებრძოლებს. ტიტორენკომ გასცა ბრძანება მებრძოლებს ლაბადა-კარვები წამოეფარებინათ და განეგრძოთ სვლა.

ენერგიის არაადამიანური დაძაბვა იყო საჭირო, რათა თითო-თითო მეტრობით დაეძლიათ ძნელი სავალი.

როდესაც მებრძოლები უკვე მწვერვალს მიადგნენ, ისეთი ძალით იჭექა,

გეჩვენებოდათ კლდეებმა დაიზანზარესო. მეხმა ოთხი ჯარისკაცი მოჰკლა.

მებრძოლებმა ცოტა ხნით შეისვენეს, რომ სული მოეთქვათ მტერთან შებმის წინ.

ჯერ ისევ ბნელოდა, როდესაც დაიწყო იერიში. საბჭოთა ჯარისკაცების გამოჩენა ურჟუმზე მოწინააღმდეგისათვის სრულიად მოულოდნელი იყო.

გერმანელებს ვერ წარმოედგინათ, თუ ვინმე შესძლებდა ასეთ ამინდში მათი თავდაცვის გადალახვას. გაიმართა ხელჩართული შეტაკება, რომელშიც მოსპობილ იქნა მწვერვალზე მყოფი ყველა გერმანელი.

ღამის იერიშმა დიდი როლი ითამაშა მარუხის უღელტეხილზე ჩვენი პოზიციების განმტკიცებაში. მაგრამ უღელტეხილებზე მდგომარეობა მაინც მძიმე იყო. მტერი არ იშლიდა ზღვისკენ გაჭრის განზრახვას და თავის ძალღონეს ასამკეცებდა. გერმანელთა მოწოლას ლესელიძე უპირისპირებდა თავის ტაქტიკას, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ დრო მოეგო და მოწინააღმდეგე სისხლისაგან დაეცალა. ლესელიძემ იცოდა, რომ მას მოელოდა პირისპირ ბრძოლა, რომ დღევანდელი თავდაცვით იგი გზას იკაფავდა ხვალინდელი შეტევისაკენ.

დიდი დანაკლისის ფასით გარმანელებმა შესძლეს ქლუხორის უღელტეხილზე მნიშვნელოვანი მბრძანებელი სიმაღლის ხელში ჩაგდება. მათ იწყეს ჩვენი ნაწილების შევიწროვება. მაგრამ ლესელიძემ შესძლო შეეჩერებინა მოწინააღმდეგის შემდგომი წინსვლა.

უღელტეხილზე გერმანელებმა ალყა შემოარტყეს ჩვენს ერთ-ერთ ათასეულს. ლესელიძე, რომელიც არასოდეს არ მიატოვებდა მებრძოლებს გასაჭირში, თვითონ გაემართა მათ დასახსნელად. იგი სათავეში ჩაუდგა კორპუსის შტაბის დამცველ მეავტომატეთა ოცეულს და პირისპირი ბრძოლა გერმანელებზე. ამავე დროს [illegible] გზით გერმანელების ზურგში გაგზავნა ერთადერთი ასეული, რომელიც რეზერვში იმყოფებოდა ამ ზღუდეზე.

გერმანელები გააოცა ერთი მუჭა მეავტომატეთა გაბედულმა შემოტევამ. მეავტომატეებმა დაუშინეს მოწინააღმდეგეს და ხეობისაკენ იწყეს დახევა, ამით თან გაიტყუეს იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული ჰიტლერელები.

ლესელიძის გეგმა განხორციელდა. მეავტომატეთა ოცეული და გერმანელთა ზურგში გაგზავნილი ასეული დაეხმარნენ გასაჭირში ჩავარდნილ საბჭოთა ათასეულს გამოეკრილიყო გარშემორტყმიდან. კიდევ მეტი, ახლა თვით გერმანელები აღმოჩნდნენ გარშემორტყმული და ერთიანად იქნენ მოსპობილნი.

ამ დამარცხებით გაბოროტებულმა ჰიტლერელებმა დაიწყეს ჩვენი ჯარების შევიწროვება მეზობელ უბნებზე. ლესელიძე გაჩნდებოდა ხოლმე იქ, სადაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო. იგი უშუალოდ მეთაურობდა თავდაცვითს ბრძოლებს და მოწინააღმდეგეს ქანცავდა ამ ბრძოლებში.

მდგომარეობა უღელტეხილებზე კვლავ დაძაბული იყო. შტაბში მოდიოდა ცნობები ახალ სისხლისმღვრელ ბრძოლებზე, ჩვენი ჯარების მიერ ზოგიერთი თავდაცვითი ზღუდეების დატოვების შესახებ.

გერმანელებმა დაიკავეს ქლუხორისა და სანჩაროს უღელტეხილები, სტანიცები ბელორეჩენსკაია და ვოჩარსკაია და გავიდნენ ბზიბის ქედთან. აქედან, ქიფსთის მთიდან, ისინი კარგად ხედავდნენ შავ ზღვას და უკვე წინასწარ ტკბებოდნენ მის საუცხოო სანაპიროზე დასვენების მოლოდინში.

*
* *

ქლუხორის რაიონში გააფთრებული ბრძოლების დღეებში ლესელიძე სასწრაფოდ გამოიძახეს სოხუმში, 46-ე არმიის შტაბში. იგი აქ შეხვდა ამიერკავკასიის ფრონტზე ჩამოსულ, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

ამხანაგმა სტალინმა დროულად გაითვალისწინა ამიერკავკასიაში მტრის შეჭრის შესაძლებელი შედეგები და უშუალო ზომების მისაღებად კავკასიაში გამოგზავნა თავისი უახლოესი თანამებრძოლი ლ. პ. ბერია.

ამხანაგმა ბერიამ, გადააყენა 46-ე არმიის სარდალი და ამ თანამდებობაზე დანიშნა კ. ნ. ლესელიძე.

— მედგარი, მამაცი, მტკიცე, სამთო ომის პირობებს კარგად გაცნობილი — ასეთია გენერალი ლესელიძე და ჩვენ ახლა სწორედ ასეთი გვჭირდება,—ლაპარაკობდნენ მასზე არმიის შტაბში.

სოხუმში, ქალაქის ერთ-ერთი განაპირა დასასვენებელ სახლში, სინოპთან, მოთავსებული იყო 46-ე არმიის სამხედრო საბჭო.

ბაგიდასთან, რომელზეც გაშლილი იყო დიდი რუკა, იდგნენ ამხანაგი ბერია, რამდენიმე გენერალი და უფროსი ოფიცერი. რუკა დახაზული იყო ფერადი ისრებით, აჭრელებული იყო წრეებით, სამკუთხედებით, ციფრებით.

გენერალი ლესელიძე იდგა ამხანაგ ბერიას გვერდით იგი მოვიდა აქ პირდაპირ მოწინავე პოზიციებიდან, უღელტეხილებზე მრავალი დღის განმავლობაში ყოფნით დაქანცული, რასაც მოწმობდნენ უძილო ღამეებისაგან ჩაცვენილი მისი თვალები და ღრმა ნაოჭები შუბლზე. მაგრამ ლესელიძეს მხნედ ეჭირა თავი. იგი დინჯად და დამაჯერებლად აკეთებდა მოხსენებას ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ, უჩვენებდა რუკაზე ჩვენი და მტრის ძალების განლაგებას. ამხანაგ ბერიას აინტერესებდა, რა რამდენად უზრუნველყოფილი არიან მებრძოლები იარაღითა და ტანსაცმელით, როგორაა დაყენებული კვების საქმე, როგორია მეომრების მორალური განწყობილება. ლესელიძე პასუხს აძლევდა ზუსტი, სიტყვა-ძუნწი საბჭედრო ენით.

ფრონტზე სახიფათო მდგომარეობა იყო. ფაშისტთა ურდოები საქართველოს ზღურბლს უახლოვდებოდნენ. მოწინააღმდეგე აიჭრა ქედზე და დაიკავა ქიფსთას მთა. ეს იყო, შეიძლება ითქვას, საქართველოს თავდაცვის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო უბანი. ბევრმა რა იცოდა მაშინ რომ მტერი სულ 20 კილომეტრზე იმყოფებოდა ზღვისპირა ქალაქ გუდაუთიდან და უშუალოდ საფრთხეს უქმნიდა შავი ზღვის სანაპიროზე მიმავალ გზატკეცილსა და რკინიგზას.

ამხანაგი ბერია დასცქეროდა რუქას და აწყობდა გერმანელთა ჯარების შემოჭრილი დაჯგუფების განადგურების სტალინური დავალების განხორციელების გეგმას.

— ქიფსთას მთა უნდა იყოს გერმანელთა წინსვლის უკანასკნელი პუნქტი! და ამხანაგმა ბერიამ აღნიშნა რუკაზე ორი ისარი: ერთი იწყებოდა დოუს უღელტეხილთან სოლის მარჯვნივ, მეორე—მარცხნივ არჩხოს უღელტეხილიდან, ტბა რიცას ახლო. ისრები ერთიმეორეს უერთდებოდა პატარა მთის სოფელ ფსხუსთან.

ქიფსთას მთის პირისპირ შეტევით აღებაზეც ფიქრიც არ შეიძლებოდა. ამას დაჭირდებოდა ჩვენი ძხრით დიდი მსხვერპლი.

ამხანაგი ბერიას წინადადებით უნდა განხორციელებული ყოფილიყო მოწინააღმდეგის სოლივით შემოჭრილი დაჯგუფების ღრმა ორმხრივი შემოვლა იმ ანგარიშით, რომ გავსულიყავით ამ დაჯგუფების ზურგში სოფელ ფსხუსთან.

— მტერი არ შეიძლება მივუშვათ ნაპირთან, რადაც უნდა დაგვიჯდეს!— სთქვა ამხანაგმა ბერიამ და შეაერთა ორი ისარი სოფელ ფსხუსთან.

— მესმის, ამხანაგო ლავრენტი პავლეს ძევ კედლად დავდგებით. ვიბრძოლებთ უკანასკნელ კაცამდე, გერმანელებს აქეთ არ გამოვუშვებთ,—მღელვარედ, როგორც ფიცი, წარმოსთქვა გენერალმა ლესელიძემ.

იმავე დღეს დანიშნულ იქნენ ჯარების შემომვლელ ჯგუფთა მეთაურები. ეს საპასუხისმგებლო დავალება სარდლობამ დააკისრა პოლკოვნიკებს მიქელაძეს და პიაშევს, გამოცდილ ოფიცრებს, რომლებსაც უკვე განვლილი ჰქონდათ ომის მკაცრი სკოლა.

არმიის ახალი სარდლობა ენერგიულად შეუდგა ამხანაგი ბერიას ხელმძღვანელობით შემუშავებული გეგმის განხორციელებას.

ლესელიძე შტაბის უფროს პოლკოვნიკ მიქელაძესთან ერთად აზუსტებს გეგმას. ისინი ამუშავებენ მომავალი ოპერაციების დეტალებს, საათობით სხედან რუკასთან.

მოქმედი ქვეგანაყოფები ყოველდღე ღებულობდნენ ახალ შევსებას სამეურნეო და დამხმარე ქვეგანაყოფებიდან. ასეულებს, პოლკებს ემატებოდნენ კომუნისტები, მოხალისეები აფხაზეთიდან და საქართველოს სხვა უახლოეს რაიონებიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან ევაკუირებული სამხედრო სასწავლებლების კურსანტთა რაზმები.

ჯარის თითოეულ ახალ ჯგუფს ლესელიძე პირადად ეცნობოდა. განსაკუთრებით გულდასმით სწავლობდა იგი მეთაურთა შემადგენლობას და თან შეარჩევდა ხოლმე მტკიცე, გამოცდილ მეთაურებს. იგი პირადად ამოწმებდა ყოველი ოპერაციის მზადყოფნას, ატარებდა წინაკიდის დაზვერვას, ათანხმებდა თავის მოქმედებას მეზობელ შენაერთებთან.

დღისით და ღამით, სიცხესა და სიცივეში, დაუსვენებლად ამზადებდნენ საბჭოთა მეომრები რკინისებური დაცვის ზღუდეებს; სჭრიდნენ ასწლოვან ხეებს, აფეთქებული კლდეები მიექანებოდა ქვევით და ხერგავდა შემოსავლელ ბილიკებს; ვიწრო გასასვლელებში, მაღლობებზე, ტყის გაუვალ ადგილებში აღიმართა ძელმიწურები; გორაკები, ჭალები, მთის ფერდობები დაისერა ღრმა თხრილებით, ტრანშეებით, მისასვლელი გზებით.

ფრონტი გაიჭიმა 400 კილომეტრზე. ეს სიძნელეებს ქმნიდა იარაღითა და საკვებით ჯარების მომარაგების საქმეში. ცალკეულ შემთხვევებში საჭირო ხდებოდა საომარი მასალებისა და სურსათის საპალნეებით მიწოდება და შემდეგ ნელით გადატანა.

ქარბუქი, ქარიშხალი, ნისლი ხშირად გაუვალად აქცევდნენ მთის ბილიკებს. მაგრამ საბჭოთა მეომრები სძლევდნენ ყველა სიძნელეს.

1-ლ სექტემბერს დაიწყო პოლკოვნიკების პიაშევისა და მიქელაძის ჯგუფთა ოპერაციები. ეს ათი დღე გაგრძელდა. ამას წინ უძღოდა გულმოდგინე მომზადება. ლესელიძემ პირადად შეამოწმა ორივე ჯგუფის საბრძოლო მზადყოფნა, დაინტერესდა დაზვერვის მონაცემებით, ზედმიწევნით დააზუსტა მიღებული ცნობები.

ღამით სოხუმიდან დაუს უღელტეხილზე აგზავნილ იქნა წაბზედრო სასწავლებელთა კურსანტებისაგან შემდგარი ორი მსროლელთა ქვეგანაყოფი: ამავე დროს რიცას ტბის რაიონში გავიდნენ გუდაუთსა და გაგრაში შემდგარი რაზმები. ქვეითთა ორი ათასეული დაიძრა ქიფსთას მთაზე აჭრილ მოწინაალმდეგის შესახვედრად.

3 სექტემბერს პიაშევისა და მიქელაძის შემომვლელ ჯგუფთა რაზმეულებმა დაიწყეს შეტევა. მთებში მანევრირების სიძნელე მოითხოვდა მებრძო-

ლებისაგან ძალთა განსაკუთრებულ დაძაბვას.

გადაწყვეტილი იყო ღამით მიეტანათ იერიში სიმაღლეზე, რომელიც ესაზღვრებოდა სოფელ ფსხუს დასავლეთიდან. მოწინააღმდეგე აქ საკმაოდ მომაგრდა, წარმატება დამოკიდებული იყო დარტყმის მოულოდნელობისაგან, საომარი მასალების, ზარბაზნების, ნაღმსატყორცნების პოზიციებზე დროულად მიწოდებისაგან, ჯარისკაცების გაბედაობისა და გულადობისაგან.

სოფელ ფსხუს წინ მდებარე მთა აღებულ იქნა, მიუხედავად მტრის გაცოფებული წინააღმდეგობისა.

ავითარებდა რა შეტევას, 8 სექტემბერს ორივე რაზმეულმა დაიწყო სოფელ ფსხუს იერიში და დღის ბოლოს გააფთრებული ბრძოლის შემდეგ დაიკავეს ის. ამ ბრძოლაში გაჟლეტილ იქნა გერმანელთა ქვეითი ჯარის ერთ პოლკამდე. მოწინააღმდეგის უკან დასახევი გზები მოჭრილი აღმოჩნდა, ცეცხლის ტომარაში ჩავარდა 5000 გერმანელი.

მეორე დღეს გათენებისას მოწინააღმდეგე, რომელიც ფსხუს სამხრეთით იმყოფებოდა, შეეცადა გაჭრილიყო ჩრდილოეთისაკენ, მაგრამ დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა.

ამ დღეს ლესელიძე, როგორც ყოველთვის, შემტევ ნაწილთა შორის იყო.

სოფელ ფსხუსთან ჩატარებული ოპერაცია, რომლითაც აცილებულ იქნა გერმანელების გაჭრა ზღვისაკენ, მტერზე პირველი სერიოზული დარტყმა იყო. მან მისცა დასაწყისი აქტიურ თავდაცვას, რაზეც გადავიდა 46-ე არმია ლესელიძის სარდლობით. ამ მომენტიდან გერმანელებმა იწყეს დახევა ბზიბის ქედიდან.

ბრძოლები სულ მაღლა მთებში გადადიოდა და ბალე მიაღწია კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებს. იქიდან უფროდაუფრო ხშირად მოისმოდა ტყვიამფრქვევთა ჯერების ... ყრუ სკდომა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის დასაწყისში გენერალ ლესელიძის ჯარებმა უკვე მტკიცედ აიღეს ხელში ინიციატივა. ახლა საბჭოთა ქვეითი ჯარის წინაშე იდგა მძიმე, მაგრამ საპატიო ამოცანა—უღელტეხილებიდან ფაშისტების განდევნა. მდგომარეობას ართულებდა ის, რომ მაღალმთიან პირობებში ჩვენს ჯარებს უხდებოდა მოქმედება ნაღმსატყორცნებისა და არტილერიის დაუხმარებლად. მოწინააღმდეგეს ჰქონდა საბრძოლო მოქმედებათა რაიონისაკენ უფრო მოხერხებული მისასვლელები. მან შესძლო აეტანა უღელტეხილებზე ექვსლულიანი ნაღმსატყორცნები და მათი ცეცხლით აბრკოლებდა ჩვენი ჯარების შეტევას.

ლესელიძემ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, აემოქმედებინა არტილერია უღელტეხილებზე. საპალნეებით, ცოგებით, ხელით აქონდათ დაშლილი ქვემეხები ქედის მწვერვალებზე. გულადებს უხდებოდათ გზის გაკაფვა თოვლის ნაზვავებსა და ყინულოვან კლდეებში. ძლიერი ყინვები და ქარბუქი კიდევ უფრო ართულებდა ასვლას. მაგრამ მებრძოლები და ოფიცრები თავდადებულად სძლევდნენ ყველა დაბრკოლებას. ხუთი დღე-ღამის მედგარი, დაძაბული შრომის შედეგად 76 მილიმეტრიანი ქვემეხები იდგა ცეცხლის პოზიციებზე, 3000 მეტრის სიმაღლეზე. ზარბაზნებთან ერთად გერმანელებს ურტყამდნენ ჩვენი სამთო „კატუშები“.

ლესელიძემ გასცა განკარგულება გვარდიული ნაღმსატყორცნების ტიპის მიხედვით გაეკეთებინათ სამთო-სასაპალნე ნაღმსატყორცნები. მალე არმიის ნაწილებში შეიწყო ახალი მრისხანე იარაღის წარმოება. ის პირველად იქნა გამოყენებული მთებში. მებრძო-

ლებმა გულთბილად შეარქვეს ამ ნაღმსატყორცნებს „ჩვენი მთიული მეგობრები“.

ქვემეხებისა და სამთო „კატუშების“ გამოჩენა სრულიად მოულოდნელი იყო მოწინააღმდეგისათვის. როგორადაც კი არ ცდილობდნენ გერმანელები მობღაუჭებოდნენ უღელტეხილებს, მათ უკვე აღარ შეეძლოთ გამკლავებოდნენ არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით გამაგრებულ საბჭოთა მეომრების შემოტევას. დეზორალიზებული მოწინააღმდეგე ზღუდეს ზღუდეზე სტოვებდა.

ინიციატივა უღელტეხილებზე სავსებით საბჭოთა ჯარების ხელში გადავიდა. მათ ღირსეულად შეეძლოთ ოქტომბრის ოცდამეხუთე წლისთავის აღნიშვნა. ეს ღირსშესანიშნავი დღე დაძაბულ ბრძოლებში გაატარეს. არმია შეტევითს ოპერაციებს აწარმოებდა. ამავე დღეს დაიწყო ცნობილი გიზელის ბრძოლა, რომელშიც ორივე მხრიდან მონაწილეობდა 75 ათასი ჯარისკაცი და რომელიც გერმანელთა სრული განადგურებით დამთავრდა ვლადიკავკაზის მისადგომებთან.

დღის ბოლოს ლესელიძე გაჩნდა არმიის ერთერთი ნაწილის მეთაურის ბლინდაჟში და ჩაურთო მიმღები. შორეულ მოსკოვიდან მოისმოდა ამხანაგ სტალინის ისტორიული ბრძანების დასკვნითი სიტყვები:

„ბტერმა ერთხელ უკვე იგემა წითელი არმიის დარტყმათა ძალა როსტოვთან, მოსკოვთან, ტიხვინთან. შორს არ არის ის დღე, როდესაც მტერი იგემებს წითელი არმიის ახალ დარტყმათა ძალას. ჩვენს ქუჩაზედაც იქნება დღესასწაული!“

დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ეს სიტყვები წინასწარმეტყველებდა გერმანელთა განადგურებას სტალინგრადთან და კავკასიაში.

მუშაობდა რა ლ. პ. ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით, გენერალი ლესელიძე დაუღალავად ზრუნავდა იმაზე, რომ განეხორციელებინა დიდი სტალინის ნება და გეგმა კავკასიის მისადგომებთან მტრის განადგურებისა. მისი სარდლობით 46-ე არმია შეუპოვარ ბრძოლებში ერთიმეორეზე ხელიდან გლეჯდა მტერს კავკასიის ქედის უღელტეხილებს.

მტერი დაბარცხდა უღელტეხილებზე და ნაწილობრივ უკუგდებულ იქნა მთავარი კავკასიის ქედიდან.

ეს გამარჯვება ჩრდილოეთ კავკასიაში მტრის განადგურების პროლოგი იყო. ის სტალინგრადთან გერმანელების ლეგენდარული ხოცვა-ჟლეტის დასაწყისს დაემთხვა.

უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით აღნიშნა საბჭოთა მთავრობამ კავკასიის პირქუშ უღელტეხილებზე გერმანელთა განადგურებაში გენერალ ლესელიძის მიერ გამოჩენილი მხნეობა და სარდლობის ოსტატობა. კ. ნ. ლესელიძეს მიეკუთვნა გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება.

საბჭოთა ჯარები კვალდაკვალ მიერეკებოდნენ მტერს; იანვრის განმავლობაში სავსებით გაწმინდეს კავკასიის მისადგომები გერმანელ დამპყრობთაგან და უკვე თებერვალში გაშალეს წარმატებით საბრძოლო მოქმედებები მდინარე ყუბანის ვაკეზე.

ბრძოლა კავკასიისათვის მოგებულ. იქნა. „ნავთის—მხოლოდ სუნი იგრძნეს გერმანელებმა, ნავთი კი მათ არ ერგოთ?..“

1943 წლის მარტში გენერალი ლესელიძე დანიშნულ იქნა მე-18 არმიის სარდლად. ამ არმიას საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის უკიდურესი მარცხენა ფრთა ეკავა. მას ჰქონდა დაკისრებული ნოვოროსიისკთან მტრის თავ-

დაცვის გარღვევა და შავზღვაზე ამ უმნიშვნელოვანეს ნავსადგურის გერმანელებისაგან განთავისუფლება.

ნოვოროსიისკის ფლობა გერმანელთა სარდლობას საშუალებას აძლევდა მუდამ შუქარის ქვეშ ჰყოლოდა კავკასია, ხოლო თუ შეტევითს მოქმედებებს განავითარებდა შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, სამხრეთიდან შემოევლო კავკასიის ქედი.

დაიკავეს რა ნოვოროსიისკი ჯერ კიდევ 1942 წლის სექტემბერში და არაერთხელ შეეცადნენ რა გაეტეხათ ჩვენი ჯარების წინააღმდეგობა ქალაქიდან ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, გერმანელებმა განსაკუთრებით გააძლიერეს შემოტევა 1943 წლის გაზაფხულზე, როდესაც ჩრდილოკავკასიის ფრონტის საბჭოთა ჯარებმა გასტეხეს მტრის მედგარი წინააღმდეგობა, სწრაფად წაიწიეს წინ ყუბანის ვაკეში და მიუახლოვდნენ კრასნოდარს.

მაგრამ მტრის ყოველი ცდა დაეძლია ჩვენი ჯარების წინააღმდეგობა ნოვოროსიისკის რაიონში უშედეგო აღმოჩნდა: საბჭოთა მეომრები იგერიებდნენ ჰიტლერელთა იერიშებს და თვითონ ატეხდნენ თავზე მათ გამანადგურებელ დარტყმებს.

ინიციატივა ნოვოროსიისკთან განუხრელად გადადიოდა საბჭოთა ჯარების ხელში. განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ეს მის შემდეგ, რაც უშიშარი საზღვაო ქვეითთა რაზმი მაიორ ცეზარ კუნიკოვის მეთაურობით მოულოდნელად გადმოესხა ვიწრო კონცხ მისხაკოზე-ნოვოროსიისკის უშუალო სიახლოვეს.

შავი ზღვის მეზღვაურები, რომლებსაც ზღვიდან და ხმელეთიდან დახმარებას უწევდა ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი, მიუვალ ციცაბო კლდეზე ავიდნენ. დესანტელები მოქმედებდნენ სწრაფად და თავდაუზოგავად, გაქლიტეს გერმანელთა სანაპირო დაცვის რაზმი და აიღეს მიმართულება ქალაქის გარეუბნებისაკენ სტანიჩკა ცემესის უბის ნაპირზე.

დაიპყრეს რა გერმანელებისაგან უკიდურესი ფრთა ნოვოროსიისკის მისადგომებთან, დესანტელებმა ამით გერმანელფაშისტ ბეცს დააჭრეს კავკასიის შავი ზღვის სანაპიროსკენ გამოშვერილი თათები.

გერმანელთა ყოველგვარი ცდა გადაეყარათ ჩვენი ვაჟკაცები ზღვაში ფუჭი აღმოჩნდა. მტრისაგან დაპყრობილ მიწის პატარა ნაჭერზე დესანტელებმა მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. „სიკვდილის ბუნაგს“ ეძახდნენ მას მებრძოლები და მეთაურები. დესანტელების ზურგს უკან იყო ზღვა, შავი ზღვის სანაპიროსა და საქართველოს ბედი, მთელი ამიერკავკასიის ბედი. და ისინი იდგნენ სასიკვდილოდ თავგანწირულნი.

ბრძოლები წარმოებდა თითოეული მეტრისათვის, მიწის თითოეული მტკაველისათვის. გერმანელები რკინასა და ტყვიას ატეხდნენ თავზე დესანტელებს, მაგრამ ისინი უმაგრდებოდნენ. წყობილებიდან გამოსულებს ახლები ცვლიდნენ. დაღუპულთა შეუდრეკლობა და უშიშრობა ცოცხლებზე გადადიოდა. 180 დღე და ღამე ერთი წუთითაც არ შესუსტებულა ბრძოლის დაძაბულობა მისხაკოს კონცხზე. საბჭოთა ადამიანებმა აიტანეს ეს საშინელი ტანჯვა. იყო პერიოდები, როდესაც მათ არ ეძინათ ზედიზედ სამი-ოთხი დღე-ღამე. დესანტელებისათვის გმირობა ყოველდღიური ამბავი გახდა. გეგონებოდათ არ იყო ისეთი ძალა, რომელიც შეძლებდა „მცირე მიწის“ დამცველთა ადგილიდან დაძვრას.

მისხაკო, რომელიც „ლესელიძის მცირე მიწის“ სახელწოდებით შევიდა დიდი სამამულო ომის ისტორიაში, ნოვოროსიისკში მოკალათებული გერმანელებისათვის იყო უდიდესი დაბრკოლება, ყელში გაჩხირული ძვალი, მათ

თავზე მოღერებული ჯავშნიანი მუშტი.

დესანტს, რომელიც გამაგრდა მისხაკოზე, ლესელიძე დიდ მნიშვნელობას აძლევდა. დესანტი თავისკენ იზიდავდა გერმანელთა მნიშვნელოვან ძალებს და ამასთან ერთად კონტროლს უწევდა ცემესის უბის გასავალს, რითაც არღვევდა მტრის საწყლო კომუნიკაციებს.

მტერი დარტყმას დარტყმაზე ატეხდა თავს 22 კვადრატული კილომეტრი მიწის ნაჭერს. გერმანელებმა გამოიანგარიშეს, რომ თითოეულ საბჭოთა მებრძოლზე, რომელიც იცავდა „მცირე მიწას“ დახარჯეს არა ნაკლებ ხუთი საარტილერიო ჭურვისა, ხოლო სულ „მცირე მიწაზე“ მათ ჩაშოყარეს 11 სარკინიგზო ეშელონი ლითონი.

იყო დღეები, როდესაც ამ უბანზე გადმოსროლილი მტრის ავიაციის თვითმფრინავგაფრენა 1.500 აღწევდა. იერიშები ერთიმეორეს მოსდევდა.

სიკვდილი დასტრიალებდა თავზე თითოეულ დესანტელს. ზოგიერთ მონენტში მდგომარეობა გამოუვალად გეჩვენებოდათ. მაგრამ „მცირე მიწის“ დამცველები განაგრძობდნენ თავისი პოზიციების დაჭერას.

დესანტელების ურყევი ნებისყოფა და მაშაცობა შედუღაბებული და გაკაჟებული იყო მათი მეთაურის კუნიკოვის პირადი ვაჟკაცური მოქმედებებით. წინათ ცეზარ კუნიკოვი შუაშობდა მოსკოვში ინჟინრად, ომის წინ ჟურნალისტი იყო. და ესოდენ მშვიდობიანი პროფესიის ადამიანი ომის დროს ლეგენდარული გმირი გახდა.

სიმამაცე, მოხერხებულობა და კიდევ ერთხელ სიმამაცე—აი რით გამოირჩეოდა ეს სახელოვანი მოსკოველი, როგორც მეთაური. კუნიკოვი ყოველთვის იქ გამოჩნდებოდა ხოლმე, სადაც უფრო საშიში მდგომარეობა შეიქმნებოდა.

მისი ადიუტანტი იყო ტანდაბალი და კუნთმაგარი სოხუმელი [illegible], რომელიც ვაჟკაცობასა და [illegible] თავის უფროსს ბაძავდა.

მაიორი ცეზარ კუნიკოვი გვირულად დაიღუპა კონცხზე, სიკვდილის შემდეგ მას საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიენიჭა.

ბრძოლები კონცხზე არ წყდებოდა მთელი დღეღამეობით.

შებინდებისას ცეცხლის ფარდის გაჭრით, მისხაკოსაკენ მოაპობს ზვირთებს პატარა კატარღა. მსკდომ ჭურვთა შუქზე მებრძოლები არჩევენ ნაპირზე გადმოშავალი თავისი სარდლის ნაცნობ ფიგურას.

„მცირე მიწა“ მთლიანად ცეცხლშია. მანათობელი ტყვიები სიგრძე-სიგანით სერავენ მას. ამ დროს არმიის სარდალი შემოივლის ცეცხლის წერტებს, ეცნობა ვითარებას.

მიუხედავად ფრონტის სარდლობის აკრძალვისა, ლესელიძე თითქმის ყოველდღე, სიცოცხლის რისკით, გადადის მისხაკოზე, ესაუბრება დესანტელებს აძხნევებს მათ, გადასცემს მათ ბელადის მადლობას, აძლევს კუნიკოვს მითითებებს და ალიონზე სტოვებს კონცხს.

ნოვოროსიისკის მომავალი იერიშის გეგმის დამუშავებით გატაცებული ლესელიძე არ ანებებს ინტერესს ზურგის მოშაობისადმი. იმ დღეებში მის არშიაში ხშირად მიდიოდნენ საქართველოს მშრომელთა დელეგაციები. მეომრები მოუთხრობდნენ სტუმრებს ფრონტის საბრძოლო საქმეებზე და თავის მხრივ გამოკითხავდნენ ხოლმე თბილისის, საქართველოს ცხოვრების შესახებ, იმაზე, თუ როგორ ეხმარებოდნენ საბჭოთა არშიას ქალაქისა და სოფლის მშრომელები.

სიყვარული თავისი სამშობლო საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი ლესელიძეში ორგანულად იყო შედუღებული მთელი საბჭოთა ქვეყ-

ნისადმი ყველა მისი ხალხისადმი სიყვარულთან, და იგი ცდილობდა ეს გრძნობა აღეზარდა თითოეულ მებრძოლში. შემთხვევითი როდი იყო, რომ სწორედ ლესელიძის არმიაში შეიქმნა შესაშინავი „ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებს“.

ამ ისტორიულ მიმართვას ხელი მოაწერა ქართველი მეომრების სადელეგაციო შეკრებათა 2031 მონაწილემ.

სადელეგაციო შეკრებებიდან ცეცხლის ზღუდეებზე დაბრუნებული ჯარისკაცები უფრო მაგრად კიდებდნენ ხელს შაშხანებს, უფრო მარჯვედ უშენდნენ მტერს ზარბაზნებიდან და ნაღმსატყორცნებიდან, გაბედულად თავს ესხმოდნენ მოწინააღმდეგეს ზურგში.

მოწინააღმდეგემ დიდი ძალ-ღონე შეალია იმას, რომ ნოვოროსიისკი და მისი მიდამოები ექცია თავდაცვის უძლიერეს დასაყრდენ პუნქტად ყუბანზე. წლის განმავლობაში გერმანელებმა ააგეს ნოვოროსიისკის მისადგომებთან სიმაგრეთა მრავალსართულიანი სისტემა ბეტონირებული ძელმიწურებით, ხანგრძლივი საცეცხლე წერტილებით, ნაღმის ველებით, ხერგებით, მავთულხლართებით.

მაგრამ ნოვოროსიისკში გერმანელების ბატონობის დღეები დათვლილი იყო.

ლესელიძე ამთავრებს ნოვოროსიისკის განთავისუფლების შეტევითი ოპერაციის სამზადისს.

ლესელიძეს, არმიის შტაბის უფროსს პოლკოვნიკ პოკროვსკის და სხვა ოფიცრებს, რომლებიც ადგენდნენ ოპერაციის გეგმას, უკვე ხუთი დღე-ღამე არ დაუხუჭავთ თვალი. საჭირო იყო ყოველი წვრილმანის გათვალისწინება. იმ ჯარების საერთო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ ნოვოროსიისკის იერიშში, ლესელიძემ შეიმუშავა კომბინირებული დარტყმის ორიგინალური და გაბედული გეგმა. დასახული იყო ამ დარტყმის მიყენება ისეთ პუნქტებში, სადაც მოწინააღმდეგე მას ყველაზე ნაკლებ მოელოდა. სარდალი სწორად ითვალისწინებდა, რომ ოპერაციის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოულოდნელობას.

9 სექტემბერს, საღამოთი ოპერაციის დაწყების წინ, არმიის სარდალი ტელეფონით დაუკავშირდა დივიზიების მეთაურებს. თითოეულისაგან მოისმინა მოხსენება შეტევისათვის მზადყოფნის შესახებ და უსურვა წარმატება.

1943 წლის 10 სექტემბრის წინა ღამე დაძაბულ მოლოდინში გადიოდა.

კ. ნ. ლესელიძე და სამხედრო საბჭოს წევრი გენერალმაიორი კოლონინი სამეთაურო პუნქტზე იყვნენ. შესანიშნავი აპინდი იყო. ღამის მყუდროებას მხოლოდ იშვიათად თუ არღვევდა არტილერიის კანონადის შორეული გუგუნი.

ლესელიძის ღირსეული თანამოღვაწე ნოვოროსიისკის ოპერაციაში კონტრ-ადმირალი ხოლოსტიაკოვი ამ დროს ნაპირზე იყო. მას აწუხებდა ბედი საზღვაო დესანტისა, რომელიც გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა მისხაკოზე.

ორ საათსა და ორმოც წუთზე სათვალთვალო პუნქტიდან ყველა ტელეფონით იქნა გადაცემული ბრძანება. ხუთი წუთის შემდეგ დადგა მომენტი, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდებოდნენ მე-18 არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები.

გენერალ ლესელიძის ჯარებმა დაიწყეს ქალაქის სახმელეთო მისადგომებზე გერმანელთა თავდაცვის მსხვრევა. ასეულობით სხვადასხვა ყალიბის ქვეითებმა გახსნა ძლიერი ცეცხლი მტრის თავდაცვის მთელ ხაზზე. ამავე დროს ბომბდამშენმა და საიერიშო ავიაციამ ჰაერიდან თავს დაატეხა მტერს ბომბების დარტყმა.

საარტილერიო მომზადება 45 წუთს გრძელდებოდა. არმიის სარდალი და სამხედრო საბჭოს წევრი კმაყოფილებით ადევნებდნენ თვალს, თუ როგორ ფეთქდებოდა მოწინააღმდეგის სიმაგრეები და ცაში მიიკლაკნებოდა ხანძრების უზარმაზარი ალი. ცეცხლითი თავდასხმა იმდენად გაშანადგურებელი იყო, რომ გარეტიანებულმა მტერმა ვერ შესძლო ზღვიდან დესანტისათვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა. საზღვაო ქვეითთა რაზმები გადასხდნენ მტრის ზურგში და მყისვე დაარტყეს მოწინააღმდეგის პოზიციებს. ზურგიდან იერიშმა აიძულა გერმანელები წაეზიდათ ძალთა ნაწილი მეზღვაურებთან საბრძოლველად. ხმელეთიდან წინააღმდეგობა შესუსტდა. ამით ისარგებლეს საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც ცემენტის ქარხნების მხრიდან მოდიოდნენ.ისინი გადავიდნენ შეტევაზე.

სარდალი გულდასმით ადევნებდა თვალყურს ქვეგანაყოფთა მოქმედებებს. მისი გამამხნევებელი სიტყვები გამარჯვებისაკენ მოუწოდებდა.

— გადაეცით გენერალ არშინცევს,—მისი დივიზიის პირად შემადგენლობას ვუცხადებ მადლობას, ხოლო იმათ, ვინც თავი გამოიჩინეს, ვარდგენ ჯილდოზე,—ბრძანა მან ეცნობებინათ მამაც ციმბირელ ქვეითი ჯარებისათვის.

ლესელიძის სიტყვები დაუყოვნებლივ გადასცა რადისტმა.

არმიის სარდლის მადლობამ ჯარისკაცთა გულადობა გააორკეცა. ციმბირელი გვარდიელები ლეწავდნენ გერმანელთა წინააღმდეგობას და მიიწევდნენ წინ.

ძნელია იმის თქმა, თუ ვინ უფრო გამოიჩინა ამ ბრძოლაში თავი არშინცევის დივიზიიდან. ყველა ჯარისკაცი და ოფიცერი ლეგენდარული მხნეობით იბრძოდა.

16 სექტემბერს, ექვსი დღე-ღამის გაფთრებული ბრძოლის შემდეგ ქალაქი, და მავი ზღვის მნიშვნელოვანი ნავსადგური მთლიანად გაწმენდილ იქნა გერმანელ დამპყრობთაგან.

უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანებამ აცნობა საბჭოთა ხალხს ისტორიული გამარჯვების შესახებ, რომელიც ზოპოვებულ იქნა სახელოვანი საბჭოთა მხედართმთავრების გენერალ ლეიტენანტ ლესელიძისა და კონტრ-ადმირალ ხოლოსტიაკოვის ხელმძღვანელობით.

სამამულო ომის მატიანეში ჩაწერილ იქნა კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი.

წარმატება ნოვოროსიისკის ოპერაციისა, რომელიც ეშყარებოდა ყველა გვარეობის იარაღის მჭიდრო თანამოქმედებას, სახმელეთო ჯარების მოხერხებულ მანევრირებას, აგრეთვე მოწინააღმდეგის ძლიერ და სუსტ მხარეთა ჩინებულად ცოდნას, უზრუნველყოფილ იქნა გულმოდგინე ზომზადებით, რის პროცესში ლესელიძე ითვალისწინებდა და ამოწმებდა ყოველ წვრილმანს საფუძვლიანად ამზადებდა, სწავლობდა და წყვეტდა ათეულობით საკითხებს.

საჭიროა ითქვას კიდევ ერთ პირობაზე, რომელიც ხელს უწყობდა ოპერაციის წარმატებას. ესაა ზზრუნველობა, მამობრივი მზრუნველობა სარდლისა ჯარისკაცებზე, მათ ყოფა-ცხოვრებაზე.

როდესაც ლესელიძემ ჩაიბარა მე-18 არმია, მან. უწინარეს ყოვლისა, მოიარა ყველა მისი ნაწილი და ქვეგანაყოფი, ესაუბრა ჯარისკაცებს. ამ არმიაში არსებული წესრიგი მას არ აკმაყოფილებდა. აქ ზებრძოლებს დროზე არ აწვდიდნენ საჭმელს, ჯარისკაცები მთელი კვირაობით არ იცვლიდნენ საცვლებს, ხუთ ჯარისკაცზე ერთი კარდალი მოდიოდა, ზეგულარულად არ იმართებოდა აბანო. ამ საყოფაცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებო „წვრილმანებს“ ლესელიძემ არანაკლები ყურადღება დაუთმო, ვიდრე საბრძოლო ოპერაციების მომზადებას.

წარსულში თვითონ რიგითმა ჯარისკაცმა, გენერალ ლესელიძემ კარგად იცოდა მებრძოლის საჭიროება, ჩინებულად ესმოდა მისი სულისკვეთება. შევიდოდა ასეულში ან ბატარიაში და უსათუოდ გამოკითხავდა ჯარისკაცებს: იყვნენ თუ არა აბანოში, როგორ აჭმევენ, რას იწერებიან შინიდან.

ნამდვილი სუვოროვისებური მზრუნველობა ჯარისკაცზე კეთილნაყოფიერად დაეტყო ჯარვბის მორალურ და საბრძოლო განწყობილებას. ქვეგანაყოფთა მეთაურებმა იცოდნენ, რომ არმიის სარდალი მკაცრად ადევნებდა თვალყურს ჯარისკაცების საყოფაცხოვრებო მომსახურებას და მისგან ღებულობდნენ მაგალითს. ფრონტზე სიწყნარის წუთებია—მებრძოლებმა უნდა დაიბანონ, დაიკერონ ტანსაცმელი.

როდესაც ლესელიძე მივიდოდა ქვეგანაყოფებში, ჯარისკაცები ამბობდნენ: „მოვიდა ჩვენი არმიის სარდალი, ჩვენი ფრონტელი მამა“.

16 სექტემბერს დიდი დღესასწაული იყო ჩრდილო კავკასიის ფრონტის ჯარებისათვის. ნოვოროსიისკის გათავისუფლება გახდა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებისაგან ყუბანისა და ტამანის ნახევარკუნძულის სრული გაწმენდის დასაწყისი. ამ დღესასწაულის გმირი იყო გენერალი ლესელიძე,— ნოვოროსიისკის შესანიშნავი ოპერაციის ორგანიზატორი.

15 სექტემბერს, საღამოს, როდესაც ნოვოროსიისკზე ჯერ კიდევ მტრის შორსმსროლელი არტილერიის ყუმბარები სკდებოდნენ, ლესელიძე ტამანზე გერმანელთა განადგურების გეგმის მოფიქრებით იყო უკვე გართული.

იმ საღამოს ნოვოროსიისკში ჩამოვიდა 414-ე ქართული დივიზია, რომელიც გადმოსროლილი იქნა ლესელიძის არმიის შესავსებად.

ჩამოსული დივიზიის მეომართა შორის ხალისი სუფევდა. თითოეულ ჯარისკაცს, სერჟანტს, ოფიცერს სასახელოდ მიაჩნდა ლესელიძის ჯარების რიგებში ყოფნა, იმ არმიაში ბრძოლა, რომლის სახელი მთელ ფრონტზე ქუხდა.

— ლესელიძის სარდლობით, — ამბობდნენ ჯარისკაცები და ოფიცრები,—მოვიპოვებთ ახალ საბრძოლო წარმატებებს.

საღამოს ლესელიძე მივიდა დივიზიის განლაგებაში. მიესალმა მეთაურთა შემადგენლობას, უბრალოდ ჩადგა თავის თანამემამულეებში და გამართა მათთან მეგობრული საუბარი.

ქართველი მეომრები ჭიდრო რიგალად შემოეხვიენ სახელგანთქმულ მხედართმთავარს, რომელმაც თავისი საბრძოლო საქმეებით და ნიჭით ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი ქართველ უმაღლეს ოფიცერთა სახელოვან ოჯახში.

გენერალი ესაუბრებოდა ჯარისკაცებს, ეკითხებოდა მათი იარაღის საბრძოლო ღირსებათა და ტაქტიკურ თვისებათა შესახებ, რჩევა-დარიგებებს აძლევდა.

დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი გიორგი ყურაშვილი და კომისარი ვარლამ ჯანჯღავა მოახსენებდნენ არმიის სარდალს დივიზიის მებრძოლთა და ოფიცერთა გულისწადილზე — მალე ჩაბმულიყვნენ ბრძოლაში.

— ქართველი ხალხის შვილებო!— მიმართა ლესელიძემ დივიზიის პირად შემადგენლობას, — სამშობლო თქვენგან ახალ საგმირო საქმეებს მოელის. თბილისში, საქართველოს ყველა კუთხეში იციან თქვენი საბრძოლო საქმეთა შესახებ, განუწყვეტელ ზრუნვას იჩენენ თქვენზე. წმინდად დავიცვათ ჩვენი მამა-პაპათა ტრადიციები. თითოეულ თქვენგანს უნდა ახსოვდეს ბრძო-

ლაში, რომ იგი ქართველია, ხოლო ქართველი, უწინარეს ყოვლისა, მეომარია.

დაძაბულ სიჩუმეში გაისმა გენერლის დასკვნითი სიტყვები:

უახლოეს დღეებში მოგიხდებათ ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ საშობლოს, დიდ სტალინს თქვენი ერთგულება. თქვენ წახვალთ ტამანის ნახევარკუნძულის გასათავისუფლებლად. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ამოცანა სახელოვნად იქნება შესრულებული.

არმიის სარდლის მიერ ამის წარმოთქმაზე მებრძოლებმა ძლიერი „ვაშა“ და „ურა“ შესძახეს.

— გავიმარჯვებთ ან დავიხოცებით! — აცხადებდნენ ისინი, — უმალ მტკვარი უკუდენას იწყებს, ვიდრე ჩვენ უკან დავიხევთ.

გენერალ ლესელიძის ჯარები გადავიდნენ შეტევაზე დაიწყეს ტამანის ნახევარკუნძულზე მტრის დასაყრდენი პუნქტების მსხვრევა. 414-ე დივიზიის მეომრებმა გაათავისუფლეს ქალაქი ანაპა. ანაპის აღებისათვის დივიზიას მიეკუთვნა „ანაპის“ დივიზიის სახელწოდება.

... დაიწყო ტამანის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილის გაწმენდა. ამ დღეებში ლესელიძე თითქმის განუშორებლად იმყოფებოდა შემტევ ნაწილთა შორის მოწინავე პოზიციებზე.

ზარბაზნები და ნაღმსატყორცნები, ტანკები და ტყვიამფრქვევები, თვითმფრინავები—ყველა სახის იარაღი, რაც კი შერჩენოდათ, გერმანელებმა აამოქმედეს საბჭოთა მეომრების წინააღმდეგ.

ერთხელ მტრის არტილერიის დაშენამ ლესელიძეს მოუსწრო გზაზე იმ საბჭოთა ჯარების პოზიციებისაკენ, რომლებიც ფაშისტებზე ახალი დარტყმისათვის ემზადებოდნენ. უცბად მის თავზე სტვენით გადაიქროლა ჭურვმა, დაენარცხა მახლობლად და გასკდა. ლესელიძემ გაიხედ-გამოიხედა, დამალვა შეიძლებოდა [illegible] ყუმბარის ამონათხარში, [illegible] რამდენიმე ნაბიჯზე იყო. მასში ჩაწვა იგი თავის ადიუტანტ კაპიტან დიმიტრი დუბროვინთან ერთად.

მძიმე ყუმბარები ერთიმეორეზე სკდებოდა გარშემო. მოწინააღმდეგემ ყუმბარის ამონათხარის ირგვლივ ისეთი საშინელი ცეცხლი გახსნა, თითქოს იცოდა, რომ იქ იმყოფებოდა ნოვოროსიისკთან და ტამანთან მის დამარცხებათა ორგანიზატორი.

თავის აწევა შეუძლებელი იყო. ამონათხარში მიწა და ჭურვთა ნამსხვრევები ცვივოდა. ჭურვთა სკდომისა და თვითმფრინავთა გუგუნისაგან მიწა ზანზარებდა, მაგრამ ამ ჯოჯოხეთშიც ლესელიძე უვნებელი დარჩა.

უცბად ყველაფერი შიჩუმდა. ლესელიძემ თავი ასწია, საათს დახედა— სროლა 35 წუთს გაგრძელებულიყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში ღმუოდნენ სირენები, სტვენდნენ ბომბები, ჰაერში კვამლისა და მტვრის ბოლქვები იდგა. აქაურობა მოფენილი იყო ორმოებითა და გადაბრუნებული მიწის გორობებით.

მტრის საარტილერიო მომზადება უმიზნო აღმოჩნდა. გერმანელთა ცდა, შეეციწროვებინათ საბჭოთა ჯარები, უშედეგოდ დამთავრდა.

9 ოქტომბერს მოწინააღმდეგემ გადამწყვეტი დარტყმა იგემა. ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს უკანასკნელი ზღუდე, რომელიც იფარავდა მისადგომებს მიწის ვიწრო ზოლისაკენ-ჩუმკასაკენ, დაიკავეს კორდონი ილიჩი და ქერჩის სრუტის ნაპირზე გავიდნენ.

ასე იქნა მოსპობილი გერმანელების ოპერატიულად მნიშვნელოვანი პლაცდარმი ყუბანზე, რომელიც იფარავდა ყირიმს და მოწინააღმდეგეს აძლევდა შესაძლებლობას შეტევითი მოქმედებები იწარმოებინა კავკასიისაკენ.

კ. ნ. ლესელიძეს, რომელსაც იმ

დროისათვის შეუსრულდა ორმოცი წელი, მიენიჭა გენერალ-პოლკოვნიკის წოდება, ხოლო მისი მკერდის შემამკობელ მრავალ ჯილდოს დაემატა მაღალი ჯილდოები—სუვოროვის ორდენი I ხარისხისა და კუტუზოვის ორდენი I ხარისხისა.

მაგრამ არის ჯილდო, რომელიც საბჭოთა პატრიოტისათვის ყველა ჯილდოზე მაღალია. ესაა ბელადის პირადი მადლობა.

ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლების მეორე დღეს ლესელიძე გამოძახებულ იქნა ტელეფონთან. რეკავდნენ მოსკოვიდან. დედაქალაქში აპარატთან იყვნენ ი. ბ. სტალინი და ლ. პ. ბერია. უმაღლესმა მთავარსარდალმა მიულოცა არმიის უფროსს მთავრობის მაღალი ჯილდოები, გენერალ პოლკოვნიკის წოდების მინიჭება და უსურვა მას შემდგომი საბრძოლო წარმატებანი.

ეს ბედნიერი წუთები იყო ლესელიძის ცხოვრებაში.

— ბელადთან საუბრის შემდეგ მე სწორედ ახალი ძალღონე შემემატაო,— ამბობდა იგი, როდესაც უზიარებდა თავის სიხარულს მეგობრებს. მოსკოვთან ტელეფონით საუბარს ესწრებოდა ლესელიძის ადიუტანტი დუბროვინი. ლაპარაკი ქართულ ენაზე წარმოებდა. ლესელიძემ აღელვებით უამბო დუბროვინს ბელადთან საუბრის შინაარსი.

მიუხედავად მაღალი წოდებისა და დიდი საბრძოლო წარმატებებისა, ლესელიძე ისეთივე თავმდაბალი და მოკრძალებული დარჩა, როგორადაც ყოველთვის იცნობდნენ მას მეგობრები და თანამოსაზსახურეები. თავის ხელქვეითებთან დამოკიდებულებაში იგი უბრალო, ყურადღებიანი და გულისხმიერი იყო. ხედავდა მათში თავის მეგობრებს. ასე იყო ადიუტანტ დუბროვინთანაც. ლესელიძის სახით დუბროვინს ჰყავდა არა თუ მომთხოვნი უფროსი, არამედ გულითადი მეგობარიც. დუბროვინი ამბობდა, რომ კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე შეუყვარდა როგორც მშობელი მამა. სამი წელიწადი იმსახურა მან ლესელიძესთან და არ ახსოვს შემთხვევა, რომ გენერალი მკვახედ და ქედმაღლურად მოპყრობოდეს რომელიმე ხელქვეითთაგანს. მას შეეძლო სულ პატარა ხარისხის მქონე ადამიანთან დიდ საკითხზე საუბარი. ადიუტანტთან ან შოფერთან იგი ისეთივე გატაცებით საუბრობდა, ვთქვათ, სუვოროვზე და კუტუზოვზე, როგორც შტაბის უფროსთან მორიგ საბრძოლო ოპერაციაზე.

ლესელიძეში განსაკუთრებით ძლიერ იყო განვითარებული ბოლშევიკური თავმდაბლობის, კოლექტიურობის, აზხანაგებთან მეგობრობის გრძნობა.

ერთხელ, ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლების შემდეგ, სამედიცინო-სანიტარული ათასეულის მებრძოლებს ნადირობაზე მოეკლათ კურდღელი და ეჩუქებიათ ის „მცირე მიწაზე“ გადასხმული გმირული დესანტის მაჯაც მონაწილე ექიმ თამარ გვათუასათვის. სან-ათასეულში მზარეულად ქართველი მუშაობდა. გადაწყვიტეს მოემზადებიათ კურდღელისაგან საცივი და მოეწვიათ სადილად არმიის სარდალი. სან-ათასეულის მებრძოლებმა გენერალს გაუგზავნეს კოლექტიური მოწვევა.

გენერლის თანხმობამ მოსულიყო ათასეულში ყველა გაახარა. სან-ათასეულის ბანაკი ერთბაშად გამოცოცხლდა.

სადილობისას დიდი ბრეზენტის კარავში გენერლის გვერდით ისხდნენ ჯარისკაცები, ოფიცრები, ექიმები. ქალიშვილები მღეროდნენ საფრონტო სიმღერებს. ლესელიძის თხოვნით მათ შეასრულეს მისი საყვარელი „ჭხოლოდ შენ ერთს“ და „ციცინათელა“,

კონსტანტინე ლესელიძეც თავის რბილ, მელოდიურ ხმას აყოლებდა.

1943 წლის ზამთარში სახელოვანი ჰე-18 არმია გადაყვანილ იქნა ფრონტის ცენტრალურ უბანზე გენერალ ვატუტინის განკარგულებაში. ეს ის დრო იყო, როდესაც 1-ლი უკრაინის ფრონტის ჯარები დნეპრის ფორსირების და უკრაინის დედაქალაქ კიევის განთავისუფლების შემდეგ განაგრძობდნენ უკრაინაში გერმანელების განადგურების გენიალურ სტალინურ გეგმას.

ᲨᲨრალი ყინვიანი დღეები მაშინ მოულოდნელად დათბობამ შესცვალა. წამოვიდა წვიმები. შარაგზები ბევრ ადგილას ღრმა ტალახით დაიფარა. მინდვრებში თოვლის ქვემოდან მიწის მუქი ლაქები გამოჩნდა. ადვილი როდია შეტევის წარმოება ასეთ ამინდში, მაგრამ ლესელიძის ჯარისკაცები როგორც 1-ლი უკრაინის ფრონტის სხვა შენაერთთა ჯარისკაცებიც ᲨᲨზად იყვნენ ყოველგვარი გაჭირვების გადატანისათვის. თავის მებრძოლებს ლესელიძე ასწავლიდა, რომ ომი-ეს ყველაზე მძიმე სამუშაოა, და ნამდვილ ჯარისკაცს შეუძლია და კიდეც უნდა დასძლიოს ეს სამუშაო, უნდა იოᲨოს ყოველგვარ ამინდში.

თავისი სამეთაურო პუნქტი ლესელიძემ ᲨᲨოაწყო პატარა გორაკზე, სანგრების პირველი ხაზის ახლოს, და უცდიდა, როდის წავიდოდა ქვეითი ჯარი იერიშზე...

საბჭოთა არტილერისტები მოხერხებულად ანადგურებდნენ მოწინააღმდეგის ცეცხლის წერტილებს. როდესაც შეტევისათვის საარტილერიო მომზადება დასრულდა, ფართო ფრონტით დაიძრნენ დივიზიები. ეს მხოლოდ ნაწილი იყო იმ უზარმაზარი ზვავისა, რომელიც გენერალმა ვატუტინმა წარმართა გერმანელთა თავდაცვის სიღრმისაკენ.

ჟიტომირის გზატკეცილის ორსავე მხარეს იქუხა რუსულმა „ურამ“. უმცროს ლეიტენანტ სიდორენკოს ᲨᲨეული, იმ სიდორენკოსი, რომელიც ᲨᲨითქმის ექვსი თვე იბრძოდა „მცირე მიწაზე“, ნოვოროსიისკთან, პირველი შეიჭრა გერმანელთა ტრანშეებში.

1943 წლის 24 დეკემბერს შუადღისათვის ლესელიძის ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის პირველი ხაზი და დაიკავეს რამდენიმე დიდი დასახლებული პუნქტი.

მეორე დღეს ბრძოლებმა კიდევ მეტ გამძაფრებას მიაღწიეს. ლესელიძის არმიის შენაერთები მჭიდროდ თანამოქმედებდნენ სატანკო და საარტილერიო ნაწილებთან, განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის გამაგრებული პოზიციების განადგურებას და წარმატებით მიიწევდნენ წინ. სწრაფი იერიშით მათ დაიკავეს ქალაქი კოროსტიშევი. მიუხედავად მტრის თავგამოდებული წინააღმდეგობისა, საბჭოთა ჯარები გეგმაზომიერად აფართოებდნენ და აღრმავებდნენ გარღვევას. ლესელიძის შტაბში, როგორც ფრონტის ყველა სხვა შტაბში, მთელი დღე-ღამე არ წყდებოდა დაძაბული მუშაობა.

იზრდებოდა ნადავლის რაოდენობა, დიდდებოდა ტყვეთა რიცხვი. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდიოდა მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

ის რომ ლესელიძის არმია მიდიოდა 1-ლი უკრაინის ფრონტის ჯარების ზამთრის ისტორიული შეტევის ავანგარდში, უნდა აიხსნას, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ შეტევის სწრაფი ტემპები ამ არმიისათვის, მისი თითოეული ოფიცრისათვის და ჯარისკაცისათვის ურყევ კანონს წარმოადგენდა.

ახალ, 1944 წელს, ლესელიძე შეხვდა ოპერატიულ რუკებთან. წელიწადი დაიწყო ახალი საპატიო დავალებით. ლესელიძის არმიას დაავალეს ქალაქ ბერდიჩევის დაკავება.

მთელი ღამე არმიის შტაბი გართული იყო მოძავალი ოპერაციის გეგმის შემუშავებით. საქმიანი ვითარება რაც ამ ღამეს იყო არმიის შტაბში, მხოლოდ მოკლე ხნით იქნა დარღვეული. ამაში დამნაძავე ალმოჩნდა ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მზარეული გიორგი ქარსავა. შუალამისას ადიუტანტმა მოახსენა არმიის სარდალს, რომ მზარეულმა ქარსავამ გამოგზავნა ახალგამომცხვარი ხაჭაპური.

ლესელიძეს გაეღიმა.

— კარგი გამასპინძლებაა ახალი წლის შესახვედრად! — შემდეგ მიუბრუნდა ადიუტანტს და უთხრა:—ჩემი სახელით მადლობა გადაეცით მზარეულს.

არმიის სარდალმა მიიპატიჟა სუფრაზე შტაბში მყოფი გენერლები და ოფიცრები. ადიუტანტმა ღვინო მოიტანა.

ლესელიძემ ასწია ჭიქა:

— მე ეჭვი არ მეპარება, რომ ახალი წელი იქნება ჰიტლერულ გერმანიაზე ახალ შესანიშნავ გამარჯვებათა წელი. ამ გამარჯვებათა მოპოვებისათვის საბჭოთა მეომრებს შთააგონებდა და შთააგონებს დიდი ბელადი და მხედართმთავარი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. დღეგრძელობა ამხანაგ სტალინს!

ყველანი წამოდგნენ და ერთსულოვანი „ურა"-თი მიესალმნენ საბჭოთა ხალხის ბამას და მასწავლებელს, ისტორიულ გამარჯვებათა შემოქმედს.

ხაჭაპური ყველას მოეწონა, თვით მკაცრმა მსაჯმაც კი გენერალმა ლესელიძემ, მაღალი შეფასება მისცა მზარეულის ნახელავს.

— მე უნდა გამოგიტყდეთ,—იხუმრა მან,—ჩვენი ქართული ხაჭაპური აქ, უკრაინაში, უფრო გემრიელი მეჩვენა, ვიდრე შინ.

ჭიქა ჩაიზე მეგობრები იგონებდნენ თავიანთ მახლობლებს, საუბრობდნენ მშობლიურ მხარეებზე. ლესელიძე შეპირდა მეგობრებს გამარჯვების შემდეგ წაეყვანა ისინი საქართველოში, ეჩვენებინა მშვენიერი თბილისი, დიდებული ალაზნის ველი, თვალწარმტაცი გურია.

— უსათუოდ გეწვევით, კონსტანტინე ნიკოლოზის-ძევ, — მხიარულად პირდებოდნენ ამხანაგები.

— ძალიან გვინდა მოვხვდეთ საქართველოში, ვნახოთ ადგილები და განსაკუთრებით ის სახლი, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ამხანაგმა სტალინმა.

ახალი წლის ღამეს ლესელიძეს ძალიან სტკიოდა ფეხი, მაგრამ არ იმჩნევდა, მხნედ ეჭირა თავი, ხუმრობდა, მხიარულობდა. ცოტა ხნის წინათ მოხდილი ანგინა გაურთულდა და იმ ჭრილობის არეში, რომელიც მიიღო 1940 წელს ბალტიისპირეთში გამათავისუფლებელი ლაშქრობის დროს, მოხდა ვენის სისხლის ძარღვის დაცობა, რამაც მწვავე ტკივილი გამოიწვია. უკანასკნელი შვიდი დღის განმავლობაში, როდესაც განუწყვეტელი ბრძოლები წარმოებდა, ლესელიძეს თითქმის არ დაუსვენია. ყველა ღამეს იგი მოწინავე პოზიციებზე ატარებდა, მხოლოდ ერთი-ორი საათითღა აბერხებდა თვალების მოხუჭვას. ეს ხდებოდა ან „ვილისში", ან ბლინდაჟში. ფეხის ტკივილის გამო ცხარე ბრძოლათა დღეებში ექიმებისათვის რომ მიემართა, არადროულ საქმედ მიაჩნდა. მან იცოდა, რომ ექიმები, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვდნენ დასვენებას, ხოლო ეს ნიშნავდა შეტევის დღეებში წყობილებიდან გამოსვლას.

მაგრამ ფეხი უფროდაუფრო მეტად აწუხებდა ლესელიძეს. საჭირო გახდა დახმარებისათვის ექიმისათვის მაინც მიემართა.

ექიმებმა დაუნიშნეს ლოგინში წოლა და სრული დასვენება.

— როგორ დავწვე ასეთ დროს?— ანბობდა იგი,—არის, მეგობრებო, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები, ვიდრე ჩემი ავადმყოფობა.

ექიმთა შეგონებამ არ გასჭრა. თავზე ძალდატანებით ლესელიძე განაგრძობდა არმიის ნაწილების, მბრძანებელ და სათვალთვალო პუნქტების, საარტილერიო პოზიციების, აეროდრომების დათვალიერებას.

ახალი წლის პირველი დღის გათენებისას ლესელიძის ჯარებმა განაახლეს შეტევა. ბერდიჩევის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტის აღებისათვის ოპერაციის მომზადებაში ჩვენი სარდლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სახმელეთო ჯარებისა და ავიაციის ზუსტ თანამოქმედებას.

დაკარგეს რა ჟიტომირი, გერმანელებმა საჩქაროდ გადაისროლეს ბერდიჩევისაკენ თავისი სატანკო დივიზიები, მათ შორის დივიზია „ადოლფ ჰიტლერი“.

მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარებისა და ტანკების მსხვილმა ძალებმა გამოიყენეს თავდაცვისათვის ხელსაყრელი ყველა ზღუდე, რომლითაც სავსეა ბერდიჩევის მისადგომები, მაგრამ არაფერს არ შეეძლო შეეკავებინა საბჭოთა ჯარების დაუცხრომელი შეტევითი გატაცება. გააფთრებულ ბრძოლაში რომელიც ხუთი დღე-ღამე გრძელდებოდა, თითოეულმა მსროლელმა ტყვიამფრქვეველმა, არტილერისტმა, ტანკისტმა, მფრინავმა იცოდა თავისი ადგილი, ზუსტად იცოდა თუ რა მიმართულებით უნდა ემოქმედნა, რომელი ცეცხლის წერტი უნდა ჩაეხშო, რომ უზრუნველეყო ოპერაციის წარმატება.

მთელ ამ დღეებში გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე და სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ლეიტენანტი კოლონინი მოწინავე პოზიციებზე, ბრძოლის გადამწყვეტ უბნებზე იყვნენ. კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე არ უწევდა ანგარიშს ავადმყოფობას და ცივ იანვრის ღამეებს ბლინდაჟებში, სამეთაურო და სათვალთვალო პუნქტებზე ატარებდა. ლოგინის მაგივრობას უწევდა მას კავკასიაში ჩატარებული ბრძოლების სახსოვრად ვ. მ. ბაქრაძისაგან საჩუქრად მიღებული კაზაკური ნაბადი, ბალიშის მაგივრობას კი ყაბალახი. დღეები, იყო როდესაც არმიის სამხედრო საბჭო უფრო ახლოს იმყოფებოდა მოწინააღმდეგესთან, ვიდრე დივიზიებისა და თუნდაც პოლკების სამეთაურო პუნქტები.

5 იანვარს მე-18 არმიის ნაწილები ბრძოლით შეიჭრნენ ბერდიჩევში. ლესელიძე მიდიოდა მოწინავე რაზმებთან, რომლებსაც იერიში მიჰქონდათ ქალაქზე.

ლესელიძის ჯარები განაგრძობდნენ სვლას დასავლეთისაკენ. შეტევის ტემპები იზრდებოდა, ბრძოლები სულ უფრო და უფრო გააფთრებულ ხასიათს ღებულობდნენ. არმიის სარდალი მუდამ მოწინავე ნაწილთა შორის იმყოფებოდა. მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდებოდა, 18 იანვარს მან უკვე ტკივილები ველარ აიტანა და ჩაწვა. ფეხის ტკივილს, რევმატიზმებს დაემატა გრიპოზული მდგომარეობაც. ლესელიძე უდრეკად იტანდა მძიმე ფიზიკურ ტანჯვას, ავადმყოფობის დაძლევის იმედს არ ჰკარგავდა. იგი ვერ ურიგდებოდა იმას, რომ დიად ამბებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ხელი უნდა აეღო საომარი ოპერაციების ხელმძღვანელობაზე.

მიუხედავად მაღალი ტემპერატურისა, მწვავე ტკივილებისა, გენერალმა ლესელიძემ ბრძანა მოეხსენებინათ ხოლმე მისთვის ყველაფერი, რაც ხდებოდა არმიაში, იწვევდა დივიზიათა მეთაურებს, თვალყურს ადევნებდა ფრონტის რუკას, იძლეოდა განკარგულებებს... და, როდესაც იგი შეჰყავდათ ვითარების კურსში, თავს კვლავ წყობილებაში გრძნობდა.

მოსკოვიდან და კიევიდან ჩამოსული ექიმები, ყოველ საშუალებას მიმართავდნენ, რათა შეენარჩუნებინათ სიცოცხლე ლესელიძისათვის. იგი თითქოს უკეთ გახდა — გრიპმა გაუარა, რევმატიული ტკივილები შეუწყდა... მაგრამ ერთბაშად მოეკიდა ანთება ფეხის სისხლძარღვოვან სისტემას, გამოვლინდა ყველაფერი—უძილო ღამეებიც, ნანგრძლივი მარშებიც. მუდმივი არადმიჩნევა თავისი ჯანმრთელობისა. არმიის სარდალი, რომელიც მანამდე ყველას აკვირვებდა თავისი სიმშვიდით, ძლიერ აღელვებული იყო, თავს უსაყვედურებდა, რომ უდროო დროს გახდა ავად.

— დიახ, ჩემი საქმე ცუდადაა,—ჩაილაპარაკა უნებლიედ აცრემლებულმა, როდესაც გაიგო, რომ მის შესაცვლელად ახალი სარდალი ჩამოსულიყო. დარწმუნება იმაში, რომ გამოდის წყობილებიდან, არანაკლებ სტანჯავდა, ვიდრე აუტანელი ტკივილები, რომლებმაც აიძულეს ლოგინში ჩაწოლილიყო.

ლესელიძე მიჰყავდათ მოსკოვში. მისთვის გამოგზავნილი სალონ-ვაგონთან გულდაგულ შეკრებილიყვნენ მე-18 და მეზობელი არმიების გენერლები, უფროსი ოფიცრები.. მეგობრები, თანამებრძოლები და თანაშემწეები თბილად იმშვიდობებოდნენ კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს.

დედაქალაქში მას განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდნენ. ცენტრალურ სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც იგი იწვა. მის სანახავად მოდიოდა ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

ავადმყოფობას თავისი გაჰქონდა. საბედისწერო წუთი ახლოვდებოდა. ლესელიძე გარდაიცვალა 1944 წლის 21 თებერვალს. ცნობამ მისი სიკვდილის შესახებ ღრმა მწუხარება გამოიწვია ყველა მეოხრის, საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელის გულში.

ნიჭიერ საბჭოთა მხედართმთავარს გლოვობდნენ ბელორუსიასა და მოსკოვის ოლქში, ჩრდილოეთ-კავკასიასა და უკრაინაში, ყველგან, სადაც იგი ფაშისტთა ურდოებს ანადგურებდა. განსაკუთრებით მწარედ განიცდიდა ამ დანაკლისს საბჭოთა საქართველო, რომელმაც დაჰკარგა ერთგული შვილი, კავკასიის გამოჩენილი დამცველი, ის, ვინც სამამულო ომის ველებზე აამაღლა ქართველი ხალხის საბრძოლო ტრადიციები და მხედრული სახელი.

მებრძოლებს მე-18 არმიისა, სადაც ლესელიძე იყო არმიის სარდლად და პირველ ჯარისკაცად, კიდევ უფრო მტკიცედ ეჭირათ ხელში იარაღი.

საქართველოს დედაქალაქი ეთხოვებოდა სამამულო ომის სახელგანთქმულ გმირს. არმიის სარდლის ცხედართან საპატიო ყარაულში იდგნენ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ჯარისკაცები და გენერლები, მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები.

სამგლოვიარო პროცესიაში სტალინური მხედართმთავრის კუბოს მიჰყვებოდა მთელი თბილისი, მიჰყვებოდა სევდიანი, პირქუში დუმილით. ოქრომკედით მოქარგულ წითელ ბალიშებზე მრჭყვიალებდა მთავრობის ჯილდოები, რომლებითაც აღინიშნა კონსტანტინე ნიკოლოზის-ძის საბრძოლო გმირული საქმეები.

ლესელიძის—სტალინური წრთობის, სამხედრო ხელოვნების სტალინური სკოლის გენერლის, ნიჭიერი, ნებისყოფიანი და უშიშარი მხედართმთავარის მგზნებარე ბოლშევიკის, იშვიათი თავდაბლობისა და კრისტალური პატიოსნების ადამიანის სახელი საქართველოს სიამაყე გახდა. ამ ნამდვილი საბჭოთა პატრიოტის ნათელ სახეს სამუდამოდ შეინახავს ქართველი ხალხი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. მიზინი

# კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტი

★

ამ თვეში სრულდება ასი წელი, რაც გამოვიდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელიც შექმნილია პროლეტარიატის დიდი მასწავლებლების მარქსისა და ენგელსის მიერ. ეს ნაწარმოები, რომელიც ადამიანის აზროვნების უდიდეს ქმნილებებს ეკუთვნის, მარქსიზმის საპროგრამო დოკუმენტია და მეცნიერული კომუნიზმის ძირითადი პრინციპების გენიალურ გადმოცემასა და დასაბუთებას წარმოადგენს.

„ეს პატარა წიგნაკი, — სწერდა ლენინი „მანიფესტის“ შესახებ, — მთელ ტომებად ღირს: მისი სულით ცოცხლობს და დღემდე მოძრაობს ცივილიზებული მსოფლიოს მთელი დარაზმული და მებრძოლი პროლეტარიატი“ (თხზ., ტ. II, გვ. 10).

„მარქსიზმის ქებათა ქება“—ასეთი შთამაგონებელი სიტყვებით ლაპარაკობს ამხანაგი სტალინი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შესახებ.

მარქსმა და ენგელსმა დაასაბუთეს პროლეტარიატის, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავისა და სოციალისტური საზოგადოების შემქმნელის, მსოფლიო-ისტორიული როლი. მათ მეცნიერული სიზუსტით ცხადჰყვეს კაპიტალიზმის კრახისა და კომუნიზმის გამარჯვების გარდუვალობა.

გასულმა საუკუნემ, რომელიც აღსავსეა მსოფლიო ისტორიაში უდიდესი შეტაკებებით, რაც ურთიერთთან მებრძოლ კლასებს შორის ხდებოდა, აღსავსეა რევოლუციებით, სახელმწიფოთა შეტაკებებით, გამაპარტახებელი ომებით, მთლიანად და სავსებით დაადასტურა მარქსისა და ენგელსის მოძღვრების სისწორე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება „კომუნისტური მანიფესტის“ იდეების უდიდესი ზეიმია. დედამიწის ერთ მეექვსედზე მუშათა კლასმა ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის, მარქსისა და ენგელსის საქმის გენიალურ განმგრძობთა — ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულა კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალისტური საზოგადოების აშენების თავისი ისტორიული მისია. ოცდაათი წელიწადია არსებობს და ვითარდება მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც განახორციელა მეცნიერული კომუნიზმის დიადი პრინციპები.

მარქსიზმის მოძღვრების ყოვლისშემძლე სიმართლეს ისე არასოდეს არ უკაშკაშნია, როგორც ამჟამად კაშკაშებს, როცა საბჭოთა სოციალისტურმა სახელმწიფომ მსოფლიო ცივილიზაცია გერმანელი ფაშისტი დამრბევლებისაგან იხსნა და სათავეში უდგას დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ ბანაკს მშვიდობისა და დემოკრატიისათ-

ვის ბრძოლაში, როცა იზრდებიან და მტკიცდებიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებმაც თავი დააღწიეს იმპერიალიზმის სისტემას, როცა კაპიტალისტურ სამყაროში კომუნისტური პარტიები თავიანთი დიდებით მოსილი საბრძოლო დროშების ქვეშ მილიონობით იზიდავენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მტკიცე ზავისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ხალხთა თანასწორუფლებიანობის, თავისუფლებისა და მეგობრობისათვის მებრძოლებს.

* * *

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ შექმნილ იქნა იმ პერიოდში, როცა კაპიტალისტური წყობილება უკვე გაბატონებული გახდა ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში და როცა მუშათა კლასი ფართო პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოდიოდა. მუშათა გამოსვლებს თანდათან უფრო ორგანიზებული, პოლიტიკური ხასიათი ეძლეოდა.

გასული საუკუნის 30-40-ან წლებში ინგლისში მაღალ დონეზე ავიდა მუშათა კლასის მასობრივი მოძრაობა — ჩარტიზმი. იმავე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში საფრანგეთში მოხდა ლიონის ფეიქართა განთქმული აჯანყებანი ლოზუნგით „შრომაში სიცოცხლე ან ბრძოლაში სიკვდილი“. 40-იან წლებში აჯანყდნენ სილეზიელი ფეიქრები გერმანიაში.

ისტორიის სარბიელზე გამოვიდა თანამედროვე საზოგადოების ახალი კლასი — პროლეტარიატი. მაგრამ მას ჯერ კიდევ აკლდა თავისი ისტორიული როლის შეგნება, თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლის ამოცანების, ფორმებისა და მეთოდების მეცნიერული გაგება. ყოველივე ამით მუშათა კლასი შეაიარაღეს მარქსმა და ენგელსმა. დიადი მიზანი — კაპიტალიზმის დამხობა და კომუნისტური საზოგადოების შექმნა,— რომელიც მუშათა კლასს მარქსმა და ენგელსმა მიუთითეს, უტოპიურ წარმოდგენათა შედეგი კი არ იყო, არამედ საზოგადოებრივი განვითარების კანონების მეცნიერული ანალიზიდან გამომდინარეობდა. მარქსმა და ენგელსმა სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად აქციეს. ისინი დაეუფლნენ თავისი დროის ცოდნის მთელ სიმდიდრეს, კრიტიკულად გადაამუშავეს იგი და მეცნიერული კომუნიზმის თეორია შეჰქმნეს. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ მარქსიზმის სავსებით მომწიფებული ნაწარმოები იყო.

„ამ ნაწარმოებში,—სწერდა ლენინი, — გენიალური სიცხადითა და გარკვეულობით მოხაზულია ახალი მსოფლმხედველობა, თანმიმდევარი მატერიალიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების დარგსაც მოიცავს, დიალექტიკა, როგორც ყველაზე უფრო ყოველმხრივი და უღრმესი მოძღვრება განვითარებაზე, ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედის, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური როლის თეორია“ (თხზ., ტ. XVIII, გვ. 6).

მარქსიზმის აღმოცენება ნამდვილი რევოლუცია იყო საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარებაში, ფილოსოფიაში, პოლიტიკურ ეკონომიაში, ისტორიაში. მეცნიერული აზრის დიადი მონაპოვარი იყო ისტორიის მატერიალისტური გაგება. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საზოგადოებრივი ცხოვრების კანონთა გაგებას. ისტორიაზე იდეალისტურ შეხედულებებს, რომლებიც მარქსამდე და ენგელსამდე იყო გაბატონებული, გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცა. პროლეტარიატმა მიიღო მძლავრი იდეური იარაღი—ისტორიის მატერიალისტური გაგება. ამ თეორიამ განმარტა საზოგადოებრივ

მოვლენათა მიზეზები, საზოგადოების განვითარების კანონები, საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის როლი და მნიშვნელობა. ემყარებოდნენ რა ამ თეორიას, მარქსმა და ენგელსმა დაასაბუთეს პროლეტარიატის დიადი ისტორიული მისია.

ამხანაგი სტალინი თავის კლასიკურ ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" განმარტავს „კომუნისტური მანიფესტის" თეორიულ საფუძველს. ემყარება რა მარქსის მოძღვრებას, იმას, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება საწარმოო ძალთა ცვლილებით აიხსნება, ამხანაგი სტალინი მიგვითითებს: მსგავსად იმისა, როგორც ბურჟუაზიული წყობილება მემამულურ-ბატონყმურ წყობილებას მოყვა, მსგავსად ამისა კაპიტალისტურ წყობილებას აუცილებლად მოჰყვება სოციალისტური წყობილება, ვინაიდან ასეთია საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების გარდუვალი კანონი.

შემდეგ ამხანაგი სტალინი განმარტავს „კომუნისტური მანიფესტის" ტაქტიკურ საფუძველს:

„მეცნიერული სოციალიზმის ტაქტიკური საფუძველი არის მოძღვრება კლასთა შეურიგებელი ბრძოლისა, რადგანაც იგი **საუკეთესო** იარაღია პროლეტარიატის ხელში. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა — ეს ის იარაღია, რომლის შემწეობითაც ის დაიპყრობს პოლიტიკურ ძალაუფლებას და შემდეგ ბურჟუაზიის ექსპროპრაციას მოახდენს სოციალიზმის დასამყარებლად". (ი. ბ. სტალინი. „ხზულებანი, ტომი I, გვ. 331).

მარქსმა და ენგელსმა მუშათა კლასს უჩვენეს კაპიტალისტური დაქირავებული მონობიდან სწორი გამოსავალი. ახალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის — დიალექტიკური მატერიალიზმის—შექმნით მარქსმა და ენგელსმა სულიერად შეაიარაღეს მშრომელები მათს ბრძოლაში თავიანთი სოციალური განთავისუფლებისათვის.

მარქსი და ენგელსი რევოლუციური თეორიისა და რევოლუციური პრაქტიკის ბუმბერაზები იყვნენ. ისინი, ამბობს ამხანაგი სტალინი, ცოცხალი პროლეტარული მოძრაობის ცოცხალი ბელადები იყვნენ. ისინი სათავეში ჩაუდგნენ მუშათა პირველ საერთაშორისო ორგანიზაციას — „კომუნისტების კავშირს". ამ კავშირის ოფიციალური პროგრამა იყო კომუნისტური პარტიის მანიფესტი.

„კომუნისტების კავშირის" მეორე კონგრესმა (1847 წლის ნოემბერი) მარქსისა და ენგელსის წინადადებით მიიღო დიადი მოწოდება: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" რომელიც იმ დროიდან საერთაშორისო პროლეტარიატის საბრძოლო ლოზუნგი გახდა.

ამავე კონგრესზე მარქსსა და ენგელსს დაევალათ შეედგინათ კავშირის პროგრამა — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". მეცნიერული კომუნიზმის ეს უკვდავი ქმნილება, რომელიც შეუპოვარი რევოლუციური სულისკვეთებითა და რკინისებური ლოგიკით არის გამსჭვალული, ნიმუშია პარტიულობისა მეცნიერებაში, დიადი მაგალითია თეორიის სამსახურისა მშრომელთა განთავისუფლების საქმისათვის.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი" გამსჭვალულია პროლეტარიატის მტრებისადმი იდეური შეურიგებლობითა და ულმობელობით, ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული მერყეობისა და უტოპიური ილუზიების შეუწყნარებლობით, კაპიტალისტური ჩაგვრის წყობილებისადმი მწვავე სიძულვილით.

* * *

„კომუნისტურ მანიფესტში" უმაგალითო ძალით მოცემულია ბურჟუაზი-

ული საწარმოო ურთიერთობის განვითარების მეცნიერული სურათი, გამოაშკარავებულია კაპიტალისტური საზოგადოების შეურიგებელი წინააღმდეგობანი, კაპიტალისტური წყობილების ისტორიულად წარმავალი ხასიათი. ბურჟუაზიამ ფეოდალიზმის ხუნდების დამსხვრევით, რომლებიც საწარმოო ძალთა განვითარებას ბოჭავდნენ, ამ ძალებს ახალი მძლავრი გაქანება მისცა. მაგრამ, საწარმოო ძალთა გიგანტური განვითარებისათვის პირობები რომ შეჰქმნა, ბურჟუაზიამ შემდეგში ვეღარ დაიმორჩილა მის მიერვე წარმოშობილი ძალები. ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობა საწარმოო ძალთა განვითარების მუხრუჭად ხდება. ბურჟუაზიული საზოგადოების საწარმოო ძალებსა და წარმოებითს ურთიერთობას შორის თავს იჩენს და იზრდება გადაულახავი წინააღმდეგობანი. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად იზრდება პროლეტარიატიც. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მუშათა კლასის თვით მდგომარეობა მას აქცევს ერთადერთ ბოლომდე თანმიმდევარ რევოლუციურ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს შეასრულოს წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობისა და ახალი, მოწინავე საზოგადოებრივი წყობილების—კომუნიზმის აშენების დიადი საქმე.

„პროლეტარიატი,—ნათქვამია „კომუნისტურ მანიფესტში“, — თანამედროვე საზოგადოების ეს უუდაბლესი ფენა, ვერ წამოდგება, ვერ გაიმართება წელში უიმისოდ, რომ ამასთანავე იმ ფენების მთელი ზედნაშენი, რომელნიც ოფიციალურ საზოგადოებას შეადგენენ, არ იქნეს გაცამტვერებული“.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ფურცლები, რომლებიც ღრმად, მოკლედ და მკაფიოდ ახასიათებენ ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის ჩვეულ ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს, მსოფლიო ლიტერატურის უაღრესად შესანიშნავ ფურცლებად ითვლებიან. „მანიფესტი“ ცალკეულ სიტყვებით ააშკარავებს ბურჟუაზიული წყობილების იარებს, ულმობლად ამხილებს პირმოთნე ფრაზებს ბურჟუაზიის ბატონობის პირობებში თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ. მარქსი და ენგელსი ამათრახებენ ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია ექსპლოატატორთა უმნიშვნელო უმცირესობის მიერ ხალხის დიდი უმრავლესობის ექსპლოატაციაზე.

ბურჟუაზიამ,—სწერდნენ ისინი, — „არ დასტოვა არავითარი სხვა კავშირი ადამიანსა და ადამიანს შორის, გარდა გაშიშვლებული ინტერესისა, გარდა უსულგულო „ნაღდი გადახდისა“... მან ადამიანის პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად გადააქცია და უთვალავ ნაბოძვარ და კეთილშენაძენ თავისუფლებათა ადგილას დაამყარა მხოლოდ ერთი უსინდისო თავისუფლება ვაჭრობისა. ერთის სიტყვით, რელიგიური და პოლიტიკური ილუზიებით მიჩქმალული ექსპლუატაციის ადგილას მან დაამყარა აშკარა, უსირცხვილო, პირდაპირი და ტლანქი ექსპლუატაცია“ .

რა სიახლით, რა ძალით ეღერს ეს მრისხანე სიტყვები თანამედროვე იმპერიალისტური სამყაროს მიმართაც! კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც კაპიტალიზმის მთავარ დასაყრდენში, ფულის შოვნა, ბიზნესი ნამდვილი ღმერთია. ბიზნესად გადაქცეულია ყველაფერი: სინდისი, პატიოსნება, ადამიანის პირადი ღირსება, ოჯახური ურთიერთობა, მეცნიერული შემოქმედება. ყველაფერი „ყოვლისშემძლე დოლარით“ იზომება.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მოცემულია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების განმგმირავი დახასიათება: „თანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედროვე სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მარტოოდენ კომიტეტია, რომელიც მთელი ბურჟუაზიული კლასის საერთო საქმეებს განაგებს". ასე სწერდნენ 100 წლის წინათ მარქსი და ენგელსი. ცხოვრებამ მთლიანად და სავსებით დაადასტურა მათი ეს შეფასება. თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო სულ უფრო ეზრდება კაპიტალისტურ მონოპოლიებს, სულ უფრო აშკარა ხდება ფინანსური ოლიგარქიის, მებირჟეთა ბატონობა.

მთელ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" წითელ ზოლად გავლებულია იდეა ბურჟუაზიის ძალდატანებით დამხობისა, იდეა პროლეტარიატის დიქტატურისა, თუმცა პროლეტარიატის დიქტატურის თვით ტერმინს მარქსი რამდენადმე უფრო გვიან ხმარობს. მარქსი და ენგელსი „მანიფესტში" გვასწავლიან, რომ პროლეტარიატი გაბატონებულ კლასად უნდა გადაიქცეს და თავისი პოლიტიკური ბატონობა იმისათვის გამოიყენოს, რათა ბურჟუაზიას წაართვას წარმოების იარაღები და საშუალებანი და ახალი კომუნისტური საზოგადოება ააგოს.

ყველა ჯურის ოპორტუნისტები, რეფორმისტები ყოველნაირად ცდილობდნენ გამოეშიგნათ მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ეს რევოლუციური დედაარსი, ისინი განსაკუთრებით მხედრდებოდნენ პროლეტარიატის დიქტატურის დებულების წინააღმდეგ, რომელიც მთავარია მარქსიზმში. ისინი უგულებელჰყოფდნენ მარქსიზმის ამ უმნიშვნელოვანეს დებულებას, უარს ამბობდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაზე და მასებში სთესავდნენ რეფორმისტულ ილუზიებს სოციალიზმში კაპიტალიზმის „მშვიდობიანი შეზრდის" შესახებ. ახლანდელი მემარჯვენე სოციალისტები, რომლებიც იმპერიალისტური ბურჟუაზიის მთავარ სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენენ, თავიანთ წინამორბედებზე კიდევ უფრო შორს წავიდნენ იმ მისწრაფებაში, რომ, რაც უნდა დაუჯდეთ იხსნან დაღუპვის გზაზე მდგომი კაპიტალიზმი.

ლენინმა და სტალინმა ყველა სახის ოპორტუნიზმთან შეურიგებელ ბრძოლაში დაიცვეს მარქსისა და ენგელსის დიადი იდეა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, თეორიულად განავითარეს ეს იდეა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის პირობებში.

მარქსი და ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტში" აღნიშნავდნენ, რომ პროლეტარიატის ხელმძღვანელ ძალას მის რევოლუციურ ბრძოლაში კომუნისტები წარმოადგენენ. მათი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ყველაზე უფრო სრულად და სწორად გამოხატავენ პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესებს. მათი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოადგენენ მუშათა კლასის ყველაზე მებრძოლ და გამბედავ რაზმს, ხოლო „თეორიულად მათ ის უპირატესობა აქვთ პროლეტარიატის დანარჩენ მასასთან შედარებით, რომ შეგნებული აქვთ პროლეტარული მოძრაობის პირობები, მსვლელობა და საერთო შედეგები".

პარტიის შესახებ მარქსისა და ენგელსის გენიალური მონახაზები ლენინმა და სტალინმა განავითარეს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი პირობების შესაბამისად. მათ შეჰქმნეს მთლიანი მოძღვრება პარტიის შესახებ, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის, როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მის ხელთ არსებული ძირითადი იარაღის შესახებ.

*
* *

„კომუნისტური მანიფესტის“ ისტორია არის მთელ მსოფლიოში პროლეტარული მოძრაობის დაუძლეველი განვითარების ისტორია, მარქსიზმის დიად გამარჯვებათა ისტორია.

1913 წელს დაწერილ თავის შესანიშნავ სტატიაში „კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი“ ლენინი აღნიშნავდა მსოფლიო ისტორიის განვითარების სამ მთავარ პერიოდს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ შექმნის შემდეგ. პირველი პერიოდი— 1848 წლის რევოლუციიდან პარიზის კომუნამდე, როცა გმირმა პარიზელმა მუშებმა პირველად სცადეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება (1871 წ.); შემდეგ პარიზის კომუნიდან რუსეთის პირველ რევოლუციამდე; და, დასასრულ, პერიოდი რუსეთის 1905 წლის რევოლუციიდან.

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს ახალი ეპოქა იწყება ისტორიაში. კაპიტალიზმი თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში გადავიდა. კაპიტალიზმი ხდება პარაზიტული, ლპობადი, მომაკვდავი კაპიტალიზმი. ყველა ანტაგონიზმი, რაც ბურჟუაზიულ საზოგადოებას ახასიათებს, უკიდურესად მწვავდება. იმპერიალიზმს. თან მოაქვს რეაქცია მთელი ხაზით, უკიდურესად ძლიერდება ხალხის მასების ჩაგვრა. იზრდება პროლეტარიატის. რევოლუციური აღშფოთება ბურჟუაზიულ ქვეყნებში, კოლონიებში ჩაღდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.

სწორედ ამ პერიოდში ვითარდება სოციალ-დემოკრატიული ოპორტუნიზმი, რომელიც ბურჟუაზიის აგენტურას წარმოადგენს მუშათა მოძრაობაში. წარმოიშვნენ რევიზიონისტული „მოძღვრებანი“ „სოციალური მშვიდობაზე“, ცხადდება კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურაზე ხელის აღება, მარქსიზმის რევოლუციური შინაარსი იცვლება „მოდუნებული ფილისტერობით“ და „საპარლამენტო კომბინაციებით“.

ლენინმა და სტალინმა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლით, როგორც რუსეთში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე, არა მარტო დაიცვეს და აღადგინეს მარქსიზმის რევოლუციური შინაარსი, არამედ კიდევაც განავითარეს იგი, გაამდიდრეს რა ახალი დასკვნებითა და დებულებებით იმპერიალიზმის ეპოქაში პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი პირობების შესაბამისად. ლენინიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმია. ლენინისა და სტალინის სახელთან დაკავშირებულია მარქსიზმის თეორიული განვითარების ახალი ეპოქა, მათ სახელთან დაკავშირებულია მარქსიზმის მსოფლიო ისტორიული გამარჯვებანი.

ლენინიზმი წარმოიშვა და განმტკიცდა ყველა სახისა და ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლაში. ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილმა ბოლშევიკურმა პარტიამ, ახალი ტიპის პარტიამ, ბოლომდე გაანადგურა ოპორტუნისტები, განდევნა ისინი თავისი რიგებიდან. ამით ბოლშევიკურმა პარტიამ მოიპოვა შესანიშნავი შინაგანი მთლიანობა და ძალა, თავისი რიგების ნამდვილი რევოლუციური ერთიანობა. ბოლშევიკური პარტია ურყევად დგას მარქსისტულ ლენინური თეორიის იდეური სიწმინდის სადარაჯოზე. ეს არის მისი მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ვადამწყვეტი პირობა.

ჯერ კიდევ 1894 წელს „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ იდეათა მიხედვით, შემოქმედებითად ავითარებ-

და რა მარქსიზმს; ლენინმა თავის პირველ დიდ ნაშრომში „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ მოგვცა რუსეთის მუშათა კლასის ისტორიული როლის განსაცვიფრებელი ძალისა და სიღრმის დახასიათება.

„როცა მისი მოწინავე წარმომადგენლები, — სწერდა ლენინი, — შეითვისებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, რუსი მუშის ისტორიული როლის იდეას, როცა ეს იდეები ფართოდ გავრცელდება და მუშათა შორის მტკიცე ორგანიზაციები შეიქმნება, რომლებიც მუშათა ახლანდელ დაქსაქსულ ეკონომიურ ომს შეგნებული კლასთა ბრძოლად გარდაქმნიან,—მაშინ რუსი **მუშა** სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტს, დაამხობს აბსოლუტიზმს და წაიყვანს **რუს პროლეტარიატს** (ყველა ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად) **აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ**“. (თხზ., ტ. I, გვ. 282, რუს.).

ასე მოხაზა ლენინის გენიამ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის განვითარების გზა 54 წლის წინათ. ლენინის ეს აზრი მეცნიერული განჭვრეტის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს.

ავითარებდა რა მარქსის შეხედულებებს პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ, ლენინმა სოციალისტური რევოლუციის მწყობრი თეორია შექმნა ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატისა და ნახევრად-პროლეტარული ელემენტების კავშირის საფუძველზე. ლენინმა ყოველმხრივ დაასაბუთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის იდეა.

ლენინმა მოგვცა იმპერიალიზმის ეპოქის კანონზომიერებათა [illegible]ური ანალიზი, აღმოაჩინა იმპერიალიზმის დროს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური არათანაბარი განვითარების კანონი. ამ არათანაბრობის გამო, აღნიშნავდა იგი, მწვავდება კონფლიქტები იმპერიალისტ მტაცებელთა შორის კოლონიებისათვის, ბაზრებისათვის, ნედლეულის წყაროებისათვის, კაპიტალის გასატანი ადგილებისათვის, იწყება საშინელი იმპერიალისტური ომები, რომლებიც თავის მხრივ უფრო ასუსტებენ იმპერიალიზმის ძალებს. ლენინმა გაითვალისწინა იმპერიალიზმის დროს არათანაბარი განვითარების კანონი და მოახდინა ჩვენი ეპოქის უდიდესი აღმოჩენა, რომელმაც შემოქმედებითად გაამდიდრა მარქსიზმი სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორიით, იმის მოძღვრებით, რომ შესაძლებელია სოციალიზმმა პირველად გაიმარჯვოს რამდენიმე ან თუნდაც ერთ ცალკეულ ქვეყანაში და რომ შეუძლებელია სოციალიზმის ერთდროული გამარჯვება ყველა ქვეყანაში.

ლენინის ამ აღმოჩენამ ბოლშევიკების პარტია აღჭურვა ახალი მძლავრი იდეური იარაღით, რომელიც უფრო ავითარებდა მის რევოლუციურ ინიციატივას, მის აქტივობას, მის ბრძოლას ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

გენიალურ წიგნში „სახელმწიფო და რევოლუცია“ ლენინმა აღადგინა მარქსისა და ენგელსის ნამდვილი მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ. იგი დაეყრდნო რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციების გამოცდილებას და ამ ნაშრომში, აგრეთვე სხვა ნაშრომებშიც უფრო განავითარა მარქსიზმის თეორია სახელმწიფოს

და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ლენინმა აღნიშნა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ შეიძლება იყოს დემოკრატია ყველასათვის. პროლეტარიატის დიქტატურა უნდა იყოს „სახელმწიფო **ახლებურად** დემოკრატიული (პროლეტარებისათვის და საერთოდ უქონელთათვის) და **ახლებურად** დიქტატორული (ბურჟუაზიის წინააღმდეგ)". ლენინმა აღმოაჩინა საბჭოთა ხელისუფლება, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა. ლენინმა ცხადჰყო, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ შეიძლება წარმოიშვას, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოების მშვიდობიანი განვითარების შედეგი — იგი შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ პროლეტარიატის ძალდატანებითი რევოლუციის შედეგად, იგი აუცილებლად გულისხმობს ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მანქანის დამსხვრევას. ლენინმა განსაზღვრა მუშათა კლასის ამოცანები საკუთარი სახელმწიფო აპარატის შექმნის საქმეში, განმარტა კომუნისტური საზოგადოების განვითარების ორი ფაზის ძირითადი თვისებანი.

ლენინი აპირებდა დაეწერა „სახელმწიფო და რევოლუციის" მეორე ნაწილი, სადაც უნდოდა შეეჯამებინა რუსეთის 1905 და 1917 წლების რევოლუციათა გამოცდილების მთავარი შედეგები. ლენინს მხედველობაში ჰქონდა შეემუშავებინა და უფრო განევითარებინა სახელმწიფოს თეორია ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის გამოცდილებაზე დაყრდნობით. სიკვდილმა არ დააცალა მას ამ ამოცანის შესრულება. მაგრამ რის გაკეთებაც ვ. ი. ლენინმა ვერ მოასწრო, ამხანაგმა სტალინმა გააკეთა.

ამხანაგი სტალინი დაეყრდნო კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის გიგანტურ გამოცდილებას და შეჰქმნა მთლიანი და დამთავრებული მოძღვრება სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ. სტალინმა მოგვცა სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ეტაპების, ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით მისი ფუნქციების შეცვლის გაშლილი ანალიზი, განაზოგადა საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის მთელი გამოცდილება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას სახელმწიფო კომუნიზმის დროს იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალისტური გარემოცვა კვლავ იარსებებს.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება, სოციალისტური სისტემის დიდი უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის წინაშე, აგრეთვე კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, რაც უფრო და უფრო მწვავდება — ყოველივე ეს მკაფიოდ მოწმობს — წარმოების კაპიტალისტური სისტემის განწირულობისა და კომუნიზმის გარდუვალი გამარჯვების შესახებ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" იდეების გამარჯვებას.

სსრ კავშირში მთლიანად განხორციელდა და დიდი გადაჭარბებით შესრულდა იმ დიად სოციალურ გარდაქმნათა პროგრამა, რომლებიც მარქსმა და ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში" დაუსახეს გაბატონებულ კლასად გამხდარ პროლეტარიატს.

სტალინური კონსტიტუციის გამოკვეთილ ფორმულირებებში ჩვენ ვხედავთ „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" გენიალურ იდეათა განხორციელებას.

*

* *

ბურჟუაზიული მსოფლიოს მთელი რეაქციული ძალები — რომის პაპი და ფრანკო, იმპერიალისტი განგსტერები და ახალი ომის გამჩაღებლები, ჩერჩილები და დე გოლები, ინგლისელი ფაშისტები და სამხრეთ აფრიკის რასისტები, რომელთაც მეთაურობს მსოფლიოს ბატონობის თანამედროვე პრეტენდენტი — ამერიკის იმპერიალიზმი, გაერთიანდნენ ამჟამად კომუნიზმის სადევნელად. მემარჯვენე სოციალისტები—ეტლი და ბევინი, რენერი და შუმახერი, ბლუმი და სარაგატი იმპერიალისტური რეაქციის მთავარ დასაყრდენსა და აგენტურას წარმოადგენენ.

სოციალ-ოპორტუნისტები ცდილობენ გაახანგრძლივონ კაპიტალიზმის არსებობა და ყოველმხრივ ალამაზებენ, სხვადასხვა იდეურ ბიჯგს უქმნიან მას, ამავე დროს ისწრაფვიან გახრწნან მუშათა კლასის შეგნება. კაუცკის „ულტრა-იმპერიალიზმი“, ჰილფერდინგის „ორგანიზებული კაპიტალიზმი“, მაკდონალდის „კონსტრუქციული სოციალიზმი“, ეტლისა და ბევინის „დემოკრატიული სოციალიზმი“, რასაც ამჟამად ქადაგებენ — მუშათა კლასის გამცემთა მთელი ამ სხვადასხვა „თეორიების“ ამოცანა და მიზანი ერთი იყო და არის: მხარი დაუჭირონ დაქირავებულ კაპიტალისტურ მონობას, ააცდინონ ლახვარი იმპერიალიზმს, იდეურად გახრწნან მუშათა კლასი. მაგრამ მათ ვერაფერი უშველის, ვერაფერი შეაჩერებს კომუნიზმის ძლევამოსილ სვლას.

ასი წლის წინათ მეცნიერული კომუნიზმი ის იყო გამოდიოდა ფართო გზაზე. ამჟამად კომუნიზმი დიადი დაუძლეველი ძალაა, რომლის დროშითაც მრავალი მილიონობით ადამიანი იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიოს ყველა კუთხეში.

უძლეველ სიმაგრედ [illegible] მძლავრი საბჭოთა კავშირი, რომელმაც სოციალიზმი აიშენა და გაბედულად მიდის წინ საწარმოო ძალების შემდგომი აყვავების გზით, კომუნიზმის გზით. საბჭოთა კავშირი სათავეში უდგას ანტიიმპერიალისტურ და დემოკრატიულ ბანაკს და იგი მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და დემოკრატიის ყველა ძალთა ბურჯს წარმოადგენს.

სსრ კავშირს გვერდში უდგანან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებმაც თავი დააღწიეს იმპერიალისტურ სისტემას. ეს ქვეყნები იყენებენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ბრძოლის გიგანტურ გამოცდილებას და თავიანთი გზით მიდიან სოციალიზმისაკენ.

სოციალიზმისა და დემოკრატიის გაძლიერებას შესანიშნავად მოწმობს კომუნისტური პარტიების ავტორიტეტის უდიდესი ზრდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ფართო მასებში. კომუნისტები სათავეში უდგანან ხალხის მასების ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის, ააშკარავებენ მემარჯვენე სოციალისტი მინისტრების ანტიხალხურ პოლიტიკას, რომლებმაც ამერიკელ იმპერიალისტებს მიჰყიდეს თავიანთი ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტი. განუხრელად იზრდება ხალხის მასების ნდობა კომუნისტებისადმი. კომუნისტური პარტიები მილიონიანი მასობრივი საბრძოლო პარტიები გახდნენ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

დიდ საფრთხეშია იმპერიალიზმის ზურგიც. უფრო და უფრო ძლიერ ჩაღდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

იმპერიალისტი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში ებმებიან კოლონიური და დამოუკიდებელი ქვეყნების ხალხთა სულ უფრო ფართო მასები.

მაშინ როცა დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ბანაკის ძალები იზრდებიან და მტკიცდებიან, იმპერიალიზმის ბანაკის ძალები უფრო და უფრო სუსტდებიან. მწვავდება კაპიტალიზმის საერთო კრიზისი, კაპიტალისტურ სამყაროს უფრო და უფრო სწეწავენ შინაგანი წინააღმდეგობანი, მას მზარდი ეკონომიური კრიზისის რეალური საფრთხე მოელის. იმპერიალისტები გამოსავალს ეძებენ ახალი ომების მომზადებით. მაგრამ ომის გაჩაღების სურვილსა და-ამ-სურვილის განხორციელებას შორის უდიდესი მანძილია. სოციალიზმისა და დემოკრატიის გაერთიანებული ძალები სჭარბობენ იმპერიალისტური რეაქციის ძალებს. კაპიტალიზმის აღსასრული დგება. კაპიტალიზმი თავისი დაღუპვისაკენ სწრაფად მიექანება, რაც გენიალურად იწინასწარმეტყველა მარქსმა და ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“.

ახლანდელი ხანა ისეთი ხანაა, როდესაც ყველა გზას კომუნიზმისაკენ მივყავართ.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბიბლიოგრაფია

★

## შალვა ამისულაშვილი — „თალარი", საბლიტგამი 1947 წ.

ეს არის ლექსების რვეული საბრძოლო საველე ჩანთით სიყვარულით და მზრუნველობით შორეულ ფრონტებზე ნატარები სამამულო ომის მონაწილე ჯარისკაცისა, რომელმაც ბრძოლით განვლო ავდრიანი, მომქანცველი უსასრულო გზები კავკასიიდან შორეულ ბუდაპეშტამდე. მკითხველი პირველ სტრიქონებიდანვე გრძნობს, რომ პოეტ-ჯარისკაცს ისინი დაზოგვით ნახმარ ქაღალდზე გულმოდგინედ და წვრილად, მიჯრით უწერია ბრძოლების შუალედებში, უამინდობაში, თოვლსა და ყინვაში, სანგარსა და ჰოსპიტალში. შეცივნული და დამზრალი ხელებით აღუბეჭდია გულმართალი სტრიქონები დედასამშობლოზე, ჩვენი ქვეყნიდან შორს, ძალიან შორს დაღუპულ ფრონტელ მეგობრებზე, უოცნებნია შინდარჩენილ ძვირფას ადამიანებზე. მონატრებია მათი ალერსი, მშობლიური კუთხე და კიდევ უფრო ძლიერის სიძულვილით აღვსილა ვერაგი მტრის მიმართ.

აქეთია ახალგაზრდა პოეტ შალვა ამისულაშვილის უკანასკნელი ლექსების წიგნის „თალარის" საერთო შთაბეჭდილება.

ათიოდე წლის წინათ გამოცემულ ლექსების პირველ წიგნში შ. ამისულაშვილი იმთავითვე წარსდგა მკითხველის წინაშე, როგორც თავისებური გზის მაძიებელი, საკუთარი ხმის ჩამოყალიბებას მოწყურებული პოეტი. ამიტომ იგი არ ერიდებოდა ზოგჯერ ხორკლიან, გაუშალაშინებელ სტრიქონის გამართვას. ადრე წლებში შ. ამისულაშვილის ლექსი ზოგჯერ გადატვირთული იყო ხელოვნური ბუნდოვანი მხატვრული სახეებით. ეს ანელებდა საერთო ეფექტს, აძნელებდა ლექსში კონკრეტული ძარღვის გამოყოფას საერთო მონაცემებიდან. ეს მდგომარეობა ხანდახან ახლაც თავს იჩენს პოეტის ლექსებში. მაგალითად:

„მთვარე საჩოხე აბრეშუმს ართავს
და კრთის ღრუბელი ენდრონარევი".

სამამულო ომის პერიოდში ახალი შთაბეჭდილებების ქვეშ პოეტმა შესძლო კომპოზიციური სიმკვრივე მიეცა თავის ლექსისათვის.

შ. ამისულაშვილის ლექსების ახალ წიგნში ფრაგმენტულად არის გადმოცემული ომის შთაბეჭდილებანი, უპრეტენზიო, მაგრამ კეთილშობილია პოეტის განზრახვა ემსახუროს სამშობლოს კალმით. ლექსში „ჰე, ნიავო" ის სწერს:

შორს ვიყავი... ძეც სამშობლოს
გულისათვის
ცივ სანგრებში დამიღვრია თბილი სისხლი;
კვლავ მოვედი, სასაფლაოს დუმილს
ავცდი,
ერთხელ კიდევ შემეხედნა თბილისისთვის!
ჩემს მაგიდას—მამაჩემის ძველ სახსოვარს
განა ჭია შეპარვია ჯადოსნური,
ექვსმა წელმა ჩემი გზები ვერ დათოვა
კვლავ მასთან ვარ—მხრებზე შინელ
წამოსხმული.

ახალგაზრდა პოეტის სიტყვა და საქმე ერთი იყო მუდამ, 1943 წლის მრისხანე დღეებში ის ვორონეჟთან იდგა, მაშინ პოეტი — ჯარისკაცი ამბობდა:

ბალღიც ვერ გასძლებს სამშობლოში
დღეს უმახვილოდ,
მე როგორ გავსძლო მარტო სიტყვის
ფარიკაობით...

მართლაც მძაფრი დღეები იდგა. „ღვინობის თვეა ულვინობა ვის გაუგია"... აგონდებოდა პოეტს ხელგაშლილი დედისა და კეთილ-მეზობლების ნათქვამი, მაგრამ მაშინ ჯარისკაცს სხვა ჰქონდა საზრუნავი. მაშინ ის მხოლოდ იმ მრისხანე დღეებზე სწერდა:

დრო შეიცვალა, ტყვია წვიმს, რკინა
მქუხარეებს
და ქარაფებზე აშუღივით მღერის
ნამქერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ არის დამახასიათებელი ავტორისათვის „ბალადა უკვდავებაზე“. რადგან სიცოცხლე მარადიულია, იგი არ სწყდება, შეიძლება თურმე მისთვის გასწიროს კაცმა თავი. ლექსში ჰარბად არის წარმოდგენილი ყველასათვის ცნობილი რეალიები აღმოსავლურ კლასიკურ ლიტერატურიდან. ახალგაზრდა პოეტი კი ცდილობს ახლებური გაშუქება მისცეს თავის ჩანაფიქრს. გზის პირას, დიდი მუხის ქვეშ, ნამგზავრმა ჯარისკაცმა შესვენება მოისურვა. ჩასთვლიმა და სიზმარი ნახა, მუხა ესიზმრა, ადამიანივით ესაუბრებოდა იგი მებრძოლს. უკვდავების ამბავი უამბო მუხამ ჯარისკაცს. აქ ერთი ხელოსანი ცხოვრობდაო დიდი ხნის წინათ, გამრჯე და ქვრივ-ობლების გამკითხავი, ღრმა მოხუცებულობაში მოკვდა, მიწად იქცა. ამ მიწისგან ჰაბუკებმა ბადიები გამოძერწეს, ლხინობდნენ და ამ ბადიებით ღვინოს შეექცეოდნენ. შემდეგ ისინიც დაიხოცნენ, ბადიებიც მიწად იქცნენ. სხვა თაობა მოვიდა. გავიდა ხანი. მათ ნადგომზე მუხამ გაშალა მაგარი ტოტები და ავტორის თქმით, მის „ფესვებში ბუდობს, ახლაც ხმა და სული იმ პირველი ხელოსნისა“. დასკვნა ერთობ ნაჩქარევად გამოყავს ავტორს.

ასე არის ეს ქვეყანა მოწყობილი,
რაცა კვდება, კვლავ სიცოცხლეს
უბრუნდება.

მაშასადამე, სიცოცხლის მარადიულობაზე მიუთითებს ავტორი თავის ლექსში მკითხველს. ერთი სახეობიდან მეორეში გადასვლა მარადიულობის მაუწყებელია ახალგაზრდა პოეტის მტკიცებით:

ვიყავ კაცი, ვიყავ მიწაც, ნისლიც ვიყავ,
ძოვა წამი, იქნებ ცეცხლად გადავიქცე,
მე ფესვებში უკვდავების სისხლი მიდგა,
არ მჩვევია ძდუმარება სამარისებრ!!!

შემდეგ, როცა გაიღვიძა ჯარისკაცმა და გაუდგა გზას, მოისმა სამთო ზარბაზნების ქუხილი. კვამლის სუნი იდგა ირგვლივ. გულს ჩაეჭდო მას სიზმრად მუხის ნაამბობი, აი ფრონტიც და მტრის ურდოებს ჩვენი ჯარი თავს დაატყდა. პოეტის კეთილი განზრახვა უკვდავების ნამდვილი შეცნობა კონკრეტული მაგალითზე ცუდად როდია მოცემული, მაგრამ მას აკლია სრულყოფა. ასეთი მოტივირება დამაკმაყოფილებლად არ შეიძლება მივიჩნიოთ. ჩვენი მებრძოლთა ათასები საკუთარ გმირობის მაგალითით გახდნენ უკვდავი და არა რაღაც მწიგნობრული გადმოცემათა მიბაძვის ნიადაგზე. ამ შემთხვევაში პოეტი ბალადა-ტობს რეალობას. ბალადა [illegible] ეტომ არ შეიძლება იგი ჩაითვალოს [illegible] ის დამახასიათებლად. თავისებური გაზრებით ყურადღებას იქცევს ლექსი „ორი ობელისკი“. აგრეთვე ლექსები: „ლაზარეთში“, „დღეს არის ჩემი ახალი წელი“, „არყის ტოტი“, „ძარხილები“, „საძნი“, „საახალწლო ბარათები“ და სხვ.

არ შეიძლება არ გამოვყოთ თავისი კოლორიტული ფერებით ლექსების ციკლი: „ეს ღრუბლებიც შშობლიური ღრუბლებია“, „მზის ქვეყანაში ზამთარს რა უნდა“, „უნაპირო ჩემი სამშობლო“, „მაინც მიყვარხარ“ და სხვ. პოეტი მხატვრის თვალით ხედავს შუაზიის ცხოვრების ნაირფერადებს. დამახასიათებლად არის გადმოცემული ამ მხარის ბაზრობის სურათი — ლექსში „ბაზრობა შუაზიაში“.

აი ქალაქი ჩუქურთმებით, თეთრგალავნებით,
ქარვასლის ჭიშკარს ქარავანი უახლოვდება,
ლურჯ აუზებში თევზეული ფეთქავს
რამდენი,
მათ აბჯრის ელერას ვით გაუძლონ მუნჯმა
ლოდებმა?!

კვირა დღე არი... ეშურება ხალხი. ბაზრობას ალმაატიდან, არალიდან, ფერგანის მხრიდან, ზოგან ალმურში ავაზები ავზნიანობენ, ზოგან სახედრებს საქსაულის საპალნეს
ხდიან...

ომგადახდილი ვაჟკაცი შრომას-მოწყურებული დიდი სტალინური ხუთწლედის თვალშეუვალ ხარაჩოებზე, ბარაქიან საკოლმეურნეო მინდვრებზე. რუსთავში გიგანტის მშენებლობაზე, სამგორში ბუნებასთან ბრძოლაში. ასეთია ის ციკლი ლექსებისა, რომელნიც შეტანილია კრებულის უკანასკნელ განყოფილებაში. ამ ნაწილებისათვის ავტორს მიუცია საერთო სახელწოდება „გახსენით ფანჯრები“. ასეთივე საინტერესოა წიგნში წარმოდგენილი სხვა განყოფილებებიც, სახელდობრ: „ჭაშნიკი“, „არტილერიის შტაბთან“, „რაჯბადინი“.

პოეტი უკანასკნელ წლებში ცდილობს შეიმუშავოს საკუთარი გარემო, სიტყვიერი მარაგი, საერთოდ მთელი პოეტური ინვენტარი, რაც კარგად ახასიათებს მას, როგორც პოეტური ინდივიდუალობისათვის მებრძოლ შემოქმედს. კარგია მისი პოეტური სახეები: „ჩემს ოცნებას ირმის რქებზე უთევია“, ან კიდევ: „მამონტები საქარავნოდ ხომ არ ადგნენ, რა ზრიალი, რა გუგუნი გაქვს მი-

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

წას“ და სხვ. მაგრამ სამწუხაროდ მასვე აქვს ზოგჯერ გაუგებარი, ბუნდოვანი სახეებიც, პროზაიზმებამდე დასული. თქმები, აი თუნდაც: „სიმხურვალემ შუბლზე ოფლი დამაყარა“, ან კიდევ: „როცა სივრცეს ყღერა ჰკვეთდა უზანგების“, ცუდია „დაგვაელვარებს შხეფების ფრქვევით“... და სხვ.

კარგია, რომ ახალგაზრდა პოეტი დიდის გულმოდგინებით ეკიდება სიტყვის შერჩევის საქმეს, როგორც მთავარს პოეტურ მეტყველებაში. ძველი სიტყვიერი მარაგის აღდგენის დროს ის მაინც მიდის ერთგვარ უკიდურესობამდე. ის სიტყვები, რომლებიც ჩვენში ეცხოურიდან იღებდენ დასაბამს და მოქალაქეობრივ უფლებას ვერ იმკვიდრებენ, მათ საერთოდ ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. შ. ამისულაშვილი კი ამ მხრივ თითქმის გატაცებამდე მიდის. მაგალითად, მის ლექსებში ხშირად შეხვდებით ასეთ სიტყვებს: თალარი, ლეშხი, ქანჩახები, ებგური, ოარტაფი, ყაირი და სხვ. მრავალი. არ მიგვაჩნია ეფექტურად ასეთი კომპოზიტები, რომლებიც ძველ ენოვნურ შთაბეჭდილებას სტოვებენ, მაგალითად: მკერდგადაჭირხლული, თვალმართლობა, ჩოქდაკრული, ზურგგადაშინებული და სხვ.

შ. ამისულაშვილს ახასიათებს რითმების სიახლე, მაგრამ მათი ძიების პროცესშიც იგი ხშირად მიდის უკიდურესობამდე. ბევრჯერ მიმართავს უხეირო ასონანსებსაც.

მიუხედავად ამისა ახალგაზრდა პოეტის წიგნი „თალარი“ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. მასში იგრძნობა ცოცხალი, შემოქმედი პოეტური სიტყვის ძალა.

წიგნს ატყვია გულასხმიერი რედაქტორის ხელი.

**დავით შამათავა**

★

## ფ. რ. შატობრიანი „სამი მოთხრობა“ თარგმანი ფრანგულიდან ირ. ქავშარაძისა.

უკანასკნელ რამდენიმე წლის განმავლობაში ქართულ ენაზე გამოვიდა მსოფლიო ლიტერატურის დიდი წარმომადგენლების მრავალი ნაწარმოები, რაც უთუოდ მისასალმებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს... ირ. ქავქარაძემ ამ მხრივ მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. მის მიერ თარგმნილია უმთავრესად ფრანგ მწერლების ნაწარმოებები: ბერნარდენ დე სენ-პიერის „პოლ და ვირჟინი“, ემილ ზოლას „წისქვილის დარბევა“, ალფონს დოდეს და გი დე მოპასანის ნოველები, ბალზაკის „პოლკოვნიკი შაბერი“, ეჟ. სკრიბის პიესა „ჭიქა-წყალი“, რომელიც რუსთაველის თეატრში დაიდგა კიდევაც, ან. ფრანსის „კრენკებილი“ და თანამედროვე ფრანგი რევოლუციონერი-მწერლის ჟან კასუს რომანი „პარიზის სისხლისღვრა“. ახლა გამოვიდა შატობრიანის „სამი მოთხრობა“: „რენე“, „უკანასკნელი აბენსერაჟი“ და „ატალა“.

წიგნს წამძღვარებული აქვს გ. ქიქოძის წინასიტყვაობა შატობრიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რომელიც ამ კრიტიკოსისათვის დამახასიათებელ ერუდიციით დაწერილ ლიტერატურულ ეტიუდს წარმოადგენს. როგორც ლიტერატურული მოვლენა, შატობრიანი უთუოდ ორიგინალური და თავისებური ფიგურაა. იგი ფრანგული რომანტიზმის დამწყებად ითვლება, მით უფრო დიდ ინტერესს იწვევს მისი მთავარი ნაწარმოებების გაცნობა ქართველ საბჭოთა მკითხველისათვის. როგორ უნდა მივუდგეთ წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მეტადრე ისეთ თვალსაჩინო და რთულ ლიტერატურულ მიმართულებას, როგორიც იყო რომანტიზმი დასავლეთ-ევროპაში? რომანტიზმის სოციალური არსის გამოკვლევისათვის უსათუოდ უნდა ვიხელმძღვანელოთ კ. მარქსის შესანიშნავი დებულებით, რომელიც მან ფ. ენგელსისადმი მიწერილ ერთერთ თავის წერილში გამოსთქვა: „საფრანგეთის რევოლუციის და მასთან დაკავშირებულ განმანათლებლობის საწინააღმდეგოდ პირველი რეაქცია ბუნებრივი იყო; ყველაფერმა შუასაუკუნოებრივი ფეოდალიზმი მიიღო, ყველაფერი რომანტიკულად ეჩვენებოდათ“. მაშასადამე, რომანტიზმი პირველი ბუნებრივი რეაქცია იყო მე-18 საუკუნის განმანათლებლობის და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა დასავლეთ ევროპის მთავარ ქვეყნებში — საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, მაგრამ რომანტიზმი ერთგვაროვანი მოვლენა როდი

იყო. რომანტიკოსი იყო შატობრიანიც და ბაირონიც. არსებობდა „რევოლუციური რომანტიზმი“ (ლენინის ტერმინი), „აქტიური რომანტიზმი“ (მ. გორკის ტერმინი), რომლის უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ: ბაირონი, ლერმონტოვი, ბარათაშვილი, და არსებობდა კონსერვატიულ-რეაქციული, არისტოკრატიულ-თავადაზნაურული რომანტიზმი. უკანასკნელის დიდი წარმომადგენლები იყვნენ: შატობრიანი, ნოვალისი და სხვა. კ. მარქსს აინტერესებდა შატობრიანი, როგორც ლიტერატურული და პოლიტიკური მოვლენა. 1854 წ. ფ. ენგელსისადმი მიწერილ წერილში იგი, სხვათა შორის, სწერს: „წავიკითხე შატობრიანის“ „ატალა“ და „რენე“. ამის შემდეგ კ. მარქსი უფრო ვრცლად ეხება შატობრიანს და შესანიშნავად ახასიათებს მას, როგორც მწერალს, რომელშიაც შერწყმულია „მე-18 საუკ. არისტოკრატიული სკეპტიციზმი და ვოლტერიანობა მე-19 საუკ. არისტოკრატიულ სენტიმენტალიზმთან და რომანტიზმთან. ცხადია, რომ ამ შერწყმას, როგორც სტილს, საფრანგეთში ეპოქა უნდა შეექმნა“ (1854 წ.) და შემდეგ „თუ ეს ადამიანი საფრანგეთში ასეთი სახელგანთქმული გახდა, ეს იმიტომ, რომ იგი ფრანგული თავმომწონეობის ყველაზე კლასიკურ განსახიერებას წარმოადგენს ყოველმხრივ, მაგრამ თავმომწონეობას არა მე-18 საუკუნის მსუბუქ, ფრივოლურ სამოსელში, არამედ რომანტიკულად შენიღბულ და ახლადგამომცხვარ გამოთქმებით მედიდურს; ყალბი სიღრმე, ბიზანტიური გაზვიადებანი, გრძნობებით კეკლუცობა, აჭრელებული ქამელეონობა, სიტყვებით ფერწერა, თეატრალურობა, მაღალფარდოვანობა, ერთი სიტყვით — ცრუობის ისეთი ნარევი, როგორიც არასოდეს არ ყოფილა არც ფორმით, არც შინაარსით“ (1873 წ.) ამ რიგად, კ. მარქსი აღნიშნავს შატობრიანის, როგორც შემოქმედის, გაორებულ ბუნებას. იგი ყველა თავის გმირში საკუთარ თავს ხატავდა (შაქტასი, რენე, აბენჰამეტი, ევდორი). „რომანტიკული“ უკმაყოფილება საფრანგეთის რევოლუციით, რომელიც შატობრიანს საკმარისად ახასიათებდა, რომელიღაც ნაწილში ემთხვეოდა საფრანგეთის რევოლუციის შედეგებით უკმაყოფილო ფართო მასების განწყობილებას. აქედან გამომდინარეობდა სწორედ ის წარმატება, რომელიც წილად ხვდა „ატალას“ და „რენეს“. დამახასიათებელია შატობრიანისათვის აგრეთვე ის გარემოება, რომ რენე მოთხრობის ფინალში, მიუხედავად მისიონერის დარიგებისა, მაინც ვერ ნახულობს კათოლიციზმში სასურველ მოსვენებას და ნუგეშს. სწორედ იმიტომ, რომ „ვოლტერმა და ენციკლოპედისტებმა მძლავრად შეარყიეს ქრისტიანული ფილოსოფია, კოსმოგონია და ისტორიის ფილოსოფია“, როგორც ამას გ. ქიქოძე სამართლიანად აღნიშნავს, შატობრიანი არც ფიქრობდა „ლოგიკურად ურყევი საბუთებით ქრისტიანული დოგმატების შეშმარიტების დამტკიცებას“ (გვ. VIII). შატობრიანისათვის ქრისტიანობა უფრო რელიგიური ემოცია იყო, ვიდრე სარწმუნოება, რაც შემდეგში ფრანგული რომანტიზმის ერთი ნაწილის დამახასიათებელ თვისებად იქცა (ლამარტინი, დე-ვინი და სხვ.) მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ „ქრისტიანობის გენიის“ წინააღმდეგ გაილაშქრენ ისეთმა სერიოზულმა კათოლიკურმა მწერლებმა, როგორიც იყო, მაგალ. დე-პრადტი, რომელმაც შატობრიანის ამ ნაწარმოებს რელიგიის პროფანაცია უწოდა. მისი აზრით, ამ წიგნს საზიანო შედეგების მოტანა შეეძლო, რადგან იგი ქრისტიანობას მცდარ თვალსაზრისით აშუქებსო. მაგრამ, ცნობილია, რომ სწორედ იმით, რომ შატობრიანის „ახალი კათოლიკობა“ არ შეეფერებოდა მართლმორწმუნე და დოგმატიკურ კათოლიკობას, პირიქით, ზოგჯერ სკეპტიკური ნიუანსებითაც კი იყო აღსავსე, სწორედ ამიტომ მოიპოვა მისმა „ატალამ“ და „რენემ“ პოპულარობა თავის დროისათვის.

შატობრიანი ლიტერატურის ისტორიაში შევიდა უფრო როგორც შესანიშნავი ლირიკოსი პროზაში, კოლორიტის დიდი ოსტატი. კ. მარქსის სიტყვა რომ ვიხმაროთ, „სიტყვებით ფერწერის“ შემქმნელი ბუნების აღწერაში რუსომ პირველმა შეიტანა ფრანგულ ლიტერატურაში ეს ახალი, დაუშრეტელი წყარო შემოქმედებისა. მას მოჰყვნენ ბ. დე-სენ-პიერა — ლიტერატურული პეიზაჟის ერთერთი შემქმნელი და შატობრიანი — ტროპიკული ბუნების აღმწერი, რაც შემდეგში დიდ ოსტატობამდე აიყვანა ფ. კუპერმა თავის ცნობილ რომანებში. უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ „ფერწერის“ გამო მეტად ძნელია შატობრიანის თარგმნა. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ამ სიძნელისა, ი. ქავქავაძის ცდა უნაყოფო არ გამოდგა... მრავალ შემთხვევაში მთარგმნელმა შესძლო ამ ფრანგულ „ფერწერისათვის“ სათანადო ქართული ექვივალენტის გამონახვა. საკმარისია ერთ რომელიმე მაგალითის მოყვანა, თუნდაც „ატალიდან“: Par intervalle, il éléve sa voix en passant sous les monts, et répand ses eaux débordées autour des colonnades des forets et des pyramides des tombeaux indiens: c' est le Nil des

dèserts, Mais la grâce est toujours unié à la magnificence dans les scènes de la nature"... ქართულად: „ალაგ-ალაგ მეშასებე უფრო ძლიერ ხმაურობს, როცა მთებს გვერდით უვლის, და ნაპირზე გადმოსულ წყლებს ტყეთა კოლონადებისა და ინდიელების საფლავთა პირამიდების გარშემო ფანტავს: ეს მდინარე უდაბნოთა ნილოსია. ბუნების მშვენიერება ყოველთვის სიდიადესთან არის დაკავშირებული" (გვ. 94) და სხვ.

შატობრიანი ცნობილია აგრეთვე, როგორც ახალ ლიტერატურაში ისტორიის აღორძინების პირველი ინიციატორი („მარტვილები"), ისტორიკოსები ო. ტიერი და გიზო შატობრიანის, როგორც შუა საუკუნეების მხატვრულად გამაცოცხლებელის, მოწაფეებად სთვლიდნენ თავის თავს. შატობრიანის გავლენა შემდგომ ფრანგულ ლიტერატურაზე დიდი იყო, კერძოდ დე-ვინიზე, ლამარტინზე, ფლობერზე, ლეკონტ დე-ლილზე და სხვ. 15 წლის ვ. ჰიუგო ამბობდა „მე მინდა ან შატობრიანი ვიყო, ან არაფერიო". სტენდალი ერთ წერილში იწერება: „შთაგონებამ დამტოვა, გამომიგზავნე „მარტვილნი"-ო. ჟორჟ ზანდის თქმით, შატობრიანის „ზოგიერთი ფურცლები ჩვენი საუკუნის უდიდეს მწერალს ამჟღავნებენო".

ნაპოლეონის დამხობის შემდეგ, შატობრიანი თითქმის ჩამოშორდა მხატვრულ შემოქმედებას, თუ არ ჩავთვლით „უკანასკნელ ბენსერაჟს", რომელიც 1826 წ. გამოვიდა. სამაგიეროდ შატობრიანმა ამ დროს [illegible] ... მოღვაწის დიდი კარიერა გააკეთა, ჯერ შინაგან საქმეთა, შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრობის პოსტზე. უკანასკნელ პოსტზე ყოფნის დროს შატობრიანი ევროპული რეაქციის სულისჩამდგმელად გადაიქცა. კ. მარქსი ირონიულად აღნიშნავდა „ბატონ შატობრიანის გმირულ მოღვაწეობას ვერონის კონგრესზე, რომლის დამთავრების შემდეგ იგი საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა და ესპანეთის წინააღმდეგ შეტევით ომს ხელმძღვანელობდა". საინტერესოა ორი რომანტიკოსის დაპირისპირება: შატობრიანი, როგორც ინსპირატორი და იდეური შთამაგონებელი ესპანეთის 1822—23 წ. რევოლუციის ჩაქრობისა, რომელსაც მეთაურობდა ცნობილი რიეგო, და ბაირონი, როგორც პოემა „ბრინჯაოს საუკუნის" დამწერი, სადაც დაგმობილია ვერონის კონგრესი და მისი რეაქციული დამქაშები. რიეგოს სიკვდილს ა. პუშკინმა ხომ მეტად მგრძნობიარე ლექსი უძღვნა. დეკაბრისტებიც გულთბილად იხსენიებდნენ რიეგოს. ამრიგად შატობრიანი საბოლოოდ მოექცა იმდროინდელი რეაქციის ბანაკში.

**შალვა ალხაზიშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინაარსი

33

ლეო ქიაჩელი — ჯოტოს მამა, რომანი, გაგრძელება . . . . . 3
ვლადიმერ სულაბერიძე — სათუთუნე ქისა, ლექსი . . . . . 32
კონსტანტინე გამსახურდია—დავით აღმაშენებელი, ტრილოგია, კარი II, გაგრძელება 34
ვახტანგ გოგრგანელი — ხრამჰესი, ლექსი . . . . . 67
დემნა შენგელაია — წითელი ყაყაჩო, რომანი . . . . . 68
იონა ვაკელი — მესხური ლაშქრული, ლექსი . . . . . 95
პოლიკარპე კაკაბაძე — შეხვედრა მშენებლობაზე, პიესა . . . . . 96
ახალგაზრდა რუსი პოეტების ლექსები—თარგმანი ალეკო შენგელიასი 144

---

მიხეილ დავითაშვილი — გენერალი ლესელიძე, ნარკვევი . . . . . 149

---

ბ. მიტინი — კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტი, წერილი . . . . . 173

---

დავით შამათავა — „შალვა ამისულაშვილი — „თალარი", ბიბლიოგრაფია . . . 183
შალვა ალხაზიშვილი — „ფ. რ. შატობრიანი — „სამი მოთხრობა", ბიბლიოგრაფია . 185

---

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრე აბაშელი, ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), გესარიონ ჟღენტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/II 48. წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11¾ ფ. УЕ 00845
შეკვ. № 137. ტირაჟი 5.300.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქ. № 13. ტელეფ. 3-04-64.

ფასი 8 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

# „МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ